პორმაპ მაპარტი

მოხუცების ადგილი აქ არ არის

I

ერთი ყმაწვილი ჰანტსვილის გაზის კამერაში გავგზავნე. ეს ერთადერთი. თავად დავაპატიმრე და სასამართლოზე მოწმედ გამოვედი. მის სანახავად ორჯერ თუ სამჯერ მივედი კიდეც. ჰო, სამჯერ. უკანასკნელად მისი სიკვდილით დასჯის დღეს ვნახე. არ ვიყავი ვალდებული წავსულიყავი მაგრამ მაინც წავედი. თუმცა ძალიან არ მინდოდა. თოთხმეტი წლის გოგონა ჰყავდა მოკლული და თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ მართებული იქნებოდა სიკვდილთან შესახვედრად მარტო გასულიყო. მაინც წავედი. გაზეთებში ეწერა თითქოს ვნების ნიადაგზე მოკლა. მე კი მითხრა რომ ვნება და ჟინი არაფერ შუაშია. ამ გოგონას ხვდებოდა, სულ მოზარდს. თავად ცხრამეტი წლის იყო. და მისივე სიტყვებით რაც თავი ახსოვდა ვიღაცის მოკვლის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა. არც ის დაუმალავს თუ გაუშვებდნენ იგივეს ისევ რომ ჩაიდენდა. დარწმუნებული იყო ჯოჯოხეთში მოხვედრა არ ასცდებოდა. თავად მითხრა. არავის დაუძალებია. არც კი ვიცი რა ვიფიქრო. მართლაც არ ვიცი. ასეთი მანამდე არავინ შემხვედრია და იქნებ ეს რაღაც ახალი სახეობის არსება იყო? ვუყურებდი სკამზე როგორ დააბეს და მერე კარი როგორ დახურეს. ცოტათი ანერვიულებული ჩანდა, ეს იყო და ეს. დარწმუნებული ვარ თავადაც კარგად იცოდა თხუთმეტ წუთში ჯოჯოხეთში რომ მოხვდებოდა. არც ერთი წუთით ეჭვი არ შემპარვია სწორედ ასე რომ იქნებოდა. ამ ამბავზე ბევრი ვიფიქრე. მასთან საუბარი ადვილი არ გახლდათ. შერიფი დამიძახეთ. მაგრამ არც ვიცოდი რა უნდა მეთქვა. რა უნდა უთხრათ ადამიანს რომელსაც მისივე

სიტყვებით სული არ აქვს? ან რა აზრი აქვს რამის თქმას? ძალიან დიდხანს ვიფიქრე ამ ამბავზე. მაგრამ ეს ყველაფერი არც კი შეედრება იმას რაც თავს დაგვატყდა.

თვალები სულის სარკეაო ამბობენ. არ ვიცი მის თვალებში რა ჩანდა და ვერც ვერასოდეს გავიგებ. მაგრამ ყველაფერი იმას მოწმობს რომ სამყარო შეიცვალა და მასთან ერთად თვალებიც. ვერასოდეს ვიფიქრებდი ასეთ რამეს თავად თუ მოვესწრებოდი. სადღაც უნდა არსებობდეს ნგრევის გამომწვევი ხორცშესხმული წინასწარმეტყველი და მასთან პირისპირ შეხვედრა ნამდვილად არ მინდა. მის არსებობაში დარწმუნებული ვარ. მისი ჩადენილი საქმეები მინახავს. ერთხელ ამგვარი თვალების წინ ჩავიარე. და მეტად აღარ მსურს. არც საკუთარი თავის გმირად წარმოჩენა რომ ავდგე და მას დავუპირისპირდე. იმიტომ კი არა რომ უკვე მოვხუცდი. ვისურვებდი მხოლოდ ეს ყოფილიყო მიზეზი. ვერც იმას ვიტყვი, თითქოს ამის გაკეთება სავალდებულოა. მიუხედავად იმისა რომ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი ასეთ სამუშაოზე სიკვდილისთვის მუდამ მზად უნდა იყო. და ეს ყოველთვის ასე იყო. მას არც დიდება მოაქვს და არც სახელი მაგრამ ამ სამუშაოს ასრულებ. თუ მისთვის მზად არ ხარ ამასაც გაგიგებენ. თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ და შეგეტყობა. ჩემი აზრით უფრო მნიშვნელოვანი ის არის შენ რისთვის აკეთებ ამ საქმეს. და რისთვის ხარ მზად სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. მე კი არ მსურდა ასე მოვქცეულიყავი. და ახლა კი ვფიქრობ რომ არც აღარასოდეს მომინდება.

შერიფის თანაშემწემ ჩიგური ზურგს უკან შეკრული ხელებით ოფისის კუთხეში დააყენა. თავად ტრიალა სავარძელში ჩაჯდა და ქუდი მოიხადა. ფეხები მაგიდაზე შემოაწყო და მერე ლამარს დაურეკა.

ეს-ესაა მოვედით. შერიფო, დაკავებულს რაღაც საგანი ეჭირა რომელიც ჟანგბადის ავზს ჰგავს ემფიზემით თუ რაღაც ამდაგვა-

რით დაავადებულებს რომ დააქვთ. კიდევ სახელოს შიგნით შლანგი ეშვება და ის რაღაც იარაღით ბოლოვდება. ეგეთი იარაღი ცხოველების სასაკლაოებზე აქვთ ხოლმე. დიახსერ. ძალიან ჰგავს. თავადაც შეგიძლიათ მოხვიდეთ და ნახოთ. დიახსერ. მე ვერაფერს გამომაპარებ. დიახსერ.

როდესაც შერიფის თანაშემწე შერიფთან სატელეფონო საუბრის დამთავრების შემდეგ სკამიდან ადგა ქამარზე დამაგრებული აცმიდან ერთ-ერთი გასაღებით უჯრა გააღო და კამერის გასაღებების ამოსაღებად დაიხარა. სწორედ მაშინ ჩიგური ჩაცუცქდა, მოიკუნტა და ბორკილებით შეკრული ხელები ფეხებს ქვემოთ გაატარა. მერე სწრაფად და ძალდაუტანებლად წამოდგა. გეგონებოდა ასეთი რამ მრავალჯერ გაუკეთებიაო. ბორკილებიანი ხელები შერიფის თანაშემწის თავზე გადაატარა, ახტა და ორივე მუხლით მის ზურგს მიებჯინა, ხოლო ბორკილების ჯაჭვი თავისკენ მთელი ძალით გასწია.

ორივე იატაკზე დაენარცხა. შერიფის თანაშემწე ბორკილების ჯაჭვში ხელის შეცურებას ამაოდ ცდილობდა. ჩიგური მთელი ძალით ექაჩებოდა ბორკილებს და ზურგზე მუხლებს აჭერდა, თავად კი გვერდზე იხედებოდა. შერიფის თანაშემწე ფეხებს აფართხალებდა. ნაგვის სათლი გადააბრუნა, სავარძელი შორს მოისროლა. ოფისის კარი ჯახუნით დაიხურა და მისი სხეულის ქვეშ იატაკის საფენი აიბურდა. ხრიალებდა და პირიდან სისხლი სდიოდა. საკუთარი სისხლი ახრჩობდა. ჩიგური მხოლოდ უფრო და უფრო უჭერდა ბორკილებს. ლითონის ჯაჭვმა ძვლამდე ჩააღწია. ძილის არტერია გასკდა და სისხლის ამოხეთქილმა ნაკადმა ოფისის კედელი თავიდან ბოლომდე მოსვარა. შერიფის თანაშემწე თანდათან მოეშვა და ფეხებს აღარ აფართხალებდა. მხოლოდ დროდადრო სხეულს კრუნჩხვა დაუვლიდა. შემდეგ მოძრაობა შეწყვიტა. ჩიგური მშვიდად სუნთქავდა, იწვა და არ უშვებდა. როდესაც წამოდგა შერიფის თანაშემწის გასაღებების აც-

მიდან ერთ-ერთით ბორკილები გახსნა და მერე მისი რევოლვერი ქამარში გაირჭო. სააბაზანოში გავიდა.

სისხლის მოსაბანად მაჯები ცივ წყალს შეუშვირა და როცა სისხლდენა შეწყდა კბილებით დახია პირსახოცი და შეიხვია. შერიფის თანაშემწის ოფისში დაბრუნდა. დისპენსერს სკოჩი მოაგლიჯა და პირსახოცის სახვევები დაამაგრა. თან იატაკზე პირღიად გაშხლართულ გარდაცვლილს უყურებდა. ჯიბიდან საფულე ამოუღო. ფული ჯიბეში ჩაიდო, საფულე კი იქვე, იატაკზე მიაგდო. შემდეგ თავის ავზსა და იარაღს ხელი წაავლო და გარეთ გავიდა. შერიფის თანაშემწის მანქანაში ჩაჯდა და გასაღები გადაატრიალა. მანქანა უკუსვლით დაძრა და ავტომაგისტრალზე გავიდა.

შტატთაშორის გზაზე უკანასკნელი მოდელის ფორდი-სედანი შენიშნა. მანქანაში მხოლოდ მძღოლი იჯდა. ციმციმა და ხმოვანი სიგნალი ჩართო. მანქანამ გზის ნაპირისკენ გადაუხვია. ჩიგური მის უკან გაჩერდა და ძრავა გამორთო. ავზი მხარზე გადაიკიდა და მანქანიდან გადავიდა. მძღოლი უკანა ხედვის სარკეში უყურებდა როგორ უახლოვდებოდა მის მანქანას.

რამე პრობლემაა ოფიცერო? იკითხა მან.

სერ თუ შეიძლება მანქანიდან გადმობრძანდით.

მამაკაცმა მანქანის კარი გააღო და გადმოვიდა. რა მოხდა? ისევ იკითხა მან.

თუ შეიძლება მანქანას მოშორდით.

კაცმა მართლაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მანქანას მოშორდა. მამაკაცმა სისხლით მოსვრილ მის სამოსს შეხედა და ჩიგურმა კაცის თვალებში დაეჭვება შენიშნა მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩიგურმა მამაკაცის თავისკენ ხელი ექიმბაშივით გაიშვირა. შეკუმშული ჰაერის შიშინი და პლუნჟერის ტკაცანი კარის დაკეტვის ხმას ჰგავდა. კაცი ნელა ჩაიკეცა მიწაზე, შუბლზე გაჩენილი ღრმულიდან სისხლი ბუშტუკებად მიედინებოდა თვალების-

კენ, რომლებშიც თანდათან ქრებოდა სიცოცხლე. ჩიგურმა ხელი მოკლულის ცხვირსახოცით გაიწმინდა. არ მინდა მანქანა სისხლით დავსვარო ჩაილაპარაკა ხმადაბლა.

ნაცრისფერ ვულკანურ სილაში ქუსლებით ჩაფლული მოსი გორაკის თავზე ჩაცუცქულიყო და გერმანული ბინოკლიდან, თორმეტჯერ რომ ადიდებდა გამოსახულებას, უდაბნოს ათვალიერებდა. ქუდი კეფაზე ეხურა. იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა. მხარზე გადაკიდებულ თასმაზე 27-კალიბრიანი შაშხანა ეკიდა, რომელსაც „მაუზერ-98“-ის საცემი მექანიზმი და ბინოკლის მსგავსი სიმძლავრის ანერტლის ოპტიკური სამიზნე ჰქონდა. ანტილოპები მისგან დაახლოებით ერთი მილის დაშორებით იყვნენ. ერთი საათიც კი არ იყო გასული მზის ამოსვლიდან და გორაკის, პალმის ხეებისა და კლდეების ჩრდილი მის წინ გადაშლილ ვაკეზე გაწოლილიყო. სადღაც იქვე მთავრდებოდა თავად მოსის ჩრდილიც. ბინოკლი დასწია და ადგილის დაკვირვებით შესწავლას შეუდგა. შორს სამხრეთით მექსიკის ქედი მოჩანდა. ასევე მდინარის კლაკნილი. დასავლეთით მზით გადახრუკული ტერაკოტისფერი საზღვრისპირა მიწები მდებარეობდა. გადააფურთხა და პირი კომბინეზონის სახელოთი მოიწმინდა.

შაშხანის ტყვიის გადახრა ათასი იარდიდან სროლისას ხუთ დუიმს შეადგენდა. სროლისთვის შერჩეული ადგილი ზუსტად ლავის გრძელი ჩამონაშალის დაბლა მდებარეობდა და ანტილოპებამდე მანძილი ათას იარდზე ნაკლები იქნებოდა. მაგრამ იქამდე მისვლას სულ მცირე ერთი საათი სჭირდებოდა, ამასობაში ანტილოპები ალბათ უფრო შორს გადაინაცვლებდნენ. კიდევ კარგი, ქარი არ ქროდა.

გორაკიდან ჩამოსულმა კლდეებს შორის თავი ფრთხილად გაყო და ანტილოპებს გახედა. ისინი ცოტათი მოშორებით გადასულიყვნენ, მაგრამ ცხოველებამდე ისევ რჩებოდა შვიდასი იარდი. კვლავ მოიმარჯვა ბინოკლი და ანტილოპებს დააკვირდა.

სიცხისგან შეკუმშული ჰაერი თითქოს თრთოდა და ცხოველების სხეულებს ამახინჯებდა. მიწისა და ყვავილების მოციმციმე მტვერი ტრიალებდა. მაგრამ უფრო ახლოს მისვლა, ან სროლისთვის უკეთესი პოზიციის შერჩევა შეუძლებელი გახლდათ.

ქვებზე მუცლით გახოხდა, ცალი ჩექმა გაიხადა და კლდეზე დადო, რბილ ტყავზე მოხერხებულად დააყრდნო შაშხანა, მცველი მოხსნა და ოპტიკურ სამიზნეში გაიხედა.

ანტილოპებმა თავები ასწიეს და გაირინდნენ, მას უმზერდნენ.

გუნებაში შეიკურთხა. მზე მის ზურგს უკან იყო, ამიტომ ცხოველები სამიზნეზე სხივის ციალს ვერ შენიშნავდნენ. უბრალოდ, დაინახეს.

შაშხანის სასხლეტი ცხრა უნციაზე იყო დაყენებული, ჩექმა და იარაღი ახლოს დიდი სიფრთხილით მიიწია და ისევ დაუმიზნა ცხოველის ზურგს, რომელიც გვერდულად იდგა. ზუსტად იცოდა, ყოველ ას იარდზე რამდენით გადაიხრება ტყვია, ვიდრე მიზანს მიაღწევდეს. მაგრამ ახლა უცნობია, ზუსტად რა მანძილი აშორებდა ანტილოპებს. ცერა თითი სასხლეტს დაადო. კისერზე ოქროს ჯაჭვით ჩამოკიდებული ტახის ეშვი იდაყვთან მოექცა.

მძიმე ლულისა და ლულის ტუჩის მიუხედავად, შაშხანის უკუცემა ძლიერი იყო. როდესაც ისევ ოპტიკურ სამიზნეში გაიხედა, ცხოველები წინანდებურად იდგნენ. 9.7-გრამიან ტყვიას ანტილოპებამდე მანძილის დასაფარად წამზე ნაკლები დრო სჭირდებოდა, ხმას — ორჯერ უფრო მეტი. იდგნენ და იმ ადგილიდან ავარდნილ მტვრის სვეტს უყურებდნენ, სადაც ტყვია მოხვდა. შემდეგ ადგილიდან მოწყდნენ. უსწრაფესად გაიქცნენ და სულ უფრო შორდებოდნენ თიხიან ნიადაგს, კლდეებზე ასხლეტილი სროლის ხანგრძლივი ექო თითქოს გაქცეულ ცხოველებს მიაცილებდა და შემდეგ ადრიანი დილის განმარტოებულობაში ჩაფლულ ვაკეს უკან უბრუნდებოდა.

წამოდგა და ანტილოპებს გახედა. ბინოკლი მოიმარჯვა. ერთ-ერთი ცხოველი სხვებს ჩამორჩებოდა და ცალ ფეხს მიათრევდა. ალბათ ტყვია რიკოშეტით მარცხენა ბარძაყში მოხვდაო, გაიფიქრა. დაიხარა და გადააფურთხა. ჯანდაბა — ჩაილაპარაკა თავისთვის.

უყურებდა, როგორ მიეფარნენ სამხრეთით მდებარე კლდეებს. უქარო დილის სინათლეში ავარდნილი მკრთალი ნარინჯისფერი მტვერი თანდათან მიწაზე ეშვებოდა. ბოლოს სულ გაქრა. მზით განათებული ვაკე ისევ მდუმარე და ცარიელი იყო. თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. დაჯდა და ჩექმა ჩაიცვა. შაშხანიდან ნასროლი მასრა ამოიღო და პერანგის ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ მცველი ჩაკეტა. იარაღი მხარზე გადაიკიდა და იქით გაემართა, სადაც ანტილოპები თვალს მიეფარნენ.

ორმოციოდე წუთი დასჭირდა ვაკის გადავლას. შემდეგ გრძელი ვულკანური ქანობისკენ გაემართა, მის წვერზე მოქცეულმა გეზი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ აიღო, რომ ზემოდან გადაეხედა იმ ადგილისთვის, სადაც ანტილოპები გაუჩინარდნენ. მიდამოს ბინოკლით დააცქერდა. მისი ყურადღება დიდმა შავმა ძაღლმა მიიქცია. ყურადღებით დააკვირდა. ძაღლს უზარმაზარი თავი ჰქონდა, ყურები დაეჭრათ. ცხოველი შესამჩნევად კოჭლობდა. ძაღლი შეჩერდა. უკან გაიხედა. მერე კოჭლობით განაგრძო გზა. ბინოკლი დაუშვა და უყურებდა საით წავიდოდა.

გორაკის წვერზე გზა გააგრძელა. ცერა თითით შაშხანის სარტყელი ეჭირა. ქუდი კეფაზე მოერგო. ზურგზე პერანგი ოფლს მთლიანად დაესველებინა. კედლებზე ძალიან ძველი, ალბათ ათასი წლის წინ ამოკვეთილი პიქტოგრამები ჩანდა. ისინი სავარაუდოდ ისეთივე მონადირეებმა ამოკვეთეს როგორიც თავად იყო. სხვა კვალი მათ არ დაუტოვებიათ.

გორაკი ნაშალით მთავრდებოდა, ეს იყო უსწორმასწორო ქანობი. მასზე რძიანა და ბუჩქნარი იზრდებოდა. ლოდზე ჩამოჯდა.

იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და მის წინ გადაშლილ ვაკეს ბინოკლში გახედა. მილის დაშორებით სამი ავტომანქანა იდგა.

ბინოკლი ჩამოუშვა და მიმოიხედა. შემდეგ ისევ მოიმარჯვა. მიწაზე სამი ადამიანი იწვა. ფეხებით უკეთ დაეყრდნო კლდეს და ფოკუსი გაასწორა. ოთხბორბლიანი, ყველგანმავალი ფორდ--ბრონკოები იყო. ჯალამბრებითა და დამატებითი, სახურავზე განლაგებული ფარებით. მიწაზე მწოლიარენი როგორც ჩანს გარდაცვლილები იყვნენ. ბინოკლი დაუშვა. შემდეგ ისევ მოიმარჯვა. მერე დაუშვა. ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. გარშემო სულიერი არ ჭაჭანებდა. თავადაც დიდხანს იჯდა გაუნძრევლად.

მანქანებს რომ უახლოვდებოდა, შაშხანას მცველი მოხსნა და მოიმარჯვა. შორიახლოს შეჩერდა. მიიხედ-მოიხედა, შემდეგ მანქანები დაათვალიერა. დატოვებული ნატყვიარებით ჩანდა, რომ ავტომატური იარაღიდან იყო ნასროლი. მინები ჩამსხვრეული, ბორბლები კი დაშვებული გახლდათ. შეჩერდა. ყური მიუგდო.

პირველ მანქანაში მკვდარ მძღოლს თავი საჭეზე ჩამოედო. მანქანის გვერდით ყვითელ ბალახზე ორი მიცვალებული იწვა. შემხმარი სისხლი მიწაზე შავად მოჩანდა. შედგა და მიაყურადა. სიჩუმეს მხოლოდ ბუზების ბზუილი არღვევდა. მანქანას შემოუარა. მის უკან უზარმაზარი მკვდარი ძაღლი ეგდო — ზუსტად ისეთი როგორიც წეღან ველზე დაინახა. ამისთვის ტყვია მიზანში ესროლათ. ძაღლთან ახლოს პირქვე მესამე მიცვალებული იწვა. მანქანის სალონში მჯდომ მამაკაცს შეხედა. ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. მთელი კაბინა სისხლით იყო მოსვრილი. მეორე მანქანასთან მივიდა, მაგრამ ის ცარიელი აღმოჩნდა. მიწაზე დაგდებულ მესამე მიცვალებულს მიუახლოვდა. ბალახში გადაჭრილლულიანი იარაღი ეგდო. იარაღს მოკლე ლულა ჰქონდა, რევოლვერის სახელური და ოცვაზნიანი მჭიდი. მიცვა-

ლებულის ჩექმას ფეხი წაჰკრა. მერე გარშემო გორაკები მოათვალიერა.

მესამე ფორდ-ბრონკოს გადიდებული საკიდარი და დაბურული მინები ჰქონდა. კარი მძღოლის მხრიდან გამოაღო. სალონში მამაკაცი იჯდა და მას უცქერდა.

მოსმა უკან დაიხია და იარაღი მოიმარჯვა. კაცს სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. გამშრალი ტუჩები ძლივს აამოძრავა:

Agua, cuate, თქვა მან, Agua, por dios.

მუხლებზე მოკლელულიანი იარაღი ედო — ჰეკლერ-კოხის მოკლელულიანი ავტომატური პისტოლეტი ნეილონის თასმაზე ეკიდა. მოსმა ხელი გაიშვირა, იარაღი აართვა და ისევ უკან დაიხია.

Agua, ისევ გაიმეორა კაცმა, por dios.

არ მაქვს წყალი.

Agua.

მოსმა კარი ღია დატოვა, შაშხანა მხარზე გადაიკიდა და მანქანას მოშორდა. კაცმა თვალი გააყოლა. მოსმა მანქანას მეორე მხრიდან შემოუარა და კაბინის კარი გააღო. ბერკეტს დააწვა და სავარძელი წინ გადასწია. საბარგული ვერცხლისფერი, ლითონისძაფებშერეული ბრეზენტით იყო დაფარული. ბრეზენტი გადახადა. აგურისოდენა პოლიეთილენში გახვეული პაკეტები რამდენიმე რიგად ეწყო. ცალი თვალით მძღოლს უყურებდა. ჯიბიდან დანა ამოიღო და ერთ-ერთი პაკეტი გაჭრა. ყავისფერი ფხვნილი გადმოიყარა. თითი ნერწყვით დაისველა, ფხვნილში ჩაყო, მერე დაყნოსა. შემდეგ თითი ჯინსის შარვალზე შეიწმინდა, პაკეტებს ისევ ბრეზენტი გადააფარა, მანქანას მოსცილდა და ყურადღებით დააკვირდა მიდამოს. ისევ არაფერი. მანქანებიდან მოშორებით დადგა და ახლა ბინოკლით შეათვალიერა გორაკები. ლავის ქედი. სამხრეთისკენ გადაშლილი უსასრულო ვაკე. ცხვირსახოცი ამოიღო და რასაც მანამდე ხელი შეახო ყვე-

ლაფრის გაწმენდას შეუდგა. კარის სახელურები, სავარძლის ბერკეტი, ბრეზენტი, პაკეტი. მერე მანქანას შემოუარა და იქაც ყველაფერი გაწმინდა. ისევ პირველ მანქანას მიუახლოვდა, კარი ცხვირსახოცშემოხვეული ხელით გააღო და სალონი მოათვალიერა. სალონის უჯრა გამოაღო და ისევ დახურა. საჭეზე თავჩამოდებულ მიცვალებულს დააკვირდა. კარი გამოღებული დატოვა და მძღოლის მხარეს მანქანის დათვალიერება გადაწყვიტა. კარი ნატყვიარებით იყო დაცხრილული. საქარე მინაც. მცირეკალიბრიანი იარაღიდან ისროდნენ. ექვმილიმეტრიანიდან. ან შესაძლოა ოთხიანი მსხვილი საფანტით. კვალი ორივესი ერთნაირია. კარი გამოაღო და მინის საწმენდის ღილაკს დააჭირა. ამაოდ — არ მუშაობდა. კარი მიხურა და მანქანასთან მდგარმა ისევ გორაკებს გახედა.

ჩაცუცქდა, შაშხანა ბალახზე დადო და ავტომატურ პისტოლეტს დააცქერდა. საკეტი გახსნა. ლულაში გაუსროლელი ტყვია იდო, მაგრამ სავაზნეში კიდევ ორი მოჩანდა. ლულის ტუჩი დაყნოსა. იარაღს სავაზნე მჭიდი მოხსნა. პისტოლეტი ცალ მხარზე გადაიკიდა, შაშხანა — მეორეზე. ფორდ-ბრონკოს მიუახლოვდა და სავაზნე შიგ მჯდომ მამაკაცს დაანახვა.

Otra, უთხრა მას, Otra.

კაცმა თავი დაუქნია. En mi bolsa.

ინგლისურად ლაპარაკობ?

კაცს პასუხი არ გაუცია. ცდილობდა ნიკაპით მიენიშნებინა. მოსმა ტილოს პიჯაკის ჯიბიდან ამოშვერილი ორი მჭიდი დაინახა. კაბინაში შეძვრა, ორივე ამოაცალა და სწრაფადვე უკან გაიწია. მანქანაში სისხლისა და ფეკალიების სუნი იდგა. ერთი სავსე მჭიდი იარაღში ჩადო, დანარჩენი ორი კი ჯიბეში ჩაიდო. Agua, cuate, წაილუღლუღა კაცმა.

მოსი ისევ გარემოს ათვალიერებდა. უკვე გითხარი, წყალი არ მაქვს-მეთქი, უთხრა მან.

La puerta, წარმოთქვა მამაკაცმა.

მოსმა შეხედა.

La puerta. Hay lobos.

აქ მგლები არ არის.

Si, si. Lobos. Leones

მოსმა კარი იდაყვით დახურა.

ისევ პირველ მანქანასთან მიბრუნდა და გამოღებული კარიდან მგზავრის სავარძელს მიაჩერდა. კარს ნატყვიარები არ ეტყობოდა, მაგრამ სავარძელზე სისხლი მოჩანდა. გასაღები ისევ კლიტეში იყო, მან გასაღები გადააბრუნა და მინების ღილაკს დააჭირა თითი. ფანჯრის მინა ნელა ამოიწია ღიობიდან. ორი ნატყვიარი და შიგა მხრიდან სისხლის შემხმარი შხეფები ემჩნეოდა. დადგა და ნანახს ჩაუფიქრდა. მიწაზე დაიხედა. თიხის ნიადაგს სისხლის წვეთები ეტყობოდა. სისხლი მოჩანდა ბალახზეც. კალდერის გავლით სამხრეთიდან მოსული მანქანის კვალს გააყოლა თვალი. კიდევ ერთი უნდა ყოფილიყო, ცოცხლად გადარჩენილი. ის არა, ბრონკოში მყოფი cuate, რომელიც წყალს ითხოვდა.

მანქანებს მოსცილდა და მზით განათებულ ბალახში ბორბლების კვალის აღმოსაჩენად კარგა დიდი წრე შემოიარა. ცოტათი სამხრეთისკენ წავიდა. ადამიანის კვალს წააწყდა და იქამდე მიჰყვებოდა, ვიდრე სისხლით მოსვრილი ბალახი არ დაინახა. სისხლის წვეთები უფრო და უფრო იმატებდა.

შორს ვერ წახვალ, გაიფიქრა თავისთვის, ეს შენ გგონია, რომ შორს ხარ. მაგრამ არაფერიც!

კვალს თავი მიანება, ავტომატი მოიმარჯვა და ახლომდებარე ყველაზე მაღალი ადგილისკენ გაემართა. ბინოკლით დააკვირდა მიდამოს სამხრეთისკენ. არაფერი ჩანდა. პერანგის ზემოდან ჩამოკიდებულ ტახის ეშვს თითით აწვალებდა. ალბათ სადმე ბუჩქებში ხარ დამალული და უყურებ ვინმე ხომ არ მოგდევს. შე-

ნი დანახვის შანსი ნულია და სრულიად მშვიდად შეგიძლია მესროლო და სიცოცხლეს გამომასალმო.

ჩაცუცქდა და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო. შემდეგ ბინოკლით ვაკის თავში მდებარე კლდეები მოათვალიერა. მიწაზე მოხერხებულად დაჯდა და ფეხები გადააჯვარედინა. მიდამოს აუჩქარებლად და გულდასმით დააკვირდა. უკანასკნელი იდიოტივით ნუ მოაკვლევინებ თავს. ამას ნუ იზამ, გაიფიქრა.

შებრუნდა და მზეს შეხედა. დაახლოებით დილის თერთმეტი საათი იქნებოდა. იმის თქმაც კი შეუძლებელი გახლდათ რომ ეს ყველაფერი გასულ ღამეს მოხდა. იქნებ ორი ღამის წინ. ან შეიძლება სამისაც.

თუმცა ალბათ, მაინც წუხელ.

სუსტი ქარი ამოვარდა. ქუდი კეფაზე მოიგდო. ბენდენით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და შემდეგ ისევ ჯინსის უკანა ჯიბეში შეინახა. ბინოკლით კალდერის აღმოსავლეთ კიდეზე გადაწოლილ დაბალ კლდეებს გახედა.

ვერც ერთი დაჭრილი კლდეზე ვერ აფორთხდება. ვერ შეძლებს, გაუელვა თავში.

როდესაც კარგა რთული ასასვლელი დაძლია და გორაკს თავზე მოექცა შუადღე უკვე გადასული იყო. შორს ჩრდილოეთით მოცახცახე პეიზაჟის ფონზე გზაზე მიმავალი ტრეილერი მოჩანდა. ათი მილის დაშორებით. შესაძლოა თხუთმეტისაც. 90-ე ავტომაგისტრალი. ახალი გარემოს დასათვალიერებლად მიწაზე დაჯდა. ბინოკლი მოიმარჯვა და უეცრად გაშეშდა.

Bajada-ს ბოლოს, ჩამონაშალის ძირში რაღაც პატარა ლურჯი ლაქა მოჩანდა. ამ ლაქას ბინოკლით დიდხანს აკვირდებოდა. ლაქა არ იძვროდა. მის სიახლოვეს მიდამო ისევ გულდასმით დაათვალიერა. მერე ისევ ლაქას მიუბრუნდა. საათზე მეტი გავიდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს წამოდგა და დაშვება დაიწყო.

გარდაცვლილი კლდეზე მიყრდნობილი იწვა. ფეხებს შორის ბალახზე ნიკელირებული 45-კალიბრიანი იარაღი ეგდო. მიცვალებული ჯერ ეტყობა იჯდა და შემდეგ კი გვერდზე გადავარდნილიყო. თვალები ღია დარჩენოდა. გეგონებოდა ბალახში რაღაც ძალიან პატარას აკვირდებაო. სისხლი ბალახზეც მოჩანდა და მის უკან კლდეებზეც. ჯერ ისევ მუქი წითელი ფერისა იყო თუმცა მზეს აქაურობამდე ჯერ არ მოეღწია. მოსმა პისტოლეტი აიღო და მცველს ცერი დააჭირა. მერე სასხლეტი დაუშვა. ჩაცუცქდა და იარაღის სახელურზე შემხმარი სისხლის გაწმენდა გარდაცვლილის შარვლის ტოტით სცადა მაგრამ ამაოდ — სისხლი უკვე ძალიან გამხმარიყო. წამოდგა და პისტოლეტი ისევ ქამარში გაირჭო. ქუდი მოიხადა და ოფლიანი შუბლი პერანგის სახელოთი მოიწმინდა. იდგა და იქაურობას ათვალიერებდა. გარდაცვლილის მუხლებთან ტყავის დიდი კეისი იდო. მოსმა ზუსტად იცოდა, რაც იქნებოდა კეისში და უცებ საშინლად შეეშინდა.

კეისს ხელი დაავლო. მოშორებით ბალახზე გადავიდა. ჩამოჯდა და მხრიდან ჩამოხსნილი ავტომატური პისტოლეტი გვერდით დაიდო. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იჯდა. გაშლილ ფეხებზე შაშხანა ედო კეისი კი მუხლებს შორის ჰქონდა მოქცეული. შემდეგ წინ გადაიხარა და ტყავის ორი სალტე გახსნა. თითბრის საკეტს თითი დააჭირა და ჩასწია. კეისს სახურავი ახადა.

კეისი ასდოლარიანი ბანკნოტებით იყო სავსე. ბანკის ლენტებშემოკრული შეკვრები თითოეულში 10 000 დოლარი. ზუსტად რა თანხა იყო, არ იცოდა, თუმცა მიახლოებით ხვდებოდა. იჯდა და ბანკნოტების შეკვრებს დაჰყურებდა. შემდეგ კეისი დახურა.

თავჩაქინდრული იჯდა. მთელმა ცხოვრებამ გაუელვა თვალწინ. თითოეული დღე მზის ამოსვლიდან დაღამებამდე ვიდრე არ

მოკვდება. ეს კეისი კი ქაღალდითაა სავსე რომელიც ორმოც ფუნტს იწონის.

თავი ასწია და გორაკი მოათვალიერა. ჩრდილოეთიდან სუსტმა ქარმა დაუბერა. ცივმა ქარმა. მზე. დღის პირველი საათი. ბალახში გაშხლართულ მიცვალებულს გახედა. ნიანგის ტყავის ძვირადღირებული ჩექმები სისხლით აივსო და გაშავდა. მისი სიცოცხლე დასრულდა. აქ, ამ ადგილზე. სამხრეთის შორეულ მთებში. ბალახებში ქარი დაქრის. სიჩუმეა. კეისის ჩამკეტი გაატკაცუნა. თასმები შეკრა. შაშხანა მხარზე მოიგდო. კეისს ხელი ჩასჭიდა და წამოდგა. საკუთარი ჩრდილით ახერხებდა ორიენტირებას. გზას გაუდგა.

იმაზე ფიქრობდა როგორ მივიდოდა თავის ტრეილერამდე. აგრეთვე ღამით უდაბნოში მგზავრობაზე. უდაბნოში მოხავეს ჩხრიალა გველები ბინადრობდნენ და თუ რომელიმე მათგანი უკბენდა უკვე ნანახ მხიარულ კამპანიას შეუერთდებოდა და კეისს ვიღაც სხვა, ახალი პატრონი გამოუჩნდებოდა. ამ ყველაფერს კიდევ ერთი უსიამოვნება ემატებოდა — გაშლილ ადგილზე სიარული მხარზე ჩამოკიდებული შაშხანითა და სრული საბრძოლო კომპლექტით და ხელში კეისით რომელშიც რამდენიმე მილიონი დოლარია. დარწმუნებული იყო ვიღაც ფულის ძებნას დაიწყებდა. თანაც შესაძლოა არაერთი ვინმე.

ისიც კი გაიფიქრა უკან დაბრუნებულიყო გადაჭრილი იარაღისა და სავაზნეების წამოსაღებად. გადაჭრილი იარაღი საიმედო გახლდათ. ავტომატური პისტოლეტის ადგილზე დატოვებასაც ფიქრობდა. ასეთი იარაღის შენახვა სისხლის სამართლის დანაშაულია.

მაგრამ არც არაფერი დაუტოვებია და მანქანებთანაც არ დაბრუნებულა. გზა რომ შეემოკლებინა პირდაპირ წავიდა. ვულკანურ ქედებსა და კლდეებს შორის გასასვლელებში მიიკვლევდა სავალს. მხოლოდ დღის ბოლოს გააღწია იმ გზაზე რომლი-

თაც იმ დილით ძალიან ადრე, მზის ამოსვლამდე მოვიდა ამ ადგილზე. ერთი მილი გაიარა და თავის პიკაპამდეც მიაღწია.

კაბინის კარი გააღო და შაშხანა იატაკზე დადო. მანქანას შემოუარა და კარი მძღოლის მხრიდანაც გააღო. ბერკეტს ხელი დააჭირა და სავარძელი წინ გასწია. მის ქვეშ კეისი და ავტომატური პისტოლეტი დამალა. 45-კალიბრიანი პისტოლეტი და ბინოკლი გვერდით, სავარძელზე დადო. მერე კაბინაში ავიდა. სავარძელი რაც შეიძლებოდა უკან დასწია და გასაღები კლიტეს მოარგო. ქუდი მოიხადა და სავარძლის საზურგეს მიაწვა. შუბლი ცივ მინას მიადო და თვალები დახუჭა.

როდესაც მაგისტრალზე გავიდა სიჩქარე დააგდო. საქონლისგან დამცავი მესერი გაიტანა და ფარები ჩართო. დასავლეთით სანდერსონისკენ მიდიოდა და სიჩქარის მანიშნებელ ყოველ მითითებას გულდასმით ასრულებდა. ქალაქის აღმოსავლეთში მდებარე ბენზინგასამართ სადგურზე შეჩერდა სიგარეტის საყიდლად და როგორც იქნა წყალიც დალია. მერე გზა განაგრძო დეზერტ-ეირის ტრეილერების სადგომისკენ სადაც მისი მისაბმელი მანქანა-სახლიც იდგა. სახლში სინათლე ენთო. შეიძლება ასი წლისა მოიყარო და ასეთ რამეს ვერ მოესწრო. გაიფიქრა და მაშინვე ინანა.

მანქანის სალონის უჯრიდან ფარანი აიღო. მხარზე შაშხანა გადაიკიდა. კეისს ხელი დაავლო და სახლ-მისაბმელისკენ გაემართა. მისაბმელის ქვეშ შეძვრა და იქაურობა დაათვალიერა. იაფფასიანი პლასტმასის მილი და ფანერი. საიზოლაციო ლენტები. ავტომატური პისტოლეტი კუთხეში მიამაგრა საიზოლაციო ლენტებით. იწვა და ფიქრობდა. შემდეგ კეისით ხელში მისაბმელის ქვეშიდან გამოძვრა. სამოსი გაიბერტყა კიბეები აირა და სახლში შევიდა.

ქალი დივანზე იჯდა. ტელევიზორს უყურებდა და კოკას სვამდა. არც კი შეუხედავს.

სამი საათია, მხოლოდ ეს თქვა.

შეიძლება უფრო გვიანაც დავბრუნდე ხოლმე.

ქალი შებრუნდა. დივანის საზურგიდან გახედა და მერე ისევ ტელევიზორს მიაჩერდა.

მაგ ჩანთაში რა არის?

ფულითაა სავსე.

ჰო. ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

კაცი სამზარეულოში გავიდა. მაცივარი გამოაღო და ლუდის ბოთლი აიღო.

გასაღები მომეცი, უთხრა ქალმა.

სად უნდა წახვიდე?

სიგარეტის მოსატანად.

სიგარეტი.

ჰო, ლუელინ, სიგარეტის. მთელი დღეა აქ ვზივარ.

ციანიდზე რას იტყვი? გვაქვს?

მომეცი ეგ დაწყევლილი გასაღები. ეზოში გავალ და მოვწევ.

მოსმა ლუდი მოსვა. შემდეგ კეისი საწოლ ოთახში შეიტანა. ცალ მუხლზე დაჩოქილმა საწოლის ქვეშ შეაცურა. მერე უკან დაბრუნდა. სიგარეტს მე მოგიტან, უთხრა ქალს. თუ წინააღმდეგი არ ხარ.

ლუდის ბოთლი დადგა და ეზოში გავიდა. ორი კოლოფი სიგარეტი ბინოკლი პისტოლეტი და თავისი შაშხანა აიღო. სატვირთო მანქანის კარი ჩაკეტა და სახლში შებრუნდა. სიგარეტი ქალს დაუტოვა და თავად ისევ საძინებელს მიაშურა.

პისტოლეტი საიდან? იკითხა ქალმა.

საიდანაც საჭიროა.

იყიდე?

არა. ვიპოვე.

ქალი დივანზე გასწორდა.

ლუელინ?

კაცი მისკენ შებრუნდა.

რა მოხდა? თქვა მან. წუწუნს მორჩი.

რამდენი გადაიხადე?

შენი საქმე არ არის.

რამდენი-მეთქი.

უკვე გითხარი. ვიპოვე.

როგორ არა.

კაცი დივანზე ჩამოჯდა. ფეხები დაბალ მაგიდაზე შემოაწყო და ლუდი მოწრუპა. ჩემი არ არის, თქვა მან. პისტოლეტი არ მიყიდია.

ჯობია ეს არ გააკეთო.

ქალმა სიგარეტის კოლოფი გახსნა და ერთ ცალს სანთებელათი მოუკიდა. მთელ დღეს რას აკეთებდი?

სიგარეტს ვყიდულობდი.

სულ არ მინდა ვიცოდე. და საერთოდაც არ მაინტერესებს რას აკეთებ.

კაცმა ლუდი მოსვა და თავი დაუქნია. კარგია, თქვა მან.

ჩემი აზრით უკეთესია არასოდეს არაფერი იცოდე.

თუ პირს არ მოკუმავ ახლა დაგიჭერ და უკანალზე მოგდებ.

ენაჭარტალავ.

იცოდე, გაგაფრთხილე.

მე გაგაფრთხილე, თქვა ქალმა.

დამაცადე ლუდს დავლევ და მერე ვნახოთ ვინ რა თქვა და ვინ ვინ გააფრთხილა.

როდესაც გაიღვიძა საათი ღამის პირველ საათსა და ექვს წუთს აჩვენებდა. იწვა და ჭერს აჰყურებდა. ხოლო ლამპიონის შუქი საძინებელს ცივი და მოლურჯო სინათლით ავსებდა. ზამთრის მთვარესავით. ან მთვარის სინათლის მსგავსივით. იყო ამ სინათლეში რაღაც ვარსკვლავური და უცხო, თითქოს მისი წყა-

ლობით მეტი სიმყუდროვეც იგრძნობოდა. სიბნელეში ძილს სჯობდა.

საბნიდან ფეხები გადმოყო და დაჯდა. თავის შიშველ ფეხებს დახედა. შემდეგ ბალიშზე ქალის გაშლილ თმას. შიშველ მხარზე საბანი გადაახურა, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

მაცივრიდან წყლის ქილა გამოიღო და თავი მოახრახნა. გამოღებული მაცივრის სინათლის ზოლში მდგარი წყურვილს იკლავდა. მერე დაცვარული, ცივწყლიანი ქილით ხელში ფანჯარასთან იდგა და განათებულ ავტომაგისტრალს გასცქეროდა. დიდხანს იდგა ასე.

უკან საძინებელში დაბრუნებულმა იატაკზე დაგდებული ტრუსი მოძებნა და ჩაიცვა. მერე სააბაზანოში შევიდა და კარი მიხურა. იქიდან გამოსული მეორე საძინებელში შევიდა. საწოლის ქვეშიდან კეისი გამოიღო და გახსნა.

იატაკზე ჩაჯდა. კეისი ფეხებს შორის მოიქცია. ხელი სიღრმეში ჩაყო და ბანკნოტების შეკვრები ამოიღო. ოცი შეკვრა დათვალა. უკან ჩააწყო და სვეტების გასათანაბრებლად შეანჯღრია. თორმეტი სვეტი. ზეპირად ანგარიში შეეძლო. ორი მილიონ ოთხასი ათასი. ძველი ბანკნოტებით. იჯდა და ფულს უყურებდა. ეს ყველაფერი სერიოზულად უნდა მიიღო, უთხრა თავის თავს. არ უნდა იფიქრო თითქოს უბრალოდ ბედმა გაგიღიმა.

კეისი დახურა. თასმები შეკრა და ისევ საწოლის ქვეშ შეინახა. წამოდგა და ქალაქის ჩრდილოეთით გადაჭიმული გორაკის თავზე ვარსკვლავებს გახედა. სრული სიჩუმე იდგა. ძაღლის ყეფაც კი არ ისმოდა. მაგრამ ფულზე ფიქრის გამო არ გაღვიძებია.

მოკვდი უკვე თუ არა? ჩაილაპარაკა თავისთვის. ჯანდაბამდის გზა გქონია. არაფერიც, არ მომკვდარხარ.

როდესაც იცვამდა ქალს გაეღვიძა და მისკენ გადაბრუნდა.

ლუელინ?

ჰო.

რას აკეთებ?

ვიცვამ.

სად მიდიხარ?

სადღაც.

საყვარელო, სად მიდიხარ?

რაღაცის გაკეთება დამავიწყდა. უნდა დავბრუნდე.

რის გაკეთებას აპირებ?

უჯრა გამოსწია. 45-კალიბრიანი იარაღი ამოიღო და მჭიდი გამოაგდო. შეამოწმა და მერე ისევ უკან ჩადო. ხოლო იარაღი ზურგს უკან ქამარში გაირჭო. ქალისკენ შებრუნდა და მიაცქერდა.

რაღაც სრულიად იდიოტური უნდა გავაკეთო მაგრამ მაინც უნდა წავიდე. თუ უკან აღარ დავბრუნდი დედას გადაეცი რომ მიყვარს.

დედაშენი მკვდარია, ლუელინ.

კარგი მაშინ თავად ვეტყვი ამას.

ქალი საწოლში წამოჯდა.

ლუელინ, ძალიან მაშინებ. რაიმე უსიამოვნებას გადაეყარე?

არა. დაიძინე.

დავიძინო?

მალე დავბრუნდები.

ჯანდაბამდის გზა გქონია, ლუელინ.

კართან მისული კაცი შედგა და შეხედა.

თუ უკან ვერ დავბრუნდი? ეს უნდა იყოს შენი უკანასკნელი სიტყვები?

ქალი უკან გაჰყვა სამზარეულომდე. გზადაგზა ხალათს იცვამდა. კაცმა ნიჟარის ქვემოთ მდგარი ცარიელი ბოცა აიღო და წყალს შეუშვირა ასავსებად.

რომელი საათია თუ იცი? შეეკითხა ქალი.

ჰო. ვიცი რომელი საათია.

საყვარელო, არ მინდა წახვიდე. სად მიდიხარ? არ მინდა ნუ წახვალ.

მისმინე საყვარელო არც მე მინდა წასვლა მაგრამ უნდა წავიდე. დავბრუნდები. ნუ დამელოდები.

განათებულ ბენზინგასამართ სადგურზე შეიარა და ძრავა გამორთო. სალონის უჯრიდან ამოიღებული რუკა გვერდითა სავარძელზე გაშალა და დიდხანს აკვირდებოდა. ბოლოს ის ადგილი აღნიშნა სადაც მანქანები ნახა და ჰარკლის საძოვრამდე მისასვლელი გზა მონიშნა. მის მანქანას გაუვალ ადგილებში სასიარულო ბორბლები ჰქონდა და კიდევ ორი სათადარიგო ბორბალი საბარგულში ედო. თუმცა მაინც მძიმე გზა ელოდა. იჯდა და ხაზს დასცქეროდა. მერე დაიხარა და მეორე ხაზი გაავლო. იჯდა და რუკას დასცქეროდა. როდესაც ძრავა აამუშავა და მაგისტრალზე გავიდა, ღამის სამის თხუთმეტი წუთი იყო. ცარიელი გზა. რადიოს დაჭერაც კი შეუძლებელი იყო ვიდრე სადგურებს შორის არსებულ ყრუ ზონას არ გადალახავდა.

ჭიშკართან შეჩერდა და გასაღებად გადავიდა. ჭიშკარში გასვლის შემდეგ მანქანა ისევ შეაჩერა. ჩავიდა და დახურა. იდგა და სიჩუმეს უსმენდა. მერე მანქანაში ჩაჯდა და გეზი სამხრეთისკენ აიღო.

სატვირთო მანქანა სრული სვლით არ აუმოქმედებია მეორე სიჩქარე ჩართო. ამოსული მთვარე გაწოლილ გორაკებს თეატრში დეკორაციის გასანათებლად გამოყენებული პროჟექტორივით ანათებდა. იქ შეუხვია სადაც იმ დილით ჰარკლის კუთვნილი ნაკვეთის ძველ გრუნტიან მიწაზე საბარგო მანქანა დატოვა. როდესაც ამოსულმა ავადმყოფურად ფერმკრთალმა სავსე მთვარემ გორაკები და მიმდებარე ტერიტორია გაანათა მანქანის ფარები გამორთო.

ნახევარი საათის შემდეგ დაამუხრუჭა. ფეხით გაიარა ქედი და აღმოსავლეთიდან სამხრეთამდე მიდამოს მოსათვალიერებ-

ლად შეჩერდა. ცაზე მთვარე ეკიდა. ლურჯი სამყარო. ქვემოთ ვაკეზე ცაზე გადავლილი ღრუბლების ჩრდილები მოჩანდა. ჩრდილები ფერდობებზე არბოდა. კლდის გამონაშვერზე ჩამოჯდა და ფეხები წინ გადაიჯვარედინა. კოიოტებიც კი არსად ჩანდნენ. სულიერი არ ჭაჭანებდა. და ეს ყველაფერი მექსიკელი ნარკოდილერის გამო. ჰო. კარგი. ყველას თავისი პრობლემა აქვს.

მანქანაში დაბრუნებული კვალიდან გადავიდა და მთვარის შუქზე გზას გაუდგა. ხეობის დასაწყისში ამოზრდილი ვულკანური მიწის ზოლი გადაჭრა და ისევ სამხრეთისკენ გაეშურა. ეს ადგილი კარგად ახსოვდა. დილით ბინოკლით დათვალიერებულ ვაკეზე მიდიოდა. ისევ შეჩერდა და სიჩუმეს მიაყურადა. კაბინაში დაბრუნებულმა კაბინის სახურავში ჩამაგრებული ნათურა მოახრახნა და საფერფლეში ჩადო. ფარანმომარჯვებულმა ისევ რუკა გაშალა და მის შესწავლას შეუდგა. შემდეგი შეჩერებისას ძრავა გამორთო და მანქანის მინა ჩამოუშვა. დიდხანს იჯდა და აყურადებდა.

მანქანა კალდერის ზემო ნაწილიდან ნახევარი მილის დაშორებით შეაჩერა. კაბინის იატაკიდან წყლიანი ბოცა აიღო და ფარანი ჯინსის უკანა ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ სავარძელზე დადებულ 45-კალიბრიან იარაღს დასტაცა ხელი. კარი რაზაზე ცერის დაჭერით წყნარად დახურა და მანქანებისკენ გაეშურა.

ბორბლებდაშვებული მანქანები სადაც დატოვა იქვე იდგა. ჩახმახშეყენებული იარაღით მიუახლოვდა. სრული სიჩუმე იდგა. ალბათ მთვარის გამო საკუთარი ჩრდილი იმაზე მეტი დაჟინებით მისდევდა ვიდრე ისურვებდა. საზიზღარი გრძნობა დაეუფლა. უცხო პირი. მიცვალებულთა შორის. ვერ შემაშინებთ, თქვა თავისთვის. თქვენნაირი არ ვარ. ჯერ კიდევ არა.

ბრონკოს კარი გამოღებული იყო. ეს რომ დაინახა ცალ მუხლზე დაეშვა. წყლიანი ბოცა მიწაზე დადგა. იდიოტი ხარ, უთხრა

თავის თავს. ჰო, სწორედ ასეა. მეტისმეტად იდიოტი იმისთვის რომ ცოცხალი დარჩე.

ნელა შებრუნდა და ჰორიზონტს გახედა. მხოლოდ საკუთარი გულისცემის ხმა ესმოდა. მანქანისკენ გაჩოჩდა და გამოღებულ კარს მიუახლოვდა. კაცი გვერდზე გადაქანებულიყო და თავი სამართავ პანელზე ჩამოედო. უსაფრთხოების ღვედი ისევ ეკეთა. ყველაფერი ახალი სისხლით იყო მოსვრილი. მოსმა ჯიბიდან ამოღებული ფარნის სინათლე ხელით დაფარა და მისკენ მიატრიალა. თავში გასროლით იყო მოკლული. არც lobos. არც leones. ფარნის სხივი საბარგო განყოფილებას მიუშვირა. ტვირთი გაქრა. ნელა გაემართა სხვა მიცვალებულების სანახავად. მოკლელულიანი იარაღი გამქრალიყო. მთვარემ თავისი გზის მეოთხედზე მეტი გაიარა. დღესავით ნათელი იდგა. თავი ქილაში გამომწყვდეულ მწერად იგრძნო.

კალდერის ფერდობი სანახევროდ ავლილი ჰქონდა როდესაც რაღაცამ შეაჩერა. მიწაზე გაწვა. მუხლზე ჩახმახშეყენებული რევოლვერი ედო. გორაკის თავზე მთვარის შუქი მის სატვირთო მანქანას ანათებდა. საიდანაც კარგად ჩანდა იმ მხრიდან უყურებდა. ზემოთ მანქანასთან ვიღაცეები იდგნენ. შემდეგ სადღაც გაქრნენ. ენით აუწერელი სულელი ხარ, გაიფიქრა. ახლა ვეღარაფერი გიშველის. მოკვდები.

45-კალიბრიანი იარაღი ზურგს უკან ქამარში ჩაიდო და მოკლე ნაბიჯებით აირბინა ფერდობი. ამუშავებული ძრავას ხმა გაიგონა. ქედის თავი ფორდის ფარებმა გაანათა. გაიქცა.

ქვებამდე რომ მიირბინა ფორდს კალდერამდე დარჩენილი მანძილის ნახევარი უკვე გავლილი ჰქონდა და მისი ფარების სინათლე უსწორმასწორო მიწას ანათებდა. მიიხედ-მოიხედა დასამალი ადგილის საპოვნელად. დამალვის დროც აღარ იყო. მიწაზე გაწვა. უხეშ ბალახს მუცლითა და სახით აეკრა და გაირინდა.

ან დაინახეს ან არა. იცდიდა. მანქანამ ჩაიარა. მისი ჩავლის შემდეგ წამოდგა და ფერდობზე აცოცება დაიწყო.

გზის ნახევარი რომ გაიარა სულის მოსათქმელად და მისაყურადებლად შეჩერდა. მანქანის სინათლეები სადღაც ქვემოთ მოჩანდა. მანქანას ვერ ხედავდა. ზემოთ ასვლა განაგრძო. მალე უკვე მანქანების მუქ სილუეტებსაც არჩევდა. მერე მანქანა შებრუნდა და ანთებული ფარებით კალდერის ფერდობს ამოუყვა.

ქვებზე გართხმული იწვა. მანქანის პროჟექტორი ლავით წარმოქმნილ ფერდობს ჩხრეკდა. შეჩერდნენ. ჩართული ძრავას ხმა ესმოდა. სარქვლის საბიძგებელი ნელა მუშაობდა. პროჟექტორი ისევ ქვებს ანათებდა. კარგი, გაიფიქრა. მოგკლავენ და დაისვენებ. ასე ემჯობინება ყველასთვის.

ძრავამ დაიღრიალა და მერე უეცრად დადუმდა. ღრმა და უხეში ხმა სადღაც მიწყდა. ძრავასი და ღმერთმა იცის კიდევ რისა. გარკვეული ხნის შემდეგ სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ქედის წვერზე ასული ჩაცუცქდა და ზურგს უკან ქამარში დამაგრებული 45-კალიბრიანი იარაღი ამოიღო. ჩახმახი ფეხზე შეაყენა და ისევ ქამარში გაირჭო. შემდეგ მიდამო ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისკენ დაათვალიერა. მათი მანქანის კვალი არსად ჩანდა.

როგორ აპირებ შენი ძველი პიკაპით დაუსხლტე? გაიფიქრა. მერე მიხვდა რომ პიკაპზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ჰოდა კარგი, ჩაილაპარაკა თავისთვის. კიდევ ბევრი რამის დავიწყება მოგიწევს.

კალდერის თავზე ისევ გამოჩნდა პროჟექტორის სინათლე. ახლა ქედის ნაპირს მიუყვებოდა. მოსი მუცელზე დაწვა და თვალს ადევნებდა. ფარები აინთო. მერე ისევ ჩაქრა.

როდესაც იცი რომ სადღაც ახლომახლო ის იმყოფება, ვინც შენი კუთვნილი ორი მილიონი დოლარი მოიპარა, ძებნას როდის შეწყვეტ?

მართალია. არასოდეს.

იწვა და ყურს უგდებდა. მანქანის ხმა არ ესმოდა. მცირე ხნის შემდეგ წამოდგა და ქედის შორეული კიდისკენ გაემართა. ქვემოთ გადაიხედა. წინ გადაშლილ ფართო გასასვლელს მთლიანად ანათებდა მთვარის შუქი. შეუძლებელია შეუმჩნევლად იქ გავლა და სხვა გზა კი აღარ არის.

აბა ბებერო, ახლა რაღას იზამ? დილის ოთხი საათია. იმას მაინც თუ ხვდები სად ჩაგითრია შენმა ძვირფასმა მეგობარმა?

აი, რას გეტყვი. რატომ არ გინდა პიკაპში ჩაჯდე და იმ ძაღლიშვილს დასალევად წყალი მიუტანო?

მთვარე პატარა იყო და ცაში მაღლა ეკიდა. გასასვლელისთვის თვალმოუცილებლად ფერდობზე აფოფხება დაიწყო. ეს გინდოდა? გაიფიქრა.

ძალიანაც მინდოდა.

ჰოდა ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ისევ მანქანის ხმა მოესმა. მანქანა ჩამქრალი ფარებით ვულკანურ შვერილთან გამოჩნდა და მთვარის შუქით განათებულ ფერდობზე დაეშვა. მოსი კლდეს აეკრა. ყველა უსიამოვნებასთან ერთად აქაური შხამიანი გველები და მორიელები გაახსენდა. პროჟექტორი მთელ ფერდობს ჩხრეკდა — აქეთა და იქითა მხარეს. მეთოდურად. მოთმინებით. ერთი და იგივე მარშრუტი, მუქი სილუეტი. არ განძრეულა.

ყველგანმავალმა მანქანამ მოპირდაპირე ფერდობს მიაშურა და მერე უკან დაბრუნდა. მეორე სიჩქარე იყო ჩართული. მანქანა გაჩერდა. ძრავა მუშაობას აგრძელებდა. მოსი ცოტათი წინ გადაიწია უკეთ რომ დაენახა. გახეთქილი შუბლიდან სისხლი ცალ თვალში ჩასდიოდა. ვერც კი შეატყო შუბლი როდის მიარტყა კლდეს. სისხლი ხელისგულით მოიწმინდა და ხელი ჯინსზე გაისვა. ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე მიიდო.

სამხრეთით მდინარემდე შეგიძლია მისვლა.

ჰო. შეიძლება.

იქ ასეთი გაშლილი ადგილი არ არის.

სხვებთან შედარებით ნაკლებად გაშლილია.

შებრუნდა. ცხვირსახოცი ისევ შუბლზე ედო. ცაზე არც ერთი ღრუბელი არ ჩანდა.

გამთენიისას უკვე სხვა ადგილზე უნდა იყო.

შინ საწოლში წოლა უკეთესი იქნებოდა.

ცისფრად განათებულ მდუმარე ვაკეს აკვირდებოდა. უზარმაზარ სუნთქვაშეკრულ ამფითეატრს ჰგავდა. რაღაცის მოლოდინში განაბული. ეს გრძნობა ადრე გამოსცადა. სხვა ქვეყანაში. ვერასოდეს წარმოიდგენდა იმავეს განცდა კიდევ თუ მოუწევდა. დიდხანს ელოდა. მანქანა აღარ დაბრუნებულა. ქედის გასწვრივ სამხრეთისკენ აიღო გეზი. შედგა და ყური მიუგდო. კოიოტის კივილიც კი არ ისმოდა.

ვიდრე იმ დაბლობამდე ჩააღწევდა სადაც მდინარე მიედინება ცა აღმოსავლეთით გაფერმკრთალდა. იმაზე მეტი სიბნელე რაც იმ ღამით ნახა აღარასოდეს იქნება. დაბლობი მდინარის ნაპირამდე იყო გადაჭიმული. უკანასკნელად შედგა და ყური მიუგდო. მერე სირბილით გაიქცა მდინარისკენ.

დიდი მანძილი უნდა გაევლო და მდინარემდე ჯერ კიდევ ორასიოდე იარდი ჰქონდა დარჩენილი როდესაც მანქანის ხმა მოესმა. გორაკებს შორის ნაცრისფერი განთიადი დგებოდა. უკან მიიხედა და განათებულ ჰორიზონტზე მტვრის ღრუბელი დაინახა. მისგან დაახლოებით ერთი მილით იყო დაშორებული. სიჩუმეში მანქანის ხმა ტბაზე მოტორიანი ნავის ტკაცუნზე ავისმომასწავებლად არ ჟღერდა. შემდეგ გადაცემა ჩართეს. ქამრიდან 45-კალიბრიანი იარაღო ამოიღო სირბილისას რომ არ დაეკარგა და მდინარისკენ გაიქცა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

უკან როდესაც მიიხედა მანქანას მანძილი გვარიანად შეემოკლებინა. ნაპირამდე ასიოდე იარდი იყო დარჩენილი და

კიდევ ვინ იცის რას იხილავდა ნაპირთან მისული. შესაძლოა კლდიანი ხეობა იყოს. აღმოსავლეთით მთებს შორის პირველი გრძელი სხივები აკიაფდა და მის წინ მიწა გაანათა. მანქანა მთლიანად სინათლეში იყო გახვეული: ფარების ერთი რიგი ჩაერთოთ კაბინის თავზე, მეორე რიგი — ბამპერზე. ძრავა მთელი ხმით ღმუოდა როდესაც ბორბლები მიწას სცილდებოდა.

არ გესვრიან, ჩაილაპარაკა თავისთვის. ამის ფუფუნების უფლება არ აქვთ.

სროლის ხმა გაისმა და მისი ექო მთელ ვაკეს მოედო. მის თავზე გადავლილი წუილით მიხვდა როგორ ასცდა ტყვია და სადღაც მდინარისკენ გაფრინდა. როდესაც მიიხედა ფეხზე მდგომი კაცი დაინახა ცალი ხელით კაბინის სახურავს რომ ეჭიდებოდა და მეორეში კი თოფი ეჭირა ლულით მაღლა.

მდინარეს მიაღწია. კანიონიდან ჩამოტანილი ნაშალი ფართო ზოლს ქმნიდა. მდინარე შემდეგ გაუვალ ლერწმიანში აგრძელებდა გზას. ქვემოთ ისევ კლდიან ნაპირს ეხეთქებოდა და მერე სამხრეთისკენ მიდიოდა. კანიონში სრული სიბნელე იდგა. შავი წყალი. წაგრძელებული ქვიშიანი ქედისკენ დაეშვა. გადაკოტრიალდა. წამოხტა და წყლისკენ გაიქცა. ოციოდე ფუტიც არ ჰქონდა დაფარული და მიხვდა ვერ მოასწრებდა. ხეობის თავს ახედა და მერე ქვემოთ გადახტა. იარაღი ორივე ხელით ეჭირა.

დიდხანს მიგორავდა. იარაღი მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი და გორვისგან ავარდნილი მტვრისა და ქვიშის გამო ვერაფერს ხედავდა. მერე გორვა შეწყდა და უბრალოდ ქვემოთ ეშვებოდა. ბოლოს თვალები გაახილა. მის თავზე ნელ-ნელა იღვიძებდა ცინცხალი დილის სამყარო.

ხრეშიან ნაპირზე მტკივნეულად დაეცა და დაიკვნესა. მერე უხეში ბალახით დაფარულ ფერდობზე ჩაგორდა და შეჩერდა. მუცელზე იწვა და პირდაღებული ცდილობდა ჰაერი ჩაესუნთქა.

იარაღი გაქრა. გადათელილ ბალახზე უკან წავიდა და იპოვა. მერე გადატრიალდა და ხეობის თავს შეხედა. მტვრის მოსაცილებლად იმავდროულად წინამხარი დაიბერტყა. პირი ქვიშით ჰქონდა ამოვსებული. თვალებიც. ცის ფონზე ორი ადამიანის ფიგურა ამოიზარდა. იარაღი დაუმიზნა და ესროლა. ისინიც გაქრნენ.

მდინარემდე რომ ვერ მიაღწევდა კარგად ესმოდა. ამიტომ წამოდგა და უბრალოდ წყლისკენ გაიქცა ხრეშიანი და სილიანი ნაპირის გავლით. იქამდე გარბოდა ვიდრე მთავარ ჩქერობს არ მიღწია. გასაღები და საფულე გულის ჯიბეში ჩაიდო და ჯიბე შეიკრა. მდინარიდან მქროლავ ცივ ქარს რკინის სუნი ასდიოდა. ამ სუნს ნათლად გრძნობდა. ფარანი გადააგდო და ჩახმახშეყენებული იარაღი მჭიდროდ ჩააცურა ჯინსის უბეში. გახდილი ჩექმა ქამარში დაიმაგრა ქუსლებით ზემოთ და რაც შეიძლება მაგრად მოუჭირა ქამარს. მერე მდინარეში ჩავიდა.

ყინულივით ცივმა დინებამ სუნთქვა შეუკრა. შებრუნდა და მოვერცხლისფრო-ცისფერი წყლის ტალღების მიღმა ხეობას გახედა. არავინ ჩანდა. ცურვა განაგრძო.

დინებამ ქვემოთ წაიღო და კლდეს უხეშად მიანარცხა. კლდისგან დაშორებას ცდილობდა. მის თავზე მუქი თასის ფორმის ბექობი დაკიდებულიყო. ბექობის ჩრდილქვეშ შავი წყალი მიედინებოდა. როდესაც მოახერხა მოსახვევს გასცდენოდა და უკან მიიხედა თასისებრი ბექობის თავზე მანქანა დაინახა. მაგრამ ხალხი არ ჩანდა. შეამოწმა ჩექმა და იარაღი ადგილზე იყო თუ არა და მოპირდაპირე ნაპირისკენ გაცურა.

ამასობაში მდინარემ დაახლოებით ერთი მილით წაიღო ნაპირიდან და როდესაც წყლიდან ამოვიდა სიცივისგან აკანკალებდა. წინდები მდინარეში დაკარგა და ამიტომ ჭალამდე ფეხშიშველი გაიქცა. ტერასებიანი ქედის ღრმულებში წარსულში სიმინდს ფქვავდნენ ხოლმე. როდესაც უკან მიიხედა მანქანა აღარ

ჩანდა. ცის ფონზე ორი ჩქარი ნაბიჯით მოსიარულე ადამიანის სილუეტი გამოჩნდა. თითქმის უკვე ჭალაში იყო როდესაც მის ყურამდე სროლის მჭახე ხმამ მიაღწია და ამ ხმამ ექოდ გადაუარა მთელ მდინარეს.

საფანტი მხარში მოხვდა. კრაზანის ნაკბენს ჰგავდა. ჭრილობაზე ხელი მიიდო და ლერწმებში ჩაიმალა. ტყვიის მსხვილი მარცვალი სანახევროდ სხეულში იყო შესული. მარცხენა ფეხი ეკეცებოდა და სუნთქვა უჭირდა.

ჭალის სიღრმეში შესული მუხლებზე დაეცა და წელში მოხრილი ფართოდ დაღებული პირით ჰაერს ისუნთქავდა. ქამარი მოიხსნა და ჩექმები მიწაზე დაცვივდა. იარაღი გვერდით დაიდო და მხარი მოისინჯა. საფანტი გამოვარდა. პერანგი გაიხადა და მკლავი ამოატრიალა რომ ჭრილობისთვის თვალი შეევლო. სისხლმდენ ჭრილობას საფანტის ფორმა ჰქონდა და შიგ პერანგის ქსოვილის ბოჭკოები ჩარჩენილიყო. მთელი ბეჭი საზიზღრად ჰქონდა დაჟეჟილი იასამნისფრად. პერანგი გაწურა ჩაიცვა და ღილები შეიკრა. მერე ჩექმა ამოიცვა წამოდგა და ქამარიც გაიკეთა. ქვიშიდან პისტოლეტი აიღო. მოხსნილი მჭიდიდან ვაზნები ამოიღო. ლულას სული შეუბერა. მერე ვაზნები მჭიდში ჩააბრუნა და მჭიდი იარაღს მოარგო. არ იცოდა იარაღი უმტყუნებდა თუ არა. იმედი ჰქონდა რომ არა.

ლერწმებიდან რომ გააღწია ისევ უკან მიიხედა მაგრამ მცენარე ოცდაათ ფუტზე მეტი სიმაღლისა იყო და არაფერი ჩანდა. მდინარის ქვემო დინებაზე მიწის ვიწრო ზოლზე ვერხვები მოჩანდა. იქამდე შიშველ ფეხებზე წამოცმული სველი ჩექმებით მივიდა და ტერფები უკვე გადაყვლეფილი ჰქონდა. მკლავი გაუსივდა და ყრუ ტკივილი მოსვენებას არ აძლევდა თუმცა სისხლდენა შეწყდა. მზის გულზე გასულმა და ქვიან მეჩეჩზე მოკალათებულმა ჩექმები გაიხადა. დასისხლიანებულ ქუსლებზე

დაიხედა. როგორც კი დაჯდა ფეხების ტკივილმა უფრო მეტად შეაწუხა.

ქამარზე დამაგრებული ტყავის მომცრო ბუდიდან დანა ამოიღო და მერე ფეხზე წამომდგარმა პერანგს სახელოები შეაჭრა. ამ ნაჭრებით ფეხები შეიხვია და ჩექმები ისე ჩაიცვა. დანა ისევ ბუდეში შეინახა და ჩაკეტა. მერე ხელში იარაღჩაბღუჯული სმენად გადაქცეული ფეხზე იდგა. სადღაც შავი შაშვი გალობდა. სხვა ხმა არ ისმოდა.

ის იყო წასვლა დააპირა რომ მდინარის მოპირდაპირე ნაპირიდან ძრავას სუსტი ხმა მოესმა. დააკვირდა მაგრამ ვერაფერი დაინახა. გაიფიქრა იმ ორმა ალბათ მდინარე გადაჭრა და ახლა სადღაც უკან არიანო.

ხეებისკენ წავიდა. წყალდიდობების შედეგად წარმოქმნილ შლამში ამოზრდილი ხეების ფესვები ლოდებს შორის მოჩანდა. ქვებზე კვალი რომ არ დაეტოვებინა ჩექმები ისევ გაიხადა და მდინარის სამხრეთით მდებარე გრძელ და ვიწრო კლდოვანი Rincon-ის ფერდობზე ასვლა დაიწყო. თან ცალი თვალით დაბლა იყურებოდა. მზე კანიონის თავზე იდგა და ქვები რამდენიმე წუთში გააშრო. ზემო კიდესთან სულ ახლოს შეჩერდა და მერე ჩექმებით ხელში მიწას გაეკრა. ზემო კიდემდე ათი წუთის სავალი თუ იქნებოდა მაგრამ შეეძლო თუ არა ამ ათი წუთის სურვილისამებრ გამოყენება ამაში დარწმუნებული სრულებით არ გახლდათ.

მდინარის ერთი ნაპირიდან სუსტი სტვენით რომელიღაც მტაცებელი ფრინველი აფრინდა. იწვა და იცდიდა. მცირე ხნის შემდეგ ლერწმის ჭალიდან კაცი გამოვიდა რომელიც შეჩერდა და მიმოიხედა. ავტომატით იყო შეიარაღებული. მერე მის უკან მეორეც გამოჩნდა. ერთმანეთს გადახედეს და იმ მხარეს წავიდნენ სადაც მოსი იყო.

მის ქვემოთ ჩაიარეს და მოსი კი ზემოდან დასცქეროდა. მაგრამ მისი მთავარი სადარდებელი ეს ორი კაცი არ იყო. თავის სატვირთოზე ფიქრობდა. როდესაც ქალაქში ორშაბათს დილით სასამართლო გაიხსნებოდა მავანი შერიფის ოფისში დარეკავდა და მანქანის ნომრის მიხედვით მის გვარ-სახელსა და მისამართს შეიტყობდა. მას მხოლოდ ორმოცდარვა საათი ჰქონდა. იმ დროისთვის მათ უკვე ეცოდინებოდათ მისი ვინაობა და ძებნას აღარ შეწყვეტდნენ. აღარასოდეს. აღარ შეჩერდებოდნენ.

კალიფორნიაში ძმა ჰყავდა მაგრამ რა უნდა ეთქვა — არტურ ძველი ბიჭები დაგადგებიან, ყვერებზე მოგიჭერენ და ხელებს ამოგიტრიალებენ ჩემი ასავალ-დასავალის გასაგებად და ჯობდა ჩინეთში წასვლაზე გეფიქრაო?

ფეხები ისევ ნაჭრით შეიხვია და ფერდობის უკანასკნელი მონაკვეთიც აიარა. მის წინ სამხრეთიდან აღმოსავლეთამდე გადაჭიმული სრულიად სწორი ვაკე მოჩანდა. წითელი ტალახი და კრეოზოტი შორს და შედარებით ახლოს მთები. არც ერთი სულიერი. სიცხისგან აცახცახებული ჰორიზონტი. პისტოლეტი ქამარში გაირჭო და მას შემდეგ რაც მდინარეს უკანასკნელად შეხედა აღმოსავლეთისკენ წავიდა. ტეხასის შტატის ქალაქი ლენგტრი ოცდაათიოდე მილში იყო. იქნებ უფრო ახლოსაც. ათი საათია. თორმეტი. ფეხები ისევ სტკიოდა. სტკიოდა გულმკერდი. და მკლავი. მდინარე უკან დარჩა. წყალიც კი არ დაულევია.

II

არ ვიცი საპატრულო პოლიციაში მუშაობა ადრინდელთან შედარებით უფრო სახიფათოა თუ არა. მახსოვს მუშაობა რომ დავიწყე და პირველ გამოძახებებზე დავდიოდი ძირითადად მოჩხუბრებს ვაშველებდით და ისინი კიდევ ჩვენზე იწევდნენ. სხვა სერიოზული საქმე არ ყოფილა. მაგრამ მაინც ჯობდა სიტუაცია გეკონტროლებინა. ახლა ასეთ რამეს ვეღარ მოესწრები თუმცა ბევრად უარესს ნახავ. ერთმა კაცმა იარაღი დამიმიზნა. მისი ჩაბღუჯვა მოვასწარი როცა სასხლეტისთვის თითი უკვე გამოკრული ჰქონდა და ტყვიამ ცერში გამიარა. აი კვალი ახლაც ეტყობა. მაგრამ იმ ტიპს ჩემი მოკვლა აზრადაც არ ჰქონია. რამდენიმე წლის წინ არც ისე შორეულ წარსულში ღამით ერთ-ერთ ორზოლიან მიყრუებულ გზაზე მივდიოდი და პიკაპს წამოვეწიე რომლის ფურგონში ორი ძმაკაცი იჯდა. კეთილგანწყობილად ჩართეს ფარები და შემეძლო მათ უკან მშვიდად მევლო მაგრამ მანქანას კოაჰუილას ნომრები ჰქონდა და ვიფიქრე მანქანისა და მგზავრების შემოწმება კარგი იქნებოდა-მეთქი. ციმციმა ჩავრთე და მაშინვე დავინახე როგორ ჩაიწია კაბინის უკანა შუშა და ვიღაცამ ფურგონში მსხდომთ თოფი გადააწოდა. სიმართლეს გეტყვით რომ მაშინვე ორივე ტერფით დავაწექი მუხრუჭებს. გზიდან გვერდზე გადასული სადღაც ბუჩქებში გავიჭედე და ფარები ჩაქრა ხოლო უკანასკნელი რაც დავინახე ფურგონში მჯდომმა მხარზე თოფი მიიდო. სავარძელზე გავწექი და საქარე მინა თავზე ჩამომეფშვნა. ცალი ფეხი ისევ მუხრუჭზე მიდევს მაგრამ ვატყობ მანქანა სადღაც მიგორავს. მგონია რომ სადაცაა ამოტრიალდება თუმცა არ გადაბრუნებულა. მარტო ტალახით აივსო. იმ ბიჭმა კიდევ რამდენჯერმე ისროლა და ჩემს მხარეს მინები ჩამოიღო. როცა როგორც იქნა მანქანა გაჩერდა და მე კი სავარ-

ძელზე გაწოლილმა ჩემი პისტოლეტი ამოვიღე, მესმოდა პიკაპი როგორ დაიძრა და ფეხზე წამომდგარმა უკანა ფარებს დავუმიზნე და ვესროლე. მაგრამ უკვე ძალიან შორს იყვნენ.

საქმე ისაა რომ არასოდეს იცი ვის გადაეყრები ვიღაცას როცა აჩერებ. გზატკეცილზე ამჩნევ და აჩერებ. მანქანიდან გადადიხარ და დამრღვევისკენ მიმავალმა არც კი იცი რა გელოდება. მანქანაში დიდხანს ვიჯექი. ძრავა ჩაქრა და ფარები კი ისევ ანათებდა. კაბინა მინის ნამსხვრევებითა და ტალახით იყო სავსე. გადმოვედი და ტანსაცმელი გულდასმით გავიბერტყე. მერე ისევ მანქანაში ჩავჯექი. დიდხანს ვიჯექი და აზრზე მოვდიოდი. ინსტრუმენტების პანელზე საქარე მინის საწმედები გადმოკიდულიყო. ფარები გამოვრთე და ისევ ვიჯექი. ახლა ისეთებსაც შეხვდები პატრულის პოლიციას ისე უბრალოდ რომ უხსნის ცეცხლს. სერიოზული ხალხია. ის პიკაპი მერე აღარსად შემხვედრია. არც ვინმე ჩვენიანს. ან შესაძლოა ახლა სხვა ნომერი აქვთ. იქნებ უკან გაყოლა ღირდა. რომ მეცადა მაინც. არ ვიცი. უკან სანდერსონში დავბრუნდი და მანქანა კაფესთან გავაჩერე და უნდა გითხრათ მის სანახავად ხალხი ყოველი მხრიდან გამორბოდა. რა გასაკვირია, მთელი ადგილი აღარ დარჩენილიყო. ბონისა და კლაიდის მანქანა გეგონებოდა. მე კი ერთი ნაკაწრიც არ მქონია. დამსხვრეული მინებისგანაც კი არაფერი გამჭრია. მერე საყვედური მითხრეს. ასე იმიტომ მოიქეცი თავი გმირად გინდოდა წარმოგეჩინაო. რა გითხრათ, შეიძლება ასეც იყო. მაგრამ გულახდილად გეუბნებით, იმ წუთში ყველაზე მეტად ერთი ჭიქა ყავა მჭირდებოდა.

გაზეთებს ყოველ დილით ვკითხულობ. ძირითადად იმიტომ რომ გავიგო ეს ყველაფერი სადამდე მიგვიყვანს. ვერ დავიბრალებ რომ თავად ყველაფერი გავაკეთე ამის თავიდან ასაცილებლად. მდგომარეობა ყოველდღე უარესდება. აი მაგალითად ამასწინათ ორი ტიპი, ერთი კალიფორნიელი და ერთი ფლორი-

დელი სადღაც ამ ქალაქებს შორის ერთმანეთს შეხვდა და მთელ ქვეყანაში მოგზაურობდნენ და ხალხს ხოცავდნენ. აღარ მახსოვს რამდენი მოკლეს. და ამგვარი შემთხვევა რამდენია! იმ ორს ხომ ერთმანეთი მანამდე თვალით არ ენახა. არა მგონია ასეთები ბევრნი იყვნენ. თუმცა, ვინ იცის. კიდევ ერთ დღესაც ვიღაც ქალმა თავისი ჩვილი ნაგვის დამწნეხში ჩააგდო. ასეთი რამის წარმოდგენა შეგიძლიათ? ჩემი ცოლი დიდი ხანია გაზეთებს აღარ კითხულობს. ალბათ სწორად იქცევა. არა, ნამდვილად ასეა.

ბელი ეზოდან შევიდა სასამართლოს შენობაში და პირდაპირ თავის კაბინეტს მიაშურა. სავარძელი მოატრიალა და ჩამომჯდარი ტელეფონს მიაჩერდა. მიდი, გაიფიქრა თავისთვის, უკვე მოვედი, დარეკე. ტელეფონის ხმა გაისმა. ხელი გაიშვირა და ყურმილი აიღო. შერიფი ბელი, წარმოთქვა ხმამაღლა.

მოუსმინა. თავი დააქნია.

მისის დაუნი დარწმუნებული ვარ მალე თავად ჩამოცოცდება. სულ მცირე ხანში ისევ დამირეკეთ.

დიახ მემ.

ქუდი მოიხადა და საწერ მაგიდაზე დადო. თვალებდახუჭული იჯდა და ცხვირის ფუძეს ისრესდა. დიახ მემ, გაიმეორა. დიახ მემ.

მისის დაუნი არასოდეს მინახავს ხეებზე კატის ჩონჩხი. თავს თუ დაანებებთ ცოტა ხნის შემდეგ თავად ჩამოვა. ცოტა ხნის შემდეგ დამირეკეთ, შევთანხმდით?

ყურმილი დადო და ტელეფონს მიაჩერდა. ფულია ყველაფერი, თქვა შემდეგ. საკმარისი ფული რომ მქონდეს ხეზე ამძვრალი კატის გამო ხალხს არ დაველაპარაკებოდი.

თუმცა ვინ იცის, იქნებ მაინც ასე ყოფილიყო.

რაცია ახრიალდა. მიღების ღილაკს დააჭირა და ფეხები მაგიდაზე შემოაწყო. ბელი ვარ, თქვა ხმამაღლა.

მოისმინა. ფეხები მაგიდიდან ჩამოიღო და სავარძელში გაიმართა.

გასაღები აიღე და საფულეში ჩაიხედე. კარგი. აქ ყველაფერი რიგზეა.

მაგიდაზე თითებს არაკუნებდა.

გასაგებია. ფარები გამორთე. ორმოცდაათიოდე წუთში ვიქნები. და ტოლბერტ, გესმის? საბარგული დახურე.

მან და უენდელმა მოკირწყლული გზისპირა ნაწილისკენ გადაუხვიეს და დამუხრუჭების შემდეგ მანქანიდან გადავიდნენ. ტოლბერტი თავისი მანქანის გამოღებულ კართან იდგა. შერიფმა მისალმების ნიშნად თავი დაუქნია. გზის პირს გაუყვა და ყველგანმავლების კვალს დააკვირდა.

ალბათ მიაქცევდი ყურადღებას, ასე მგონია, თქვა მან.

დიახსერ.

მოდი შევხედოთ რა არის.

ტოლბერტმა მანქანას საბარგული ახადა და ორივენი გვამს დააცქერდნენ. წინიდან მამაკაცის პერანგი მთლიანად უკვე გამშრალი სისხლით იყო მოსვრილი. სახეც სისხლით ჰქონდა დაფარული. ბელი საბარგულისკენ დაიხარა და აკვირდებოდა. მერე კაცის პერანგის ჯიბიდან რაღაც ამოიღო და გაშალა. ჯანკშენტეხასის ბენზინგასამართი სადგურის სისხლით მოსვრილი ქვითარი აღმოჩნდა.

ბილი უირიკისთვის მოგზაურობა აქ დასრულდა.

არც კი მინახავს საფულე თან თუ ჰქონდა.

არა უშავს. საფულე არც ჰქონია. უბრალოდ გაგვიმართლა.

შერიფი კაცის შუბლზე ნახვრეტს დააკვირდა. 45-კალიბრიანს ჰგავს. დაუკბილავი ნატყვიარია. გეგონება ქაღალდის სახვრეტი გამოიყენეს.

ქაღალდის სახვრეტი რა შუაშია?

იდეალურად მრგვალი ნატყვიარია. გასაღები აიღე?

დიახსერ.

ბელმა საბარგული დახურა. ირგვლივ მიმოიხედა. მაგისტრალზე მიმავალი მანქანები სვლას ანელებდნენ. ლამარს უკვე ველაპარაკე. ვუთხარი რომ თავის მანქანას უკან სამ დღეში დაიბრუნებს. ოსტინში დავრეკე და დილით გელოდებიან. ჩვენს რომელიმე მანქანაში მის გადატანას არ ვაპირებ და ვერტმფრენი რაღა ჯანდაბად სჭირდება. მანქანას ლამარს უკან სონორაში მიუყვან და როდესაც ყველაფერს მოათავებ ან მე დამირეკე ან უენდელს რომ წამოგიყვანოთ. ფული გაქვს?

დიახსერ.

ჩვეულებრივი მოხსენება დაწერე.

თეთრკანიანი მამაკაცი, ოცდაათ წელს გადაცილებული, საშუალო სიმაღლის.

უირიკი როგორ იწერება.

არ უნდა ჩაწერო. მისი სახელი არ ვიცით.

დიახსერ.

სადღაც ოჯახი უნდა ჰყავდეს.

დიახსერ. შერიფო?

ჰო.

ბოროტმოქმედზე რა ვიცით?

არაფერი. უენდელს გასაღები დაუბრუნე სანამ დაგვიწყებია.

მანქანაში დარჩა.

არასოდეს დატოვო გასაღები მანქანაში.

დდიახსერ.

ორი დღის შემდეგ მოგნახავ.

დიახსერ.

იმედი მაქვს ამის ჩამდენი ნაგავი უკვე კალიფორნიაშია.

დდიახსერ. ვიცი რაც იგულისხმეთ.

მაგრამ რატომღაც ისეთი გრძნობა მაქვს რომ ისევ აქ არის.

დდიახსერ. მეც.

უენდელ, მზად ხარ?

უენდელი შებრუნდა და გადააფურთხა.

დიახ სერ, თქვა მან. მზად ვარ. მერე ტორბერტს შეხედა. თუ ამ ვირიშვილით საბარგულში გაგაჩერეს თქვი რომ არაფერი იცი. უთხარი ვიდრე ყავას ვსვამდი ვიღაცამ შემომაჩეჩა-თქო.

ტორბერტმა თავი დაუქნია. მერე შენ და შერიფი მოხვალთ და სიკვდილმისჯილთა საკნიდან დამიხსნით?

თუ ეგ ვერ მოვახერხეთ იმ საკანში შენთან ერთად აღმოვ-ჩნდებით.

არასოდეს მოიხსენიოთ მიცვალებული ასე აგდებულად, უთ-ხრა ბელმა.

უენდელმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. დიახსერ, თქვა მან, ოდესმე შეიძლება მეც ამ დღეში აღმოვჩნდე.

დრაიდენის მოსახვევისკენ 90-ე გზატკეცილით მიდიოდა რო-დესაც გზაზე მკვდარი ქორი დაინახა. ქარი ბუმბულს ურხევდა. ბელმა მანქანა გზის პირზე გააჩერა და გადავიდა. მერე უკან დაბრუნდა და ჩაცუცქული ათვალიერებდა ფრინველს. ერთი ფრთა აუწია და მერე ხელი გაუშვა. ცივი ყვითელი თვალი გაყი-ნული მზერით მისჩერებოდა ცისფერ ცას.

დიდი წითელბოლოიანი ქორი იყო. ცალი ფრთით ასწია და გზიდან მოშორებით ბალახზე გადაიტანა. ისინი გზებზე ნადი-რობდნენ, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე ისხდნენ და ზემოდან გადმოსცქეროდნენ მიდამოს ორივე მხარეს რამდე-ნიმე მილის რადიუსში. მათ მახვილ მზერას გზაზე გადარბენილი არც ერთი პატარა ცხოველი არ გამოეპარებოდა ხოლმე. მსხვერპლს თავს ესხმოდნენ მზის საპირისპირო მიმართულე-ბით. მათ ჩრდილს ცხოველი ვერ ხედავდა. ნადირობის აზარტი ყურადღებას აკარგვინებდა თორემ ფრინველს სრულებით არ სურდა საბარგო მანქანას მისთვის გადაევლო.

იდგა და უდაბნოს უყურებდა. სიჩუმე იყო. მხოლოდ მავთულებში ზუზუნებდა ქარი. გზის გასწვრივ ამბროზია წამოზრდილიყო. არისტიდა და საკაუისტაც. კიდევ უფრო შორს, ქვიან arroyos-ებში დრაცენების კვალი დაინახა. გვიანი მზის სინათლეზე მოჩანდა მოშიშვლებული კლდოვანი გორაკების ჩრდილები და აღმოსავლეთით მოციმციმე უდაბნოს აბსცისა მთელ ჰორიზონტზე ავად მოქუფრული საწვიმარი ღრუბლებით დაფარული ცის ქვეშ. მარილისა და ფერფლისგან ამ მიწის შემქმნელი ღმერთის სამყოფელი სიჩუმეა. ისევ მანქანაში დაბრუნდა და გზა გააგრძელა.

როდესაც სონორაში შერიფის ოფისს მიადგა პირველი რაც დაინახა ყვითელი ლენტი იყო. იქვე სასამართლოს მოხელეების მცირე ჯგუფი შეკრებილიყო. მანქანიდან გადავიდა და ქუჩა გადაჭრა.

რა მოხდა შერიფო?

არ ვიცი, თქვა ბელმა. ახლა მოვედი.

ლენტი ასწია და კიბეებზე აირბინა. კარზე კაკუნის ხმაზე ლამარმა თავი ასწია.

შემოდი, ედ ტომ, თქვა მან. შემოდი. უბედურება გვეწვია.

სასამართლოს შენობის წინ გაზონზე გავიდნენ. რამდენიმე კაცი მათ უკან გაჰყვა.

თქვენ გააგრძელეთ, თქვა ლამარმა. მე და შერიფს სალაპარაკო გვაქვს.

გატანჯული სახე ჰქონდა. ბელს შეხედა და თავი დახარა. მერე თავი გააქნია და შებრუნდა. პატარა ბიჭი როცა ვიყავი ამ ადგილზე დანობანას ვთამაშობდით. სწორედ აქ. ახლანდელმა ბიჭებმა ალბათ არც იციან ეს რა არის. ედ ტომ, ეს ვიღაც შერყეულია.

გეთანხმები.

რამეს ჩაავლე?

რიგიანს ვერაფერს.

ლამარმა გვერდზე გაიხედა. თვალები პერანგის სახელოთი შეიმშრალა. პირდაპირ გეუბნები. ეგ ნაბიჭვარი ერთ დღესაც კი ვერ დაესწრება სასამართლოს სხდომას. ოღონდ კი ხელში ჩამივარდეს.

მაგრამ ჯერ უნდა დავიჭიროთ.

ეს ბიჭი ცოლიანი იყო.

არ ვიცოდი.

ოცდასამი წლის იყო. სუფთა და წესიერი ბიჭი. ახლა მკვდარია. მე კი მის სახლში უნდა მივიდე და ცოლს მანამდე უნდა ვაცნობო ეს ამბავი ვიდრე იმ ოხერი რადიოდან გაიგებს.

არ მშურს შენი. გულწრფელად გეუბნები.

მე მგონი პენსიაზე უნდა გავიდე, ედ ტომ.

გინდა წამოგყვე?

არა. თუმცა შემოთავაზებას ვაფასებ. ჩემი წასვლის დროა.

კარგი.

ისეთი გრძნობა მაქვს რომ ასეთ რამეს ჯერ არ გადავყრივართ.

მეც იგივე გრძნობა მაქვს. თუ წინააღმდეგი არ იქნები ამ საღამოს დაგირეკავ.

მადლობელი დაგრჩები.

იდგა და ლამარს უყურებდა რომელმაც გაზონი გადაჭრა და უკან ოფისის კიბეებზე ავიდა. იმედი მაქვს არსად წახვალ, ჩაილაპარაკა თავისთვის. შენი გამოცდილება კიდევ გვჭირდება.

როდესაც ავტობუსი კაფეს წინ გაჩერდა დილის ორის ნახევარი იყო. ავტობუსში მხოლოდ სამი მგზავრი იყო.

სანდერსონი, თქვა მძღოლმა.

მოსი წინ წავიდა. ხედავდა მძღოლი როგორ ადევნებდა თვალს სარკიდან. მისმინე, თქვა მან. შეგიძლია დეზერტ--

ეირამდე მიმიყვანო? ფეხი ვიტკინე და იქ ვცხოვრობ მაგრამ იქამდე არავინ წამიყოლებს.

მძღოლმა კარი დახურა. ჰო, თქვა მან. რატომაც არა, შეიძლება.

როდესაც სახლში შევიდა ცოლი დივანიდან წამოხტა და კისერზე ჩამოეკიდა. მეგონა უკვე მკვდარი ხარ, თქვა ქალმა.

ცოცხალი ვარ, ასე რომ დორბლების ყრა საჭირო არ არის.

დორბლებს არ ვყრი.

ვიდრე შხაპს მივიღებ ლორი და კვერცხი მომიმზადე.

შუბლზე შემახედე. რა დაგემართა? შენი მანქანა სად არის?

შხაპის მიღება მჭირდება. და რამე უნდა შევჭამო. შიმშილისგან კუჭი მიხმება.

როდესაც სუფთა შორტში გამოწყობილი სააბაზანოდან გამოვიდა და სამზარეულოს ციცქნა პლასტიკატის მაგიდას მიუჯდა პირველი რაც ქალმა თქვა შემდეგი სიტყვები იყო:

მხარზე რა გჭირს?

აქ რამდენი კვერცხია?

ოთხი.

ტოსტი შეგიძლია გამიკეთო?

ორი ახლავე იქნება მზად. რა ხდება, ლუელინ?

რისი გაგება გსურს?

სიმართლის.

ყავა მოსვა და ერბოკვერცხზე მარილის მოყრას შეუდგა.

მეტყვი?

არა.

ფეხზე რა დაგემართა?

ვიტკინე როცა მომდევდნენ და გავრბოდი.

მზა ტოსტს ქალმა კარაქი წაუსვა და თეფშზე დაუდო თავად კი მოპირდაპირე სკამზე ჩამოჯდა. მიყვარს ღამით ჭამა, თქვა კაცმა. იმ დროს მაგონებს, როცა მარტო ვცხოვრობდი.

რა ხდება ლუელინ?

აი რა ხდება, კარლა ჯინ. შენი ნივთები უნდა ჩაალაგო და გათენებისთანავე აქედან აორთქლდე. რასაც დატოვებ იცოდე რომ სამუდამოდ დაკარგავ. ამიტომ ეცადე შენთვის ღირებული არაფერი დაგრჩეს. ავტობუსი დილის შვიდის თხუთმეტ წუთზე გადის. მინდა ოდესაში ჩახვიდე და იქ ჩემს ზარს დაელოდო.

სკამზე მჯდომი ქალი უკან გადაიწია და მიაჩერდა.

გინდა ოდესაში წავიდე, გაიმეორა მან.

სწორია.

ხუმრობ, არა?

მე? სრულიადაც არა. ჯემი გვაქვს?

ქალმა მაცივრიდან ჯემის ქილა გამოიღო და მაგიდაზე წინ დაუდგა. მერე ისევ ჩამოჯდა. მოსმა ჯემის ქილას თავი მოხსნა და დანით გადაუსვა კარაქიან პურს.

რა არის შენს მოტანილ კეისში?

გუშინ უკვე გითხარი.

შენ თქვი რომ ფულითაა სავსე.

შეგიძლია თავადაც ნახო.

სად არის?

მეორე საძინებელ ოთახში საწოლის ქვეშ.

საწოლის ქვეშ.

დიახ მემ.

შეიძლება ვნახო?

შენ ოცი-ოცდაერთი წლის თავისუფალი ქალი ხარ და შეგიძლია ის გააკეთო რაც მოგესურვება.

ოცდაერთი წლის არ ვარ.

რა მნიშვნელობა აქვს.

და გინდა ავტობუსით ოდესაში ჩავიდე.

ავტობუსს უნდა მიუსწრო და ოდესაში ჩახვიდე.

შენი აზრით დედაჩემს რა უნდა ვუთხრა?

ზღურბლზე დადექი და ახარე: დედიკო, დავბრუნდი.

შენი მანქანა სად არის?

მანქანა დაივიწყე. ამქვეყნად მარადიული არაფერია.

დილის ავტობუსზე როგორღა მოვხვდებით?

მის როზას დაურეკე. მოწყენილობისგან აღარ იცის რა ქნას.

რა ჩაიდინე, ლუელინ?

ფორტ-სტოკტონის ბანკი გავძარცვე.

სისულელეს როშავ.

თუ არ გჯერა რატომ მეკითხები? ადექი და დაუჩქარე. გათენებამდე ოთხ საათზე ნაკლები რჩება.

მაჩვენე მხარზე რა გაქვს.

უკვე ნახე.

რამეს მაინც წაგისვამ.

ჰო. წამლების კარადაში ტყვიის საწინააღმდეგო მალამო მოძებნე იქნებ შემოგვრჩა. ბოლოს და ბოლოს დამანებებ თუ არა თავს? ჭამას ვცდილობ.

გესროლეს?

არა. იმიტომ გითხარი რომ გაინძრე. მიდი ადექი.

მდინარე პეკოსი ტეხასის შეფილდის ჩრდილოეთით გადაჭრა და სამხრეთისკენ 349-ე მაგისტრალით წავიდა. თითქმის ბნელოდა როდესაც საწვავის შესავსებად შეფილდში შეჩერდა. წითელ ბინდბუნდში ცაში დასრიალებდნენ გარეული მტრედები რომლებიც სამხრეთით მდებარე ფერმერთა ცისტერნებისკენ მიმავალ გზატკეცილს კვეთდნენ ხოლმე. ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონეს ხურდა ფული გამოართვა ავტომატიდან დასარეკად. ავზი შეავსო და მერე გადასახდელად დაბრუნდა.

იქ თქვენთან წვიმები თუ იყო? ჰკითხა სადგურის მეპატრონემ.

იქ სად?

ვხედავ დალასიდან ხართ.

ჩიგურმა დახლიდან ხურდა აკრიფა. და რა შენი საქმეა საიდან ვარ, ჰა?

ცუდი არაფერი მიფიქრია.

ესე იგი არაფერი გიფიქრია.

დროის გასაყვანად ვთქვი.

ეტყობა ეს თქვენი ჩვეულებაა დრო ასე გაიყვანო.

კარგი სერ, ბოდიშს გიხდით. თუ ბოდიშის მოხდა საკმარისი არ არის არც კი ვიცი რა ვთქვა.

ეს რა ღირს?

სერ?

გკითხე რა ღირს-მეთქი?

სამოცდაცხრა ცენტი.

ჩიგურმა დახლზე დოლარიანი ბანკნოტი დადო. კაცმა ჩეკი ამობეჭდა და ხურდა სათამაშო ჟეტონებივით სვეტად დაალაგა. ჩიგური თვალს არ აცილებდა. კაცმა თვალი აარიდა. ჩაახველა. ჩიგურმა აკაჟუს თხილის პაკეტი კბილებით გახსნა და შიგთავსის მესამედი ხელისგულზე გადმოყარა. მერე პირში ჩაიდო და ნელა შეუდგა ღეჭვას.

კიდევ რაიმე გნებავთ? შეეკითხა სადგურის მეპატრონე.

არ ვიცი. შენ როგორ ფიქრობ?

რაიმე ისე არ არის?

რას გულისხმობ?

ისე ზოგადად.

მე რატომ მეკითხები? რა არ უნდა იყოს ისე?

სადგურის მეპატრონე შებრუნდა და პირზე მიფარებულ ხელისგულში ისევ ჩაახველა. ჩიგურს შეხედა და მერე მზერა სადღაც შორს გადაიტანა. მაღაზიის წინ მდებარე ფანჯარას უყურებდა. აირის ტუმბოებსა და გარეთ მდგარ მანქანას. ჩიგური აკაჟუს თხილის მორიგ პარტიას ღეჭავდა.

კიდევ რაიმე გნებავთ?

ერთხელ უკვე მკითხე.

ვიხურებით.

ვიხურებითო თქვი.

დიახსერ.

რომელ საათზე ხურავ?

ახლა. ახლა ვიხურებით.

ახლა არ არის დრო. ზუსტად რომელ საათზე?

როგორც წესი დაბნელებისთანავე. როცა ბნელდება.

ჩიგური იდგა და ნელა იღეჭებოდა. ეტყობა არ გესმის რასაც ამბობ, ხომ ასეა?

სერ?

გითხარი არ გესმის რასაც ამბობ-მეთქი.

დახურვაზე გითხარით. აი რა ვთქვი.

რომელზე იძინებ?

სერ?

ყურს ხომ არ გაკლია? გკითხე რომელზე იძინებ-მეთქი.

ჰმ. დაახლოებით ათის ნახევარზე. როგორც წესი ათის ნახევარზე.

ჩიგურმა ხელისგულზე კიდევ გადმოყარა თხილი. შეიძლება დავბრუნდე, თქვა მან.

დაკეტილები ვიქნებით.

არა უშავს.

დაბრუნებას რა აზრი აქვს. დაკეტილები ვიქნებით.

ერთხელ უკვე თქვი.

ჰოდა ასე იქნება.

მაღაზიის უკან რომ სახლია იქ ცხოვრობ?

დიახ.

მთელი ცხოვრება ამ სახლში გაატარე?

სადგურის მეპატრონემ პასუხი დააყოვნა.

ეს ადგილი ჩემს სიმამრს ეკუთვნოდა, თქვა ბოლოს. თავიდან ასე იყო.

ბენზინგასამართ სადგურზე დაქორწინდი.

დიდი ხანი ტეხასის ტემპლში ვცხოვრობდით. ბავშვები იქ გაიზარდნენ. ტემპლში. ოთხი წელია რაც აქ გადმოვედით.

ბენზინგასამართ სადგურზე დაქორწინდი.

თუ თქვენ გინდათ ასე იყოს.

მე არ მინდა. ასეა.

ახლა უნდა დავკეტო.

ჩიგურმა უკანასკნელი თხილი პირში ჩაიდო და დაჭმუჭნილი პაკეტი სადგურის მეპატრონეს დახლზე დაუდო. უჩვეულოდ გამართული იდგა და ღეჭავდა.

ძალიან ბევრ შეკითხვებს სვამთ, თქვა სადგურის მეპატრონემ. უცნაურია იმ ადამიანისთვის რომელსაც არ სურს თქვას თავად საიდანაა.

მონეტის აგდებისას ყველაზე დიდი წაგება რა გინახავს?

სერ?

შეგეკითხე ყველაზე დიდი ოდენობის წაგებული თანხა რა გახსენდება მონეტის აგდებისას-მეთქი.

მონეტის აგდებისას?

მონეტის აგდებისას.

არ ვიცი. ჩვენთან ასეთი რამ მიღებული არ არის. საერთოდაც ფსონს არასოდეს არაფერზე ვდებთ.

ყველაზე დიდი ფსონი რაც დაგიდია რამდენი იყო?

არ ვიცი.

ჩიგურმა ოცდახუთცენტიანი მონეტა ჯიბიდან ამოიღო და ჭერში გამოკიდებული ცისფერი ფლუორესცენციული ნათურებისკენ ააგდო. მერე დაიჭირა და პერანგის სახელოზე ედო გადატყავებული მაჯებისგან დასისხლიანებული ლაქის ზემოთ. მონეტაზე ხელისგული ეფარა.

მიდი თქვი, უთხრა სადგურის მეპატრონეს.

ვთქვა?

ჰო.

რა?

თქვი პირი თუ ზურგი.

ფსონიც არ გვითქვამს.

ეს რამეს შეცვლის?

სადგურის მეპატრონემ ჩიგურს პირველად ჩახედა თვალებში. ლაზურიტის სადარი ცისფერი თვალები შეეფეთა. ერთდროულად მოციმციმე და სრულიად შუქგაუმტარი. სველი ქვების მსგავსად.

უნდა დაასახელო, თქვა ჩიგურმა. მე შენ ნაცვლად ვერ ვიტყვი. უსინდისობა იქნება. თავად უნდა თქვა.

ფსონს არ ჩამოვსულვარ.

როგორ არა. შენი სიცოცხლეა ფსონი. უბრალოდ ვერ გაგიაზრებია. ეს თუ იცი მონეტა რამდენი წლისაა?

არა.

ორმოცდათვამეტ წელს მოჭრეს. ოცდაორი წელიწადი გადადიოდა ხელიდან ხელში ვიდრე აქ მოხვდებოდა. და ახლა ის აქ არის. და მეც აქ ვარ. მასზე ხელი მაქვს დაფარებული. არის მარტო მონეტის პირი და მისი ზურგი. უნდა დაასახელო. თქვი.

ჰო მაგრამ რას მოვიგებ არ ვიცი.

ნათურების ცისფერ სინათლეზე სადგურის მეპატრონის ოფლით დაცვარული შუბლი მოჩანდა. ზედა ტუჩი გაილოკა.

ყველაფრის მოგება შეგიძლია, თქვა ჩიგურმა. ყველაფრის.

ამ ყველაფერს აზრი არ აქვს, მისტერ.

თქვი.

თუ ასეა პირი.

ჩიგურმა მონეტაზე დაფარებული ხელი ასწია. მერე ნელა მიაბრუნა სადგურის მეპატრონისკენ რომ მასაც დაენახა. კარგია, თქვა მან. მერე მონეტა აიღო და გაუწოდა.

რად მინდა?

აიღე. ეს შენი იღბლიანი თილისმაა.

არ მჭირდება.

გჭირდება. აიღე.

კაცი მონეტას დააცქერდა. ახლა უნდა დავკეტო, თქვა მან.

ჯიბეში არ ჩაიდო.

სერ?

ჯიბეში არ ჩაიდო.

აბა სად დავდო?

სადაც გინდა ოღონდ ჯიბეში არა. მაშინ შენც სხვებს დაემსგავსები.

კარგი.

ყველაფერი შეიძლება ბედის გადასაწყვეტად გამოდგეს, თქვა ჩიგურმა. ყოველგვარი უმნიშვნელო რამ. ისეთებიც როგორებსაც ყურადღებას არც კი აქცევ. ისეთი რამ რაც ჩვეულებრივ ხელიდან ხელში გადადის. ადამიანები მათ ყურადღებას არ აქცევენ. ერთ დღესაც კი ეს გადამწყვეტი ხდება. და ამის შემდეგ ძველებურად ვეღარაფერი იქნება. სისულელეაო ამბობ. ეს ხომ უბრალო მონეტაა. ამ წუთას. მასში განსაკუთრებული არაფერია. როგორ შეიძლება მან რაიმე გადაწყვიტოს? მაგრამ პრობლემა უნდა დაინახო. მოქმედება ფაქტისგან გამიჯნო. თითქოს ისტორიის გარკვეულმა მომენტმა სხვა მომენტს გაუცვალა ადგილი. ეს როგორ შეიძლება მოხდეს? მონეტის წყალობით. ჰო. ესაა სიმართლე. ასეა?

ჩიგურმა დახლზე სვეტად აკოკოლავებული ხურდა ჯიბეში ჩაიჩხრიალა და კარისკენ მიტრიალდა. მერე გარეთ გავიდა. სადგურის მეპატრონე იდგა და თვალს არ აცილებდა. უყურებდა

როგორ ჩაჯდა მანქანაში. ძრავა ამუშავდა და მანქანა ხრეშიანი გზის გავლით გზატკეცილზე გავიდა. ფარები არ აუნთია. სადგურის მეპატრონემ მონეტა დახლზე დადო და შეხედა. მერე ორივე ხელით დახლს დაეყრდნო და დიდხანს ჩაფიქრებული დასცქეროდა.

დრაიდენში საღამოს რვა საათისთვის ჩავიდა. სასურსათო მაღაზიის წინ გზაჯვარედინზე ჩამქრალფარებიანი მანქანა გააჩერა თუმცა ძრავა არ გამოურთავს. მერე ფარები ჩართო და აღმოსავლეთით 90-ე გზატკეცილზე გავიდა.

როგორც იქნა გზის პირას თეთრი ნიშნები აღმოაჩინა. ერთი შეხედვით გეოდეზიურს ჰგავდა მაგრამ ურიცხვებოდ, მხოლოდ კუთხეები იყო. ოდომეტრზე გავლილი მანძილი შეამოწმა და კიდევ ერთი მილი იარა ვიდრე სიჩქარეს დააგდებდა და გზატკეცილიდან გადავიდოდა. ფარები გამორთო და მანქანა გააჩერა. მანქანიდან გადასულმა ჭიშკარი გააღო და უკან დაბრუნდა. მავთულხლართები გაიარა. ისევ გააჩერა და ახლა ჭიშკრის დასახურად გადავიდა. იდგა და აყურადებდა. მერე ისევ ჩაჯდა და დაღარულ გზაზე გააგრძელა სვლა.

სამხრეთისკენ გადაჭიმულ მესერს მიჰყვებოდა, ფორდი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას კოლბოხებზე. მესერი ძალიან ძველი იყო. მესკიტებისგან დამზადებულ ბოძებს შორის სამ რიგად გაბმული მავთულხლართები. დაახლოებით მილის დაშორებით ხრეშიან მოედანზე გაჩერებული დოჯ-რემჩარჯერი დაინახა. სვლა შეანელა და მანქანა მის წინ გააჩერა.

რემჩარჯერის ფანჯრები ისეთი დაბურული იყო შავად მოჩანდა. ჩიგური მანქანიდან გადავიდა და მისკენ გაემართა. დოჯის კარი მგზავრის მხრიდან გაიღო. იქ მჯდარმა სავარძელი გადასწია და უკან გადავიდა. ჩიგური გათავისუფლებულ სავარძელზე დაჯდა და მანქანის კარი მიხურა. წავედით, თქვა მან.

ელაპარაკე? ჰკითხა მძღოლმა.

არა.

ჯერ არ იცის რა მოხდა?

არა. წავედით.

უდაბნოს გავლით მიდიოდნენ სრულ სიბნელეში.

როდის ეტყვი? ისევ შეეკითხა მძღოლი.

როცა რამე მეცოდინება და სათქმელი მექნება.

როდესაც მოსის პიკაპთან მივიდნენ ჩიგური მის დასათვალიერებლად წინ გადაიწია.

ეს მანქანაა?

ჰო. ნომრები არა აქვს.

გააჩერე. სახრახნისი გაქვს?

მანდ უჯრაში ნახე.

ჩიგურმა სახრახნისი მოძებნა და მანქანიდან გადასულმა პიკაპის კარი გააღო. კარის შიგნით მიმაგრებული ქარხნული ფირფიტა მოახრახნა და ჯიბეში ჩაიდო. უკან მანქანაში დაბრუნდა და სახრახნისი თავის ადგილზე დააბრუნა.

ბორბლები ვინ დაუშვა? იკითხა მან.

ჩვენ არა.

ჩიგურმა თავი დააქნია. წავედით, თქვა მერე.

დაცხრილული მანქანების მოშორებით შეჩერდნენ და გზა ფეხით გააგრძელეს. ჩიგური დიდხანს იდგა. მარტო პერანგი ეცვა მაგრამ სიცივეს თითქოს ვერც კი გრძნობდა. დანარჩენი ორი კაცი მის უკან მოთმინებით ელოდებოდა. ხელში ფარნით შემოუარა მანქანებს და გვამები დაათვალიერა. დანარჩენი ორი შორიახლო მიჰყვებოდა.

ძაღლი ვისია? იკითხა ჩიგურმა.

არ ვიცით.

ბრონკოს საჭეზე დახრილ მიცვალებულს უყურებდა. მერე ფარანი სავარძლების უკან საბარგულს მიანათა.

ბოქსი სად არის? შეეკითხა თანმხლებებს.

მანქანაში. გინდა ნახო?

რამე ინფორმაცია მიიღე?

არა.

სულ არაფერი?

სიგნალი არ არის.

ჩიგური ყურადღებით ათვალიერებდა გარდაცვლილს. მერე ფარანი ატაკა სხეულში.

უდაბნოში რამდენიმე პეტუნია დამპალა და ყარს, თქვა თანმხლებთაგან ერთ-ერთმა.

ჩიგურს ხმა არ ამოუღია. ერთ-ერთი მანქანის უკან გაჩერდა და გარშემო მთვარით განათებულ bajada-ს ათვალიერებდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბრონკოს მგზავრები სულ ცოტა სამი დღის მკვდრები იყვნენ ან იქნებ მეტისაც. თვალის დახამხამებაში სადღაც ქამრიდან პისტოლეტი ამოაძვრინა და თავის უკან მდგართ შუბლში თითო-თითო ტყვია დაახალა. მერე იარაღი ისევ ქამარში შეინახა. მეორემ ისიც კი მოასწრო წაქცეულისთვის მოეკრა თვალი. ჩიგური მათ მიუახლოვდა და მეორე მამაკაცს ბუდიდან გლოკის ცხრამილიმეტრიანი კალიბრის იარაღი აართვა. მერე მანქანაში ჩაჯდა და კალდერიდან უკან გზატკეცილისკენ გაემართა.

III

არ ვარ დარწმუნებული, რომ ახალი ტექნოლოგია საპატრულო პოლიციას დიდ დახმარებას უწევს. ის აღჭურვილობა, რაც ჩვენ ხელთაა, მოწინააღმდეგემდეც აღწევს. ძველებურად მუშაობა წარმოუდგენელია. არც კი უნდა იფიქრო ამაზე. ადრე ორხაზიან მოტოროლას რაციებს ვიყენებდით. უკვე რამდენიმე წელია ფართოსიხშირიანი დიაპაზონის რაციები შემოვიდა. მაგრამ არის რაღაცეები, რასაც ვერაფრით შეცვლი. მაგალითად, ვერაფრით ჩაანაცვლებ საღ აზრს. ჩემს ხელქვეითებს ზოგჯერ ვეუბნები, რომ უნდა ისწავლონ მიწაზე დაყრილი პურის ნამცეცებით დატოვებულ ანუ აშკარა კვალზე მიდევნება. ძალიან მომწონს ძველებური კოლტი. 44-40. თუ ასეთი იარაღით მოწინააღმდეგის შეჩერება ვერ შეძელი, გადააგდე და რაც ძალი და ღონე გაქვს მოკურცხლე. კიდევ მომწონს ძველი ვინჩესტერის 97-ე მოდელი. მომწონდა ჩახმახის ფეხზე შეყენება რომ სჭირდებოდა. არ მომწონს იარაღზე მცველის ძებნა. რასაკვირველია ახლებიდან ბევრი რამ უარესიცაა. ჩემი საპატრულო მანქანა შვიდი წლისაა. მისი ძრავა 454-ე მოდელია. ახლა ასეთს ვერსად შეხვდებით. ერთხელ ახალი ძრავა ჩავაყენე და იმით სიარული ვცადე. ლოკოკინასაც ვერ გაასწრებ. ვთქვი რომ იმ ძრავათი ვივლიდი, რომელიც მომწონს. სიახლე ყოველთვის კარგი არ არის. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ყოველი სიახლე უარესობისკენ გადადგმული ნაბიჯია.

იმ შემთხვევის შესახებ კიდევ არ ვიცი. ადამიანები ხშირად მეკითხებიან. ვერ ვიტყვი ამას საერთოდ ავკრძალავდი-მეთქი. მაგრამ კიდევ ერთხელ ნახვას აღარ ვისურვებდი. არც მოწმედ ყოფნა მეხატება გულზე. ის ვინც წესით სიკვდილით დასჯას უნდა დაესწროს ამას არასოდეს იზამს. ამის ღრმად მწამს. ამგვარ

მოვლენაზე დასწრება ღრმად აღიბეჭდება გონებაში. ადამიანებმა არ იციან რა ჩაიცვან. ერთი-ორი შავებში ჩაცმული იყო მოსული და ჩემი აზრით ეს მართებული გახლდათ. დანარჩენებს უბრალო მოკლესახელოებიანი პერანგები ეცვათ და ამან გამანაწყენა. ვერ გეტყვით რატომ.

მაგრამ მათზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია და ამან გამაკვირვა. მათი უმრავლესობა ჩემსავით პირველად ესწრებოდა სიკვდილით დასჯას. როდესაც ყველაფერი დასრულდა და ფარდა ჩამოაფარეს გაზის კამერას სადაც მისი უსიცოცხლო სხეული სკამზე ჩამოშვებულიყო ყველანი წამოდგნენ. ისე გავიდნენ გარეთ როგორც ეკლესიიდან ან რაღაც ამგვარიდან გადიან ხოლმე. უცნაური მომეჩვენა. ჩემი აზრით უცნაური იყო. იმის თქმა შემიძლია რომ ამგვარი დღე ცხოვრებაში არ მქონია.

ბევრს არ სჯეროდა. იმათაც კი ვისაც სიკვდილით დასჯას დამსახურებულად მიუსჯიდნენ ხოლმე. თქვენთვისაც მოულოდნელობა იქნებოდა. ჩემი აზრით ზოგიერთს ასეც დაემართა. მრავალი წლის განმავლობაში ყოველდღე ხვდები ადამიანს და მერე უეცრად სიკვდილთან შესახვედრად მიაცილებ დერეფანში. ჰმ. რასაკვირველია, ეს ძნელი გადასახარშია. არა აქვს მნიშვნელობა ვინ არის. ასეთი ბიჭებიდან ზოგიერთი გონებაგასხნილობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. კაპელანი პიკეტი მიყვებოდა ერთი სიკვდილმისჯილის შესახებ რომელთანაც ის ბოლომდე დარჩა. უკანასკნელად ჭამდა და რაღაც დესერტი შეუკვეთა. სასჯელის აღსრულების დრო რომ მოვიდა პიკეტმა ჰკითხა ხომ არ გინდა დესერტის ჭამა დაასრულოო. მან კი უპასუხა დაბრუნების შემდეგ დავასრულებო. არ ვიცი ასეთს რა უნდა უთხრა. პიკეტსაც არაფერი უთქვამს.

არასოდეს არავინ მომიკლავს და ეს ფაქტი ძალიან მახარებს. იყო დრო შერიფები იარაღსაც კი არ ატარებდნენ. ვინმეს რომ უთხრა არ დაგიჯერებს, მაგრამ ფაქტია. ჯიმ სკარბორო

იარაღით არ დადიოდა. უმცროსი ჯიმი ანუ. არც გასტონ ბოიკინსს კამანჩის ოლქიდან დაჰქონდა იარაღი. ყოველთვის მიყვარდა ძველებზე ამბების მოსმენა. ხელიდან არასოდეს გამიშვია ამის შესაძლებლობა. წარსულში შერიფებისთვის მნიშვნელოვანი იყო ადამიანების აზრი მათზე. ამის არდანახვა შეუძლებელია. ნიგერ ჰოუკინზს ბიშოპის ოლქიდან ყველა მცხოვრების ტელეფონის ნომერი ზეპირად ახსოვდა.

რომ დაფიქრდები ძალიან უცნაური რამ გამოდის. ბოროტმოქმედების ჩადენის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. ტეხასის შტატის კონსტიტუცია შერიფისგან არაფერს მოითხოვს. არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს. სიმართლე ითქვას, შტატის კანონებიც კი არ არსებობს. ძალაუფლების თვალსაზრისით ლამისაა ღმერთს გაუტოლდე და კანონის თვალსაზრისით არავითარი ვალდებულება არ გეკისრება თუმცა არარსებული კანონების დაცვა გევალება. არ მითხრათ რომ ეს უცნაური არ არის. ჩემი აზრით ძალიანაც უცნაურია. მუშაობს თუ არა ასეთი მიდგომა? დიახ. ოთხმოცდაათი პროცენტით. იმიტომ რომ კარგ ადამიანებს დიდად არც სჭირდებათ ზედამხედველობა. ან ძალიან მცირე მასშტაბით. ცუდების გამოსწორებას კიდევ აზრი არა აქვს. რაღაც არ გამიგია რომ რაიმე სხვანაირად იყოს.

ცხრას რომ ოცი წუთი აკლდა ავტობუსი ფორტ-სტოკტონში ჩავიდა. მოსმა ზემო თაროდან ჩანთა ჩამოიღო და სავარძლიდან კეისი აიღო. რამდენიმე წუთით ქალის სიახლოვეს შეჩერდა.

თვითმფრინავში ამით არ ახვიდე, უთხრა ქალმა. ციხეში გაგისტუმრებენ.

დედაჩემს იდიოტი შვილები არ გაუჩენია.

როცა ჩახვალ დამირეკე.

რამდენიმე დღეში დაგირეკავ.

კარგი.

თავს მიხედე.

ცუდი წინათგრძნობა მაქვს, ლუელინ.

მე კიდევ კარგი. ერთმანეთს აწონასწორებენ.

იმედი მაქვს.

მხოლოდ ავტომატიდან შევძლებ დარეკვას.

ვიცი. დამირეკე.

დაგირეკავ. არაფერზე იდარდო.

ლუელინ?

რა.

არაფერი.

რა მოხდა.

არაფერი. რაღაცის თქმა მინდოდა. თავს გაუფრთხილდი.

ლუელინ?

რა.

ხელი არავის დააკარო. გესმის?

მხარზე გადაკიდებული სპორტული ჩანთით იდგა და ცოლს უყურებდა.

ვერაფერს დაგპირდები, თქვა ბოლოს. თორემ მომხვდება.

ბელმა ჩანგალი პირში ჩასადებად ასწია და სწორედ იმ წუთს დარეკა ტელეფონმა. ხელი დაუშვა. ცოლმა წამოდგომა და ტელეფონთან მისვლა დააპირა მაგრამ ხელსახოცით ტუჩები შეიმშრალა და თავად ადგა.

მე მივალ, უთხრა ცოლს.

კარგი.

რა ჯანდაბაა, როგორ ხვდებიან რომ ვსადილობთ? ასე გვიან არასოდეს გვიჭამია.

ნუ ჯაჯღანებ, თქვა ქალმა.

ყურმილი აიღო. შერიფი ბელი, ჩაილაპარაკა.

მდუმარედ უსმენდა. მერე თქვა: ვისადილებ და მერე. დაახლოებით ორმოც წუთში შეგხვდები. უბრალოდ ფარებს ნუ გამორთავ.

ყურმილი დადო და უკან დაბრუნებული სკამზე დაჯდა. გაშლილი ხელსახოცი მუხლებზე გადაიფარა და ჩანგალი მოიმარჯვა.

ვიღაცამ ცეცხლწაკიდებული მანქანა დაინახა, უთხრა ცოლს. ლუზის კანიონის მეორე მხარეს.

მერე რას ფიქრობ?

თავი გააქნია.

შეჭამა. მერე ყავა დალია.

ჩემთან ერთად წამოდი, უთხრა ცოლს.

ერთ წუთს დამაცადე პალტოს შემოვიცვამ.

გზატკეცილიდან საქონლის შესარეკი ჭიშკრისკენ შეუხვიეს და უენდელის მანქანის უკან გაჩერდნენ. უენდელი მათ მანქანას მიუახლოვდა და ბელმა მინა ჩასწია.

ქვემოთ დაახლოებით ნახევარი მილის დაშორებითაა, თქვა უენდელმა. უბრალოდ უკან გამომყევით.

აქედან ვხედავ.

დიახსერ. დაახლოებით ერთი საათია იწვის. გზატკეცილიდან დაინახეს და დარეკეს.

აალებული მანქანის სიახლოვეს გააჩერეს მანქანა. გადმოვიდნენ. იდგნენ და უყურებდნენ როგორ იწვოდა. სიმხურვალეს სახეზე გრძნობდნენ. ბელი თავის მანქანასთან მივიდა და კარი გამოაღო. ცოლს ხელი გაუწოდა და მანქანიდან გადმოსვლაში დაეხმარა. ქალი მის გვერდით გულხელდაკრეფილი იდგა და უყურებდა. შორიახლოს გაჩერებულ მანქანასთან ორნი შენიშნა. მათ მისალმების ნიშნად თავები დაუქნიეს: შერიფო!

სოსისი რომ წამოგვეღო შეიწვებოდა, შენიშნა ქალმა.

ჰო. კარგი პიკნიკი გამოვიდოდა.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ მანქანა ასე შეიძლება იწვოდეს.

ჰო, ასეა. რაიმე საეჭვო ხომ არ შეგინიშნავს?

არა სერ. მარტო ცეცხლი.

არავის ან არაფერს გაუვლია?

არა სერ.

77 წლის ფორდი უნდა იყოს, რას იტყვი უენდელ?

სავსებით შესაძლებელია.

ნამდვილად ასეა.

იმ ჩვენი ნაცნობის?

ჰო. ნომრები დალასისაა.

დღეს არ გაუმართლა, ხომ ასეა შერიფო?

ძალიან არ გაუმართლა.

შენი აზრით მანქანის დაწვა რაში დასჭირდათ?

არ ვიცი.

უენდელი შებრუნდა და გადააფურთხა.

დალასიდან რომ წამოვიდა ასეთი რამ თავში აზრადაც არ ექ-ნებოდა, ხომ ასეა?

ბელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

არა, თქვა მან. აზრადაც არ გაუვლია.

დილით კაბინეტში რომ შევიდა ტელეფონმა დარეკა. ტორ-ბერტი უკან ჯერ არ დაბრუნებულიყო. მან როგორც იქნა ათის ნახევარზე დარეკა და ბელმა მის ჩამოსაყვანად უენდელი გაგ-ზავნა. მერე ფეხები მაგიდაზე შემოაწყო და თავის ჩექმებს დააც-ქერდა. კარგა ხანს ასე იჯდა. მერე რაციას დასწვდა და უენდელს დაურეკა.

ახლა სად ხარ?

ეს-ესაა სანდერსონის კანიონს გავცდი.

მანქანა მოაბრუნე.

კარგი. ტორბერტს რა ვუყოთ?

რაციით დაუკავშირდი და გადაეცი არ ინერვიულოს. ნაშუად-ღევს თავად ჩავაკითხავ.

დიახსერ.

ჩემთან სახლში მიდი და ლორეტას ავტომისაბმელისა და საბარგო მანქანის გასაღები გამოართვი. ცხენები ავტომისაბმელში შეიყვანე და იქ მოდი სადაც გუშინ ვიყავით. ასე ერთ საათში მეც იქ დაგხვდები.

დიახსერ.

რაცია დადო და მერე ციხის შემოსავლელად გასწია.

მანქანით ჭიშკრამდე იმგზავრეს და მისი დახურვის შემდეგ კიდევ რამდენიმე ასეული ფუტი მავთულხლართებიანი მესრის გასწვრივ იარეს. მერე მანქანები გააჩერეს. უენდელმა ავტომისაბმელის კარი გააღო და ცხენები გამოიყვანა. ბელმა თავისი ცოლის ცხენს ჩაავლო აღვირში ხელი.

უინსტონზე შენ შეჯექი, უთხრა მან.

დარწმუნებული ხართ?

დარწმუნებულიც და მეტიც. ნამდვილად არ ვისურვებ იმ მხედრის ადგილზე ყოფნას რომელიც ლორეტას ცხენზე იჯდა და ამასობაში კი ცხოველს რაიმე დაუშავდა.

უენდელს თან წამოღებული თოფი მიაწოდა მერე ცხენზე შეჯდა და ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა. მზად ხარ? ჰკითხა უენდელს.

გვერდიგვერდ მიდიოდნენ.

მათ კვალზე არაერთხელ გავიარეთ და ის კიდევ მაინც შეიმჩნევა, თქვა ბელმა. ეს კი ყველგანმავლის კვალია.

მანქანას მიუახლოვდნენ რომლისგანაც მხოლოდ ჩაშავებული კარკასი შემორჩენილიყო.

ნომრების თაობაზე მართალი თქვით, თქვა უენდელმა.

მაგრამ ბორბლებმა კი მიმტყუნა.

ეგ როგორ?

ვთქვი დიდხანს არ დაიწვება-მეთქი.

მანქანა ახლა გუდრონის ოთხ გროვად ქცეულიყო, ხოლო ბორბლების გარშემო გაშავებული მავთული იყო დახვეული. გზა გააგრძელეს. ბელი დროდადრო მიწაზე მიუთითებდა.

დღისით დატოვებული კვალი ღამის ნაკვალევისგან გამოირჩევა, თქვა მან. აქედან ანთებული ფარებით გავიდნენ. ხედავ აქ როგორ დატრიალდა მანქანა? ბუჩქებს მხოლოდ უკანასკნელ წამს ამჩნევ. ან კიდევ მანქანის გვერდი შეიძლება აი იმ ლოდზე გაკაწრო.

დამშრალი მდინარის კალაპოტში ნელა გაიარ-გამოიარა და მერე სამხრეთისკენ გაიხედა. იმავე მანქანის ბორბლების კვალი აქაც შენიშნა. დაახლოებით იმავე პერიოდში იყო დატოვებული, რომელშიც პირველი.

კვალი აშკარად ჩანს. საინტერესოა საით მიდის. იმის თქმაც შეიძლება, რომ ორი ან რამდენიმე გზა გააკეთეს.

უენდელი ცხენზე იჯდა, ხელები უნაგირის წინა მაღალ ტახტაზე ეწყო. დაიხარა და გადააფურთხა. მერე შერიფთან ერთად სამხრეთისკენ გაიხედა.

თქვენი აზრით იქ რა შეიძლება აღმოვაჩინოთ?

არ ვიცი, უპასუხა ბელმა. მან ფეხი უზანგში შედგა და მსუბუქად მოახტა ცხენს. თავისი პატარა ცხენი წინ წაიყვანა.

არ ვიცი, გაიმეორა ისევ. მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია რომ სასიკეთოს არაფერს ველოდები.

მოსის მანქანას რომ მიუახლოვდნენ შერიფი ჩამოქვეითდა და დაკვირვებით დაიწყო მისი შესწავლა. ნელა უვლიდა გარშემო. ორივე კარი ღია დახვდათ.

ვიღაცას კარიდან ნომრებიანი ფირფიტა მოუხსნია, თქვა მან.

ნომრები კარკასზე დარჩა.

ჰო. არა მგონია მხოლოდ ნომრების გამო მოეხსნათ.

ამ მანქანის პატრონი ვინც არის ვიცი.

მეც ვიცი.

უენდელი დაიხარა და ცხენს კისერზე მიეფერა. იმ ბიჭის გვარი მოსია.

ეგრეა.

ბელმა მანქანას შემოუარა სამხრეთისკენ მიბრუნდა და უენდელს შეხედა.

სად ცხოვრობს თუ იცი?

არა სერ.

მგონი ცოლიანია.

შეიძლება.

შერიფმა ისევ მანქანას შეხედა.

ძალიან გამიკვირდება თუ ორ-სამ დღეს არ იქნებოდა გაუჩინარებული.

ძალიან საინტერესოა.

ბელმა ქვემოთ გადაჭიმულ კალდერას გახედა.

ნამდვილ კოშმარს იქ უნდა ველოდეთ.

გეთანხმებით, შერიფო.

შენი აზრით ეს ყმაწვილი ნარკოკურიერია?

არ ვიცი. ეჭვი მეპარება ასე იყოს.

მეც. წამოდი იქით წავიდეთ და ვნახოთ რა უბედურება დაატრიალეს.

შემართული თოფებით ქვემოთ კალდერისკენ გაემართნენ.

იმედი მაქვს ამ ბიჭს გვამებს შორის არ აღმოვაჩენთ, თქვა ბელმა. რამდენჯერმე შევხვდი და წესიერ ადამიანად მეჩვენა. ცოლიც სიმპათიური ჰყავს.

მიწაზე მიმოფენილ გვამებს შორის სწრაფად გაიარეს და აღვირებს ხელი უშვეს. ცხენები გვამებზე ნერვიულად აბიჯებდნენ.

ცხენები გვერდზე გადაიყვანე, თქვა ბელმა. არ უნდა ნახონ ასეთი რამ.

დიახსერ.

უკან მობრუნებულს ბელმა ორი მოკლულის საფულეები მიაწოდა. მერე მანქანებისკენ გაიხედა.

საიდან არიან?

დალასიდან.

უენდელს მიწიდან აღებული პისტოლეტი მიაწოდა და თოფზე დაყრდნობილი ჩაცუცქდა. ეს ორი დახვრიტეს, თქვა მან. ვიღაც თავისიანმა, დანამდვილებით გეუბნები. აი ამან იარაღის მცველის საკეტელას გახსნაც კი ვერ მოასწრო. ორივეს ზუსტად თვალებს შორის მოხვდა ტყვია.

მეორე უიარაღო იყო?

შეიძლება მკვლელმა აიღო მისი იარაღი. ან მართლაც არ ჰქონია.

ცუდია სროლის დროს უიარაღოდ რომ ხარ.

ცუდია.

მანქანებს შორის გაიარეს.

ნაგვები ღორებივით სისხლისგან დაიცალნენ, თქვა უენდელმა.

ბელმა გადახედა.

ჰო, თქვა უენდელმა. ვიცი რომ ასეთი რამ გარდაცვლილზე არ უნდა ვთქვა.

მე ვიტყოდი რომ არ გაუმართლათ.

ჰო მაგრამ ეს ხომ მექსიკური ნარკოვაჭრების ბანდაა.

იყო. ახლა უკვე აღარ არის.

დარწმუნებული არ ვარ რომ თქვენი მესმის.

მხოლოდ იმის თქმა მინდა რომ სიცოცხლეში ვინ იყვნენ ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს. ახლა მკვდრები არიან.

ამ სიტყვებზე უნდა ვიფიქრო.

შერიფმა ბრონკოს სავარძელი წინ გადასწია და მის ქვეშ შეიხედა. თითი ნერწყვით დაისველა და ხალიჩაზე გადატარე-

ბულ თითს მერე სინათლეზე გახედა. აქ უკან კარგად ცნობილი მექსიკური შავი ჰეროინი იყო.

ახლა მისი კვალი გაქრა.

გაქრა.

უენდელი მუხლებზე დაეშვა და კართან მიწას დააკვირდა. აქაც არის კვალი. ალბათ ვიღაცამ პაკეტი გაჭრა. უნდოდა ენახა შიგ რა იყო. ან საქონლის ხარისხს ამოწმებდა. გარიგებისთვის ემზადებოდნენ.

მაგრამ გარიგება არ შედგა. ერთმანეთი დახვრიტეს.

ბელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

შეიძლება ფული არც ყოფილა.

შეიძლება.

მაგრამ ამის არ გჯერათ.

ბელი ჩაფიქრდა. არა, თქვა მან. შეიძლება არ მჯერა.

აქ კიდევ ერთი საქმის გარჩევა იყო.

ჰო, თქვა ბელმა. სულ მცირე ერთი.

ბრონკოს შემოუარეს. ბელმა მეორე მანქანაზე თითით ანიშნა.

იმას ავტომატური იარაღიდან უშენდნენ, თანაც მიჯრით.

გეთანხმებით. მაგრამ მძღოლი სად გაქრა?

ალბათ იმათ რიცხვშია ვინც იქ ბალახში წევს.

ბელმა სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და თავი მანქანაში შეყო. იატაკზე დაგდებული მასრებიდან რამდენიმე აიღო და მათ ძირზე ამოტვიფრულ რიცხვებს დახედა.

რამდენიანია, შერიფო?

ცხრამილიმეტრიანი. 45-კალიბრიანი კოლტიდან ისროდნენ.

მასრები უკან მანქანაში შეყარა და მანქანაზე მიყუდებული თავისი თოფი აიღო.

ვიღაცამ ამ მანქანას ამგვარი თოფიდან ესროლა.

თქვენი აზრით დიდი კვალია?

დიდზე მეტი. ჩემი აზრით ოთხი ნომერი საფანტი უნდა იყოს.

ერთი ნასროლით ბევრს კლავს.

ასეც შეიძლება თქმა. მთელი ჯერი შეგიძლია მიუშვა ბატალიონზე.

უენდელმა კალდერა მოათვალიერა. ჰო, თქვა მან. ვიღაცამ აქედან გააღწია.

ასეა.

თქვენი აზრით კოიოტები რატომ არ მიეკარნენ?

ბელმა თავი ჩაქინდა. არ ვიცი, თქვა მან. იქნებ კოიოტები მექსიკელებს არ ჭამენ.

ის ორნი მექსიკელები არ არიან.

ჰო, მართალი ხარ.

აქ თქვენს ვიეტნამზე არანაკლები ამბავი მოხდა.

ვიეტნამი, წარმოთქვა შერიფმა.

მანქანებს შორის დადიოდნენ. ბელმა მიწიდან კიდევ რამდენიმე მასრა აიღო, დაათვალიერა და გადაყარა. მერე პლასტმასის ცისფერ სავაზნეს დასწვდა. იდგა და მიდამოს ათვალიერებდა.

აი რას გეტყვი, თქვა ბოლოს.

გისმენთ.

ვეჭვობ, აქედან ვინმეს ისე გაეღწია, დაჭრილი მაინც არ ყოფილიყო.

გეთანხმებით.

მოდი ცხენებზე შევსხდეთ და აქაურობა მივიარ-მოვიაროთ. კარგად დავათვალიეროთ იქნებ რამეს წავაწყდეთ.

კი ბატონო.

ხომ ვერ მეტყვი ის ძაღლი რაღაში სჭირდებოდათ?

წარმოდგენა არ მაქვს.

როდესაც ერთი მილის დაშორებით კლდეებში მკვდარ კაცს წააწყდნენ ბელმა ცხენი შეაჩერა და მიაჩერდა. დიდხანს იჯდა ასე.

რაზე ფიქრობთ, შერიფო?

შერიფმა თავი გადააქნია. ცხენიდან ჩამოხტა და პირქვე დამ-ხობილი გარდაცვლილისკენ გაემართა. გვამს შემოუარა, თოფი მხარზე ეკიდა. მერე დაიხარა და ბალახს დააცქერდა.

კიდევ ერთი მკვლელობაა შერიფო?

არა, დარწმუნებული ვარ თავისი სიკვდილით მოკვდა.

თავისი სიკვდილით?

ისეთი სიკვდილით მის სამუშაოს რომ შეეფერება.

იარაღიც კი არა აქვს.

არა.

ცხენზე მჯდომი უენდელი გადაიხარა და გადააფურთხა.

ჩვენამდე აქ ვიღაც იყო.

უეჭველი ასე იქნებოდა.

თქვენი აზრით ფული მან წაიღო?

ძალიან სავარაუდოა.

ესე იგი უკანასკნელი ადამიანი ვერ ვიპოვეთ, ასეა?

ბელს პასუხი არ გაუცია. წამოდგა და მიდამო მოათვალიერა.

აწეწილ-დაწეწილი საქმეა არა, შერიფო?

ამაზე უარესს ვერც ინატრებდი.

უკანა გზად კალდერის თავი აირჩიეს. ცხენებზე ისხდნენ და ზემოდან დაჰყურებდნენ მოსის მანქანას.

თქვენი აზრით ეს ჩვენი ნაცნობი ყმაწვილი სად უნდა იყოს? იკითხა უენდელმა.

არ ვიცი.

მოსაძიებელ პირთა შორის ალბათ ერთ-ერთი პირველი ეგ გეყოლებათ.

შერიფმა თავი დაუქნია. თუ სულაც პირველი არა.

ქალაქში დაბრუნდნენ. შერიფმა უენდელი ცხენებითა და ავტომისაბმელით თავის სახლში გაგზავნა.

სამზარეულოს კარზე დაკაკუნება და ლორეტასთვის მადლობის გადახდა არ დაგავიწყდეს.

არ დამავიწყდება. გასაღები ხომ უნდა დავუბრუნო.

ოლქი მისი ცხენების გამოყენებისთვის თანხას არ იხდის.

გასაგებია.

ტორბერტს რაციით დაუკავშირდა: ახლავე გამოვდივარ. სულ ცოტა ხანს მოითმინე.

ლამარის ოფისთან რომ გაჩერდა მოლს შენობის წინ ისევ პოლიციის ამკრძალავი ლენტი ჰქონდა შემოხვეული. ტორბერტი კიბეზე იჯდა. მისი მანქანის დანახვაზე ფეხზე წამოდგა.

კარგად ხარ? შეეკითხა ბელი.

დიახსერ.

შერიფი ლამარი სად არის?

გამოძახებაზე.

გზატკეცილზე გავიდნენ. ბელი თანაშემწეს კალდერაში ნანახის შესახებ მოუყვა. ტორბერტი ჩუმად უსმენდა. ფანჯარაში იცქირებოდა. მერე თქვა: ოსტინიდან გაკვეთის შესახებ მოხსენება მოვიდა.

მოყევი რას ამბობენ.

თითქმის არაფერს.

რომელი იარაღითაა მოკლული?

არ იციან.

არ იციან?

არა სერ.

როგორ თუ არ იციან? შემავალი ჭრილობა არსებობს.

დიახსერ. ამას უპრობლემოდ ადასტურებენ.

უპრობლემოდ ადასტურებენ?

დიახსერ.

ტორბერტ, ბოლოს და ბოლოს, რა ჯანდაბას ამბობენ?

ამბობენ რომ შუბლი აქვს შენგრეული სავარაუდოდ დიდი კალიბრის ტყვიით რომელმაც თავის ტვინის შუბლის ნაწილი გაიარა დაახლოებით ორნახევარი დუიმის მანძილზე მაგრამ ტყვია ვერ იპოვეს.

შენგრეული.

დიახსერ.

ბელმა შტატთაშორის გზაზე გადაუხვია. თითებს საჭეზე ათამაშებდა. თანაშემწეს გადახედა.

სრული უაზრობაა, ტორბერტ.

მაშინვე ვუთხარი სერ.

რა გიპასუხეს?

არაფერი. თქვენთან გადმოაგზავნიან მოხსენებას ფედექსით. რენტგენის სურათსაც და ყველაფერს. როგორც თქვეს ხვალ დილით მიიღებთ.

ცოტა ხანს ხმას არ იღებდნენ. მერე ტორბერტმა თქვა: ალბათ საზარელი სანახაობა იყო არა, შერიფო?

ჰო. ასეა.

სულ რამდენი გვამია?

კარგი კითხვაა. სიმართლე გითხრა არც დამითვლია. რვა. და მეცხრე ლამარის თანაშემწე ჰასკინზი.

ტორბერტი მიდამოს უმზერდა. გზაზე გრძელი ჩრდილები გაწოლილიყვნენ.

ვინ არიან ეს ნაძირალები? იკითხა მან.

არ ვიცი. ჩვეულებრივ ვამბობდი რომ ისინი არიან ვისთანაც ყოველთვის გვქონდა საქმე. მათ ბაბუაჩემიც დასდევდა. მაშინ საქონელს იპარავდნენ. ახლა ნარკოტიკები გადააქვთ. მაგრამ უკვე აღარ მგონია, რომ ეს სწორია. მეც იმდენი ვიცი რამდენიც შენ. დარწმუნებული არ ვარ რომ ასეთ ხალხს აქამდე შევხვედრივართ. ამ სახეობისას. ისიც არ ვიცი რა უნდა მოვუხერხოთ.

ყველა რომც მოკლა დარწმუნებული ვარ ჯოჯოხეთშიც ბანდას ჩამოაყალიბებენ.

ჩიგური დეზერტ-ეირის ტრეილერების სადგომთან ჯერ კიდევ შუადღემდე მივიდა. მანქანა მოსის ტრეილერის წინ გააჩერა და ძრავა გამორთო. გადავიდა. სრულიად ცარიელი ეზო გადაიარა და კიბეებზე ავიდა. ალუმინის კარზე დააკაკუნა. დაელოდა. მერე კიდევ დააკაკუნა. მიტრიალდა და იქაურობას დააკვირდა. არავინ ჭაჭანებდა. ძაღლიც კი. ხელი საკეტთან მიიტანა და საქონლის მოსაკლავი პნევმატური პისტოლეტის ფოლადის პლუნჟერით საკეტის ცილინდრი გახვრიტა. კარი გააღო, ოთახში შევიდა და კარი ჩუმად დახურა.

შერიფის მოკლული თანაშემწის იარაღით ხელში იდგა. სამზარეულოში შეიხედა. მერე საწოლი ოთახისკენ წავიდა. საწოლ ოთახში შესულმა სააბაზანოს კარი გამოაღო. მეორე საწოლ ოთახში შევიდა. ტანსაცმელი იატაკზე ეყარა. ტუალეტის კარი ღია იყო. ტუალეტის მაგიდის უჯრა გამოაღო და ისევ დაკეტა. იარაღი ზურგს უკან ქამარში ჩაიდო და ზემოდან პერანგი გადმოუშვა. მერე უკან, სამზარეულოს მიაშურა.

მაცივარი გამოაღო და რძე გამოიღო. სახურავი მოხსნა და დაყნოსა. მუყაოს პაკეტით ხელში იდგა და ფანჯრიდან იყურებოდა. რამდენიმე ყლუპი მოსვა და რძე მაცივარში დააბრუნა. მისაღებ ოთახში გავიდა და დივანზე ჩამოჯდა. დაბალ მაგიდაზე შესანიშნავი ოცდაორდუიმიანი ტელევიზორი იდგა. ნაცრისფერ ეკრანზე საკუთარ ანარეკლს შეხედა. წამოდგა და იატაკიდან ფოსტა აკრიფა. მერე ისევ დივანზე ჩამოჯდა და სამი კონვერტი გადაარჩია. ისინი ჯიბეში ჩაიდო და იქაურობა დატოვა.

ტრეილერების სადგომის ოფისში მივიდა.

დიახსერ, უპასუხა ქალმა.

ლუელინ მოსს ვეძებ.

ქალმა შეხედა. ტრეილერში თუ ნახეთ?

დიახ ვიყავი.

რაკი ასეა ალბათ სამუშაოზეა. რა გადავცე?

სად მუშაობს?

სერ ჩვენი კლიენტების შესახებ ასეთი ინფორმაციის გაცემა აკრძალული მაქვს.

ჩიგურმა ფანერისგან შეკრულ პატარა ოფისს თვალი მოავლო. მერე ქალს შეხედა.

სამუშაო ადგილი.

სერ?

გეკითხებით სად მუშაობს.

ვერ გაიგეთ რა ვთქვი? ასეთ ინფორმაციას არ გავცემთ.

საიდანღაც უნიტაზის ჩარეცხვის ხმა მოისმა. კარის სახელურმა გაიტკაცუნა. ჩიგურმა ქალს კიდევ ერთხელ შეხედა. მერე გავიდა, თავის რემჩარჯერში ჩაჯდა და გზას გაუდგა.

შემხვედრ კაფესთან გააჩერა და ჯიბიდან კონვერტები ამოიღო. გახსნა და წერილები წაიკითხა. მერე სატელეფონო ანგარიშები გაშალა და დააკვირდა. ზარები დელ რიოდან და ოდესიდან იყო.

გარეთ გავიდა და ფასიანი ტელეფონიდან დელ რიოს ნომერი აკრიფა. არავინ უპასუხა. მერე ოდესაში დარეკა. ქალმა აიღო. ლუელინი იკითხა. ქალმა უპასუხა ლუელინი არ არისო.

მისი ნახვა სანდერსონში ვცადე მაგრამ ალბათ ტყუილად.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ქალმა თქვა: არ ვიცი სად არის. თქვენ ვინ ხართ?

ჩიგურმა ყურმილი დაკიდა და კაფეში დაბრუნდა. თავის ადგილზე დაჯდა და ყავა შეუკვეთა. ლუელინი ხომ არ გამოჩენილა? თან იკითხა.

როდესაც გარაჟს მიუახლოვდა ორი მამაკაცი შენობის კედელთან იჯდა და ლანჩს შეექცეოდა. მათთან მივიდა. მაგიდასთან მჯდომი ერთი კაცი ყავას სვამდა და რადიოს უსმენდა.

დიახსერ, თქვა მან.

ლუელინს ვეძებ.

აქ არ არის.

როდის უნდა შემოიაროს?

არ ვიცი. არც მოსულა და არც დაურეკავს. თქვენსავით მეც არაფერი ვიცი. მერე ჩიგური ალმაცერად აათვალიერ--ჩაათვალიერა.

შემიძლია დაგეხმაროთ?

არა მგონია.

გარეთ გავიდა და მანქანის ზეთით მოსვრილ ტროტუარზე შეჩერდა. კუთხეში მდგარ მამაკაცებთან მივიდა.

თქვენ ხომ არ იცით ლუელინი სად არის?

მათ უარის ნიშნად თავები გააქნიეს. ჩიგური რემჩარჯერში ჩაჯდა და ქალაქში დაბრუნდა.

ავტობუსი დელ რიოში ნაშუადღევს ჩავიდა. მოსმა ბარგი აიღო და ავტობუსიდან ჩავიდა. ტაქსების გაჩერებისკენ გაემართა. ერთ-ერთის კარი გამოაღო და ჩაჯდა.

მოტელში მიმიყვანეთ, უთხრა მძღოლს.

მძღოლმა სარკეში შეათვალიერა. რომელიმე კონკრეტულში?

არა, რომელიმე არც ისე ძვირიანში.

ტაქსმა ტრეილ-მოტელში მიიყვანა. მოსმა ფული გადაიხადა და ბარგიანად მოტელში შევიდა. მიმღებში ქალი იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. მის დანახვაზე წამოდგა და მაგიდას დაუბრუნდა.

თავისუფალი ოთახი გაქვთ?

რამდენიც გინდათ. რამდენი ღამით?

არ ვიცი.

კვირის ტარიფი გვაქვს და იმიტომ გეკითხებით. ოცდათხუთმეტი დოლარი და გადასახადი დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი. ოცდათექვსმეტი და სამოცდათხუთმეტი.

ოცდათექვსმეტი და სამოცდათხუთმეტი.

დიახსერ.

ერთი კვირით.

დიახსერ. ერთი კვირით.

და ეს თქვენი საუკეთესო ფასია?

დიახსერ. კვირის ტარიფზე ფასდაკლება არ ვრცელდება.

მაშინ დღიურად გადავიხდი.

დიახსერ.

გასაღები გამოართვა და ოთახში შევიდა. კარი მიხურა და ბარგი საწოლზე დადო. ფარდები ჩამოაფარა და მათ შორის დარჩენილი ღრიჭოდან პატარა ეზოს უთვალთვალებდა. სრული სიწყნარე იყო. კარი ჯაჭვითაც ჩაკეტა და საწოლზე ჩამოჯდა. სპორტული ჩანთა გახსნა და შაშხანა ამოიღო. საწოლზე გაწვა და გვერდით იარაღი მოიდო.

საღამოს გამოეღვიძა. იწვა და აზბესტის დალაქავებულ ჭერს ასცქეროდა. წამოჯდა, ჩექმა და წინდები გაიხადა და შეხვეული ქუსლები დაათვალიერა. მერე სააბაზანოში შევიდა და სარკეში ჩაიხედა, პერანგი გაიხადა და ბეჭს დააკვირდა. მხრიდან იდაყვამდე გაუფერულებულიყო. უკან ოთახში დაბრუნდა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა. იარაღს უყურებდა. მერე ხის იაფფასიან მაგიდაზე შედგა და ჯაყვით სავენტილაციო ბადის მოხსნას შეუდგა. მოხსნილი ხრახნები ტუჩებით ეკავა. ჩამოხსნილი ბადე მაგიდაზე დადო, მერე ფეხის წვერებზე აიწია და მილში შეიხედა.

ჟალუზის თოკს ნაწილი ჩამოაჭრა და ერთი ბოლოთი კეისის სახელურს გამოაბა. მერე კეისი გახსნა, ათასი დოლარი გადათვალა და ჯიბეში ჩაიდო. კეისი ჩაკეტა და თასმებითაც შეკრა.

ტანსაცმლის კარადა გამოაღო და მრგვალი სარი, რომელზეც ტანსაცმლის ცარიელი საკიდრები ეკიდა, გამოაძრო. საკიდრები იატაკზე დაცვივდა. მაგიდაზე ავიდა და კეისი ღია სავენტილაციო მილში ჩადო. მიაწვა, მაგრამ კეისი ძნელად მიჩოჩავდა. სარს დასწვდა და მიაწვა, რომ რაც შეიძლება შორს გაეწია, მერე თოკით გამოქაჩავდა. ბადე თავის ადგილას დაამაგრა ხრახნებით. მაგიდიდან ჩამოსული სააბაზანოში გავიდა შხაპის მისაღებად. მერე შორტით წამოწვა საწოლზე და შენილის საბანი გადაიხურა თან იარაღიც შიგ ჩამალა. შაშხანას მცველის საკეტელა მოხსნა. მერე დაიძინა.

როცა გაიღვიძა უკვე ბნელოდა. საწოლიდან ფეხები გადმოყო და მიაყურადა. წამოდგა და ჟალუზი ოდნავ გასწია გარეთ გასახედად. სიჩუმე იდგა. არავინ ჩანდა.

ჩაიცვა და შაშხანა ჩაკეტილი მცველით ლეიბის ქვეშ დამალა. საბანი გაასწორა და საწოლზე ჩამომჯდარმა ტელეფონით ტაქსი გამოიძახა.

მძღოლს დამატებით ათი დოლარი გადაუხადა სიუდად აკუნიას ხიდზე რომ გადაეყვანა. ქუჩებში დასეირნობდა, მაღაზიების ვიტრინებს ათვალიერებდა. თბილი და ალერსიანი საღამო იდგა და პატარა alamedas-ის ორივე მხრიდან ჩიტები ჭიკჭიკით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ფეხსაცმელების მაღაზიაში შესული ნიანგის სირაქლემისა და სპილოს ტყავისგან შეკერილ ეგზოტიკურ ჩექმას ათვალიერებდა. ხარისხით რა თქმა უნდა ბევრად აღემატებოდა მის ძველ ლარი მეჰენის ფირმის ჩექმას. აფთიაქში ბინტი შეიძინა და პარკში ჩამოჯდა. წინდები სისხლით ჰქონდა გაჟღენთილი. კუთხეში მდგარი ტაქსის მძღოლმა დაუძახა და გოგონებთან გასეირნება შესთავაზა. საპასუხოდ მოსმა ხელი ასწია და საქორწინო ბეჭედი დაანახვა. მერე წამოდგა და სეირნობა განაგრძო.

რესტორანში ისადილა, სადაც მაგიდებზე თეთრი სუფრები იყო გადაფარებული და მიმტანებს თეთრი ზედა სამოსი ეცვათ. ჭიქა წითელი ღვინო და სუკის ბიფშტექსი შეუკვეთა. რაკი ჯერ ადრე იყო ერთადერთი კლიენტი გახლდათ. ღვინოს დაგემოვნებით სვამდა. ხორცი დაჭრა და ნელ-ნელა ღეჭავდა. თან თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა.

მოტელისკენ ათი საათისთვის გაემართა. ვიდრე გადასახდელ ფულს ითვლიდა მძღოლი ჩართული ძრავათი ელოდებოდა. ბანკნოტები სავარძლის საზურგის ზემოდან გადააწოდა, ხელი უკვე კარის გამოსაღებზე ედო, მაგრამ რატომღაც მანქანიდან არ გადავიდა.

გარშემო შემოუარე, უთხრა მძღოლს.

მძღოლმა გადამცემი ჩართო. რომელი ოთახია? ჰკითხა.

უბრალოდ შემოუარე. მინდა დავრწმუნდე რომ ახლომახლო არავინაა.

ნელა შემოუარეს მის ოთახს. ფარდებს შორის ჭრილი დაინახა რომელსაც თავად უეჭველია არ დატოვებდა. ძნელია ამის ზუსტად თქმა. თუმცა არ დატოვებდა. ტაქსი მიიზლაზნებოდა. სადგომზე მდგარ მანქანებს ახალი არ შემატებოდა.

გზა გააგრძელე, უთხრა მძღოლს.

მძღოლმა სარკეში შეხედა.

იარე, უთხრა მოსმა. არ გაჩერდე.

მეგობარო, შარში გახვევა არ მინდა.

უბრალოდ იარე.

რა მოხდება შენ აქ ჩამოხვიდე და მე კი გზა გავაგრძელო.

სხვა მოტელში მიმიყვანე.

ასე არ შევთანხმებულვართ.

მოსმა უკნიდან ასი დოლარი გადააწოდა.

შარში უკვე გაეხვიე. შენს გადარჩენასაც ვცდილობ, უთხრა მძღოლს. ახლა კი სხვა მოტელში წამიყვანე.

მძღოლმა ფული ჯიბეში ჩაიდო. ტაქსიმ მოუხვია და ქუჩაზე გავიდა.

ღამე მოშორებით მდებარე რამადა ინ-ში გაატარა. დილით სასაუზმოდ ჩავიდა და გაზეთი წაიკითხა. მერე იჯდა და ფიქრობდა.

დილით მისული დამლაგებლები ოთახში მას ვერ ნახავდნენ.

ოთახი თერთმეტ საათამდე ჰქონდა დაქირავებული.

შეიძლებოდა ვინმეს ფული ეპოვა და წაეღო.

ისიც შესაძლებელია რომ მასზე ორი სხვადასხვა ბანდა ნადირობდა და თუ ერთი წავიდა მეორე თავის დანებებას არ აპირებდა.

როდესაც ფეხზე წამოდგა უკვე იცოდა ვიღაცის მოკვლა რომ მოუწევდა. მხოლოდ ვინაობა იყო გასარკვევი.

ტაქსი დაიჭირა და ქალაქში დაბრუნებული სპორტულ მაღაზიაში მივიდა. თორმეტკალიბრიანი ვინჩესტერი იყიდა მსხვილი საფანტის ორ ყუთთან ერთად. ასეთი საფანტი სიმძლავრით ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმს არ ჩამოუვარდება. შენაძენთან ერთად პეკანის ქუჩას გაუყვა და რკინა-კავეულის მაღაზიაში შევიდა. იყიდა საზეინკლო ხერხი, წვეტიანი საპირე ქლიბი და სხვა ხელსაწყოები. ასევე ბრტყელტუჩა და საკვნეტელა. სახრახნისი. ფარანი. საიზოლაციო ლენტის გორგალი.

მაღაზიიდან გამოსული შედგა და ჩაფიქრდა. მერე ისევ სპორტულ მაღაზიაში დაბრუნდა და გამყიდველს ჰკითხა კარვებისთვის საჭირო ალუმინის ბოძები თუ გაქვთო. სცადა აეხსნა რომ მხოლოდ ბოძები სჭირდება და არა მთლიანად კარავი. გამყიდველმა ეჭვით შეხედა.

როგორი სახეობის კარავიც უნდა იყოს ყველასთვის სპეციალური შეკვეთით ვიღებთ ბოძებს. თქვენ უნდა მითხრათ დამამზადებლის სახელი და მოდელის ნომერი.

თქვენ კარვებსაც ყიდით ხომ ასეა?

სამი სხვადასხვა მოდელი გვაქვს.

რომელს მოჰყვება ყველაზე მეტი რაოდენობის ბოძები?

ალბათ ათფუტიან დიდ კარავს. მასში გამართული დგომა შეიძლება. უფრო სწორად ზოგიერთი გამართულად დგას შიგ. ცენტრში მისი სიმაღლე ექვსი ფუტია.

მომიტანეთ.

დიახსერ.

გამყიდველმა საწყობიდან ნარინჯისფერი ნეილონის ჩანთით დაკეცილი კარავი გამოიტანა და დახლზე დადო. მოსმა შეძენილი იარაღი და სხვა ხელსაწყოები დახლზე დააწყო და კარვის ჩანთა გახსნა. ჩანთიდან დაკეცილი კარავი, ბოძები და თოკები ამოალაგა.

არაფერი აკლია, უთხრა გამყიდველმა.

ფასი მითხარით.

ას სამოცდაცხრამეტს დამატებული გადასახადი.

ორასი დოლარი დახლზე დადო. კარვის ალუმინის ბოძები ცალკე ჩანთაში იდო. იქიდან ამოიღო და სხვა შენაძენებთან ერთად ჩააწყო. გამყიდველმა ხურდა და ქვითარი დაუბრუნა. მოსმა იარაღს ხელი მოჰკიდა და ნავაჭრითურთ მაღაზიიდან გავიდა.

კარავი? დაადევნა კითხვა გამყიდველმა.

სასტუმროს ოთახში დაბრუნებულმა იარაღი ჩანთიდან ამოიღო და მაგიდის უჯრაში ისე ჩადო რომ არ განძრეულიყო. მერე ლულა ხერხით ლამის მჭიდამდე გადაჭრა. გადანაჭერი ქლიბით დაამუშავა და სველი პირსახოცი გადაუსვა. მერე კონდახი ისეთ სიგრძეზე გადაჭრა პისტოლეტისას უთანაბრდებოდა. საწოლზე ჩამოჯდა და ეს გადანაჭერიც ქლიბით დაამუშავა. როდესაც დაასრულა, ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს იარაღის გადატვირთვა სურდა. შედეგით კმაყოფილი დარჩა. მერე საფანტის ყუთი გახსნა და ცვილით დაფარული მოზრდილი

ვაზნები მჭიდში სათითაოდ მოათავსა. გადატვირთული იარაღი მუხლებზე დაიდო. ახლა ის სიგრძით ორ ფუტს არ აღემატებოდა.

ტრეილ-მოტელში დარეკა და ქალს ოთახის მის სახელზე შენახვა სთხოვა. იარაღი ვაზნებითურთ და ხელსაწყოები ლეიბის ქვეშ დამალა და გარეთ გავიდა.

უოლმარტში ცოტა ტანსაცმელი და ნეილონის ელვაშესაკრავიანი ჩანთა იყიდა მათ ჩასაწყობად. ერთი წყვილი ჯინსი, წყვილი პერანგი და რამდენიმე წყვილი წინდა. ნაშუადღევს დიდხანს სეირნობდა ტბის გარშემო. იარაღის გადაჭრილი ლულა და ხელსაწყოები ჩანთაში ეწყო. ლულა წყალში მოისროლა და ინსტრუმენტები კი ტბის ნაპირზე დიდ ქვებს შორის დამალა. ირმები დააფრთხო. იდგა და უყურებდა ცხოველები როგორ მიდიოდნენ უკაცრიელი ბუჩქნარის გავლით. ესმოდა მათი ფრუტუნი და დაინახა ასიოდე იარდის დაშორებით ქედზე შეჩერებული ცხოველები რომლებიც მას უმზერდნენ. ქვიან სანაპიროზე ჩამოჯდა. დაცარიელებული ჩანთა მუხლებზე ედო და მზის ჩასვლას უყურებდა. უმზერდა როგორ გახდა მიწა ცისფერი და ცივი. ტბის თავზე შაკმა გადაიფრინა. შემდეგ სიბნელე ჩამოწვა.

IV

ამ ოლქის შერიფი ოცდახუთი წლის ასაკში გავხდი. დაუჯერებელია. მამაჩემს პოლიციაში არასოდეს უმუშავია. ბაბუაჩემს ჯეკი ერქვა. მე და ის ერთდროულად ვმუშაობდით პოლიციაში. ის პიანოში და მე კიდევ აქ. ასე მგონია ჩემით ამაყობდა. ჩემზე ხომ ლაპარაკიც არ არის. ომიდან ახალი დაბრუნებული გახლდით. მკერდზე ორდენები მეკიდა და ასე შემდეგ. რასაკვირველია ხალხიც აფასებდა ამას. საარჩევნო კამპანიაში სულსა და გულს ვდებდი. სხვაგვარად შეუძლებელია გამოგარჩიონ. ჯეკს უყვარდა თქმა რომ მოწინააღმდეგეს არასოდეს უნდა მოსცხო ჩირქი რადგან ამგვარი საქციელით სხვა ადამიანების თვალში საკუთარ ღირსებას დაკარგავ. ახლა ვფიქრობ რომ ამგვარი რამ მის ხასიათს არ ეგუებოდა. ვინმეზე ცუდის თქმას ვგულისხმობ. ჩემთვის ის ყოველთვის მაგალითი გახლდათ. მე და ჩემმა ცოლმა ერთად ოცდათერთმეტი წელი გავატარეთ. შვილები არ გვყავს. გოგონა დაგვეღუპა მაგრამ ამაზე საუბარი არ მსურს. ორი ვადით ვიყავი შერიფი და მერე ტეხასის შტატში, დენტონში გადავედით. ჯეკის თქმით შერიფობა საუკეთესო სამსახურია და ყველაზე უარესი კი ყოფილი შერიფის მდგომარეობაა. ალბათ პროფესიათა უმრავლესობის შესახებ იმავეს თქმა შეიძლება. მივდექ-მოვდექით. ბევრი რამ გამოვცადე. ერთხანს რკინიგზაზე დეტექტივადაც ვმუშაობდი. მაგრამ მაშინ ჩემი ცოლი არ იყო დარწმუნებული აქ დაბრუნება ღირდა თუ არა. შემეძლო თუ არა ძველ სამუშაოს დავბრუნებოდი. მაგრამ კარგად ხვდებოდა სინამდვილეში რაც მსურდა. ჩემზე ბევრად უკეთესი ადამიანია და ამას ვისთანაც გინდა ხმამაღლა ვიტყვი. უფრო მეტიც. ის საუკეთესო ადამიანია ვინც კი ოდესმე შემხვედრია. მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში. ადამიანებს შეცდომით ჰგონიათ

რომ საკუთარი სურვილების შესახებ ყველაფერი კარგად იციან. მაგრამ როგორც წესი ცდებიან. თუ ბედი გაუღიმებთ და შემთხვევით იპოვიან იმას რასაც ეძებენ, ხომ კარგი. იღბალი ყოველთვის მქონდა. სხვაგვარად ახლა აქ არ ვიქნებოდი. მძიმე დღეები მედგა. მაგრამ ის დღე, როდესაც კერის მაღაზიიდან გამოსულმა ჩამიარა, მე მისალმების ნიშნად ქუდი მოვიხადე და მან საპასუხოდ გამიღიმა, უბედნიერესია ჩემს ცხოვრებაში.

ადამიანები ხშირად წუწუნებენ თავს დატეხილი უბედურების გამო და ივიწყებენ იმ სიკეთესა და ბედნიერებას, რომელიც ცხოვრებაში შეხვედრიათ. არ ვიცი რა დამსახურების გამო დამაჯილდოვა ღმერთმა. მაგრამ იმ დღეს მან გამიღიმა.

სამშაბათს დილით ადრე ბელი კაფეში შევიდა. გაზეთი აიღო და ჩვეულებისამებრ კუთხეში მდგარ მაგიდას მიუჯდა. როდესაც დიდ მაგიდას ჩაუარა იქ მჯდომმა კაცმა მისალმების ნიშნად თავი დაუქნია და უთხრა: შერიფო. ოფიციანტმა ქალმა ყავა მიუტანა და სამზარეულოში გავიდა ერბოკვერცხის შესაკვეთად. ყავას კოვზით ურევდა თუმცა მორევა არ სჭირდებოდა — ყოველთვის შავ ყავას სვამდა. ოსტინის გაზეთის მოწინავე სტატიაში ჰასკინზის ფოტო დაებეჭდათ. ბელმა წაიკითხა და თავი გააქნია. მისი ცოლი მხოლოდ ოცი წლისაა. როგორ უნდა დაეხმარო? ჯანდაბა, ვერაფერს გააწყობ. ლამარს არასოდეს დაუკარგავს ოციოდე წლის ახალგაზრდა. ამას ის არასოდეს დაივიწყებს. ყოველთვის ემახსოვრება.

ოფიციანტმა ერბოკვერცხი მოუტანა. ბელმა გაზეთი დაკეცა და გვერდით გადადო.

უენდელთან ერთად დეზერტ-ეირისკენ მანქანით წავიდნენ. კარის წინ იდგნენ და უენდელმა დაკაკუნება დააპირა.

საკეტს შეხედე, უთხრა ბელმა.

უენდელმა იარაღი მოიმარჯვა და კარი გააღო. ოლქის პოლიცია! დაიყვირა მან.

არავინაა.

მაინც სიფრთხილეა საჭირო.

მართალია. სიფრთხილე ზედმეტი არასოდესაა.

შიგნით შევიდნენ და გაჩერდნენ. უენდელი პისტოლეტის ბუდეში შენახვას აპირებდა, მაგრამ ბელმა ხელით ანიშნა და შეაჩერა.

მოდი ყველა წესი დავიცვათ და უვნებელი გადარჩები.

დიახსერ.

შერიფმა წინ ნაბიჯი გადადგა და ხალიჩიდან თითბრის პატარა მრგვალი დეტალი აიღო.

ეს რა არის? იკითხა უენდელმა.

საკეტის ცილინდრი.

ბელმა ფანერის თეჯირს ხელი აუსვა.

აი აქ დავარდა, თქვა და ცილინდრიანი ხელისგული გაშალა. მერე კარს შეხედა. შეიძლება მისი აწონა. მანძილის და ტრაექტორიის გაზომვა. მერე სიჩქარის გამოთვლა.

მე მგონი შეიძლება.

მშვენიერი სიჩქარე ექნებოდა.

დიახსერ. მშვენიერი სიჩქარე.

ოთახები დაიარეს.

რას ფიქრობთ, შერიფო?

დარწმუნებული ვარ ძალიან ჩქარობდნენ.

მეც ასე ვფიქრობ.

ჰო.

სამზარეულოში შევიდა და მაცივარი გამოაღო. უყურებდა და თავს აქნევდა. მერე საყინულეში შეიხედა.

თქვენი აზრით აქ როდის იყო, შერიფო?

რთული სათქმელია. შეიძლება სულ ახლახან გავიდა.

თქვენი აზრით მიხვდა რა ნაგავიც უდგას კვალში?

არ ვიცი. უნდა მიმხვდარიყო. მან ის ნახა რაც მე და რამაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა.

მძიმედ აქვთ საქმე, რას იტყვით?

ჰო, ასეა.

ბელი ისევ მისაღებ ოთახში დაბრუნდა. დივანზე ჩამოჯდა. უენდელი კარში იდგა. იარაღი ისევ ხელში ეჭირა.

და რას ფიქრობთ? შეეკითხა შერიფს.

ბელმა თავი გააქნია. თანაშემწისთვის არ შეუხედავს.

ოთხშაბათს სანდერსონში ტეხასის შტატის სამართალდამცველების ნახევარს თავი უკვე მოეყარა. ბელი ჩვეულებისამებრ კაფეში მაგიდასთან იჯდა და გაზეთს კითხულობდა. გაზეთი დაუშვა და თავი ასწია. მის წინ ოცდაათიოდე წლის მამაკაცი იდგა რომელიც ადრე არასოდეს უნახავს. მან თავად წარუდგინა თავი „სან-ანტონიო ლაითის“ კორესპონდენტად.

რა ხდება, შერიფო, ჰკითხა ჟურნალისტმა.

ნადირობისას უბედური შემთხვევა მოხდა.

ნადირობისას?

დიახსერ.

რომელი ნადირობისას? ნუ მასულელებთ.

ნება მომეცით რაღაც გკითხოთ.

გისმენთ.

გასულ წელს ტერელის საოლქო სასამართლოში ცხრამეტი საქმე განიხილეს. მათგან რამდენი იყო ნარკოტიკებთან დაკავშირებული?

არ ვიცი.

ორი. სხვათა შორის დელავერის შტატის სიდიდის ოლქი მაბარია და ჩემი დახმარება უამრავ ადამიანს სჭირდება. ამაზე რას ფიქრობთ?

არ ვიცი.

არც მე ვიცი. ახლა კი მშვიდად საუზმობის საშუალება მომეცით. წინ მძიმე დღე მაქვს.

ის და ტორბერტი თანაშემწის ყველგანმავლით წავიდნენ. ყველაფერი წინანდებურად დახვდათ. კალდერის თავზე მოსის პიკაპის სიახლოვეს შეჩერდნენ.

ათია, თქვა ტორბერტმა.

რა?

ათია. გვამი. უირიკი დაგვავიწყა. მისი ჩათვლით ათი გამოდის.

ბელმა თავი დაუქნია.

ეს ისინი რომელთა შესახებაც ვიცით.

დიახსერ. რომელთა შესახებაც ვიცით.

ვერტმფრენი გამოჩნდა. დატრიალდა და მტვრის ღრუბელში მიწაზე დაეშვა. გარეთ არავინ გამოსულა. მტვრის გაფანტვას ელოდებოდნენ. ბელი და ტორბერტი უყურებდნენ, როგორ ანელებდა მოძრაობას ხრახნის ფრთები.

ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალური სააგენტოს აგენტის გვარი მაკინტაირი გახლდათ. ბელი მას მეტ-ნაკლებად იცნობდა და თავის დაკვრით მიესალმა. აგენტი სამაგრიანი საქაღალდით ხელში გადმოვიდა და მათ მიუახლოვდა. ჩექმა და კარჰარტის ტილოს ქურთუკი ეცვა. რიგიანად გამოიყურებოდა იქამდე ვიდრე პირს გააღებდა.

შერიფო ბელ, მიესალმა შეირფს.

აგენტო მაკინტაირ.

ეს რა მანქანაა?

ფორდ-პიკაპი — სამოცდათორმეტი წლის გამოშვება.

მაკინტაირი კალდერის ჩასასვლელთან იდგა და ქვემოთ იყურებოდა. საქაღალდე ბარძაყზე დაირტყა. მერე ბელს შეხედა.

განმარტებისთვის მადლობელი ვარ. თეთრი ფერისაა.

შეიძლება ითქვას თეთრი. დიახ.

საბურავებით არც ისე ცუდი მანქანა იქნებოდა.

მანქანას შემოუარა. რაღაც ჩაინიშნა. მერე მანქანაში შეიხედა. წინა სავარძელი გადასწია და მის ქვეშ შეიხედა.

საბურავები ვინ დაჭრა?

ბელი იდგა და ხელები უკანა ჯიბეში ეწყო. ის გადაიხარა და გადააფურთხა.

თანაშემწე ჰეისის აზრით, კონკურენტების ნახელავია.

აჰა, კონკურენტების.

დიახსერ.

მეგონა ყველა მანქანა დაცხრილული იყო.

ასეც არის.

მაგრამ ამ მანქანისთვის არ უსვრიათ.

ამისთვის არ უსვრიათ.

მაკინტაირმა ჯერ ვერტმფრენს გახედა, მერე ქვემოთ მდგარ დანარჩენ მანქანებს შეავლო თვალი.

შეიძლება თქვენთან ერთად ქვემოთ ჩავიდე?

რასაკვირველია.

ტორბერტის მანქანით ჩავიდნენ. მანქანაში აგენტმა ბელს შეხედა და სამაგრიანი საქაღალდე ისევ დაიტყაპუნა ბარძაყზე.

ესე იგი არ გსურთ გამოძიებას დაეხმაროთ, არა?

ჯანდაბა, მაკინტაირ, ვიხუმრე.

დაცხრილულ მანქანებს შემოუარეს. მაკინტაირს ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული. გვამები უკვე გასიებულიყო და სამოსში ძლივს ეტეოდა.

ეს ყველაზე საზარელი რამ არის რაც კი აქამდე მინახავს, თქვა მან.

იდგა და რაღაცეებს იწერდა. მანძილები გაზომა და იქაურობის ჩანახატი სწრაფად შეასრულა და მანქანების ნომრებიც ჩაიწერა.

იარაღი არ იყო?

მოსალოდნელზე ბევრად ნაკლები. ნივთმტკიცების სახით მხოლოდ ორი გვაქვს.

თქვენი აზრით ეს ამბავი რამდენი ხნის წინ მოხდა?

ოთხი-ხუთი დღე უნდა იყოს გასული.

ვიღაც აშკარად თავის ფეხით წავიდა აქედან.

ბელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. კიდევ ერთი გვამი აქედან ერთი მილის დაშორებითაა.

ჰეროინის კვალი იმ ბრონკოში იპოვეს?

დიახ.

მექსიკური შავი ჰეროინი.

ბელმა ტორბერტს შეხედა. ტორბერტი დაიხარა და გადააფურთხა.

თუ აღარც ჰეროინია და აღარც ფული ჩემი აზრით ვიღაც გაქრა.

მართებული მოსაზრებაა.

მაკინტაირი წერას განაგრძობდა.

არ იღელვოთ. ვიცი რომ თქვენ არ აგიღიათ.

არ ვღელავ.

მაკინტაირმა ქუდი შეისწორა. იდგა და მანქანებს უყურებდა.

რეინჯერები გამოჩნდნენ?

აპირებენ გამოჩენას. ყოველ შემთხვევაში ერთი მაინც. ტეხასის შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამმართველოს ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილებიდან.

რასაც ვხედავ ესაა მასრები ბერსუ-380-ის, ორმოცდაოთხკალიბრიანი კოლტის, ცხრამილიმეტრიანი პარაბელუმის, თორმეტკალიბრიანი თოფისა და ოცდათვრამეტკალიბრიანი პოლიციის იარაღიდან. კიდევ სხვა რამ ხომ არ გიპოვიათ?

მეტი არაფერი.

მაკინტაირმა თავი დაუქნია.

მე მგონი ის ხალხი ვინც ნარკოტიკს ელოდებოდა მიხვდა რომ მას ვეღარასოდეს ეღირსება. სასაზღვრო პატრული რას ამბობს?

როგორც ვიცი უახლოეს ხანში ყველა შეიკრიბება. წუთი წუთზე ველოდებით. იმაზე დიდი არეულობაა მოსალოდნელი ვიდრე სამოცდახუთში იყო.

ჰოოო, თქვა მაკინტაირმა.

პირველ ყოვლისა ეს გვამები აქედან უნდა მოშორდეს.

მაკინტაირმა საქაღალდე ისევ ბარძაყზე დაირტყა.

დაუჯერებელია, თქვა მან.

კიდევ ცხრამილიმეტრიანი პარაბელუმი იყო, თქვა ტორბერტმა.

ბელმა თავი დააქნია.

ესეც უნდა ჩაიწეროთ.

დელ რიოს დასავლეთით დევილ-რივერზე გადებულ მაღალ ხიდზე გადასვლის დროს ჩიგურმა მიმღებზე სიგნალი მიიღო. შუაღამე ახლოვდებოდა და გზატკეცილზე არც ერთი მანქანა არ ჩანდა. ხელი გვერდითა სავარძლისკენ გაიშვირა და ანტენა ჯერ წინ გადმოსწია და შემდეგ უკან გადაიტანა. ყურადღებით უსმენდა.

ფარებმა ალუმინის მოაჯირზე მჯდარი რომელიღაც მოზრდილი ფრინველის სილუეტი გაანათა. ჩიგურმა მანქანის ფანჯარა ჩასწია. სალონში ტბიდან მონაბერი სუფთა ჰაერი შეიჭრა. ყუთის გვერდით პისტოლეტი იდო. ხელი დაავლო და ფანჯარაში გადაყო. ლულა უკანა ხედვის სარკეს ეყრდნობოდა. პისტოლეტს ლულის ბოლოს მაყუჩი ჰქონდა. მაყუჩი მინაქსოვილში გახვეული გაზით შესადუღებელი აპარატის თითბრის სანთურებისგან იყო დამზადებული. ეს ყველაფერი შავად შეღებილ თმის ლაქის კონტეინერში გახლდათ მოთავსებული. იმწამს გაისროლა, როდე-

საც ფრინველი მოაჯირზე ჩამოჯდა და ფრთების სწორებას შეუდგა ხელახლა გასაფრენად.

ფარების სინათლეზე მისი ფრთები თეთრად აელვარდა. სროლის ხმაზე შეფრთხიალდა და მერე ზემოთ სიბნელეში გაუჩინარდა. ტყვია ალუმინის მოაჯირს მოხვდა და სადღაც ჩაიკარგა. მოაჯირმა კი ყრუდ დაიზრიალა და მერე ხმაური შეწყდა. ჩიგურმა პისტოლეტი ისევ სავარძელზე დადო და ფანჯარა ასწია.

მოსმა მძღოლს ფული გადაუხადა და მოტელის წინ სინათლის ზოლში შეაბიჯა. ჩანთა მხარზე გადაიკიდა, ტაქსის კარი მიხურა და მოტელში შევიდა. ქალი ახლა დახლთან იჯდა. მოსმა ჩანთა იატაკზე დადო და დახლს დაეყრდნო. ქალმა ცოტათი აფორიაქებულმა შეხედა და ჰკითხა:

ჩვენთან მეტი ხნით გაჩერება გადაწყვიტეთ?

სხვა ოთახი მჭირდება.

ოთახების გაცვლა გსურთ თუ გვერდითა ოთახი?

კიდევ ერთი ოთახის აღება მსურს და ძველის შენარჩუნება.

კი ბატონო.

მოტელის გეგმა ხომ არ გაქვთ?

ქალმა დახლის ქვეშ ჩაიხედა.

გვქონდა რაღაც ამგვარი. ერთ წუთს მოითმინეთ. მე მგონი ეს არის.

ძველი ბროშურა დახლზე დადო. ყდაზე მოტელის წინ გაჩერებული ორმოცდაათიანი წლების მანქანა იყო გამოსახული. ბროშურა გადაშალა და გეგმას დააცქერდა.

ორმოცდამეორე ოთახზე რას იტყვით?

შეგიძლიათ თქვენი ნომრის გვერდითა ოთახი დაიქირავოთ. ოცდამეერთე თავისუფალია.

გასაგებია. ორმოცდამეორეზე რას იტყვით?

ქალმა ზურგს უკან დაფაზე ოთახის გასაღები მოძებნა.

ორი ღამის თანხა გადასახდელი გაქვთ, თქვა მან.

მოსმა ფული გადაიხადა. მერე გასაღები და ჩანთა აიღო და მოტელის უკანა ნაწილისკენ გაემართა.

ქალი დახლზე გადაიხარა და მიმავალს თვალი გააყოლა.

ოთახში შესული საწოლზე ჩამოჯდა და გეგმა მუხლებზე გაშალა. საბაზანოში შესულმა ყური კედელს მიადო და გაირინდა. საიდანღაც ტელევიზორის ხმა ისმოდა. ისევ ოთახში დაბრუნდა. ჩანთა გახსნა და გადაჭრილლულიანი იარაღი საწოლზე დადო. მერე ჩანთა გადმოატრიალა და შიგთავსი საწოლზე გადმოყარა.

სახრახნისი მოძებნა. მაგიდიდან სკამი ჩამოიღო და ზედ დადგა. სავენტილაციო ბადე ჩამოხსნა და მტვრიანი ზედაპირით ზემოთ საწოლის იაფფასიან გადასაფარებელზე დადო. სკამზე ავიდა და მილს ყური მიადო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჩამოვიდა, ფარანი მოძებნა და ისევ სკამზე ავიდა. მისი ოთახის სავენტილაციო მილი დაახლოებით ათი ფუტის დაშორებით მეორეს უერთდებოდა და კარგად ხედავდა კეისს გამობმული თოკის ბოლოს. სინათლე გამორთო და ცოტა ხანს გარინდებული იდგა და აყურადებდა. მერე თვალები დახუჭა და სმენა უფრო დაძაბა. სკამიდან ჩამოვიდა და იარაღით ხელში კართან მივიდა. სინათლე შემოსასვლელშიც ჩააქრო. სიბნელეში დიდხანს იდგა და ეზოში გამავალ ფანჯარას უმზერდა. მერე ოთახში შებრუნდა. იარაღი საწოლზე დააგდო და ფარანი მოიმარჯვა.

ნეილონის ჩანთიდან კარვისთვის განკუთვნილი ალუმინის ბოძები ამოალაგა. ეს იყო სამი ფუტის სიგრძის მსუბუქი მილები. სამი ცალი სკოჩით გადააბა. ტუალეტში გავიდა და იქიდან მავთულის სამი საკიდრით ხელში დაბრუნდა. საწოლზე ჩამომჯდარმა საკვნეტელათი სამივეს კაუჭები მოაჭრა. სამივე ერთად შეკრა და ერთი მსხვილი კაუჭი მიიღო რომელიც ალუმინის მილების ერთ ბოლოს ასევე წებოვანი ლენტით მიამაგრა. ფარანი გამორთო და საწოლზე დააგდო. ისევ ფანჯარასთან მივიდა და

ეზოში ფრთხილად გაიხედა. სადღაც გზატკეცილზე ტრეილერმა გაიარა. იქამდე ელოდებოდა ვიდრე ძრავას ხმა არ მიწყდა. კატამ მოტელის ეზო გადაჭრა და შეჩერდა. მერე გზა გააგრძელა.

ფარნით ხელში სკამზე ავიდა და სინათლის სხივი მოთუთიებული ლითონის კედლისკენ მიმართა. კაუჭიანი მილით კეისის გამოწევა სცადა. მისი ცოტათი ადგილიდან დაძვრა შეძლო, შემდეგ კაუჭი ასხლტა. რამდენიმე მცდელობის შემდეგ კეისის ერთ-ერთი თასმისთვის კაუჭის მოდება მოახერხა და უჩუმრად გამოაცოცა იმ ადგილამდე ხელით რომ მისწვდომოდა.

სკამიდან ჩამოსული საწოლზე ჩამოჯდა და კეისზე მტვერი გადაწმინდა. თასმები გახსნა. ფულის შეკვრებს დახედა. ერთი აიღო და სწრაფად გადათვალა. მერე უკან ჩააბრუნა. კეისს თოკი მოაცილა. ფარანი ისევ აანთო. იჯდა და აყურადებდა. მერე სკამზე დადგა და ალუმინის მილები სავენტილაციო მილში ჩააწყო. ზემოდან ბადე მიახრახნა. იარაღებს თავი მოუყარა. ნომრის გასაღები მაგიდაზე დადო. ელვაშესაკრავიან ჩანთაში გადაჭრილლულიანი იარაღი და ინსტრუმენტები ჩაალაგა. ჩანთა გადაიკიდა და კეისს ხელი დაავლო. ოთახში ყველაფერი ძველებურად დატოვა და ქუჩაში გავიდა.

ჩიგური მანქანაში იჯდა, დაშვებული ფანჯრითა და მუხლებზე მიმღების ყუთით ნელა მიდიოდა მოტელის ოთახებს შორის. ავტოსადგომის ბოლოს მისულმა მოუხვია და უკან დაბრუნდა. შეჩერდა. რემჩარჯერი უკან დახია. მერე ისევ დაამუხრუჭა. ბოლოს ადმინისტრატორის ოთახთან გააჩერა მანქანა და შიგ შევიდა.

კედლის საათი ღამის თორმეტ საათსა და ორმოცდაორ წუთს უჩვენებდა. ტელევიზორი ჩართული იყო და დახლთან მჯდომ ქალს ისეთი სახე ჰქონდა თითქოს ეს-ესაა გააღვიძესო.

დიახსერ, თქვა ქალმა, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

ოფისიდან გასულმა ჯიბეში ნომრის გასაღები ჩაიდო. რემ-ჩარჯერით შენობას შემოუარა და კუთხეში გააჩერა. მანქანიდან გადავიდა და თავისი ოთახისკენ წავიდა. ხელში ეჭირა ჩანთა გადამცემის ყუთით და იარაღი. ჩანთა საწოლზე დააგდო. ფეხსაცმელი გაიხადა და წინდებით გავიდა დერეფანში. სიგნალის მიმღები აკუმულატორთან ერთად და იარაღი ხელში ჩაებღუჯა. იარაღი თორმეტკალიბრიანი ავტომატური რემინგტონი იყო პლასტმასის სამხედრო ყაიდის კონდახითა და პარკერიზებული ლულით. იარაღს ქარხნული მაყუჩი ჰქონდა — დაახლოებით ფუტის სიგრძის და ლუდის ქილის სისქის. ჩიგურმა ოთახებს ჩამოუარა. თან სიგნალს უსმენდა.

მერე თავის ოთახში დაბრუნდა და გამოღებულ კარში დადგა. ოთახს ავტოსადგომის ლამპიონის თეთრი სინათლე ანათებდა. სააბაზანოში გავიდა და სინათლე აანთო. მერე მთელ ნომერს შემოუარა თან კარგად იმახსოვრებდა ჩამრთველების მდებარეობას. ისევ მისაღებში დაბრუნდა და იქაურობას თვალი მოავლო. დაჯდა და ფეხსაცმელი ჩაიცვა. ავზი მხარზე გადაიკიდა. რეზინის მილის ბოლოში მოქცეული პნევმატური პისტოლეტი ხელში დაიჭირა და ოთახიდან გავიდა. შეგულებული ნომრისკენ მიდიოდა.

კართან დადგა და ცოტა ხანს მიაყურადა. მერე პნევმატური იარაღიდან საკეტს ესროლა და კარი წიხლით შეაღო. მწვანე გუაიაბერეში გამოწყობილი მექსიკელი საწოლიდან წამოხტა და პატარა ავტომატს ხელი სტაცა. ჩიგურმა სამჯერ ისე სწრაფად ესროლა მხოლოდ ერთი გასროლის ხმა მოისმა. საწოლის საზურგე და კედელი მექსიკელის სისხლმა და ტვინმა მოსვარა. რაღაც ყრუ და უცნაური ხმა მოისმა. თითქოს ვიღაცამ კასრში ჩაახველა. ჩიგურმა ჩამრთველს ხელი ჩამოჰკრა და სწრაფად გახტა გარეთ. ცოტა ხანს შენობის კედელს ზურგით მიყრდნობილი იდგა. სულ ერთი წამით შეიხედა ოთახში. სააბაზანოს კარი

წინა შესვლაზე დახურული იყო. ახლა ღია დახვდა. ჩიგურმა ოთახში შეაბიჯა და ორჯერ ესროლა სააბაზანოს კარს, ერთხელ კი გვერდითა კედელს და მერე ისევ გარეთ გახტა. სადღაც შენობის ბოლოს სინათლე აინთო. ჩიგური იდგა და ელოდა. მერე ისევ ოთახში შეიხედა. სააბაზანოს ჩამოგლეჯილი კარი ანჯამებზე კონწიალობდა. იატაკის ვარდისფერ ფილებზე სისხლის ვიწრო ზოლი მიიკლაკნებოდა.

შემართული იარაღით შეაბიჯა ოთახში და კიდევ ორჯერ ესროლა სააბაზანოს კედელს. პირსაბანთან კაცი ჩაკეცილიყო. AK-47 ხელში ეჭირა. მკერდსა და ყელში დაჭრილი სისხლისგან იცლებოდა.

No me mate, ამოიხრიალა დაჭრილმა, no me mate.

ჩიგურმა უკან დაიხია პირსაბანის კერამიკული ნაწილები რომ არ მოხვედროდა და პირდაპირ სახეში ესროლა.

მერე ნომრიდან გავიდა და ცოტა ხანს ტროტუარზე იდგა. გარშემო არავინ ჩანდა. უკან დაბრუნდა და ოთახი გაჩხრიკა. ტანსაცმლის კარადაში და საწოლის ქვეშ შეიხედა. ტუალეტის მაგიდის ყველა უჯრა იატაკზე დააპირქვავა. ისევ სააბაზანოში შეიხედა. თაროზე მოსის დატოვებული H&K-ის საპარსი იდო. სისხლით მოსვრილი ლანჩები ხალიჩაზე შეიწმინდა. დადგა და ყურადღებით მიიხედ-მოიხედა. უეცრად თვალში სავენტილაციო მილის ცხაური მოხვდა.

სასთუმალთან დამაგრებული სანათი კედლიდან გამოაძრო და მავთული გამოგლიჯა. ტუალეტის მაგიდაზე ასულმა სანათის ლითონის ფეხით სავენტილაციო მილის გისოსი ჩამოგლიჯა. მილის მტვრიან ძირზე ზოლების კვალი მოჩანდა. მაგიდიდან ჩამოხტა და მცირე ხანს ჩაფიქრებული იდგა. სააბაზანოს კედელზე მიყრდნობისას სისხლით მოსვრილი პერანგი გაიხადა. სააბაზანოში წყალი მოუშვა და დაიბანა. ერთ-ერთი პირსახოცით გაიმშრალა. მერე იგივე პირსახოცი წყალში დაასველა და ფეხსაც-

მლისა და შარვლის ტოტების წმენდას შეუდგა. ოთახში წელზე-ვით შიშველი შებრუნდა. ხელში პერანგი ეჭირა. ფეხსაცმლის ლანჩები კიდევ ერთხელ შეაწმინდა ხალიჩას. ოთახს თვალი უკანასკნელად მოავლო და მოტელი დატოვა.

როდესაც ბელი მეორე დილით კაბინეტში შევიდა მაგიდას-თან მჯდომმა ტორბერტმა თავი ასწია, მის მაგიდასთან მივიდა და ფურცელი დაუდო.

ის არის? იკითხა ბელმა.

დიახსერ.

ბელი საზურგეს მიაწვა და კითხვა დაიწყო. საჩვენებელ თითს ნელა ისვამდა ქვედა ტუჩზე. მერე ანგარიში მაგიდაზე დადო. ტორბერტისთვის არ შეუხედავს.

ვიცი რაც მოხდა, თქვა მან.

კარგია.

ყოფილხარ ოდესმე სასაკლაოზე?

დიახსერ. როგორც მახსოვს კი.

მაშინ შენც უნდა იცოდე რა მოხდა.

ბავშვობაში ვარ ნამყოფი.

ბავშვის წასაყვანად მშვენიერი ადგილია.

როგორც მახსოვს ჩემით შევიპარე. მალულად.

ძროხებს როგორ კლავენ?

რაღაც კონვეიერის მსგავსია რომელზეც სათითაოდ აჭყავთ ძროხები. მის თავში უროიანი კაცი დგას და თავში ურყამს ცხო-ველებს. და მთელი დღე ასე გრძელდება.

დაახლოებით ასეა. მაგრამ ახლა ცოტა სხვანაირად ხდება. პნევმატურ პისტოლეტს იყენებენ. ეს იარაღი მეტალის ჭანჭიკს ისვრის. მაგრამ ახლოდან ესვრიან. იარაღს პირდაპირ თვალებს შორის უმიზნებენ. სასხლეტს გამოჭკრავენ და ცხოველი უსუ-ლოდ ეცემა. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება.

ტორბერტი ცოტა ხანს შერიფის მაგიდასთან იდგა. ელოდებოდა კიდევ რას იტყოდა მაგრამ ბელი დუმდა. კიდევ ცოტა ხანს იდგა. მერე თავისი მაგიდისკენ წავიდა.

ჯობდა არ მოგეყოლათ, თქვა მან.

მესმის, უპასუხა ბელმა. იქამდე მივხვდი ამას ვიდრე იტყოდი.

მოსმა იგლ-პასს ღამის ორ საათზე მიაღწია. გზის უმეტესი ნაწილი ტაქსის უკანა სავარძელზე ეძინა. მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა როდესაც მანქანამ გზატკეცილიდან მეინ-სტრიტზე შეუხვია და სვლა შეანელა. ფანჯრიდან რძისფრად განათებულ ლამპიონებს უყურებდა. მერე წამოჯდა.

ხიდზე გადავიდე? ჰკითხა მძღოლმა.

არა. მხოლოდ ცენტრში მიმიყვანეთ.

უკვე ცენტრში ვართ.

მოსი საზურგეს იდაყვებით დაეყრდნო და წინ გაიხედა.

იქ წინ რა არის?

მავერიკის ოლქის სასამართლო.

არა. მაგის გვერდით აბრიანი შენობა.

სასტუმრო იგლი.

იქ ჩამომსვით.

მძღოლს შეთანხმებისამებრ ორმოცდაათი დოლარი გადაუხადა. ჩანთითა და კეისით სასტუმროს კიბეები აიარა და ჰოლში შეაბიჯა. პორტიე ისე იდგა დახლთან თითქოს მის შესვლას ელოდა.

თანხის გადახდის შემდეგ მოსმა გასაღები ჯიბეში ჩაიდო და ძველი სასტუმროს დერეფანს გაუყვა. სამარისებური სიჩუმე იდგა. ბნელოდა. თავისი ნომერი მოძებნა და კარი გააღო. თხელი ფარდებიდან ოთახში ლამპიონების სინათლე შემოდიოდა. ჩანთები საწოლზე დაალაგა და ისევ კართან მიბრუნდა. სინათლე აანთო ძველებური ჩამრთველით — შუაში ხელის დასაჭერი ღილაკით. საუკუნის დასაწყისის მუხის ავეჯი იდგა. ყავისფერი კედ-

ლები. სტანდარტული შენილის ქსოვილის გადასაფარებელი საწოლზე.

საწოლზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. მერე ადგა და ფანჯრიდან ავტოსადგომს გადახედა. სააბაზანოში გასულმა ჭიქაში წყალი ჩაასხა და ისევ საწოლზე ჩამოჯდა. წყალი მოსვა და ჭიქა სასთუმალთან მდგარი ტუმბას მინის ზედაპირზე დადგა.

ჯანდაბა, აქამდე როგორ ვერ მივხვდი! წამოიძახა მან.

კეისი გახსნა და ფულის შეკვრების სათითაოდ საწოლზე ამოლაგება დაიწყო. როდესაც მთლიანად დაცალა შეამოწმა კეისს ორმაგი ძირი და კედლები ხომ არა აქვსო. მერე შეკვრების შემოწმება დაიწყო. დაახლოებით მესამედის კეისში ჩაწყობის შემდეგ გადამცემი მოწყობილობა აღმოაჩინა. ერთ-ერთი შეკვრის შუაგულში ზიპოს სანთებელის ზომის ბურთულა იპოვა. შეკვრაზე შემოკრული ლენტი მოხსნა და ბურთულა ხელში შეათამაშა. მერე სასთუმალთან მდგარი ტუმბას უჯრაში ჩადო. შუაში ამოჭრილი დოლარები ტუალეტში გაიტანა და უნიტაზში ჩაუშვა. მერე წყლით ჩარეცხა. იმავე შეკვრის მთელი კუპიურები ჯიბეში შეინახა. ფულის დანარჩენი შეკვრები კეისში ჩაალაგა. კეისი სკამზე დადო. იჯდა და მისჩერებოდა. კარგა ხანს იჯდა და ბევრ რამეზე ფიქრობდა. მაგრამ ერთი აზრი მოსვენებას არ აძლევდა და ისევ და ისევ ამოტივტივდებოდა ხოლმე მის გონებაში. დასრულდა მხოლოდ იმის იმედად ყოფნა რომ იღბალი გაუმართლებდა.

ჩანთიდან გადაჭრილი იარაღი ამოიღო და საწოლზე დადო. ტუმბაზე ნათურა აანთო. კართან ნათურა ჩააქრო. საწოლზე წამოწვა და ჭერს მიაშტერდა. კარგად იცოდა რაც მოხდებოდა. არ იცოდა მხოლოდ როდის. სააბაზანოში გასულმა პირსაბანის თავზე ნათურა აანთო და სარკეში ჩაიხედა. ცხელ წყალში პირსახოცი დაასველა და სახე და კისერი დაიზილა. სინათლე გამორთო და საწოლთან დაბრუნდა. უკვე გაითავისა ის აზრი რომ სიცოცხლის ბოლომდე უსაფრთხოდ თავს ვეღარ იგრძნობდა.

მხოლოდ საკუთარ თავს ეკითხებოდა შეეგუებოდა თუ არა ამას. საერთოდ შესაძლებელი კია ამგვარ ცხოვრებას შეეგუო?

ჩანთიდან ყველაფერი გადმოყარა და შიგ მხოლოდ იარაღი ჩადო. მერე ჩანთითა და კეისით ხელში ქვემოთ ჩავიდა. მექსიკელი პორტიე რომელმაც სასტუმროში დაარეგისტრირა ჭაღარა გამხდარ კოლეგას შეეცვალა. თხელი თეთრი პერანგი ეცვა და ჰალსტუხი-პეპელა ეკეთა. სიგარეტს ეწეოდა და ჟურნალ რინგს კითხულობდა. სიგარეტის კვამლისგან თვალებს ჭუტავდა. მოსს არცთუ ისე კეთილგანწყობილად შეხედა.

რა გნებავთ, სერ?

თქვენი ცვლა ახლა დაიწყო?

დიახ, სერ. დილის ათ საათამდე ვიმორიგეევებ.

მოსმა ასდოლარიანი დახლზე დადო. პორტიემ ჟურნალი დაუშვა.

რაღაც უნდა გთხოვოთ რაც სრულებით არ არის უკანონობა, თქვა მოსმა.

რა არის კანონიერება თქვენგან მაინტერესებს ამის მოსმენა, უპასუხა პორტიემ.

აქ შეიძლება ვინმე გამოჩნდეს ვინც მეძებს. მხოლოდ ის მინდა გთხოვოთ, თუ ვინმე სასტუმროში დასაბინავებლად მოვა ნომერში დამირეკეთ და შემატყობინეთ. შეგიძლიათ ამის გაკეთება?

ღამის პორტიემ სიგარეტი გამოიღო და ნეკა თითით საფერფლეში ჩააფერფლა. მერე მოსს შეხედა და უთხრა:

დიახსერ. ეს შემიძლია გავაკეთო.

მოსმა თავი დაუქნია და კიბეების ავლით თავის ნომერში დაბრუნდა.

ტელეფონს არ დაურეკავს. რაღაცამ გამოაღვიძა. წამოჯდა და მაგიდის საათს შეხედა. ხუთის ოცდაჩვიდმეტი წუთი იყო. ჩექმა ჩაიცვა. საწოლის ნაპირზე იჯდა სმენად გადაქცეული.

კართან მივიდა ყური მიადო და გაირინდა. ცალ ხელში იარაღი ეჭირა. მერე სააბაზანოში გავიდა. აბაზანის ფარდა გადასწია და შხაპი მოუშვა. ფარდა ჩამოაფარა. სააბაზანოდან გასულმა კარი გაიხურა.

ისევ კართან დადგა და მიაყურადა. ნეილონის ჩანთა კუთხეში მდგარ სკამზე დადო. სასთუმალთან სანათი აანთო. იდგა და ფიქრობდა. ტელეფონს რომ არ დაერეკა ყურმილი გადადო. საბანი ასწია და ბალიშები საწოლზე მიყარ-მოყარა. საათს შეხედა. ხუთის ორმოცდასამი წუთი იყო. ისევ ტელეფონს შეხედა. მერე ყურმილს მავთული გამოგლიჯა და ისევ აპარატზე დადო. კართან იდგა. თითი იარაღის სასხლეტზე ედო. მერე იატაკზე გაწვა და ყური კარის ძირში არსებულ ღრიჭოს მიადო. ქვემოდან ცივი ჰაერი უბერავდა. თითქოს სადღაც კარი გააღეს. რა შეგეშალა? რაღაც ისე არ გააკეთე მაგრამ რა?

საწოლს შემოუარა და მის ქვეშ შეძვრა. იარაღის ლულა კარს დაუმიზნა. იარაღის ასაწევი ადგილიც კი არ იყო. მტვრიან ხალიჩაზე მწოლიარეს გული გამალებით უცემდა. იწვა და ელოდებოდა. კარს ქვემოთ სინათლის ზოლში ორი ბნელი სვეტი გამოჩნდა. შემდეგ საკეტში გასაღების გადატრიალების ხმა გაიგონა. ძალიან ჩუმი ხმა იყო. კარი გაიღო. დერეფანი დაინახა. ცარიელი. ელოდებოდა. თვალის დახამხამებაც კი არ სურდა. მაგრამ დაახამხამა. ზღურბლზე სირაქლემის ტყავისგან დამზადებული ძვირადღირებული წყვილი ჩექმა გამოჩნდა. გაუთოებული ჯინსი. კაცი კართან იდგა. მერე ოთახში შევიდა. ნელა დაიძრა სააბაზანოსკენ. და სწორედ ამ დროს მოსი მიხვდა რომ სააბაზანოს კარს არ გააღებდა. ის შემობრუნდებოდა. და მისთვის უკვე გვიანი იქნებოდა. უკვე გვიანი კიდევ ერთი შეცდომის დასაშვებად. უკვე გვიანი საერთოდ რამისთვის და ის მოკვდებოდა. გააკეთე ეს, თქვა თავისთვის. სწორედ ახლა.

არ შემობრუნდე, გაისმა მოსის ხმა. შემობრუნდები და თავს წაგაცლი.

კაცი გაუნძრევლად იდგა. მოსი იდაყვებზე დაყრდნობილი საწოლის ქვეშიდან გამოხოხდა. იარაღი მისთვის ჰქონდა მიშვერილი. შემოსულს მხოლოდ წელამდე ხედავდა და არ იცოდა რით იყო შეიარაღებული.

იარაღი დააგდე, უბრძანა მოსმა. ახლავე.

იარაღი ხმაურით დაეცა იატაკზე. მოსი ფეხზე წამოხტა.

ხელები მაღლა, თქვა მან. კარს მოშორდი.

კაცმა ორი ნაბიჯი უკან გადადგა და გაჩერდა. ხელები მხრების სიმაღლეზე აწია. მოსმა საწოლს შემოუარა. შემოსული ათ ფუტზე მეტი სიმაღლის არ იქნებოდა. მთელი ოთახი თითქოს ნელა პულსირებდა მღელვარებისგან. ჰაერში უცნაური სუნი იდგა. უცხოური ოდეკოლონისას ჰგავდა. წამლის სუნსაც წააგავდა. ყურებს გუგუნი გაჰქონდა. მოსს გადაჭრილლულიანი იარაღი წელის სიმაღლეზე ეჭირა. თითი სასხლეტზე ედო. გაუთვალისწინებელი არაფერი უნდა მომხდარიყო. საკუთარ წონას ვეღარ გრძნობდა. თითქოს კი არ დადიოდა არამედ მიცურავდა. კაცს მისთვის არც კი შეუხედავს. უჩვეულოდ მშვიდი ჩანდა. თითქოს ასეთი რამ მის ცხოვრებაში ყოველდღიურად ხდებოდა.

უკან დაიწია. ცოტათი კიდევ.

კაცი დაემორჩილა. მოსმა მისი იარაღი საწოლზე დააგდო. სინათლე აანთო და კარი მიხურა.

შემობრუნდი, თქვა მოსმა.

კაცმა თავი მიატრიალა და შეხედა. ცისფერი თვალები. უშფოთველი. მუქი თმა. პირველი შეხედვისთანავე რაღაც უცნაურობა თვალში საცემი გახლდათ. ასეთს მოსი არასოდეს შეხვედრია.

რა გინდა?

კაცმა არაფერი უპასუხა.

მოსმა ოთახი გადაჭრა. საწოლის ფეხს ხელი ჩაავლო და საწოლი გვერდზე გასწია. იქ მტვერში კეისი იდო. მოსმა კეისი ასწია. კაცს ზედაც არ შეუხედავს. თითქოს თავისი ფიქრებით სადღაც სხვაგან იყო.

მოსმა სკამიდან ნეილონის ჩანთა მხარზე გადაიკიდა. საწოლიდან ლუდის ქილისხელა უზარმაზარი მაყუჩიანი იარაღი აიღო. კეისს ხელი დასტაცა.

გაინძერი, უთხრა ოთახში შესულს.

კაცმა ხელები დაუშვა და დერეფანში გავიდა.

ზუსტად კართან მოსმა სიგნალის მიმღების პატარა ყუთი დაინახა. იქვე დატოვა სადაც დაინახა. ისეთი გრძნობა ჰქონდა რომ იმაზე მეტად გაუმართლა ვიდრე მოსალოდნელი იყო. დერეფანს გაუყვა. გადაჭრილლულიანი იარაღი პისტოლეტივით ეჭირა ხელში და მოწინააღმდეგის წელზე ჰქონდა მიბჯენილი. უნდოდა ეთქვა ხელები მაღლა ასწიეო მაგრამ მიხვდა მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა როგორ ეჭირა კაცს ხელები. ნომრის კარი გამოღებული დატოვა. სააბაზანოში ისევ მოჩხრიალებდა წყალი.

კიბესთან მისული არ დაგინახო თორემ გესვრი.

კაცს ხმა არ გაუცია. მოსმა გაიფიქრა რომ შესაძლებელია მუნჯი იყო.

აქ გაჩერდი და ფეხი არ გადაადგა.

კაცი გაჩერდა. მოსმა კიბისკენ დაიხია. უკანასკნელად შეხედა კედლის სანათების მქრქალ ყვითელ სინათლეში მდგომს. მერე შებრუნდა და კისრისტეხით დაეშვა. სად გარბოდა არ იცოდა. ამდენი არ უფიქრია. სასტუმროს შემოსასვლელში დახლს უკან ჰაერში პორტიეს ფეხები მოჩანდა. მოსი არ შეჩერებულა. შემოსასვლელი კარი გააღო და კიბეები ჩაირბინა. ვიდრე მან ქუჩა გადაჭრა ჩიგური უკვე აივანზე იდგა.

მოსმა იგრძნო როგორ დაიქაჩა მხარზე გადაკიდებული ჩანთა. ღამის ქალაქის სიჩუმეში პისტოლეტის გასროლა ისე გაისმა როგორც ყრუ ტკაცანი. გაურკვეველი და სუსტი. მოსი დროულად შებრუნდა და ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე დამაგრებული სასტუმროს ნეონის აბრის სინათლეზე მეორე გასროლის ვარდისფერი ნათება შენიშნა. ვერაფერი იგრძნო. ტყვია პერანგს მოხვდა და წამის შემდეგ მხარიდან სისხლმა დაიწყო დენა. მეორე ტყვია ფერდში მოხვდა. წაიქცა მაგრამ მაშინვე ფეხზე წამოხტა. ჩიგურის იარაღი ქუჩაში დატოვა.

ჯანდაბა! წამოიძახა. როგორ ისვრის!

ბარბაცით გაირბინა კინოთეატრ აცტეკის წინ. როდესაც ბილეთების გასაყიდ ფანჯრებიან ჯიხურს გაუსწორდა ყველა ფანჯარა გასროლის შედეგად ჩამოიფშვნა. ხმა არც კი გაუგია. უეცრად შეტრიალდა და თავადაც გაისროლა. საფანტი მეორე სართულის ბალუსტრადას მოხვდა და რამდენიმე მინა ჩამოიღო. როდესაც შებრუნდა მეინ-სტრიტზე მომავალი მანქანის ფარების სინათლეში აღმოჩნდა. მანქანამ ჯერ სვლა შეანელა, შემდეგ ისევ წინ გაიჭრა. მოსმა ადამს-სტრიტზე შეუხვია. მანქანამ მეტისმეტად მკვეთრად მოუხვია და მოსრიალდა. საბურავებისგან ადენილ კვამლში გახვეული გაჩერდა. ძრავა ჩაქრა და მძღოლი მანქანის დაქოქვას შეეცადა. მოსი აგურის შენობისკენ ზურგით იდგა. მანქანიდან ორნი გადმოვიდნენ და ქუჩა გადაირბინეს. ერთმა მცირეკალიბრიანი ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. მოსმა მათ ორჯერ ესროლა, მერე კოჭლობით გაიქცა. გრძნობდა შარვლის უბეში როგორ იღვრებოდა სისხლის თბილი ნაკადი. ქუჩიდან დაქოქილი მანქანის ღმუილი მოისმა.

როცა გრანდ-სტრიტამდე მიაღწია მის ზურგს უკან უკვე საზარელი სროლის ხმა ისმოდა. სირბილისთვის ძალა აღარ ჰყოფნიდა. ქუჩის მეორე მხარეს მდებარე მაღაზიის ვიტრინაში საკუთარი თავი დაინახა — იდაყვი ფერდზე აქვს მიბჯენილი, მხარზე

ჩანთა ჰკიდია, ხელში იარაღი და კეისი უჭირავს. ბნელი და გაურკვეველი გამოსახულება. როდესაც კიდევ ერთხელ შეხედა უკვე ტროტუარზე იჯდა.

ეშმაკმა წაგიღოს ადექი, უთხრა საკუთარ თავს. იმას ნუ მოახერხებ რომ აქ ჩაძაღლდე. აეთრიე.

რაიან-სტრიტი გადაიარა. ჩექმებში სისხლის თქაფუნი ისმოდა. ჩანთის ელვა შესაკრავი გახსნა და შიგ იარაღი ჩადო. მერე ჩანთა დახურა და ისევ მხარზე გადაიკიდა. იდგა და ბარბაცებდა. ხიდისკენ წავიდა. სხეული სიცივემ აიტანა და აკანკალებდა. გულისრევის გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა.

ხიდის ამერიკულ მხარეს ვალუტის გასაცვლელი სალარო და ტურნიკეტიანი ავტომატი იდგა. ათცენტიანი ჩაუშვა და ვიწრო გასასვლელში აღმოჩნდა. თენდებოდა. მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მონაცრისფრო და მოღრუბლული განთიადი დგებოდა. ხსნა მეორე მხარეს იყო.

გზის ნახევარი გავლილი ჰქონდა როდესაც ახალგაზრდების ჯგუფი შემოხვდა. ოთხი ყმაწვილი იყო. სავარაუდოდ თვრამეტი წლისანი. ცოტათი ნასვამები.

მოსმა კეისი ტროტუარზე დადო და რამდენიმე ასდოლარიანი კუპიურა ჯიბიდან ამოიღო. ფული სისხლით იყო მოსვრილი. შეკვრა შარვალზე გაწმინდა და მერე ხუთასი დოლარი გადათვალა. დანარჩენი ჯიბეში ჩაიდო.

მაპატიეთ, თქვა მან. ლითონის მესერს მიეყუდა. მის უკან ასფალტზე აღბეჭდილი სისხლიანი ნაკვალევი ისე მოჩანდა როგორც არკადას თამაშში პერსონაჟის გავლილი კვალი.

მაპატიეთ.

ყმაწვილები ტროტუარიდან ჩავიდნენ მისთვის გვერდი რომ აექციათ.

მაპატიეთ, მინდოდა თქვენგან პალტო მეყიდა.

გვერდით ჩაუარეს და არ შეჩერებულან. მერე ერთ-ერთი მიუბრუნდა.

რამდენს გადაიხდი?

შენი არა, აი იმ ყმაწვილის პალტო მინდა. გრძელი.

დანარჩენებიც შეჩერდნენ და მათ შორის გრძელპალტოიანი ყმაწვილიც.

რამდენი?

ხუთას დოლარს მოგცემთ.

სულელობ.

წამო ბრაიან.

წამოდი ბრაიან. მთვრალია.

ბრაიანმა მეგობრებს შეხედა და მერე მოსს მიაჩერდა.ფული მაჩვენე.

ფული მაქვს.

მაჩვენე.

პალტო მომეცით.

წამო, ბრაიან.

ჯერ ეს ასიანი აიღე და პალტო მომაწოდე. დანარჩენს მერე მიიღებ.

კარგი.

ბიჭმა პალტო გაიხადა და მოსს გადასცა. მან ფული მიაწოდა.

ეს რა არის?

სისხლი.

სისხლი?

სისხლი.

ბიჭი იდგა და ხელში კუპიურა ეჭირა. სისხლით მოსვრილ თავის თითებს დასცქეროდა.

რა დაგემართათ?

დაჭრილი ვარ.

წამოდი, ბრაიან. ჯანდაბას მაგისი თავი.

მოიტა დანარჩენი ფული.

მოსმა კუპიურები გაუწოდა. მხრიდან ჩანთა მოიხსნა და მიწაზე დადო. გაჭირვებით ჩაეტია პალტოში. ყმაწვილმა ფული დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

მეგობრებს შეუერთდა და გზა განაგრძეს. ცოტა მანძილი რომ გაიარეს შეჩერდნენ. რაღაცაზე კამათობდნენ და თან მოსს უყურებდნენ. მოსმა პალტოს ღილები შეიკრა და ფული შიდა ჯიბეში გადაიტანა. მხარზე ისევ ჩანთა მოიგდო. კეისი აიღო.

უნდა იარო, უთხრა თავის თავს. მეორედ აღარ გამამეორებინო.

ყმაწვილები შებრუნდნენ და გზა გააგრძელეს. მარტო სამნი იყვნენ. მოსმა ხელისგულით თვალები მოიფშვნიტა. სცადა დაენახა მეოთხე სად გაქრა. მერე მიხვდა რომ თავიდანვე სამნი იყვნენ.

ყველაფერი გასაგებია, ჩაილაპარაკა თავისთვის. გადადგი ერთი ნაბიჯი. მერე მეორე.

როდესაც იმ ადგილს მიაღწია სადაც ხიდის ქვეშ მდინარე მიედინებოდა ცოტა ხანს იდგა და წყალს უყურებდა. წინ მექსიკის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი მოჩანდა. უკან მიიხედა. ხიდზე სამი ყმაწვილი აღარ იყო. აღმოსავლეთით ცა ხორბლისფრად შეფერადდა. ქალაქის გარშემო შავი გორაკები მოჩანდა. მის ფეხქვეშ ნელა მიედინებოდა თალხი წყალი. სადღაც ძაღლმა დაიყეფა. მერე ყველაფერი მიყუჩდა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

მდინარის ამერიკულ ნაპირზე მაღალი ლერწამი იზრდებოდა. ჩანთა მიწაზე დადო. კეისს ორივე ხელით ჩაეჭიდა და მესრის გადაღმა სადღაც კოსმოსში აისროლა.

ტკივილმა ლამის გონი დააკარგინა. ხელი ფერდზე ეჭირა. იდგა და უყურებდა როგორ გადატრიალდა კეისი ჰაერში. მერე სადღაც ლერწმიანში დაეშვა და გაუჩინარდა. მოსი ტროტუარზე

ჩაცურდა. თავით მავთულის მესერს მიჰყრდნობოდა. მის ქვემოთ თანდათან სისხლის გუბე გაჩნდა.

ადექი, უბრძანა საკუთარ თავს. ეშმაკმა წაგიღოს, ადექი.

სასაზღვრო-გამშვებ პუნქტამდე მისულს ჯიხურში არავინ დახვდა. ტურნიკეტი გადაატრიალა და კოაუილას შტატის ქალაქ პიედრას ნეგრასში აღმოჩნდა.

ცენტრალურ მოედანზე, ანუ zocalo-ზე პატარა პარკამდე მიაღწია. პარკის ევკალიპტების ტოტებზე შაშვები დახტოდნენ. ხეების ღეროები შეეთეთრებინათ და შორიდან ისინი თეთრ ბოძებად მოჩანდა. პარკის შუაში იყო რკინის gazebo, გადახურული ესტრადა ორკესტრისთვის. მოსი მოწყვეტით დაეშვა ლითონის სკამზე. ჩანთა გვერდით მიწაზე დააგდო. გაჭირვებით გადაიხარა წინ. ლამპიონების მკრთალი ნარინჯისფერი სინათლე. მერე ყველაფერს თითქოს ბურუსი გადაეფარა. პარკის გადაღმა ეკლესია მოჩანდა. ტოტებზე მოხტუნავე შაშვების ჭიკჭიკი ესმოდა და ახალი დღის დასაწყისს ხედავდა.

სკამს ხელით დაეყრდნო. გულისრევამ შეაწუხა.

აქ არ გაწვე, უთხრა თავის თავს.

მზე არ არის. მხოლოდ ნაცრისფერი განთიადი. სველი ქუჩები. დაკეტილი მაღაზიები. ლითონის დარაბები. მოხუცი ცოცხით ხელში ქუჩას მოუყვება. შეჩერდა. მერე მიუახლოვდა.

Señor, დაუძახა მოსმა.

Bueno, მიესალმა მოხუცი.

ინგლისური გესმით?

მოხუცი მოსს გამომცდელად შეაჩერდა. ცოცხის ტარი ორივე ხელით ეჭირა. მერე მხრები აიჩეჩა.

ექიმი მჭირდება.

მოხუცი ისევ იდგა. მოსმა თავს აიძულა და წამოდგა. სკამი სისხლით იყო მოსვრილი.

დაჭრილი ვარ, თქვა მან.

მოხუცმა მიიხედ-მოიხედა. ენა გააწკლაპუნა. ამომავალი მზისკენ გაიხედა. მერე ისევ მოსს შეხედა. შენობებისა და ხეების ფორმები ნელ-ნელა იკვეთებოდა. მოხუცი მოსს უყურებდა. მერე ნიკაპის დახმარებით სცადა მიენიშნებინა.

Puede andar? ჰკითხა მან.

რა?

Puede caminar?

რომ მიეხვედრებინა მოხუცმა ერთი ხელის თითები მეორის ხელისგულზე აამოძრავა.

მოსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მოეჩვენა რომ ბნელმა ტალღამ თავიდან ფეხებამდე დაფარა. დაელოდა როდის გადაუვლიდა.

Tiene dinero? მოხუცმა ცერი და საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა.

Si, თქვა მოსმა, Si.

ისევ წამოდგა. იდგა და ბარბაცებდა. ჯიბიდან ასდოლარიანების სისხლით მოსვრილი შეკვრა ამოიღო და ერთი კუპიურა მოხუცს გაუწოდა. მოხუცმა ფული დიდი მოწიწებით ჩამოართვა. მოსს შეხედა და მერე ცოცხი სკამზე მიაყუდა.

როდესაც ჩიგური სასტუმროს კიბეებზე დაეშვა და გარეთ გავიდა მარჯვენა ბარძაყზე სასტუმროს პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული. მას ჟალუზის თოკის გადანაჭერი ამაგრებდა. ნახვევი უკვე სისხლით გაჟღენთილიყო. ცალ ხელში პატარა ჩანთა ეჭირა და მეორეში პისტოლეტი.

კადილაკი გზაჯვარედინის შუაში იდგა. იქიდან სროლის ხმა მოისმოდა. ჩიგური საპარიკმახეროს შესასვლელს ამოეფარა. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ჯერისა და საფანტის თოფების სროლის ხმას შენობების ფასადებზე ასხლეტილი ტყვიების ზუზუნი ერთვოდა. ქუჩაში მყოფ მამაკაცებს შავი საწვიმრები და სპორტული ფეხსაცმელები ეცვათ. არ ჰგავდნენ

ისეთ ადამიანებს ქვეყნის ამ ნაწილში მათთან შეხვედრას რომ ელოდები. ისევ სასტუმროსკენ დაიხია და ზღურბლზე გადავიდა. იარაღი ბალუსტრადას დააყრდნო და ქუჩაში დამხვდურებისკენ გაისროლა.

ვიდრე ისინი გაარკვევდნენ საიდან ისროდნენ ჩიგურმა ერთი მოკლა და მეორე დაჭრა. დაჭრილი მანქანას ამოეფარა და სასტუმროს მიმართულებით ცეცხლი გახსნა. ჩიგური აგურის კედელს მიყრდნობილი იდგა და პისტოლეტში ახალ მჭიდს ათავსებდა. ტყვიებმა შესასვლელი კარის მინები და ფანჯრის საგდული ჩამოიღო. შესასვლელში სინათლე ჩაქრა. ქუჩაში საკმაოდ ბნელოდა და გასროლილი ტყვიის ტრაექტორიის დანახვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ჩიგურმა დროებითი ჩაწყნარებით ისარგებლა და ჰოლში შევარდა. მისი ლანჩების ქვეშ მინა ხრაშუნობდა. დერეფნის გავლით მეორე შესასვლელამდე კოჭლობით მიაღწია და ავტოსადგომზე გავიდა.

ქუჩა გადაჭრა და ჯეფერსონ-სტრიტს გაუყვა. შენობების ჩრდილოეთ კედელს მიუყვებოდა. შეხვეულ ფეხს მიათრევდა თუმცა ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად ევლო. მავერიკის საოლქო სასამართლოს შენობამდე ერთი კვარტალი იყო დარჩენილი. დრო რომ ძალიან ცოტა ჰქონდა კარგად ესმოდა. ქუჩაში მყოფებს სულ მალე სხვები შეუერთდებოდნენ.

კუთხემდე რომ მიაღწია ქუჩაში მხოლოდ ერთი ადამიანი იდგა. დაცხრილულ მანქანას ეფარებოდა. მანქანის მინების ნაწილი ჩამსხვრეულიყო და ნაწილიც ნაბზარებისგან გათეთრებულიყო. მანქანაში სულ მცირე ერთი გვამი იქნებოდა. კაცი სასტუმროს თვალს არ აცილებდა. ჩიგურმა იარაღი ასწია და ორჯერ ესროლა ზურგში. კაცი ქუჩაზე გაგორდა. ჩიგური შენობის კუთხეს ამოეფარა და იცდიდა. ხელში იარაღი ეჭირა ლულით ზემოთ. დილის გრილ ჰაერში საფანტის სუნი ტრიალებდა როგორც ფოიერვერკის დროს. ჩქამი არ ისმოდა.

ქუჩაში გავიდა და ერთ-ერთი დაინახა რომელსაც სასტუმროდან ესროლა. დაჭრილი ბორდიურისკენ მიფორთხავდა. ჩიგური უყურებდა. მერე ზურგში ესროლა. კიდევ ერთი გვამი მანქანის წინ ეგდო. ტყვია თავში მოხვედროდა. მისი სხეულის ქვეშ სისხლის მუქი გუბე იდგა. გვერდით იარაღი ეგდო მაგრამ ჩიგურს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მანქანას შემოუარა და იქ მწოლიარე კაცს ჩექმა წაჰკრა. მერე მისი ავტომატი აიღო. მოკლელულიანი უზი იყო ოცდახუთვაზნიანი მჭიდით. ჩიგურმა გვამის ჯიბეები გაჩხრიკა და კიდევ იპოვა სამი მჭიდი. მათგან ერთი სავსე იყო. მჭიდები ქურთუკის ჯიბეში ჩაიწყო და შეამოწმა უზის მჭიდში კიდევ ხომ არ იყო ჩარჩენილი ტყვიები. მერე ცარიელი მჭიდი მოისროლა და უკან ტროტუარისკენ გაეშურა. დაჭრილი მამაკაცი ზურგზე იწვა და უყურებდა. ჩიგურმა ქუჩას გახედა ჯერ სასტუმროს და მერე სასამართლოს შენობის მხარეს. პალმის მაღალი ხეები მოჩანდა. მერე მამაკაცს შეხედა. ის სისხლის გუბეში იწვა.

დამეხმარე, თქვა მან.

ჩიგურმა პისტოლეტი ამოიღო და დაუმიზნა. კაცს თვალებში უყურებდა. კაცმა თვალი აარიდა.

შემომხედე, უთხრა ჩიგურმა.

კაცმა შეხედა და ისევ აარიდა თვალი.

ინგლისური გესმის?

ჰო.

არ გაიხედო. მინდა მიყურებდე.

მანაც ჩიგურს შეხედა. ასევე ახალ დღეს რომელიც თენდებოდა. ჩიგურმა შუბლში ესროლა. მერე იდგა და უყურებდა როგორ უსკდებოდა კაპილარები თვალებში და შიგ სიცოცხლე ქრებოდა. მომაკვდავის თვალებში საკუთარი გამოსახულების გაქრობას ადევნებდა თვალს. მერე ჩანთას ხელი დაავლო. უზი მხარზე

გადაიკიდა. კოჭლობით გადაჭრა ქუჩა და სასტუმროს ავტოსად-
გომზე დატოვებული თავისი მანქანისკენ გაემართა.

V

აქ ჯორჯიიდან ჩამოვედით. მთელი ოჯახი. ცხენითა და ოთხთვალათი. ეს შესანიშნავად ვიცი. და კიდევ ბევრი რამ ჩვენი ოჯახის მძიმე ისტორიიდან. ამბობენ გამოგონილი ამბავი რჩება და სინამდვილე კი აღარავის ახსოვს რადგან ნამდვილი ამბავი გამოგონილთან ახლოსაც ვერ მივაო. მაგრამ არ მჯერა. ვფიქრობ როდესაც ტყუილებს მოჰყვებიან და დაავიწყდებათ მერე სწორედ ნამდვილი ამბავი რჩება. მას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. მისი შელამაზება ისევე შეუძლებელია როგორც მარილისთვის მარილიანობის მომატება. მას ვერაფერს მოუხერხებთ რადგან ისეთია როგორიც არის. ეს არის მთავარი. გაგონილი მაქვს რომ კლდეს ადარებენ — შესაძლოა ეს ბიბლიაში წერია — და არც კი მინდა ამ მოსაზრებას შევეკამათო. მაგრამ ჭეშმარიტება კლდის ჩამოშლის შემდეგაც რჩება. ალბათ ისეთი ადამიანებიც გამოჩნდებიან რომლებსაც ამის არ სჯერათ. სიმართლე ითქვას ასეთები უმრავლესობას წარმოადგენენ. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია რის სწამთ ასეთ ადამიანებს.

ყოველთვის ცდილობ საზოგადოების ცხოვრებას ფეხი აუწყო და მასში მიიღო მონაწილეობა. მაგალითად ყოველთვის დავდივარ სასაფლაოების დასასუფთავებლად — ეს მადლიანი საქმეა. ქალები ბალახზე პიკნიკს აწყობენ მაგრამ მთავარი ისაა რომ ისეთ საქმეს აკეთებ სხვა ადამიანებისთვის რომელსაც ისინი თავად ვერ შეასრულებენ. კარგი, ვაღიარებ რომ შეიძლება მათზე რაიმე ცინიკურად თქვა და ისურვო მკვდრები ღამღამობით არ დასეირნობდნენ. მაგრამ ვფიქრობ საქმე გაცილებით სერიოზულადაა. რასაკვირველია არსებობს თემი და არსებობს პატივისცემა, მაგრამ გარდაცვლილები ჩვენგან უფრო მეტს ითხოვენ. შესაძლოა ეს არ მოგვეწონოს თუმცა მათგან თავის დაღწე-

ვა არც ისე იოლია. ძალიან მომთხოვნები არიან. შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ რომ მათ თქვენი გაშვება არ სურთ. ასეთ შემთხვევაში სულ უმცირეს რამესაც კი დახმარების გაწევა შეუძლია მიცვალებულებისადმი პატივისცემის დასადასტურებლად.

ამას წინათ გაზეთებზე ვსაუბრობდი. წინა კვირას წავიკითხე ერთი კალიფორნიელი წყვილის შესახებ რომელიც მოხუცებულებს ოთახებს მიაქირავებდა ხოლმე. მერე მდგმურებს კლავდნენ და მათ გვამებს ეზოში მარხავდნენ. მოკლულთა სოციალური დაზღვევის თანხის მითვისება სურდათ. მაგრამ მოკვლამდე აწამებდნენ. არ ვიცი რატომ. იქნებ ტელევიზორი გაუფუჭდათ. აი რას წერენ გაზეთები. წავიკითხავ: მეზობლებმა განგაში მაშინ ატეხეს, როდესაც სახლიდან ძაღლის საყელურიანი შიშველი მამაკაცი გამოვარდა. ასეთ რამეს ვერასოდეს მოიფიქრებ. გარწმუნებთ ცდაც კი არ ღირს.

მხოლოდ ამის შემდეგ მიაქციეს ყურადღება ამ წყვილს. მანამდე სახლიდან ყვირილის ხმა რომ გამოდიოდა და ეზოში საფლავებს თხრიდნენ ამით არავინ შეწუხებულა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მეც კი ვიცინოდი როცა ვკითხულობდი. მეტი რა გზაა.

ოდესამდე სამი საათის გზა იყო და როდესაც ჩავიდა თითქმის უკვე ბნელოდა. გზაში რაციით შორ მანძილზე მოსიარულე ტრეილერების მძღოლების საუბრებს ისმენდა.

ეს კანონიერი საქციელია? გვეყოფა რა. ეშმაკმა იცის. ჩემი აზრით დანაშაულზე რომ წამესწრო ვიმოქმედებდი. გადასხვაფერებული დამნაშავე გამოვდივარ. აი ასეა, მეგობარო.

გზისპირა კაფეში ქალაქის გეგმა იყიდა და თავის გვერდით სავარძელზე გაშალა. ცალ ხელში პლასტმასის ჭიქით ყავა ეჭირა, მეორე ხელში ყვითელი მარკერი რომლითაც გასავლელი

მარშრუტი რუკაზე მონიშნა. მერე რუკა დაკეცა და სავარძელზე დადო. მანქანის სალონში სინათლე გამორთო და დაქოქა.

კარზე დაკაკუნებას შიგნიდან ლუელინის ცოლმა უპასუხა. როდესაც ქალმა კარი გააღო ქუდი მოიხადა და მაშინვე ინანა თავისი საქციელი. ქალმა შიშით პირზე ხელი აიფარა და კარის წირთხლს მიეყუდა.

მაპატიეთ მემ, თქვა მან. კარგად არის. თქვენს ქმარს არაფერი სჭირს. მხოლოდ თქვენთან სალაპარაკოდ მოვედი, თუ შეიძლება.

არ მატყუებთ?

არა მემ. არ გატყუებთ.

სანდერსონიდან ჩამოხვედით?

დიახ მემ.

ასე რატომ იქცევით?

თქვენი ნახვა მსურდა. თქვენი ქმრის შესახებ გასაუბრება.

აქ ვერ შემოგიშვებთ. დედაჩემს შიშით გული გაუსკდება. დამიცადეთ პალტოს ჩავიცვამ.

დიახ მემ.

კაფე სანშაინის შორეულ კუთხეში დასხდნენ და ყავა შეუკვეთეს.

იცით ახლა სად არის?

არ ვიცი. უკვე გითხარით.

მახსოვს.

ბელმა ქუდი მოიხადა და გვერდზე გადადო. თმა ხელით გაისწორა.

და არც არაფერი გაგიგიათ მასზე?

არა.

არც ერთი სიტყვა?

არც ერთი სიტყვა.

ოფიციანტმა თეთრი ფაიფურის მძიმე ფინჯნებით ყავა მოიტანა. ბელმა ყავას მოურია. მოურია და ჭიქიდან კოვზი ამოიღო. ყავიდან ამოსულ ვერცხლისფერ ორთქლს უმზერდა.

ფული რამდენი დაგიტოვათ?

ქალს ხმა არ ამოუღია. ბელმა გაიღიმა.

მაშ რისი თქმა გსურდათ? იკითხა ბელმა. შეგიძლიათ თქვათ.

შემიძლია ის გითხრათ რომ ეს თქვენი საქმე არ არის, უპასუხა ქალმა.

რა მოხდება ერთი წუთით დაივიწყოთ რომ შერიფი ვარ.

მაშ ვინ ხართ?

კარგად იცით რომ რთულ სიტუაციაშია.

ლუელინს კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია.

ჩემგან არაფერი ემუქრება.

აბა ვისგან?

ძალიან ცუდი ხალხისგან.

ლუელინი თავს არავის დააჩაგვრინებს.

შეიძლება კარლა დაგიძახოთ?

კარლა ჯინი მქვია.

კარლა ჯინი. ასე?

დიახ. მე რომ შერიფს გეძახით ხომ არ გწყინთ?

ბელმა გაიღიმა.

არა, თქვა მან. ყველაფერი რიგზეა.

კარგი.

კარლა ჯინ, ის ხალხი მოკლავს. არ მოეშვებიან.

არც ის მოეშვება. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

ბელმა თავი გააქნია. ყავა მოსვა. მოლიცლიცე ყავისფერ სითხეში აღბეჭდილი სახე კარგს არაფერს მოასწავებდა. საგნებმა თითქოს ფორმა დაკარგა და წინასწარ რაიმეს განჭვრეტა შეუძლებელი გახდა. ყავის ჭიქა მაგიდაზე დადგა და ახალგაზრდა ქალს შეხედა.

შეიძლებოდა მეთქვა რომ ეს დაეხმარება მაგრამ სინამდვილეში ასე სრულიადაც არ არის საქმე.

რას ვიზამთ, უპასუხა ქალმა. ის ყოველთვის ასეთი იყო. შესაძლოა სწორედ ამიტომაც გავყევი ცოლად.

მაგრამ უკვე დიდი ხანია მასზე არაფერი გსმენიათ.

არც ველოდი რომ შემეხმიანებოდა.

პრობლემები გქონიათ?

არ გვაქვს პრობლემები. როდესაც ისინი თავს იჩენს ვცდილობთ მოვერიოთ.

კარგია. ბედნიერი ხალხი ყოფილხართ.

დიახ. ვართ.

ქალმა შეხედა.

რატომ მკითხეთ?

პრობლემების ქონაზე?

პრობლემების ქონაზე.

უბრალოდ დამაინტერესა.

რამე ხომ არ მომხდარა ისეთი რაც თქვენ იცით და მე კი არა?

არა. მეც იგივე შეიძლება გკითხოთ.

განსხვავება ის არის რომ არ გიპასუხებდით.

დიახ.

თქვენ ფიქრობთ რომ მიმატოვა.

არ ვიცი. ასეა?

არა. ასე არ არის. მას კარგად ვიცნობ.

იცოდით როგორი იყო.

ახლაც ვიცი. ის არ შეცვლილა.

შეიძლება.

მაგრამ ამის არ გჯერათ.

სიმართლე გითხრათ ჯერ არ შემხვედრია ადამიანი რომელიც ბევრ ფულს არ შეეცვალოს. მეტიც, ასეთი ადამიანის

თაობაზე არც კი მსმენია. თუ ასე არ მოხდა თქვენი ქმარი პირველი იქნება.

ჰოდა იქნება პირველი.

მინდა დავიჯერო რომ მართლაც ასეა.

მართლა გაქვთ ამის იმედი?

დიახ. მაქვს.

რამე ბრალი აქვს წაყენებული?

არა. ბრალი არაფერში ედება.

მაგრამ ეს არ გამორიცხავს ბრალის მერე წაყენებას.

არ გამორიცხავს. შეიძლება ასეც მოხდეს. თუ „მერემდე“ იცოცხლა.

ჯერჯერობით ის ცოცხალია.

იმედი მაქვს ეს ფაქტი თქვენ უფრო გამშვიდებთ ვიდრე მე.

ბელმა ყავა მოსვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა. ქალს უყურებდა.

ფული პოლიციას უნდა ჩააბაროს, თქვა ბოლოს. ამის შესახებ გაზეთებში დაიწერება. იქნებ მერე თავი დაანებონ. თუმცა რასაკვირველია ეს გარანტია არ არის. მხოლოდ ვარაუდი. ეს მისთვის ერთადერთი შანსია.

ეს ისედაც შეგიძლიათ გაზეთებში დაბეჭდოთ.

ბელმა დაკვირვებით შეხედა.

არა, არ შემიძლია, თქვა ბოლოს.

ან არ გინდათ.

არც მინდა. რამდენია ფული?

არ ვიცი რის შესახებ მეკითხებით.

გასაგებია.

შეიძლება მოვწიო? იკითხა ქალმა.

მგონი ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა.

ქალმა სიგარეტს მოუკიდა და მერე სახე დარბაზისკენ მიაბრუნა კვამლი იქით რომ წასულიყო. ბელი უყურებდა.

თქვენი აზრით ეს ყველაფერი როგორ დამთავრდება? ჰკითხა ქალს.

არ ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს როგორი ბოლო ექნება. თქვენ იცით?

ვიცი როგორ არ დასრულდება.

და დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდნენ, რაღაც ამდაგვარი არა?

დიახ, რაღაც ამის მსგავსი.

ლუელინი ძალიან მოხერხებულია.

ბელმა თავი დაუქნია.

იქნებ ცოტა მეტი გენერვიულათ მასზე?

ქალმა ღრმა ნაფაზით მოსწია სიგარეტი. მერე ბელს მიაჩერდა.

შერიფო ზუსტად იმდენს ვნერვიულობ რამდენიც საჭიროა.

შეიძლება ვინმე მოკლას. ამაზე თუ გიფიქრიათ?

ამას არასოდეს იზამს.

ის ვიეტნამში იყო.

მე ვიგულისხმე როგორც სამოქალაქო პირი.

მოკლავს.

ქალს არ უპასუხია.

ყავა კიდევ გნებავთ?

ყავის მოყვარული არ ვარ. ეს ჭიქაც ზედმეტი იყო.

თვრამეტიოდე წლის ყმაწვილი მოლარე მინის დახლს დაყრდნობილი ჟურნალს კითხულობდა. ქალმა კაფეში მიმოიხედა. მაგიდებთან არავინ იჯდა.

დედაჩემს კიბო აქვს, თქვა ბოლოს ქალმა. დიდხანს ვეღარ იცოცხლებს.

სამწუხაროა.

დედას ვეძახი. სინამდვილეში ბებიაჩემია. მან გამზარდა და ბედმა გამიღიმა ის რომ მყავს. ბედმა გამიღიმა სრულად ვერც კი გამოხატავს იმას რის თქმაც მინდა.

დიახ მემ.

ლუელინი არასოდეს მოსწონდა. არ ვიცი რატომ. ამის რაიმე მიზეზი არ არსებობს. ლუელინი ყოველთვის კარგად ექცეოდა. მეგონა თავისი დიაგნოზის შესახებ რომ შეიტყობდა მასთან ერთად ცხოვრება უფრო გაუადვილდებოდა. მაგრამ სრულიად აუტანელი გახდა.

რატომ გადაწყვიტეთ მასთან ცხოვრება?

მასთან არ ვცხოვრობ. არც ასეთი სულელი ვარ. ეს დროებითია.

ბელმა თავი დაუქნია.

შინ უნდა დავბრუნდე, თქვა ქალმა.

გასაგებია. იარაღი გაქვთ?

დიახ მაქვს. თქვენ გგონიათ აქ სატყუარად ვარ ჩამოსული.

არ ვიცი.

მაგრამ მაინც გაიფიქრეთ.

არ ვარ დარწმუნებული რომ ეს ნორმალური მდგომარეობაა.

დიახ.

იმედი მაქვს მას დაელაპარაკებით.

უნდა ვიფიქრო ამაზე.

გასაგებია.

მირჩევნია მოვკვდე და სამუდამოდ ჯოჯოხეთში მოვხვდე ვიდრე ლუელინი გავცე. იმედი მაქვს ჩემი გესმით.

მესმის თქვენი.

ასეთ რაღაცეებს ვერ ვეგუები და არც მინდა შევეგუო.

დიახ მემ.

თუ ნებას დამრთავთ რაღაცას მოგიყვებით.

სიამოვნებით მოგისმენთ.

ალბათ ფიქრობთ რომ რაღაც განსაკუთრებული ვარ.

არა, ასე არ ვფიქრობ.

სკოლა რომ დავამთავრე თექვსმეტი წლის ვიყავი და სამუშაოდ უოლმარტში მივედი. ზუსტად არ ვიცოდი რა მინდოდა. ფული კი გვჭირდებოდა. ის მცირედიც კი რასაც იქ მიხდიდნენ. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს სულ სხვა რამის თქმა მინდა. ვიდრე სამუშაოზე გასვლის დღე გათენდებოდა ის სიზმარი ვნახე. სიზმარი ან ზმანება. როგორც ჩანს ვთვლემდი. მაგრამ ჩემთან მოვიდა სიზმარსა თუ ზმანებაში და მივხვდი ის იყო. უოლმარტში მომძებნიდა. მისი არც ვინაობა ვიცოდი და არც სახელი. არც გარეგნობა. იმას მივხვდი რომ როცა საჭირო იქნებოდა მოვიდოდა და ვიცნობდი. კალენდარი ავიღე და დღეებს აღვნიშნავდი. ისე როგორც პატიმრებმა იციან. იმას ვგულისხმობ რომ არ ვიცი ასე ხდება თუ არა ციხეში სინამდვილეში მაგრამ მგონია ამგვარად იქცევიან. ოთხმოცდამეცხრამეტე დღეს მოვიდა და სპორტული განყოფილება იკითხა. მივხვდი რომ ის იყო. მივასწავლე როგორ უნდა მოეძებნა. შემომხედა და წავიდა. მერე პირდაპირ ჩემთან მოვიდა და ბეიჯზე ჩემი სახელი წაიკითხა. შემომხედა და მკითხა სამუშაოს რომელ საათზე ამთავრებო. აი ასე მოხდა ყველაფერი. არც მაშინ და არც ახლა არავითარი ეჭვები არ გამჩენია. არც მომავალში შემაწუხებს ეჭვი.

კარგი ისტორიაა, თქვა ბელმა. იმედი მაქვს კარგი დასასრულიც ექნება.

ყველაფერი მართლაც ასე მოხდა.

ვიცი. დიდად ვაფასებ ჩემთან საუბარს რომ დათანხმდით. თავს აღარ შეგაწყენთ, უკვე გვიანია.

ქალმა სიგარეტი ჩააქრო.

ვწუხვარ ტყუილად რომ წამოხვედით ამხელა გზაზე.

ბელმა ქუდი დაიხურა.

რას ვიზამთ, თქვა მან. თქვენ რაც შეგეძლოთ ყველაფერი გააკეთეთ. ზოგჯერ ყველაფერი ისე მთავრდება როგორც ჩვენ გვინდა.

თქვენ მასზე მართლა წუხხართ?

თქვენს ქმარზე?

ჩემს ქმარზე, დიახ.

დიახ მემ, ასეა. ტერელის ოლქის მოსახლეობამ დამავალა მასზე ვიზრუნო. ეს ჩემი სამუშაოა. ხელფასს იმისთვის მიხდიან რომ საშიშროებას პირველი მე გავუმკლავდე. შეიძლება მომკლან კიდეც. მაგრამ მირჩევნია ვზრუნავდე.

მთხოვეთ თქვენი სიტყვებისთვის დამეჯერებინა. მაგრამ ასეთ რამეს მხოლოდ თქვენ ამბობთ.

ბელმა გაიღიმა.

დიახ მემ, თქვა მან. მარტო მე ვამბობ ასეთ რამეს. იმედი მაქვს იფიქრებთ იმაზე რაც გითხარით. არც ერთი სიტყვით არ გადამიჭარბებია ის საშიშროება რაც მას ემუქრება. თუ მოკლეს მთელი ცხოვრება ამ ტვირთით უნდა ვიარო. მაგრამ მისი დაცვა შემიძლია. მხოლოდ იმას გთხოვთ კარგად დაფიქრდეთ ყველაფერზე.

გასაგებია.

შეიძლება რაღაც გკითხოთ?

რასაკვირველია.

ვიცი რომ არ არის მიღებული ქალს ასაკი შეეკითხო მაგრამ ძალიან მაინტერესებს რამდენი წლის ბრძანდებით.

ყველაფერი რიგზეა. ცხრამეტის ვარ. უფრო ნაკლებისას ვგავარ.

რამდენი წელია რაც დაქორწინდით?

სამი. თითქმის სამი წელი.

ბელმა თავი დაუქნია. ჩემი ცოლი თვრამეტის იყო როცა შევუღლდით. ის-ის იყო თვრამეტის გახდა. მასზე დაქორწინება

ამართლებს ყველა სისულელეს რაც კი ცხოვრებაში ჩამიდენია. ასე მგონია კიდევ მაქვს ანგარიშზე ცოტა დარჩენილი. ვფიქრობ ამ საქმეს ჩემს სასარგებლოდ დავასრულებ. მზად ხართ?

ქალმა ჩანთა აიღო და წამოდგა. ბელმა ჩეკს ხელი მოაწერა. მერე ქუდი კიდევ ერთხელ შეისწორა და ქალი გაატარა. კარლა ჯინმა სიგარეტი ჩანთაში ჩადო და შეხედა.

რაღაც უნდა გითხრათ შერიფო. ცხრამეტი წლის ასაკში ადამიანი უკვე დიდია იმისათვის რომ მიხვდეს — თუ რაღაც მისთვის ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი შეიძინა აუცილებლად წაართმევენ. ამას თექვსმეტი წლისაც ხვდები. ჩემი აზრი ასეთია.

ბელმა თავი დაუქნია.

მეც ასეთი უცნაური აზრის ვარ კარლა ჯინ. ასეთი ფიქრები ჩემთვის უცხო არ არის.

ეძინა, გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა როდესაც ტელეფონმა დარეკა. სასთუმლის ტუმბაზე მდგარი ძველი საათის მანათობელ ციფერბლატს შეხედა და ყურმილი აიღო.

შერიფი ბელი გისმენთ.

დაახლოებით ორი წუთი უსმენდა. მერე თქვა:

მადლობას მოგახსენებთ რომ დამირეკეთ. დიახ. ეს ნამდვილი ომია. სხვა სახელი ამას არა აქვს.

დილის ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე იგლ-პასის შერიფის ოფისის წინ დაამუხრუჭა. ის და შერიფი კაბინეტში ისხდნენ და ყავას სვამდნენ. ერთად ათვალიერებდნენ სამი საათის წინ სამი კვარტლის დაშორებით გადაღებულ ფოტოებს.

ასეთ დღეებში სურვილი მიჩნდება ეს თანამდებობა დავტოვო, თქვა შერიფმა.

კარგად მესმის თქვენი, უპასუხა ბელმა.

გვამები ქუჩაში. ვიტრინებდალეწილი მაღაზიები. დაცხრილული მანქანები. სად გაგონილა ასეთი რამ?

შეიძლება გავიდეთ და ადგილზე ვნახოთ?

დიახ. შეგვიძლია.

ქუჩა ჯერ კიდევ შემოღობილი იყო თუმცა ცნობისმოყვარეების სიმრავლე არ შეინიშნებოდა. სასტუმრო იგლის ფასადი მთლიანად დაეცხრილათ ხოლო მინის ნამსხვრევებით ქუჩის ორივე მხარე იყო მოფენილი. კადილაკი მისაბმელით გაიყვანეს და მინის ნამსხვრევები მოხვეტეს. სისხლი მორეცხეს.

თქვენი აზრით სასტუმროში ვინ უნდა ყოფილიყო?

მექსიკელი ნარკოდილერები.

შერიფი იდგა და ეწეოდა. ბელი ქუჩას გაუყვა. მერე შეჩერდა. უკან დაბრუნდა. მისი ჩექმების ქვეშ მინა ხრაშუნობდა. შერიფმა სიგარეტით ქუჩისკენ მიუთითა.

ადამსის ქუჩისკენ თუ წახვალთ ნახევარი კვარტლის დაშორებით სისხლის კვალს წააწყდებით.

იმედი მაქვს თქვენკენ მოდის.

თუ ამისთვის ჭკუა ეყო კარგია. მე მგონი მანქანაში მსხდომები ჯვარედინ ცეცხლში მოყვნენ. ეტყობა სასტუმროს და მის გასწვრივ ქუჩას ესროდნენ.

შუა გზაჯვარედინზე მათ მანქანას რა უნდოდა?

წარმოდგენა არ მაქვს ედ ტომ.

სასტუმროსკენ მიდიოდნენ.

რომელი მასრები იპოვეთ?

ძირითადად ცხრამილიმეტრიანი და ცოტა საფანტი. კიდევ ბერსი-380-ის. ერთი თოფი და ორი ავტომატი ვიპოვეთ.

მთლიანად ავტომატური.

რა თქმა უნდა. რატომაც არა?

რატომაც არა.

კიბეები აიარეს. სასტუმროს ჰოლი მინის ნამსხვრევებითა და ხის ნაფოტებით იყო მოფენილი.

ღამის პორტიე მოკლულია. ვიტყოდი რომ საბრალოს არ გაუმართლა. ბრმა ტყვია მოხვდა.

სად აქვს ტყვია მოხვედრილი?

ზუსტად თვალებს შორის.

დახლთან მივიდნენ და გაჩერდნენ. ვიღაცას სახეზე ერთი-ორი პირსახოცი დაეფარებინა დახლის ქვეშ დაფენილ სისხლის გუბეზე მაგრამ პირსახოცები უკვე სისხლით იყო გაჟღენთილი.

ბრმა ტყვიას არ მოუკლავს, თქვა ბელმა.

ვისზე ამბობთ?

ღამის პორტიეზე.

ბრმა ტყვიას არ მოუკლავს?

არა სერ.

რას გულისხმობთ?

გვამის გაკვეთის შესახებ მოხსენებას რომ მიიღებთ მაშინ მიხვდებით.

რის თქმა გსურთ ედ ტომ? ბლეკ-ენდ-დეკერის სახრახნისით შუბლში ლუსმანი ჩააჭედეს?

რაღაც ამდაგვარი. თავად მიხვდებით ყველაფერს.

უკან სანდერსონში რომ ბრუნდებოდა წამოთოვა. ცოტა ხნით სასამართლოს შენობაში შეიარა და მოხსენება დაწერა. ვიდრე დაბნელდებოდა შინისკენ გაეშურა. როდესაც მანქანა სახლის ეზოში დააყენა ცოლმა სამზარეულოს ფანჯრიდან გამოიხედა. გაუღიმა. სახლიდან გამომავალ მყუდრო სინათლეზე ციდან მოფარფატე ფიფქები მოჩანდა.

მერე ორივენი პატარა სასადილო ოთახში ისხდნენ და ვახშმობდნენ. ცოლმა მუსიკა ჩართო, სავიოლინო კონცერტი. ტელეფონს არ დაურეკავს.

ყურმილი ხომ არ გადადე?

არა, უთხრა ცოლმა.

ესე იგი მავთულები გაწყდა.

ქალმა გაიღიმა.

როცა თოვს ყოველთვის ასე ხდება. მე მგონი ეს აიძულებს ადამიანებს შეჩერდნენ და ჩაფიქრდნენ.

ბელმა თავი დაუქნია.

იმედი მაქვს ქარბუქი იქნება.

გახსოვს ბოლოს როდის მოთოვა?

არა, არ მახსოვს. შენ?

მახსოვს.

როდის იყო?

ცოტა ხანში შენც გაგახსენდება.

ოჰ.

ქალმა გაიღიმა. ვახშმობდნენ.

არაჩვეულებრივია, თქვა ბელმა.

რა?

მუსიკა. ვახშამი. შინ ყოფნა.

შენი აზრით მართალი თქვა?

ჰო.

შენი აზრით ის ბიჭი ჯერ ისევ ცოცხალია?

არ ვიცი. იმედი მაქვს ასეა.

შეიძლება ამ საქმეზე მეტი ვერც ვეღარაფერი გაიგო.

შესაძლოა ასეც მოხდეს. მაგრამ ეს დასასრული არ იქნება, ხომ ასეა?

არა. ჩემი აზრით არა.

არ ღირს იმის იმედად ყოფნა რომ ისინი მუდმივად ერთმანეთის ხოცვაში იქნებიან. დადგება დრო და ერთი რომელიმე კარტელი მოწინააღმდეგეებს გაანადგურებს. მერე მექსიკის მთავრობას გაურიგდება. ამ საქმეში დიდი ფულია ჩარეული. სოფლელებს თავიდან მოიშორებენ. ეს მალე მოხდება.

შენი აზრით რამდენი წაიღო?

მოსმა?

ჰო.

ვინ იცის. ალბათ მილიონები. თუმცა ბევრი არა. რაკი ხელით ტარება შეიძლება.

ყავა ხომ არ გინდა?

დავლევდი.

ქალი წამოდგა. ბუფეტზე მდგარ ყავის მადუღარას საწური ამოაცალა. მადუღარა მაგიდამდე მიიტანა და სითხე ჭიქაში დაუსხა. მერე თავადაც მაგიდას მიუჯდა.

მთავარია ერთ საღამოს შენი გვამი არ მომიტანონ. ამას ვერ გადავიტან, თქვა ქალმა.

ვცდილობ ასე არ მოხდეს.

შენი აზრით დაურეკავს და წაიყვანს?

ბელმა ყავას მოურია. ცხელი კოვზი ცოტა ხანს ჭიქის თავზე ეჭირა, მერე ლამბაქზე დადო.

არ ვიცი, უპასუხა ცოლს. მხოლოდ ის ვიცი თუ ასე არ მოიქცა ნამდვილად სულელია.

ოფისი მეჩვიდმეტე სართულზე მდებარეობდა. ფანჯრიდან მთელი ჰიუსტონის ხედი მოჩანდა და კიდევ დაბლობი გემებისთვის განკუთვნილ არხამდე და დელტამდე. ასევე აირის ავზების ვერცხლისფერი სვეტები. დღის სინათლეზე გაფერმკრთალებულიყო აირის ჩირაღდნები. როდესაც უელსი გამოჩნდა მამაკაცმა უთხრა კარი დახურეო. არც კი მიბრუნებულა. უელსს სარკეში ხედავდა. უელსმა კარი მიხურა და ხელები წინ მუცელზე გადაიჯვარედინა. ასე დამკრძალავი ბიუროს დირექტორს ჰგავდა.

ბოლოს და ბოლოს მამაკაცი მისკენ შებრუნდა.

მითხრეს რომ ანტონ ჩიგურს სახეზე ცნობთ, მართალია?

დიახსერ. მართალია.

ბოლოს როდის ნახეთ?

გასული წლის ოცდარვა ნოემბერს.

როგორ ახერხებთ თარიღების დამახსოვრებას?

მოხერხება არ მჭირდება. თავისთავად მამახსოვრდება. რიცხვები და თარიღები.

კაცმა თავი დაუქნია. მაგიდასთან იჯდა. გაპრიალებული უჟანგავი ლითონისა და მუხის ხის მაგიდა სრულიად ცარიელი იყო. ზედ არც ფოტო იდო და არც ფურცელი. სრულიად არაფერი.

აქ უკონტროლო სროლა იყო. საქონელი დავკარგეთ და დიდი რაოდენობით თანხა.

დიახსერ. ყველაფერი მესმის.

ყველაფერი გესმით.

დიახსერ.

კარგია. სასიამოვნოა რომ ნათქვამს ყურადღებით ეკიდებით.

დიახსერ. მთელი ყურადღებით გისმენთ.

მამაკაცმა მაგიდის უჯრიდან ლითონის ყუთი ამოიღო, ყუთიდან კი პლასტიკური ბარათი. ყუთი დახურა და თავის ადგილზე შეინახა. ბარათი ორი თითით აიღო და უელსს შეხედა. უელსმა წინ გადადგა ნაბიჯი და გამოართვა.

როგორც მახსოვს საკუთარ ხარჯებს თავად იხდიდით.

დიახსერ.

ამ ანგარიშიდან ოცდაოთხ საათში მხოლოდ ათას ორასი დოლარის მოხსნა შეიძლება. ეს მეტია ვიდრე ადრინდელი ათასი.

დიახსერ.

ახლა მითხარით რამდენად კარგად იცნობთ ჩიგურს.

საკმარისად კარგად.

ეს არ არის სათანადო პასუხი.

რის გაგება გსურთ?

მამაკაცმა მაგიდაზე თითები ააკაკუნა. მერე უელსს შეხედა.

მასზე თქვენი აზრი მაინტერესებდა. ზოგადი. მოსაზრება უძლეველ მისტერ ჩიგურზე.

უძლეველი არავინაა.

ზოგიერთი არის.

ამას რატომ ამბობთ?

იმიტომ რომ სადღაც დედამიწაზე არსებობს ყველაზე უძლეველი ადამიანი. ისე როგორც ყველაზე დაუცველი.

ამის გჯერათ?

არა. ეს სტატისტიკაა. რამდენად საშიშია?

უელსმა მხრები აიჩეჩა.

რასთან შედარებით? შავ ჭირს თუ შევადარებთ? ცუდი უნდა იყოს რაკი მე მიხმეთ. ფსიქოპატი მკვლელია და მერე რა? ასეთები ჩვენ გარშემო რამდენიც გინდა იმდენია.

გუშინ იგლ-პასში ატეხილ სროლაში მონაწილეობდა.

სროლაში?

სროლაში. ქუჩებში მკვდრები ყრია. გაზეთებს არ კითხულობთ?

არა სერ. არ ვკითხულობ.

მამაკაცი უელსს მიაჩერდა.

უდარდელად ცხოვრობთ არა, მისტერ უელს?

სიმართლე გითხრათ ასე ვერ ვიტყოდი.

ჰო, თქვა კაცმა. კიდევ რა გაინტერესებთ?

მეტი არაფერი. დახოცილები პაბლოს ხალხია?

დიახ.

და ამაში დარწმუნებული ხართ?

ამ სიტყვას იმ მნიშვნელობით თქვენ რასაც გულისხმობთ არ გამოვიყენებდი. მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს რომ ასეა. ჩვენები არ უნდა ყოფილიყვნენ. რამდენიმე დღის წინ ორი კაცი მოკლა და ისინი კი ნამდვილად ჩვენები იყვნენ. აღარაფერს ვამბობ იმ სამზე რომლებიც იმ წყეული შეტაკების დღეს დავკარგეთ. ახლა გასაგებია?

გასაგებია. ვფიქრობ შევძლებ ამ საქმის მოგვარებას.

როგორც ადრე ვამბობდით იღბლიან ნადირობას გისურვებთ. ასე დიდი ხნის წინ ამბობდნენ.

გმადლობ სერ. შეიძლება რაღაც გკითხოთ?

რასაკვირველია.

სხვა დროს ლიფტით ამოსვლას შევძლებ?

ამ სართულზე ვერა. რატომ მეკითხებით?

უბრალოდ დამაინტერესა. უსაფრთხოების საკითხმა. ასეთი რაღაცეები მაინტერესებს.

ყოველი გამოძახების შემდეგ ლიფტი ახალ კოდს იღებს. შემთხვევითი ხუთციფრიანი კოდია. არ იბეჭდება. ტელეფონზე ნომერს ვკრეფ და ავტომატი კოდს წერს. მე კი გკარნახობთ. დაგაკმაყოფილათ პასუხმა?

ძალიან კარგი.

დიახ.

ქუჩიდან სართულები დავთვალე.

მერე?

ერთი სართული აკლია.

ამ ამბავს მივხედავ.

უელსმა გაიღიმა.

უკან გააგნებთ გზას? შეეკითხა კაცი.

დიახ.

ძალიან კარგი.

კიდევ ერთი რამ.

რა არის?

შეგიძლიათ პარკირების თანხა გამინაღდოთ?

მაგიდასთან მჯდომმა თავი ასწია.

იმედი მაქვს ხუმრობთ.

მაპატიეთ.

კარგად ბრძანდებოდეთ მისტერ უელს.

ნახვამდის.

როდესაც უელსი სასტუმროში მივიდა დანაშაულის ადგილის შემომზღუდავი ლენტები უკვე მოეხსნათ. დამსხვრეული მინა და ხის ნაფოტები გაეხვეტათ და ვესტიბიული კლიენტების მისაღებად ღია იყო. შესასვლელი კარის მინებისა და ორი ფანჯრის სანაცვლოდ ფანერები აეკრათ. დახლთან ძველის ნაცვლად ახალი პორტიე იდგა.

დიახსერ, თქვა მან.

ოთახი მჭირდება, უპასუხა უელსმა.

დიახ.

თუ შეიძლება მითხარით რამდენი ღამით.

შეიძლება ერთ დღე-ღამით.

პორტიემ ჟურნალი უელსისკენ გასწია და თავად დაფაზე გასაღებებს შეხედა. უელსმა ხელი მოაწერა.

მესმის რომ ამდენი შეკითხვებით დაიღალეთ მაგრამ მაინც მაინტერესებს თქვენს სასტუმროში რა მოხდა.

ამ თემაზე საუბრის უფლება არ მაქვს.

გასაგებია.

პორტიემ გასაღები დახლზე დადო. ნაღდი ფულით იხდით თუ საკრედიტო ბარათით?

ნაღდი ფულით. რამდენია?

თოთხმეტი დოლარი და გადასახადი.

რამდენია მითხარით. მთლიანობაში.

სერ?

მინდა ვიცოდე მთლიანად რამდენია თანხა. თქვენ სრულად უნდა დამისახელოთ გადასახადის ჩათვლით.

დიახსერ. თოთხმეტი დოლარი და სამოცდაათი ცენტი.

მუშაობდით როდესაც ეს მოხდა?

არა სერ. მხოლოდ გუშინ დავიწყე მუშაობა. ეს ჩემი მეორე მორიგეობაა.

მაშინ რატომ გეკრძალებათ საუბარი?

სერ?

თქვენი დრო როდის მთავრდება?

სერ?

სხვაგვარად შეგეკითხებით. მაინტერესებს თქვენი ცვლა როდის მთავრდება.

პორტიე ტანმაღალი და გამხდარი მამაკაცი იყო, შესაძლოა მექსიკელი ან შესაძლოა არა. მისი თვალები ცარიელ ვესტიბიულში რაღაცას მიაჩერდა. შესაძლოა დახმარებას ეძებდა სხვისგან.

ექვსზე დავიწყე, თქვა მან. ღამის ორამდე ვიმუშავებ.

ღამის ორზე ვინ მოვა?

მისი სახელი არ ვიცი. ადრე დღისით მუშაობდა.

ესე იგი ღამით როცა ეს მოხდა აქ არ ყოფილა. სხვა მორიგეობდა.

არ ყოფილა სერ. იმ დღეს დღისით მუშაობდა.

ის ვინც იმ ღამეს მორიგეობდა ის პორტიე სად არის?

ის ჩვენ შორის აღარ არის.

გუშინდელი გაზეთი ხომ არ გაქვთ?

პორტიე დაიხარა და დახლის ქვეშ უჯრა მოათვალიერა.

არა სერ, თქვა მან. ალბათ უკვე გადააგდეს.

კარგი. ნომერში გამომიგზავნეთ ერთი-ორი გოგონა, ვისკი და ცოტა ყინული.

სერ?

ვხუმრობ. ძალიან დაძაბული ხართ და უნდა მოდუნდეთ. აღარ დაბრუნებიან. შემიძლია გარანტია მოგცეთ.

დიახსერ. იმედი მაქვს ასე იქნება. სიმართლე რომ ვთქვა არც მინდოდა აქ მუშაობას დავთანხმებოდი.

უელსმა გაიღიმა და გასაღების საკიდით ორჯერ დააკაკუნა მარმარილოს ზედაპირიან დახლზე. მერე კიბეებისკენ გაემართა.

გაუკვირდა როდესაც ორივე ნომრის წინ ისევ პოლიციის გაბმული ლენტები დაინახა. თავის ნომერში შევიდა და ჩანთა სკამზე დადო. ნესესერი გამოიღო. სააბაზანოში გავიდა და შუქი აანთო. კბილები გაიხეხა და სახე დაიბანა. მერე ოთახში დაბრუნდა და საწოლზე გაწვა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა. სკამზე დადებული ჩანთა გვერდზე გადააბრუნა. მის ძირზე ელვაშესაკრავი გახსნა და იარაღის შესანახი ნატის ბუდე ამოიღო. საწოლზე წამოწვა და წათვლიმა. ბუდიდან ამოღებული იარაღი გვერდით ედო.

როცა გაიღვიძა თითქმის ბნელოდა. წამოდგა და ფანჯარასთან მისულმა ძველი მაქმანის ფარდა გადასწია. ქუჩას ლამპიონები ანათებდა. დასავლეთით ჩამუქებულ ჰორიზონტზე ღია წითელი ღრუბლები გაწოლილიყო. დაბალი სახურავები და უბადრუკი ხედი მოჩანდა. იარაღი ქამარში გაიჩარა და მის დასაფარად პერანგი გადმოუშვა. დერეფანში წინდების ამარა გავიდა. სულ თხუთმეტი წამი დასჭირდა მოსის ნომერში შესასვლელად ისე რომ პოლიციის გაბმული ლენტი არ დაეზიანებინა. კარი დახურა და ოთახში ჰაერი დაყნოსა. მერე ოთახი დაათვალიერა.

პირველ რიგში ყურადღებით დააკვირდა ხალიჩას. გადაადგილებული საწოლის ფეხებით დატოვებულ ჩაღრმავებებთან ჩაცუცქდა და ხალიჩის ხაოს მიმართულებას ყურადღებით დააცქერდა. მერე საწოლიდან ბალიშები აიღო, დაყნოსა და ადგილზე დადო. საწოლი ისევ შუა ოთახში დატოვა და ახლა ტანსაცმლის კარადა გამოაღო. ყურადღებით დაათვალიერა.

მერე სააბაზანოში გავიდა. პირსაბანის გარშემო საჩვენებელი თითი შემოატარა. ტანის სახეხი და პირსახოცი გამოიყენეს მაგრამ საპონი არა. თითი წაუსვა სააბაზანოს შიგნითა მხრიდან და შარვალზე შეიწმინდა. მერე სააბაზანოს ნაპირზე ჩამოჯდა და ფეხებს იატაკის ფილებს ურტყამდა.

მეორე 227-ე ნომერი იყო. შევიდა და კარი ფრთხილად მიხურა. მიმოიხედა და გაშრა. საწოლში აშკარად არავის დაუძინია. სააბაზანოს კარი ღია დახვდა. სისხლიანი პირსახოცი იატაკზე ეგდო. კარი მთლიანად გააღო. პირსაბანში სისხლიანი ხელსახოცები ეყარა. მეორე პირსახოცი არსად ჩანდა. სისხლიანი ხელის ანაბეჭდები. სისხლიანი ხელის ანაბეჭდი სააბაზანოს ფარდაზე.

იმედი მაქვს სადმე სოროში არ იმალები, ჩაილაპარაკა თავისთვის. თუ არადა დავალების შესრულება გამიძნელდება.

გამთენიისთანავე უკვე ქუჩებში მიაბიჯებდა და პირველ შედეგებს თავის გონებაში აჯამებდა. ქვაფენილი უკვე მოესუფთავებინათ მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლებოდა სისხლის ნაკვალევის გარჩევა იმ ადგილზე სადაც მოსი იდგა და დაიჭრა. უელსი ისევ მეინ-სტრიტზე დაბრუნდა და თავიდან გაუყვა გზას. მინის ნამსხვრევები წყალსადინარ თხრილებსა და ტროტუარების ნაპირებში ეყარა. ტროტუართან ჩამსხვრეული ან დაბზარულმინებიანი მანქანები ჩამწკრივებულიყო. სასტუმროს ჩასხვრეულ ფანჯრებზე ფანერა აეფარებინათ მაგრამ ფასადზე ჯერ ისევ მოჩანდა ნატყვიარები და კედლების სიახლოვეს ასხლეტილი ტყვიის ბურთულები. უკან, სასტუმროსკენ წავიდა და მის კიბეებზე ჩამომჯდარი ქუჩას გასცქეროდა. კინოთეატრ აცტეკის თავზე მზე ამოდიოდა. მეორე სართულის სიმაღლეზე მისი ყურადღება რაღაცამ მიიპყრო. სწრაფად წამოდგა და ქუჩა გადაჭრა. სახლის კიბეებს აუყვა. ფანჯრის მინაზე ორი ნატყვიარი მოჩანდა. კარზე დააკაკუნა და დაიცადა. მერე კარი გააღო და შევიდა.

ოთახი სიბნელეში ჩაძირულიყო. ლპობის სუნი იდგა. ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა ვიდრე თვალები სიბნელეს მიეჩვეოდა. მომცრო ოთახი იყო. შორეულ კედელთან პიანოლა ან პატარა ორღანი იდგა. კიდევ ტანსაცმლის კარადა. ფანჯარასთან მიმდგარ სარწეველა სავარძელში მოხუცი ქალი მოკუნტულიყო.

უელსი ქალს მიუახლოვდა და დააკვირდა. ტყვია შუბლში ჰქონდა მოხვედრილი და თავის ქალის ნახევარი წაცლილი. მასთან ერთად თავის ტვინიც, რომელიც უკვე შემხმარიყო სავარძლის საზურგეზე. მუხლებზე გაზეთი ედო და მისი ბამბის ქსოვილის კაბა სისხლს გაეშავებინა. ოთახში ციოდა. უელსმა მიიხედ-მოიხედა. მეორე ტყვია კედელზე ჩამოკიდებულ კალენდარს მოხვედროდა, რომელიც სამი დღის წინანდელ თარიღს უჩვენებდა. ამის არშემჩნევა შეუძლებელი იყო. ოთახის დანარჩენი ნაწილიც დაათვალიერა. მერე ჯიბიდან პატარა ციფრული ფოტოაპარატი ამოიღო და გარდაცვლილ ქალს რამდენიმე სურათი გადაუღო. კამერა ისევ ჯიბეში შეინახა.

ამას ვერც კი წარმოიდგენდი, ხომ ასეა ძვირფასო? უთხრა ქალს.

მოსს საავადმყოფოს პალატაში გაეღვიძა. მარცხნივ მდგარი საწოლისგან ფარდა ყოფდა. ფარდის იქით რაღაც ფიგურები მოძრაობდნენ. ესპანურ ენაზე ლაპარაკი ისმოდა. ამას ემატებოდა ქუჩიდან მომავალი ყრუ ხმაური. მოტოციკლის. ძაღლის. თავი გადააბრუნა და საწოლის გვერდით ლითონის სკამზე ჩამომჯდარ კაცს თვალებში შეხედა. მას ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

თავს როგორ გრძნობ? შეეკითხა ის კაცი.

უკეთ. ვინ ხარ?

ჩემი სახელი და გვარია კარსონ უელსი.

ვინ ხარ?

ვფიქრობ უნდა ხვდებოდე ვინც ვარ. ყვავილები მოგიტანე.

მოსმა თავი მიატრიალა. იწვა და ჭერს უყურებდა.

აქ რამდენია თქვენიანი?

ის შემიძლია გითხრა რომ მხოლოდ მე ვარ.

შენ.

დიახ.

და ის ყმაწვილი სასტუმროში რომ მოვიდა?

შეგვიძლია მასზე ვისაუბროთ.

მერე ილაპარაკე.

მისგან შენი დაცვა შემიძლია.

თავის დაცვას თავადაც შევძლებ.

არა მგონია.

შენი მოსაზრებები შენთვის დაიტოვე.

აკოსტას ხალხი რომ არ გამოჩენილიყო ასე იოლად თავს ვერ დააღწევდი.

იოლად ვერ დავაღწიე თავი.

პირიქით. ძალიან იოლად გამოძვერი.

მოსმა თავი მიატრიალა და კაცს შეხედა.

დიდი ხანია აქ ზიხარ?

დაახლოებით ერთი საათია.

ასე უბრალოდ ზიხარ.

ჰო.

სხვა საქმე არ გაქვს?

ჯერ ერთ საქმეს ვამთავრებ და მერე სხვას ვკიდებ ხოლმე ხელს, თუ ეს გაინტერესებს.

სულელურად გამოიყურები აქ რომ ზიხარ.

უელსმა გაიღიმა.

რა მოხდება ეგ ყვავილები რომ სადმე დადო.

კარგი.

წამოდგა და თაიგული სასთუმლის ტუმბაზე დადო. მერე ისევ სკამზე ჩამოჯდა.

ორი სანტიმეტრი რა არის თუ იცი?

ჰო. სიგრძის ერთეული.

დაახლოებით დუიმის სამი მეოთხედია.

მართალია.

სწორედ ამ მანძილით ასცდა ტყვია შენს ღვიძლს.

ექიმმა გითხრა?

ჰო. ღვიძლი რისთვისაა საჭირო ის თუ იცი?

არა.

ღვიძლი სხეულს სიცოცხლეს უნარჩუნებს. ვინც გესროლა იცი ვინ არის?

შეიძლება მას არც უსვრია. შეიძლება რომელიმე მექსიკელი იყო.

იმ კაცს რა ჰქვია თუ იცი?

არა. რატომ უნდა ვიცოდე?

იმიტომ რომ დიდად არ ეხატები გულზე. ადამიანები რომლებსაც ის ხვდება ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ. უფრო სწორად ვეღარ ცოცხლობენ.

მით უკეთესი მისთვის.

ყურს არ მიგდებ. ყურადღება უნდა მოიკრიბო. ეს კაცი არ გაჩერდება. ფულიც რომ მისცე მაინც არ გაჩერდება. მას ეს უცნაურობა ახასიათებს. რომ მიხვიდე და ფული მიუტანო თავს მაინც არ დაგანებებს და მოგკლავს. უბრალოდ იმიტომ რომ საზრუნავი გაუჩინე. ჩემი აზრით ფულს მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

მე მგონი მხოლოდ საზრუნავი არ გამიჩენია.

ამიხსენი რას გულისხმობ.

მე მგონი მოვარტყი.

რატომ გგონია?

მსხვილი საფანტი ვესროლე. დარწმუნებული ვარ ნასიამოვნები არ დარჩებოდა.

უელსმა სკამზე უკან გადაიწია და მოსს ინტერესით შეხედა.

შენი აზრით მოკალი?

არ ვიცი.

იმიტომ არ იცი რომ არ მოგიკლავს. ის მერე ქუჩაში გავიდა და მექსიკელები ამოხოცა. უკლებლივ ყველა. მერე სასტუმროში დაბრუნდა. თითქოს ქუჩაში გაზეთის საყიდლად გასულიყო.

ყველა არ დაუხოცავს.

დახოცა ყველა ვინც ცოცხალი იყო დარჩენილი.

ესე იგი შენი აზრით ვერ მოვარტყი?

არ ვიცი.

შენი ნათქვამი ამას ნიშნავს.

როგორც გსურს ისე ჩათვალე.

შენი ძმაკაცია?

არა.

მეგონა შენი ძმაკაცი იყო.

არაფერიც არ გეგონა. იმაზე რას იტყვი რომ ახლა შეიძლება ოდესისკენ მიდიოდეს?

ოდესაში რა დარჩენია?

შენი ცოლის მოსაკლავად.

მოსს ხმა არ ამოუღია. საავადმყოფოს უხეშ ზეწრებზე იწვა და ჭერს უმზერდა. ტკივილი გაძლიერდა და თითქმის აუტანელი გახდა.

წარმოდგენა არ გაქვს რას ლაპარაკობ, თქვა ბოლოს.

ერთი-ორი ფოტო მოგიტანე.

უელსი წამოდგა და ორი ფოტოსურათი მოსს საწოლზე დაუდო. მერე ისევ სკამზე დაჯდა. მოსმა ფოტოებს დახედა.

მერე რა? ჰკითხა უელსს.

დღეს დილით გადავიღე. ეს ქალბატონი იმ სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა რომელსაც შენ ესროლე. გვამი ჯერ კიდევ ბინაშია.

რაღაცას როშავ.

უელსი დაჟინებით მიაცქერდა. მერე თავი მიაბრუნა და ფანჯარაში გაიხედა.

შენ ამ საქმეში საერთოდაც შემთხვევით გაერიე, ხომ ასეა?

ჰო.

იმ მანქანებსაც შემთხვევით გადააწყდი.

არ ვიცი რაზე ლაპარაკობ.

საქონელი არ აგიღია?

რომელი საქონელი?

ჰეროინი. შენ არ აგიღია.

არა. არ ამიღია.

უელსმა თავი დაუქნია. ყურადღებით მიაჩერდა.

შეიძლება უპრიანი იყოს შეგეკითხო ახლა რას აპირებ.

ეს მე უნდა გკითხო.

არაფრის გაკეთებას არ ვაპირებ. იმიტომ რომ ჩემთან თავად მოხვალ. ადრე ან გვიან. სხვა არჩევანი არ გაქვს. ჩემი მობილურის ნომერს დაგიტოვებ.

რატომ გგონია რომ უბრალოდ არ მივიმალები?

იცი რამდენი ხანი დამჭირდა შენს მოსაძებნად?

არა.

დაახლოებით სამი საათი.

სხვა დროს შესაძლოა ასე აღარ გაგიმართლოს.

შეიძლება არა. მაგრამ ეს შენთვის სასიამოვნო ამბავი მაინც არ იქნება.

როგორც მივხვდი მასთან ერთად გიმუშავია.

ვისთან ერთად?

იმ ყმაწვილთან ერთად.

ჰო. იყო ასეთი შემთხვევა. მხოლოდ ერთხელ.

ვინაობა მითხარი.

ჩიგური.

სიგური?

ჩიგური. ანტონ ჩიგური.

იქნებ მას გავურიგდი?

უელსი წინ გადაიხარა. გადაჯვარედინებულთითებიანი ხელები მუხლებზე დააყრდნო.

ყურადღებით არ მისმენ, თქვა მან.

შესაძლოა არ გენდობი.

მენდობი.

ან მას თავად გავუსწორდები.

ძალიან გტკივა?

ცოტათი. ჰო.

ძალიან გტკივა. ეს კი საშუალებას არ გაძლევს ჩემს ნათქვამს ჩაუფიქრდე. მედდას დავუძახებ.

არ მჭირდება შენი ზრუნვა.

როგორც გინდა.

რა გამოდის რომ წყალწაღებული თავზეხელაღებულია?

არ მგონია ასეთი დახასიათება მიესადაგებოდეს.

მაშინ შენ დაახასიათე.

უელსი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

მე მგონი იმის თქმა შემიძლია რომ იუმორის გრძნობა არ გააჩნია.

ეს დანაშაული არ არის.

ამ თვალსაზრისით არ ვამბობ. სხვა რამის თქმა მინდა.

მითხარი.

მასთან გარიგება შეუძლებელია. კიდევ ერთხელ გიმეორებ. ფული რომც დაუბრუნო მაინც მოგკლავს. ამ პლანეტაზე ჯერ არ დადის ისეთი ადამიანი რომელმაც მას სიტყვა შეუბრუნა. ვინც ასე მოიქცა ყველა მკვდარია. ეს უბრალო ახირება არ გეგონოს. ის თავისებური ადამიანია. იმის თქმაც კი შემიძლია რომ საკუთარ პრინციპებს იცავს. ეს პრინციპები მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ფული ან ნარკოტიკი ან რაიმე სხვა.

და რატომ მიყვები ამ ყველაფერს?

თავად შემეკითხე.

რატომ მიყვები?

ვცდილობ გაგაგებინო ვისთან გაქვს საქმე. და ამით ჩემს საქმე ვიადვილებ. შენზე ბევრი არაფერი ვიცი. მაგრამ იმას კი ვხვდები ასეთი საქმეებისთვის არ გამოდგები. შენ გგონია რომ გამოდგები თუმცა ცდები.

ამასაც ვნახავთ.

ზოგიერთი ჩვენგანი ნახავს. ფულს რა უყავი?

ორი მილიონი ბოზებზე და ვისკიზე დაიხარჯა. დანარჩენი წვრილმანი ხარჯი იყო.

უელსს გაეცინა. სკამის საზურგეს მიეყდნო და ფეხი ფეხზე გადაიდო. ლუკეზეს ფირმის ძვირადღირებული ნიანგის ტყავის ჩექმა ეცვა.

შენი აზრით როგორ გიპოვა?

მოსს ხმა არ ამოუღია.

ამაზე თუ გიფიქრია?

ვიცი როგორც მიპოვა. მეტად ამას ვეღარ შეძლებს.

უელსს გაეღიმა.

დარწმუნებული ამბობ, თქვა მან.

ჰო. დარწმუნებული ვარ და იმიტომ.

სასთუმლის მაგიდაზე პლასტმასის ლანგარზე წყლიანი გრაფინი და ჭიქა იდგა. მოსმა ორივეს შეხედა.

წყალი ხომ არ გინდა? შეეკითხა უელსი.

რამე თუ მომინდა შენ უკანასკნელი იქნები ვისაც დახმარებას ვთხოვ.

ტრასპონდერი ჰქვია, თქვა უელსმა.

ვიცი რაც ჰქვია.

შენ საპოვნელად ეს ერთადერთი საშუალება არ არის.

ჰო. როგორ არა.

შეიძლება შენთვის სასარგებლო რამ მოგიყვე.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ რაც გითხარი. შენი დახმარება არ მჭირდება.

როგორ ფიქრობ აქ რატომ ვზივარ და გელაპარაკები?

ვიცი რატომაც.

მაინც რატომ?

გირჩევნია მე მელაპარაკო ვიდრე იმ ხისთავიანს.

ასეა. წყალს დაგისხამ.

ჯანდაბამდე გზა გქონია.

უელსი ისევ ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა. მოსმა შეხედა.

ამ ყმაწვილით ჩემი შეშინება გინდა. თავადაც არ გესმის რას ამბობ. თუ გინდა მაგ ყმაწვილს მოგაშორებ.

უელსს გაეღიმა. მხრები ოდნავ აიჩეჩა. ჩექმის წვერს დახედა. ფეხი ჩასწია და ჩექმის წვერი შარვალზე შეიწმინდა. მერე ისევ გადაიდო ფეხი ფეხზე.

რას აკეთებ?

რა?

სად მუშაობ?

პენსიაზე ვარ.

ადრე რას აკეთებდი?

შემდუღებლად ვმუშაობდი.

აცეტილენით? ინერტული აირით? აქტიური აირით?

ყველაფრით. ყველაფრით შემიძლია შედუღება.

თუჯისაც?

ჰო.

მირჩილვას არ ვგულისხმობ.

არც მე.

ფოლადისაც?

ხომ გითხარი ყველაფრის.

ვიეტნამში იყავი?

ჰო. ვიყავი.

მეც ვიყავი.

მერე რა? ახლა ძმაკაცებიც გავხდით?

სპეციალურ ნაწილებში ვმსახურობდი.

მე მგონი იფიქრე რომ შენს დანახვაზე შეშინებული ჩავისვრიდი.

ვიცე-პოლკოვნიკი ვიყავი.

იტყუები.

არა.

ახლა რას აკეთებ?

ხალხს ვეძებ. ვისაც ანგარიში აქვს გასასწორებელი. ასეთ საქმეებს ვაგვარებ.

დაქირავებული მკვლელი ხარ.

უელსს გაეღიმა: დაქირავებული მკვლელი.

რაც გინდა ის დაუძახე შენს თავს.

იმ ადამიანებს ვისთანაც ხელშეკრულებას ვდებ თავის გამოჩენა არ სურთ. არ უყვართ გახმაურებულ საქმეებთან იყოს მათი სახელი დაკავშირებული. გაზეთებში საკუთარი სახელის გაჟღერება არ სურთ.

ჰო, რა თქმა უნდა.

მათგან თავის დაღწევა შეუძლებელია. თუ ბედი გაგიღიმებს და ერთი-ორს გადაურჩები — ეს კი ძალიან საეჭვოა მოხდეს — მათ ადგილს სხვები დაიკავებენ. არაფერი შეიცვლება. აუცილებლად გიპოვიან. თავს ვერ დააღწევ. შენს ყველა უსიამოვნებას ისიც უნდა დაამატო რომ საქონელი გაქრა. ახლა ხვდები ვის ეძებენ? აღარაფერს ვამბობ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტოზე და სხვა დანარჩენ სამართალდამცავ სტრუქტურებზე. ყველას სიაში პირველ ნომრად ერთი და იგივე სახელია. ერთადერთი. ძვალი უნდა გადმომიგდო. სხვაგვარად შენი დაცვის არავითარი საბაბი არ მაქვს.

იმ ყმაწვილის გეშინია?

უელსმა მხრები აიჩეჩა.

უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით რომ ვერიდები.

ბელი არ გიხსენებია.

ბელი. მერე რა?

მასზე არც ისე დიდი წარმოდგენის ხარ.

საერთოდ არ ვფიქრობ მასზე. მიყრუებული ოლქის მიყრუებული ქალაქის გლეხუჭა შერიფი. მიყრუებულ შტატში. მოდი მედდას დავუძახებ. რაღაც ვერ გრძნობ თავს კარგად. აი ეს ჩემი მობილურის ნომერია. კარგად დაფიქრდი. იმაზე რაც ვილაპარაკეთ.

წამოდგა და სავიზიტო ბარათი სასთუმლის ტუმბაზე თაიგულის გვერდით დადო. მოსს შეხედა.

ახლა დარწმუნებული ხარ რომ არ დამირეკავ მაგრამ დარეკავ. ძალიან დიდხანს ნუ დააყოვნებ. ის ფული ჩემი კლიენტის საკუთრებაა. ჩიგური კი ბანდიტია. დრო შენს სასარგებლოდ არ მუშაობს. შეიძლება ფულის ნაწილი დაგიტოვოთ კიდეც. მაგრამ თუ ფულის წართმევა ჩიგურისთვის მომიწევს შენთვის ყველაფერი დამთავრებული იქნება. შენს ცოლზე აღარაფერს ვამბობ.

მოსს არაფერი უპასუხია.

კარგი. ალბათ მასთან დარეკვას მოისურვებ. მე რომ ველაპარაკე საკმაოდ აღელვებული ჩანდა.

როდესაც ოთახიდან გავიდა მოსმა ტუმბაზე დატოვებულ ფოტოებს შეხედა. ეს მოთამაშის ხელში არსებული ბანქოს შემოწმებას ჰგავს. წყლიან გრაფინს შეხედა მაგრამ ამ დროს მასთან მედდა მივიდა.

VI

ისე ეტყობა რომ ახალგაზრდობა დღეს უფრო მალე იზრდება. რატომ არ ვიცი. იქნებ სწორედ მაშინ ხდებიან ზრდასრულები როდესაც საჭიროა. ჩემი ერთი ნათესავი წესრიგის დამცველი თვრამეტი წლისა გახდა. იმ დროისთვის დაქორწინებული გახლდათ და შვილიც ჰყავდა. ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც ვიზრდებოდი იმავე ასაკში ბაპტისტური ეკლესიის მღვდლად აკურთხეს. სოფლის ძველი და პატარა ეკლესიის პასტორი გახდა. სამი წლის შემდეგ იქიდან ლაბოკში გადაიყვანეს და როდესაც მრევლს ეს აცნობა ეკლესიაში მყოფი დიდი და პატარა აქვითინდა. კაცებიცა და ქალებიც. ის აქორწინებდა, ნათლავდა და მარხავდა მათ. თავად ოცდაერთის იყო, შეიძლება ოცდაორის. მისი ქადაგების მოსასმენად მთელი სოფელი იკრიბებოდა. ეკლესია სავსე იყო და ხალხი ეზოშიც იდგა. ამან გამაოცა. ბავშვობაში თითქმის არ იღებდა ხმას. არმიაში ოცდაერთი წლისა წავედი და ლამის ყველაზე უფროსი გახლდით ჩემს სასწავლო ნაწილში. ექვსი თვის შემდეგ ადამიანების დასახოცად საფრანგეთში გამგზავნეს. მაშინ არც კი მიფიქრია რა სიგიჟე იყო ამგვარი ბრძანების გაცემა. ოთხი წლის მერე ამ ოლქის შერიფი გავხდი. ყოველთვის მტკიცედ ვიცოდი, ვინ მინდოდა გამოვსულიყავი. რაც უფრო მეტს ელაპარაკები ადამიანებს იმის შესახებ რა არის კარგი და რა ცუდი მით მეტად დაგცინიან. მაგრამ ასეთ რამეებში თავად ეჭვი არასოდეს შემიტანია. და ვიმედოვნებ არც არასდროს მოხდება ასეთი რამ.

ლორეტა ერთხელ მიყვებოდა რადიოში მოსმენილ ინფორმაციაზე ქვეყანაში ბავშვების რამდენი პროცენტის აღმზრდელია ბებია-ბაბუა. ზუსტი რიცხვი არ მახსოვს. საკმაოდ მაღალი იქნებოდა. მშობლებს შვილების აღზრდა აღარ სურთ. ამ თემაზე ვი-

ლაპარაკეთ. ერთმანეთს ვეკითხებოდით მათ შვილებს ვინღა გაზრდისო. ამ ბავშვების მშობლები ხომ ის ბებია-ბაბუები იქნებოდნენ რომლებსაც არ სურთ შვილიშვილები გაზარდონ. ამ კითხვას პასუხი ვერ გავეცით. ხანდახან მგონია რომ რაღაცეებს ვერ ვიგებ ან არ ვაქცევ ყურადღებას. მაგრამ ასეთი აზრები თავში იშვიათად მომდის. ზოგჯერ ღამღამობით გამეღვიძება და იმაზე ვფიქრობ რომ ერთადერთი რაც გამოგვაფხიზლებს ქრისტეს მეორედ მოსვლაა. მხოლოდ მას ძალუძს ამ გიჟური მატარებლის რბოლის შეჩერება. ვერ გეტყვით რა სარგებლობა მოაქვს უძილოდ წოლას და ამგვარად ფიქრს. მაგრამ რა ვქნა, ვწევარ და ვფიქრობ.

როდესაც ასეთი სამუშაო გაქვს დარწმუნებული ვარ უცოლოდ ყოფნა შეუძლებელია. თანაც სრულიად განსაკუთრებული ცოლის გარეშე. მზარეულიცაა, ციხის ზედამხედველიც და ლამის ყველაფერი. პატიმრებმა არც კი იციან როგორ გაუმართლათ. თუმცა შეიძლება ვცდები. მის უსაფრთხოებაზე არასოდეს მინერვიულია. მათ ყოველთვის აქვთ თითქმის მთელი წლის განმავლობაში ნაკვეთზე დაკრეფილი ახალი ხილი და ბოსტნეული. კარგი პური. პარკოსნები. სახელი აქვს განთქმული თავისი ჰამბურგერებით და შემწვარი კარტოფილით. წლების შემდეგ ისინი ბრუნდებიან დაოჯახებულები, ცხოვრება აწყობილი აქვთ. ზოგს მეუღლეებიც მოჰყავს. ბავშვებიც კი. ჩემ სანახავად კი არ ბრუნდებიან. ცოლებს და შეყვარებულებს ლორეტას აცნობენ და მერე ლამისაა აქვითინდნენ. ზრდასრული კაცები. ამის გამო უსიამოვნებებიც მომხდარა. მაგრამ მან კი იცის რასაც აკეთებს. ყოველთვის იცოდა. ჩვენი ციხის ყოველთვიური ბიუჯეტი არასოდეს გვყოფნიდა მაგრამ სხვა რა გზა იყო? ვერაფერს გააწყობ. ეს ის არის რაც უნდა გავაკეთოთ.

ჩიგური ავტომაგისტრალის 131-ე გზატკეცილთან გადაკვეთის ადგილზე გზიდან გადავიდა და მუხლებზე დადებული სატე-

ლეფონო წიგნი გადაშალა. სისხლით მოსვრილ ფურცლებს იქამდე ფურცლავდა ვიდრე ვეტერინარული აფთიაქების გვერდი არ მოძებნა. ერთი ბრეკეტვილის განაპირას მდებარეობდა, ამ ადგილიდან ნახევარი საათის სავალზე. პირსახოცშემოხვეულ ფეხს დახედა. პირსახოცი უკვე სისხლით იყო გაჟღენთილი და სკამის სავარძელზეც გაეჟონა. ცნობარი იატაკზე მოისროლა და ხელებით ჩაეჭიდა საჭეს. ასე იჯდა დაახლოებით სამ წუთს. მერე მანქანა დაქოქა და უკან ავტომაგისტრალზე გავიდა.

ლა-პრიორის გზაჯვარედინამდე მივიდა და ჩრდილოეთით უვალდისკენ გაუხვია. ფეხი ტუმბოსავით ფეთქავდა. უვალდის განაპირას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის კუთვნილი ვეტერინარული აფთიაქის წინ მანქანა გააჩერა. თოკი გახსნა და პირსახოცი მოიხსნა. მტკივანი ფეხის თრევით აფთიაქში შევიდა.

მთელი პაკეტი ვეტერინარული საშუალებები იყიდა. ბამბა ბინტი და წებოვანი სალბუნი. რეზინისბალონიანი შპრიცი და ერთი ბოთლი წყალბადის ზეჟანგი. წყვილი ქირურგიული მაშა. მაკრატელი. ოთხდუიმიანი ტამპონების რამდენიმე პაკეტი და ბეტადინის კვარტიანი ბოთლი. ფული გადაიხადა და მანქანაში დაბრუნდა. ცოტა ხანს ძრავაჩართულ მანქანაში საჭეზე ხელებდაწყობილი იჯდა და უკანა ხედვის სარკეში აფთიაქს უმზერდა. თითქოს ფიქრობდა რამე ხომ არ დამავიწყდაო. მაგრამ არაფერი დავიწყებია. პერანგის მანჟეტში თითები შეაცურა და მოიწმინდა ოფლის წვეთები რომლებიც შუბლიდან თვალებში ჩასდიოდა. მერე ავტოსადგომიდან გავიდა და ქალაქისკენ გაემართა.

მეინ-სტრიტი ჩაიარა და ჩრდილოეთით გეტის ქუჩაზე შეუხვია. იქიდან ნოპალზე გავიდა და მანქანა ავტოსადგომზე გააჩერა. ფეხიდან ისევ მოსდიოდა სისხლი. ჩანთიდან მაკრატელი და წებოვანი სალბუნი ამოიღო. ბამბის კოლოფის სახურავში სამი დუიმის რადიუსის წრე ამოჭრა. ბამბა და ლეიკოპლასტირი პე-

რანგის ჯიბეში ჩაიდო. სავარძლის ქვეშიდან ტანსაცმლის საკიდარი გამოიღო და მისი ბოლოები გაასწორა. ჩანთაში ძველი პერანგი მოძებნა და სახელო მოაჭრა. ისიც ჯიბეში ჩაიდო. კარი გააღო და მანქანიდან გადავიდა. დაჭრილ ფეხს ხელით ეშველებოდა. კარზე დაყრდნობილი კარგა ხანს იდგა. მერე თავი მკერდისკენ დახარა და კიდევ ერთ წუთს ასე იდგა. ბოლოს გაიმართა და მანქანის კარი მიხურა. ქუჩას გაუყვა.

მეინ-სტრიტზე აფთიაქის ავტოსადგომზე მანქანა იდგა. ამ მანქანას მიეყუდა და მიიხედ-მოიხედა. გარშემო არავინ ჩანდა. ბენზინის ავზს სახურავი ახადა. საკიდარზე მოჭრილი სახელო დაახვია, ავზში ჩადო და მერე ამოიღო. ბამბის კოლოფი წებოვანი სალბუნით მიამაგრა თავახდილ ბენზინის ავზზე. ზემოდან ბენზინში დასველებული ნაჭერი დაადო რომელსაც ცეცხლი წაუკიდა. მერე კოჭლობით გასწია აფთიაქისკენ. აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა და აფთიაქის ვიტრინის დიდი ნაწილი ჩამოიფშვნა.

ვიწრო ჭიშკარში შევიდა და აფთიაქის თაროებს ჩამოუარა. შპრიცების პაკეტი და ჰიდროკოდონის ტაბლეტები იპოვა. მერე პენიცილინის მოსაძებნად დაბრუნდა მაგრამ ვერ ნახა. სანაცვლოდ ტეტრაციკლინი და სულფადიმეზინი აიღო. წამლები ჯიბეებში ჩაიწყო. დახლს უკან გავიდა ხანძრის ნარინჯისფერი ალის ფონზე და ალუმინის ხელჯოხიც თან წაიყოლა. აფთიაქიდან უკანა კარით გავიდა. სიგნალიზაცია ჩაირთო თუმცა არავის ყურადღება არ მიუქცევია. ჩიგურს არც კი შეუხედავს აფთიაქის აალებული წინა ნაწილისთვის.

მანქანით ჰონდოს განაპირას მდებარე მოტელამდე მივიდა. ნომერი შენობის ბოლოში აიღო. კარი ჩაკეტა და ჩანთა საწოლზე მიაგდო. პისტოლეტი ბალიშის ქვეშ დამალა. მერე საabაზანოში გავიდა და კოოპერატივის ვეტერინარულ აფთიაქში შენაძენი პირსაბანში ჩაყარა. მაგიდაზე ამოალაგა ყველაფერი რაც

ჯიბეში ჰქონდა — გასაღები, პატარა დასაკეცი საფულე, ქილები ანტიბიოტიკებით და შპრიცები. სააბაზანოს კიდეზე ჩამომჯდარმა ჩექმა გაიხადა. აბაზანას გასასვლელი დაუცო და წყალი მოუშვა. გაიხადა და ფრთხილად ჩაჯდა აბაზანაში ვიდრე ის წყლით ივსებოდა.

ფეხი გალურჯებოდა და ძალიან გასივებოდა. როგორც ქვეწარმავლის ნაკბენის შემდეგ იცის. რბილი სახეხით ჭრილობა მოიბანა. ფეხი შეატრიალა და გამომავალ ჭრილობას დააკვირდა. ჭრილობაში ქსოვილის პაწაწინა ნაფლეთები ჩარჩენილიყო. შიგ ცერა თითი ჩაეტეოდა.

როდესაც ამოვიდა აბაზანაში მოვარდისფრო წყალი იდგა ხოლო ფეხიდან შრატში გახსნილი ვარდისფერი სისხლის ნაკადი მოსდიოდა. ჩექმები წყალში ჩაყარა. გაიმშრალა და უნიტაზის სახურავზე ჩამომჯდარმა პირსაბანიდან ბეტადინი და ბამბის ტამპონების პაკეტი აიღო. პაკეტი კბილებით გახსნა. ბეტადინის ბოთლს სახურავი მოხსნა და ბოთლი ჭრილობის თავზე დახარა. მერე ბოთლი იატაკზე დადო და საქმეს შეუდგა — ნაჭრის ნარჩენების ჭრილობიდან ამოღებას ქირურგიული მაშებისა და ტამპონების დახმარებით. ცოტა ხანს შეისვენა. პირსაბანში წყალი მოუშვა და მაშების ბოლოები წყალს შეუშვირა. მერე ისევ განაგრძო ჭრილობის გასუფთავება.

როდესაც დაასრულა ჭრილობა უკანასკნელად დაამუშავა სადეზინფექციო ხსნარით. ოთხდუიმიანი ტამპონების პაკეტი გახსნა და ჭრილობა დაფარა. ზემოდან ფართო, თხებისა და ცხვრების ჭრილობების შესახვევად განკუთვნილი ბინტი გადაახვია. წამოდგა და პირსაბანთან მდგარი პლასტმასის ჭიქით წყალი დალია. ჭიქა კიდევ ორჯერ შეავსო. მერე საძინებელში გავიდა. საწოლზე წამოწვა და ფეხი ბალიშებზე დადო. იმ ძალისხმევას რადაც ეს ყველაფერი დაუჯდა მხოლოდ ოფლით დაცვარული შუბლიმოწმობდა.

მცირე ხნის შემდეგ ისევ სააბაზანოში დაბრუნდა. ერთი შპრიცი პაკეტიდან ამოიღო და ნემსით გახვრიტა ტეტრაციკლინის ფლაკონის სახურავი. შპრიცი აავსო და სინათლეზე გახედა. ცერა თითს იქამდე აჭერდა დგუშს ვიდრე ნემსის წვერზე პატარა წვეთი არ გაჩნდა. შპრიცს ორჯერ მიარტყა თითი. დაიხარა და ნემსი მარჯვენა ფეხის ოთხთავა კუნთში ჩაირჭო, მერე დგუშს ნელა დააჭირა თითი.

მოტელში ხუთ დღეს დარჩა. ყავარჯნებით კაფეში ჩადიოდა საჭმელად და მერე ნომერში უკან ბრუნდებოდა. მთელი დღეები საწოლში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ერთსა და იმავე არხს. უყურებდა ყველაფერს. საპნის ოპერებით დაწყებული ახალი ამბებითა და თოქ-შოუებით დამთავრებული. დღეში ორჯერ საფენს იცვლიდა და ჭრილობას ინგლისური მარილით ასუფთავებდა. სვამდა ანტიბიოტიკებს. როდესაც პირველ დილას დამლაგებელმა ნომრის დასალაგებლად დააკაკუნა უთხრა რომ მისი მომსახურება არ სჭირდება. მხოლოდ პირსახოცებისა და საპნის მიტანა დაავალა. მერე ათდოლარიანი გაუწოდა. ქალმა ფული აიღო და ყოყმანით იდგა კართან. ახლა ყველაფერი ესპანურად უთხრა. ქალმა თავი დაუქნია და ფული წინსაფარში ჩაიდო. მერე თავისი ურიკა დერეფანში გააგორა. კარი ჩაკეტა და ცოტა ხანს ფანჯარასთან მდგომი ავტოსადგომს უყურებდა.

მეხუთე დღეს კაფეში სადილობდა როდესაც ვალდესის ოლქის შერიფის სამმართველოს ორი ოფიცერი შევიდა. მეზობელ მაგიდასთან დასხდნენ და ქუდები გვერდით მდგარ თავისუფალ სკამებზე დადეს. მერე ქრომირებული სადგამიდან აღებული მენიუები გადაშალეს და მის შესწავლას შეუდგნენ. ერთ-ერთმა მისკენ გაიხედა. ჩიგური ისე ადევნებდა მათ თვალს რომ არ შებრუნებულა. ოფიცრები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. მერე ერთ-ერთმა შეხედა. მათ მაგიდას ოფიციანტი მიუახლოვდა. ჩიგურმა ყავის სმა დაასრულა და წამოდგა. ფული მაგიდაზე დატო-

ვა და კაფედან გავიდა. ყავარჯნები ნომერში ჰქონდა დატოვებული და ახლა ძალიან ნელა მიაბიჯებდა. კაფეს ფანჯარას რომ ჩაურა ცდილობდა კოჭლობით არ ევლო. შენობის ბოლოს თავის ნომრამდე მივიდა და მერე შებრუნდა. ავტოსადგომის შორეულ კუთხეში გაჩერებულ რემჩარჯერს შეავლო თვალი. მას ვერც მოტელის ოფისიდან ხედავდნენ და ვერც რესტორნიდან. ჩიგური ნომერში დაბრუნდა. ჩანთაში საპარსი და იარაღი ჩადო. მერე ავტოსადგომი გადაჭრა და რემჩარჯერში ჩაჯდა. მანქანა დაქოქა. მოტელისა და მეზობელი ელექტრონიკის მაღაზიის ავტოსადგომების გამყოფი ზოლის გავლით გზატკეცილზე გავიდა.

უელსი ხიდზე იდგა. მდინარიდან მონაბერი ქარი ქვიშისფერ თმას უწეწავდა. შებრუნდა და ზურგით მესერს მიეყრდნო. თვალებთან პატარა იაფფასიანი ფოტოაპარატი მიიტანა და ისე გაიჩხაკუნა გადაღების ობიექტი არც აურჩევია. იმავე ადგილზე იდგა სადაც მოსი ოთხი ღამის წინ. ტროტუარზე სისხლის კვალს მიჰყვა. სადაც კვალი გაქრა გაჩერდა. ნიკაპზე მუჭმიდებული იდგა და ფიქრობდა. სურათი არ გადაუღია. გარშემო არავინ ჩანდა. მდორე მწვანე წყალს გახედა. წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მერე უკან დაბრუნდა. ხიდის სავალი ნაწილის გავლით მეორე ტროტუარზე გადავიდა. საბარგო მანქანამ გაიარა. ხიდმა მსუბუქი რხევით უპასუხა. ტროტუარზე გზა გააგრძელა და უეცრად შედგა. სისხლიანი ლანჩის მკრთალი ანაბეჭდი დაინახა. წინასთან შედარებით უფრო გაურკვეველი. მავთულის ღობეს დააკვირდა მასზე სისხლის კვალის საპოვნელად. მერე ჯიბიდან ამოღებული ცხვირსახოცი ნერწყვით დაასველა და ბადეს წაუსვა. იდგა და მდინარეს უყურებდა. ამერიკული საზღვრის გასწვრივ გზა გადიოდა. გზასა და მდინარეს შორის თითქმის გაუვალი ლერწმიანი ხარობდა. მდინარიდან წამოსული ქარი ლერწმებს ოდნავ არხევდა. თუ ფული მექსიკაში გადაიტანა ის სამუდამოდ დაკარგულია. მაგრამ ასე არ მოქცეულა.

უელსმა კიდევ ერთხელ დახედა ჩექმის ანაბეჭდებს. ხიდს რამდენიმე მექსიკელი უახლოვდებოდა. კალათებითა და საუზმის ყუთებით იყვნენ დატვირთულნი. უელსმა ფოტოაპარატი ამოიღო და ცის, ღრუბლის, მდინარის პეიზაჟის გადაღებას შეუდგა.

ბელი თავის კაბინეტში მაგიდასთან იჯდა და ჩეკებს ხელს აწერდა. მერე კალკულატორზე აჯამებდა. როდესაც დაასრულა საზურგეს გადააწვა და ფანჯრიდან სასამართლოს ფასადის საათს შეხედა.

მოლი, დაიძახა მან.

ქალი ზღურბლზე გაჩერდა.

იმ მანქანების რაიმე გაირკვა?

რაც შესაძლებელი იყო გავარკვიე შერიფო. მანქანების პატრონები გარდაცვლილები არიან. შევროლე-ბლეიზერის მეპატრონე სულაც ოცი წლის წინ მომკვდარა. მექსიკელების ბაზებში ხომ არ მოვძებნო?

არა. ღმერთმა დაგვიფაროს. აიღეთ თქვენი ჩეკები.

ქალმა მაგიდიდან ჩეკებით სავსე დიდი საქაღალდე აიღო და ხელში დაიჭირა.

ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტოდან ისევ დარეკეს. აგენტს გაესაუბრებით?

ვეცდები ამ საქმისგან თავი რაც შეიძლება შორს დავიჭირო.

თქვა იმ ადგილზე მისვლა კიდევ მსურსო და დაინტერესდა წაჰყვებით თუ არა.

ძალიან თავაზიანია. შეუძლია იქ წავიდეს სადაც მოესურვება. საბედნიეროდ აშშ-ის მთავრობის სათანადო რწმუნებულების მქონე აგენტია.

აინტერესებდა იმ მანქანებს რას უპირებთ.

ჰო. აუქციონზე გავყიდი. ოლქის ფულის მორიგი ნაწილი შეიძლება ითქვას ქარს გაჰყვა. ერთი მანქანის ძრავა მოპარულია.

იქნებ გროშების მოგროვება შევძლოთ. მისის მოსისგან არაფერი ისმის?

არა სერ.

გასაგებია.

სასამართლოს ფასადზე საათს შეხედა.

თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს. მინდა ლორეტას დაურეკოთ და უთხრათ რომ იგლ-პასში წავედი და მოგვიანებით თავად დავურეკავ. ახლა დარეკვა მეც შემიძლია მაგრამ ეჭვი მაქვს სახლში შევლას მთხოვს და მე კი ცდუნებას ვერ გავუძლებ.

გინდათ როცა გახვალთ მერე დავურეკო?

ჰო. ასე აჯობებს.

ბელმა სავარძელი უკან გასწია და წამოდგა. მერე საკიდიდან იარაღის ბუდიანი ქამარი ჩამოხსნა და მხარზე გადაიკიდა. შლაპა დაიხურა.

ტორბერტი როგორ ამბობს ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაზე?

ჩვენს ყოველ დღეს ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას ვწირავთ. რაღაც ამდაგვარია.

მე მგონი მეც უნდა დავიწყო ამ სიტყვების წარმოთქმა დღეში ორჯერ. ან სამჯერაც. ხვალ დილით შევხვდებით.

კაფესთან ყავის დასალევად შეჩერდა. თავისი მანქანისკენ მიდიოდა როდესაც ქუჩაზე პოლიციის საპატრულო პიკაპი გამოჩნდა. ნაცრისფერი მტვრით იყო დაფარული. ბელი შეჩერდა და თვალი გააყოლა. მერე თავის მანქანაში ჩაჯდა. მოატრიალა და პიკაპს აედევნა. აიძულა გაეჩერებინა. როდესაც მანქანიდან გადავიდა პიკაპის მძღოლი საჭეზე ხელებდადებული ელოდებოდა. საღეჭ რეზინას ღეჭავდა და კეთილგანწყობილი უდარდელობით უმზერდა. ბელმა ცალი ხელი მანქანას დაადო და მძღოლს შეხედა. მძღოლმა თავი დაუქნია.

შერიფო, თქვა მან.

თქვენს ტვირთს უკან შეხედეთ?

მძღოლმა სარკეში ჩაიხედა.

რამე პრობლემაა შერიფო?

ბელმა უკან გადადგა ნაბიჯი.

აბა გადმოდი, თქვა მან.

მძღოლმა კარი გააღო და მანქანიდან გადავიდა. ბელმა მანქანის ბოლოზე თავით ანიშნა.

ეშმაკმა იცის ეს რა არის, თქვა ბელმა.

მძღოლი მანქანის ბოლოსკენ წავიდა და შეხედა.

საფრის ერთი ბოლო მოშვებულა, თქვა მან.

მძღოლმა კარგად დაამაგრა ბრეზენტის ერთი ბოლო რომლითაც პოლიეთილენის ლურჯ პარკებში გახვეული და თოკებშემოკრული რვა გვამი იყო დაფარული. რვა გვამი იყო და ისე გამოიყურებოდნენ როგორც უნდა გამოიყურებოდეს პოლიეთილენის პარკში ჩაწყობილი გვამები.

რამდენია? იკითხა ბელმა.

არც ერთი არ დამიკარგავს, შერიფო.

საბარგო მანქანა ვერ გაგზავნეთ?

ყველგანმავალი საბარგო არ გვყავს.

მძღოლმა კარგად დაამაგრა ბრეზენტის კუთხე. ახლა იდგა და ელოდა.

გასაგებია, თქვა ბელმა.

ახლა ტვირთის ცუდად დამაგრების გამო დამაჯარიმებთ?

აქედან დამეკარგე.

მზის ჩასვლისას დევილ-რივერის ხიდსაც მიაღწია. ხიდის შუაში მანქანა გააჩერა და გადმოვიდა. მანქანას წინიდან შემოუარა და ალუმინის მესერს მიეყუდა. იდგა და დასავლეთით რკინიგზის ხიდის გადაღმა ლურჯ წყალში ჩამავალ მზეს უმზერდა. გრძელი შესახვევიდან გამოსულმა პოლიციის საპატრულო

პიკაპმა ხიდზე გამოვლისას სვლა შეანელა. მძღოლმა ფანჯრიდან თავი გადმოყო და დაუძახა:

არ იჩქარო, შერიფო. ამად არ ღირს.

მერე პიკაპი ქარმა თითქოს შეისრუტა. ძრავას ღრიალი შესუსტდა და მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა.

ბელმა გაიღიმა.

პირიქით, სწორედაც ღირს.

481-ე და 57-ე გზატკეცილების გადაკვეთის ადგილიდან ორიოდე მილის მოშორებით მგზავრის სავარძელზე დადებულმა მიმღებმა ერთი სიგნალი მისცა და მერე დადუმდა. ჩიგურმა მხარი გაატოკა და მერე მანქანა გააჩერა. ყუთს ხელი მოჰკიდა და ჯერ ერთ მხარეს მიაბრუნა მანქანა, მერე მეორე მხარეს. სიგნალი აღარ ისმოდა. ღილაკებს ჩამოუარა. ისევ არაფერი. მანქანა დაქოქა და გზა გააგრძელა. წინ აღმართული ცისფერი გორაკების მიღმა მზე ჩადიოდა. თითქოს ნელ-ნელა სისხლისგან იცლებოდა. მთელ უდაბნოზე ცივი ღამე ჩამოწვა. მზის სათვალე მოიხსნა და მანქანის უჯრაში შეინახა. ფარები ჩართო. ამ დროს ყუთიდან ნელი და გაბმული სიგნალი მოისმა.

მანქანა სასტუმროს უკან ავტოსადგომზე გააჩერა. ჩანთა აიღო რომელშიც სიგნალის მიმღები, თოფი და პისტოლეტი ეწყო. ავტოსადგომი კოჭლობით გადაჭრა და სასტუმროს კიბეზე ავიდა.

რეგისტრაციის გავლის შემდეგ თავისი გასაღებით ხელში მეორე სართულზე ავიდა. ნომრის კარი ჩაკეტა. საწოლზე წამოწოლილს ხელში თოფი ჩაებღუჯა და ჭერს მისჩერებოდა. ვერ მიხვდა რატომ მოდიოდა სიგნალი სასტუმროდან. მოსი გამორიცხა იმიტომ რომ თითქმის დარწმუნებული იყო მის სიკვდილში. დარჩა პოლიცია. ან მატაკუმბე პეტროლიუმ გრუპის რომელიმე აგენტი რომელმაც როგორც ჩანს ჩათვალა რომ ჩიგურის აზრით ყველა დანარჩენი იდიოტი იყო. ჩიგური ჩაფიქრდა.

როდესაც გაეღვიძა ღამის თერთმეტის ნახევარი იყო. სიბნელესა და სიჩუმეში მწოლიარემ იცოდა რომ პასუხი უკვე იპოვა. წამოდგა და თოფი ბალიშების ქვეშ დამალა. პისტოლეტი ქამარში გაირჭო და ნომრიდან კოჭლობით გავიდა. პორტიეს მაგიდისკენ გაეშურა.

პორტიე იჯდა და ჟურნალს კითხულობდა. ჩიგურის დანახვაზე ჟურნალი მაგიდის ქვეშ დადო და წამოდგა.

დიახსერ, თქვა მან.

სარეგისტრაციო ჟურნალის ნახვა მინდა.

პოლიციიდან ხართ?

არა.

ვწუხვარ მაგრამ ამას ვერ შევძლებ სერ.

როგორ არა შეძლებ.

უკან დაბრუნებული თავისი ნომრის კართან შეჩერდა და მიაყურადა. ნომერში შესულმა ბალიშების ქვემოდან თოფი გამოიღო. გადამცემის კოლოფს ხელი მოჰკიდა და იმ ნომრისკენ გაეშურა რომელიც პოლიციის ლენტებით იყო გადაღობილი. მიმღები კართან მიიტანა და ჩართო. ასევე მოიქცა მეორე დაბეჭდილი ნომრის კართანაც. მერე ისევ პირველ კართან მიბრუნდა. დაფიდან ჩამოხსნილი გასაღებით გააღო და კედელს აეკრა.

ავტოსადგომის ნაკვეთის წყალობით გზატკეცილზე მანქანების ხმაური ისმოდა თუმცა გადაწყვიტა რომ ფანჯარა დაკეტილი იქნებოდა. ჰაერის უმცირესი მოძრაობაც კი არ იგრძნობოდა. ნომერში სწრაფად შეიხედა. საწოლი კედლიდან გამოწეული იყო. სააბაზანოს კარი ღია. შეამოწმა შეყენებული იყო თუ არა ჩახმახი. მერე წირთხლს მიეყუდა.

ოთახში არავინ იყო. ანტენა გარშემო მიმოატარა და გადამცემი სასთუმლის ტუმბას უჯრაში იპოვა. საწოლზე ჩამოჯდა და ხელში ათამაშებდა. ლითონის პაწაწინა მბრწყინავი ნაჭერი სი-

დიდით დომინოს ქვას არ აღემატებოდა. ფანჯრიდან ავტოსადგომს გადახედა. ფეხი სტკიოდა. გადამცემი ჯიბეში ჩაიდო და მიმღები გამორთო. ადგა, ნომრიდან გავიდა და კარი ჩაკეტა. მეზობელ ნომერში ტელეფონმა დარეკა. ცოტა ხანს იდგა და ფიქრობდა. მერე მიმღები დერეფანში ფანჯრის რაფაზე დადო და ვესტიბიულში ჩავიდა.

უელსს იქ ელოდებოდა. სხვა ამგვარად არ მოიქცეოდა. კუთხეში მიდგმულ ტყავის სავარძელში იჯდა. იქიდან კარგად მოჩანდა შემოსასვლელი კარი და უკანა ოთახამდე მიმავალი დერეფანი. უელსი თორმეტის ნახევარზე გამოჩნდა. ჩიგური წამოდგა და კიბეზე აჰყვა. იარაღზე გაზეთი ეფარა რომელსაც მის მოსვლამდე კითხულობდა. კიბის შუაში უელსი შემობრუნდა. ჩიგურმა გაზეთი გადააგდო და იარაღი ასწია.

გამარჯობა, კარსონ.

უელსის ნომერში ისხდნენ. უელსი საწოლზე და ჩიგური კი ფანჯარასთან მდგარ სავარძელში.

ეს არ უნდა გააკეთო, თქვა უელსმა. მე დღისით მომუშავე ვაჭარივით ვარ. შემეძლო უბრალოდ შინ წავსულიყავი.

შეგეძლო.

მე კი ვალში არ დაგრჩებოდი. ბანკომატამდე მივიდოდით და მერე ერთმანეთს დავცილდებოდით. თოთხმეტი ათასს მოვხსნიდი.

არც ისე ცუდი გასამრჯელოა.

მეც ასე ვფიქრობ.

ჩიგურმა ფანჯარაში გაიხედა. მუხლებზე უელსისკენ მიშვერილი იარაღი ედო. მერე თქვა:

ჭრილობამ შემცვალა. ჩემი წარმოდგენა შეცვალა. ეს შეიძლება ითქვას ერთგვარი გარღვევაა. ისეთი რაღაცეები რაც ადრე არ მესმოდა ახლა უკვე გასაგებია ჩემთვის. მეგონა ვიგებდი მათ და სინამდვილეში არაფერიც არ მესმოდა. თითქოს საკუ-

თარ თავს დავეწიე. უკეთესად ამის გამოხატვა შეუძლებელია. ეს დიდი უბედურება არ ყოფილა. არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩამორჩენა.

ასეა თუ ისე გასამრჯელო კარგია.

არა უშავს. მაგრამ ცუდ ვალუტაშია.

უელსმა მათ შორის მანძილი თვალით გაზომა. გაფიქრებასაც კი არა აქვს აზრი. ოცი წლის წინ კიდევ შეიძლებოდა ეფიქრა. მაგრამ არც მაშინ ექნებოდა აზრი.

გააკეთე ის რაც უნდა გააკეთო, უთხრა მან.

ჩიგური უდარდელად გადაწვა სავარძელში. ნიკაპი მუშტზე ედო. უელსის ფიქრებს კითხულობდა. უკანასკნელ ფიქრებს. ასეთი რამ ადრეც უნახავს. უელსსაც უნახავს.

ეს ყველაფერი კი ადრე დაიწყო, თქვა ჩიგურმა. ოღონდ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი. აქ საზღვარზე მოვედი და ამ ქალაქის კაფეში დასანაყრებლად შევედი. კაფეში რამდენიმე კაცი ლუდს სვამდა და ერთი სულ მე მიყურებდა. ყურადღება არ მიმიქცევია. შევუკვეთე და ვსადილობდი. მაგრამ როდესაც ფულის გადასახდელად ავდექი მათი მაგიდის გვერდით ჩავიარე. მათ ჩაიღიმეს და იმ ერთმა ისეთი რამ თქვა რის მოთმენაც არ შეიძლებოდა. იცი რა გავაკეთე?

ვიცი რაც გააკეთე.

მისთვის არაფერი მითქვამს. ფული გადავიხადე და უკვე კარიდან გავდიოდი როდესაც ის სიტყვები კიდევ გაიმეორა. შევბრუნდი და მივაჩერდი. ზღურბლზე ვიდექი და კბილებს საჩიჩქნით ვისუფთავებდი. თავით ვანიშნე გარეთ გამოსულიყო. თუ უნდოდა. მერე ავტოსადგომზე ვიდექი და ველოდებოდა. თავის ძმაკაცებთან ერთად გამოვიდა. იქვე მოვკალი და ავტოსადგომზე დავტოვე. მანქანაში ჩავჯექი და წავედი. ძმაკაცები შემოეხვივნენ. ვერ მიხვდნენ რა მოხდა. ვერ მიხვდნენ რომ უკვე მკვდარი იყო. ერთმა თქვა რომ რაღაც ილეთით გავთიშე. მერე და-

ნარჩენებმაც იგივე გაიმეორეს. სახეზე ხელებს უტყაპუნებდნენ და ცდილობდნენ წამოესვათ. ერთი საათის შემდეგ შერიფის თანაშემწემ სოპორის ახლოს გამაჩერა. მას ნება დავრთე ქალაქამდე ხელბორკილით წავეყვანე. ძნელი სათქმელია ასე რატომ მოვიქეცი მაგრამ ალბათ მაინტერესებდა ნებისყოფის დაძაბვით გათავისუფლებას თუ მოვახერხებდი. იმიტომ რომ მჯერა ასეთი რამ ადამიანს ხელეწიფება. რომ ასეთი რამ შესაძლებელია. მაგრამ ეს სისულელე იყო. უაზრობა. გესმის ჩემი?

მესმის თუ არა?

ჰო.

წარმოდგენა თუ გაქვს რა მასშტაბის შეშლილი ხარ?

ჩვენი საუბრის ბუნების შესახებ ამბობ?

შენი ბუნების.

ჩიგური სავარძელში გადაწვა. უელსს გამომცდელად მიაჩერდა. მერე თქვა:

ერთი რამე ამიხსენი.

რა?

თუ პრინციპი რომელსაც შენ მისდევ ასე დასრულდა ამ პრინციპს რა აზრი აქვს?

ვერ ვიგებ რას ამბობ.

შენს სიცოცხლეზე ვლაპარაკობ. ის თითქოს ხელისგულზე დევს ისეთი ცხადია მასში ყველაფერი.

შენი ბოდვა სრულებით არ მაინტერესებს, ანტონ.

მეგონა აღსარებას მეტყოდი.

შენთვის აღსარების თქმას არ ვაპირებ.

მე არა. შენ გჭირდება აღსარება. მეგონა რამის თქმას მოისურვებდი.

ჯანდაბამდის გზა გქონია!@

მაკვირვებ, ეს არის და ეს. რაღაც სხვას ველოდი. წარუმატებლობას ეჭვის გაჩენა მოსდევს. არ ფიქრობ ასე?

გგონია ადგილს გაგიცვლიდი?

ჰო, მგონია. მე აქ ვარ და შენ კი მანდ. რამდენიმე წუთში მე ისევ აქ ვიქნები.

უელსმა ბნელ ფანჯარას შეხედა. მერე თქვა:

ვიცი კეისი სადაც არის.

რომ იცოდე უკვე გექნებოდა.

ღამეს ველოდებოდი გარშემო რომ არავინ ყოფილიყო. დაახლოებით ღამის ორი საათისთვის.

ესე იგი იცი ამჟამად სად არის.

ჰო.

მე კი რაღაც უკეთესი ვიცი.

რა?

სად იქნება.

სად იქნება?

მოიტანენ და ფეხებთან დამიდებენ.

უელსმა ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა.

შენთვის ეს ძნელი არ იქნება. აქედან ოცი წუთის სავალზეა.

იცი ახლა რაც მოხდება. ხომ ასეა?

უელსი დუმდა.

ხომ იცი?

ჯანდაბამდის გზა გქონია.

გგონია მზერით შემაკავებ.

რას გულისხმობ?

გგონია თუ თვალებში მიყურებ ამას ვერ გავაკეთებ.

ასე არ ვფიქრობ.

ფიქრობ როგორ არა. შენი მარცხი უნდა აღიარო. უფრო ღირსეული საქციელია. მე კი ვცდილობ დაგეხმარო.

ნაგავო.

გგონია თვალებს არ დახუჭავ. მაგრამ დახუჭავ.

უელსს არაფერი უთქვამს. ჩიგური უყურებდა.

ვიცი რასაც ფიქრობ, თქვა მან.

წარმოდგენა არ გაქვს რას ვფიქრობ.

იმას ფიქრობ რომ შენნაირი ვარ. რომ ყველაფრის მიზეზი სიხარბეა. მაგრამ შენნაირი არ ვარ. ძალიან მოკრძალებული მოთხოვნილებები მაქვს.

მიდი მესროლე.

შენ ამის გაგება არ გინდა. შენნაირი ადამიანი ვერ გაიგებს.

მიდი მესროლე.

ჰო, ყოველთვის ამას ამბობენ, თქვა ჩიგურმა. მაგრამ სინამდვილეში ამას სრულებით არ გულისხმობენ, ხომ ასეა?

ნაბიჭვარო.

ცუდია, კარსონ. დამშვიდდი. თუ პატივს არ მცემ შენს თავზე რაღას ფიქრობ? შეხედე სადამდე დაეშვი.

გგონია ყველაფერზე მაღლა ხარ, თქვა უელსმა. მაგრამ ასე არ არის.

არა ყველაფერზე. არა.

სიკვდილს არ აღემატები.

ჩემთვის ის იმაზე ნაკლებს ნიშნავს ვიდრე შენთვის.

გგონია სიკვდილის მეშინია?

ჰო.

მერე მესროლე. მიდი და წყეულიმც იყავი უკუნისამდე.

არა, ეს სხვა რამ არის, თქვა ჩიგურმა. უკვე დიდი ხანია შეგუებული ხარ და ახლა აი აქ ზიხარ. ვერ ვხვდებოდი რა დაგემართა. როგორ უნდა განსაზღვროს ადამიანმა სიცოცხლეს რა გზით დაასრულებს? ორივენი ერთ საქმეს ვემსახურებით. ორივენი პროფესიონალები ვართ. ნუთუ ასე გეზიზღებოდი? ეს რატომ გააკეთე? როგორ მიეცი თავს ნება ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილიყავი?

უელსმა ქუჩას გახედა. მერე იკითხა:

რომელი საათია?

ჩიგურმა მაჯა ასწია და საათს დახედა.

თერთმეტი საათი და ორმოცდაჩვიდმეტი წუთი.

უელსმა თავი დაუქნია.

ძველებური კალენდრით კიდევ სამი წუთი დამრჩენია. ჯანდაბა! ასე მგონია ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ უკვე ვნახე. თითქოს სიზმარი იყო. Déjà vu.

მერე ჩიგურს შეხედა.

არ მაინტერესებს ჩემზე რას ფიქრობ, განაგრძო უელსმა. გეყოფა ლაყბობა. ისროლე. წყეულო ფსიქოპათო. ისროლე და დაე ჯოჯოხეთში იხრუკებოდე.

და თვალები დახუჭა. თვალებდახუჭულმა თავი მიაბრუნა და ხელი ასწია თითქოს გარდაუვალისგან სურდა თავის დაცვა. ჩიგურმა სახეში ესროლა. ყველაფერი რაც ოდესმე უელსმა იცოდა ან უფიქრია ან უყვარდა ნელ-ნელა ჩამოიღვენთა კედელზე მის უკან. დედის სახე, პირველი ზიარება, ქალები რომლებიც უყვარდა. იმ მამაკაცების სახეები რომლებიც მის წინ დაჩოქილები კვდებოდნენ. სხვა ქვეყანაში გზისპირა თხრილში მკვდარი ბავშვის სხეული. საწოლზე ხელებგაშლილი იწვა. თავის ნახევარი წაცლილი ჰქონდა. მარჯვენა ხელის მტევნის დიდი ნაწილიც აკლდა. ჩიგური წამოდგა. იატაკიდან მასრა აიღო. სული შეუბერა და ჯიბეში ჩაიდო. მერე საათს დახედა. ახალი დღის დადგომამდე ერთი წუთი რჩებოდა.

გასაღებების აცმიდან ერთ-ერთი ამოარჩია და კარი გააღო. გაჩხრიკა წინ, უკან და სავარძლების ქვეშ. მანქანა დაქირავებული იყო და გამქირავებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება კარის ჯიბიდან მოჩანდა. მანქანის კარი მიხურა და კოჭლობით შემოუარა. საბარგული გახსნა. ცარიელი იყო. მერე კაპოტი ახადა და ძრავას დააცქერდა. დახურა და ფეხზე მდგომი სასტუმროს მიაჩერდა. ამ დროს უელსის მობილური აწკრიალ-

და. ჩიგურმა ტელეფონი ჯიბიდან ამოიღო ღილაკს დააჭირა და აპარატი ყურთან მიიდო.

გისმენთ, თქვა მან.

მოსი პალატაში გავლა-გამოვლას ცდილობდა მედდის ხელზე დაყრდნობილი. ქალი ესპანურად რაღაც გამამხნევებელს ეუბნებოდა. კედლამდე მივიდნენ და შებრუნდნენ. მოსს შუბლზე ოფლმა დაასხა.

Andale უთხრა მედდამ, Qué bueno

მოსმა თავი დაუქნია. მერე დაამატა:

ჯანდაბაა Qué bueno კი არა

გვიან ღამით კოშმარმა გამოაღვიძა. გაჭირვებით გავიდა დერეფანში და დარეკვა ითხოვა. ოდესის ნომერი აკრიფა და დახლზე დაყრდნობილი შორეული ზარის ხმას უსმენდა. ბოლოს ყურმილი მოხუცებულმა აიღო.

ლუელინი ვარ.

შენთან საუბარი არ სურს.

არ სურს.

იცი რომელი საათია?

არ მაინტერესებს რომელი საათია. ყურმილი არ დაკიდოთ.

ვაფრთხილებდი რაც მოხდებოდა, ხომ ასეა? ყველაფერი ვიცოდი. ასეც ვუთხარი: კარგს მისგან ნურაფერს ელოდები. ახლა ყველაფერი ახია მასზე.

არ დაკიდოთ ყურმილი და უთხარით დაუჩქაროს.

ბოლოს ცოლი ტელეფონთან მივიდა და თქვა:

არ მეგონა თუ ასე მომექცეოდი.

გამარჯობა ძვირფასო, როგორ ხარ?

ყველაფერი რიგზეა, ლუელინ? შენ ხომ დამპირდი. სად ხარ?

პიედას ნეგრასში.

შენი აზრით როგორ უნდა მოვიქცე, ლუელინ?

ყველაფერი რიგზეა?

არ არის რიგზე. როგორ შეიძლება რიგზე იყოს? ხალხი გკითხულობს. ტერელის ოლქის შერიფი ჩამოვიდა. პირდაპირ სახლში მომადგა. მეგონა მკვდარი ხარ.

არ მომკვდარვარ. რა უთხარი?

და რა უნდა მეთქვა?

ეხერხება ადამიანებს ის ათქმევინოს რაც აინტერესებს.

დაჭრილი ხარ, ხომ ასეა?

ასე რატომ გადაწყვიტე?

ხმაზე გეტყობა. როგორ ხარ?

ნორმალურად.

სად ხარ?

უკვე გითხარი.

ისეთი ხმაურია გეგონება ავტოსადგურიდან რეკავ.

კარლა ჯინ, ჩემი აზრით მაქედან უნდა წახვიდე.

საიდან?

სახლიდან.

მაშინებ ლუელინ. სად უნდა წავიდე?

მნიშვნელობა არ აქვს. ვფიქრობ მანდ შენი დარჩენა არ შეიძლება. მოტელში გადადი.

დედას რა ვუყო?

არაფერი გაუჭირდება.

არაფერი გაუჭირდება?

ჰო.

დარწმუნებული ხარ?

ლუელინი დუმდა.

დარწმუნებული ხარ?

არა მგონია ვინმემ რამე დაუშავოს.

არ გგონია?

მაქედან უნდა წახვიდე. წადი და თან წაიყვანე.

არ შემიძლია დედაჩემის მოტელში გადაყვანა. ალბათ აღარ გახსოვს რომ ავადაა.

შერიფმა რა თქვა?

რომ გეძებს, სხვას რას ელოდი?

კიდევ რა თქვა.

ქალი დუმდა.

კარლა ჯინ?

ყურმილში ტირილის ხმა მოისმა.

კიდევ რა თქვა, კარლა ჯინ?

რომ ისე იქცევი მოგკლავენ.

ჰო, სწორედ ეს უნდა ეთქვა.

ქალი დიდხანს დუმდა.

კარლა ჯინ?

ლუელინ, ის ფულიც არ მინდა. მხოლოდ ის მინდა ყველაფერი ძველებურად იყოს.

ასეც იქნება.

არ იქნება. ამაზე ვიფიქრე. ეს ცრუ ღმერთია.

ჰო. მაგრამ ფული ნამდვილად არსებობს.

ქალმა მისი სახელი კიდევ ერთხელ წარმოთქვა და მერე ატირდა.

მის დამშვიდებას შეეცადა მაგრამ ქალი ხმას არ სცემდა. იდგა და უსმენდა მისი ცოლი ჩუმად როგორ ტიროდა ოდესაში.

რა გინდა რომ გავაკეთო? ჰკითხა ბოლოს.

ქალს ხმა არ ამოუღია.

კარლა ჯინ?

მინდა ყველაფერი ისე იყოს როგორც ადრე.

თუ შეგპირდები რომ ყველაფერს მოვაგვარებ გააკეთებ რაც გთხოვე?

ჰო. გავაკეთებ.

ერთი ნომერი მაქვს რომელზეც დარეკვა შემიძლია. არის ერთი ვინც დაგვეხმარება.

მისი ნდობა შეიძლება?

არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი რომ სხვას ვერავის ვენდობი. ხვალ დაგირეკავ. დარწმუნებული ვარ სხვაგან ვერ გიპოვიან და ამიტომ გითხარი. ისე სხვაგან არ გაგაგზავნიდი. ხვალ დაგირეკავ.

ყურმილი დაკიდა. მერე მობილური ტელეფონის ის ნომერი აკრიფა რომელიც უელსმა დაუტოვა. ორი ზარის შემდეგ ყურმილში ხმა გაისმა. მაგრამ ეს ხმა უელსს არ ეკუთვნოდა.

მე მგონი ნომერი შემეშალა, თქვა მან.

არ შეგშლია. უნდა შევხვდეთ.

ვინ ხარ?

თავადაც კარგად იცი.

მოსი გაჭირვებით მიეყრდნო დახლს და შუბლზე მუშტი მიიდო.

უელსი სად არის?

ის ვეღარ დაგეხმარება. რა გარიგება გქონდათ?

არავითარი გარიგება არ გვქონია.

გქონდათ. რამდენს შეგპირდა?

არ მესმის რაზე ლაპარაკობ.

ფული სად არის?

უელსს რა დაემართა?

ჩვენი შეხედულებები არ დაემთხვა. უელსი აღარ უნდა გაღელვებდეს. ამიერიდან საქმე ჩემთან გექნება.

არ მექნება.

მე კი გეუბნები რომ გექნება. იმას თუ ხვდები ახლა სად ვაპირებ წასვლას?

ეს რატომ უნდა მაღელვებდეს?

ხვდები სად მივდივარ?

მოსი დუმდა.

მისმენ?

გისმენ.

ვიცი სადაც ხარ.

ჰო? მერე სად ვარ?

პიედრას ნეგრასის საავადმყოფოში. მაგრამ მანდ არ მოვდივარ. მიხვდი სადაც მივდივარ?

ჰო. ვიცი სადაც მიდიხარ.

ჯერ კიდევ შეგიძლია ყველაფერი შეცვალო.

რატომ უნდა გენდო?

უელსს ხომ ენდობოდი?

უელსს არ ვენდობოდი.

მაგრამ დაურეკე.

ამიტომაც დავურეკე.

ახლა ის მითხარი მე როგორ უნდა მოვიქცე.

მოსს სხეულის სიმძიმე ერთიდან მეორე ფეხზე გადაჰქონდა. შუბლი ოფლით დაეცვარა. პასუხი არ გაუცია.

რამე მითხარი. გელოდები.

შემეძლო იქ დაგლოდებოდი სადაც მიდიხარ, უპასუხა მოსმა. თვითმფრინავს დავიქირავებდი ამისთვის. ამაზე არ გიფიქრია?

ცუდი არ არის. მაგრამ არ გააკეთებ.

რატომ გგონია?

მაშინ მე არ მეტყოდი. ასეა თუ ისე მივდივარ.

კარგად გესმის რომ იქ არ იქნებიან.

მნიშვნელობა არ აქვს.

აბა რატომ მიდიხარ?

უკვე იცი ეს რითაც დამთავრდება, ხომ ასეა?

არა. შენ იცი?

ჰო. ვიცი. დარწმუნებული ვარ შენც იცი. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეეგუე ამას. ამიტომაც ასე მოვიქცევი. შენ ფული მოგაქვს

და მე კი შენს ცოლს ხელს არ ვახლებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი საქმე წასულია. შენი გადასაწყვეტია მოგწონს თუ არა ასეთი წინადადება. მაგრამ ეს არის საუკეთესო გარიგება რის იმედიც შეიძლება იქონიო. არ გეტყვი იმას რომ ამ გზით თავს გადაირჩენ. იმიტომ რომ ვერ გადარჩები.

რაღაცას მიიღებ, თქვა მოსმა. გადავწყვიტე განსაკუთრებული რამ შემოგთავაზო. ჩემი ძებნა აღარ მოგიწევს.

მიხარია ამის მოსმენა. თორემ უკვე გული ამიცრუვდა შენზე.

გული არ აგიცრუვდება.

კარგია.

გეფიცები გული არ აგიცრუვდება.

ვიდრე გათენდებოდა საავადმყოფოს მუსლინის ხალათით იქაურობა დატოვა. ზემოდან პალტო ეცვა. სისხლით გაჟღენთილი პალტოს ცალი მხარე გაშეშებულიყო. ფეხსაცმელი არ ეცვა. პალტოს შიდა ჯიბეში სისხლით მოსვრილი და გაქვავებული კუპიურების დასტა ედო.

ქუჩაში იდგა და შუქნიშანს უყურებდა. წარმოდგენა არ ჰქონდა სად იყო. ფეხქვეშ ცივ ბეტონს გრძნობდა. ქუჩის კუთხემდე მივიდა. მანქანებმა ჩაუარეს. მომდევნო კუთხეში შუქნიშნამდე მივიდა და შენობის კედელზე ხელმიყრდნობილი შეჩერდა. პალტოს ჯიბეში ორი აბი ედო და ერთი დალია. უწყლოდ გადაყლაპა და გულისრევა მოეძალა. კედელთან დიდხანს იდგა. გვერდით ფანჯარა მოჩანდა და რაფაზე ჩამოჯდებოდა მაგრამ პატრონს წვეტიანი მავთულის ბადით შემოეღობა მაწანწალების დასაფრთხობად. ტაქსიმ ჩამოიარა და გასაჩერებლად ხელი აუწია. მანქანა არ გაჩერდა. კედელს უნდა მოშორებოდა მაგრამ ვერ ახერხებდა. ქუჩას ბარბაცით გაუყვა. მეორე ტაქსი გამოჩნდა და ხელი ასწია. მანქანამ ტროტუართან დაამუხრუჭა.

მძღოლმა ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა. მოსი დაიხარა და ჰკითხა:

შეგიძლიათ ხიდის მეორე მხარეს გადამიყვანოთ?

ხიდზე გადავიდე?

დიახ, იმ მხარეს.

ფული თუ გაქვთ?

დიახ. მაქვს ფული.

მძღოლი ყოყმანობდა. ბოლოს უთხრა:

ოცი დოლარი.

კარგი.

შლაგბაუმთან მდგარმა დაცვის თანამშრომელმა მანქანაში შეიხედა და უკანა სავარძელზე სანახევროდ სიბნელეში მჯდომს დააკვირდა.

რომელ ქვეყანაში ხართ დაბადებული? იკითხა მან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თან რა მიგაქვთ?

არაფერი.

დაცვა ისევ დაკვირვებით ათვალიერებდა.

თუ შეიძლება მანქანიდან გადმოდით, თქვა მან.

მოსმა კარი გააღო. წინა სავარძლის საზურგეს დაეყრდნო და ტაქსიდან გადავიდა. მანქანის გვერდით დადგა.

თქვენი ფეხსაცმელი სად არის?

არ ვიცი.

ტანსაცმელი არ გაქვთ?

ტანსაცმელი მაცვია.

დაცვის მეორე თანამშრომელი მანქანებს ანიშნებდა გაუჩერებლად ჩაევლოთ. მერე ტაქსის მძღოლს მიუბრუნდა:

მანქანა თუ შეიძლება აი იმ მოედანზე მიიყვანეთ და მეორე რიგში ჩადექით.

მძღოლმა მანქანა დაქოქა.

თუ შეიძლება მანქანას მოშორდით, უთხრა დაცვის თანამშრომელმა მოსს.

მოსი გაიწია. ტაქსი მოედანზე გავიდა და მითითებულ ადგილზე გაჩერდა. მძღოლმა ძრავა გამორთო. მოსმა დაცვის თანამშრომელს შეხედა. ის აშკარად მისგან რაიმე განმარტებას ელოდა მაგრამ მოსი დუმდა.

საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენობაში შეიყვანეს. თეთრკედლებიან კაბინეტში ლითონის სკამზე დასვეს. სხვა თანამშრომელი შემოვიდა და მის პირისპირ დაჯდა. ლითონის მაგიდას ეყრდნობოდა. მოსს თვალი შეავლო.

რამდენი დალიე?

საერთოდ არ დამილევია.

რა დაგემართა?

რას გულისხმობთ?

შენს სამოსს.

არ ვიცი.

საბუთები თან გაქვს?

არა.

არაფერი.

არა.

კაცი საზურგეს მიაწვა და გულზე ხელები დაიკრიფა. მერე თქვა:

როგორ ფიქრობთ ვის შეუძლია ამ პუნქტის გავლით აშშ-ში შესვლა?

არ ვიცი. ამერიკის მოქალაქეებს.

ზოგიერთ მოქალაქეს. შენი აზრით ამას ვინ წყვეტს?

ალბათ თქვენ.

მართალია. და როგორ ვიღებ გადაწყვეტილებას?

არ ვიცი.

შეკითხვებს ვუსვამ. თუ სათანადო პასუხებს მივიღებ ისინი ამერიკაში მოხვდებიან. ხოლო თუ პასუხები საეჭვოა საზღვარზე ვერ გადავლენ. რაიმე გაუგებარია?

არა სერ.

მაშინ კითხვების დასმას დავიწყებ.

მზად ვარ.

გვინდა ვიცოდეთ აქ რატომ აღმოჩნდი უტანსაცმლოდ.

პალტო მაცვია.

მეხუმრები?

არა სერ.

ჩემთან ნუ იხუმრებ. სამხედრო სამსახურში ხარ?

ვეტერანი ვარ.

რომელი სახელმწიფო სამსახურის?

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის.

ვიეტნამში იყავი?

დიახსერ. ორი ვადით.

სად მსახურობდი?

ინფანტერიის მეთორმეტე ბატალიონში.

როდიდან როდემდე?

სამოცდაექვსი წლის შვიდი აგვისტოდან სამოცდარვის ორ სექტემბრამდე.

კაცმა გამომცდელად შეხედა. მოსს თვალი არ აურიდებია, მერე თავი მიაბრუნა. ღია კარიდან ცარიელი დერეფანი მოჩანდა. პალტოთი იჯდა და იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა.

თავს კარგად გრძნობ?

დიახსერ. კარგად ვარ. თუ იმ მხარეს გადამიშვებთ ცოლი მოვა და წამიყვანს.

ფული თუ გაქვს? ტელეფონზე დასარეკი ხურდა?

დიახსერ.

იატაკზე ბრჭყალების ფხაჭუნის ხმა გაიგონა. სხვა თანამშრომელი შემოვიდა რომელსაც ნაგაზი მოჰყავდა. ოთახში მყოფმა ნიკაპი წინ გაიშვირა და მას უთხრა:

ამ კაცს დახმარება სჭირდება. ქალაქში უნდა ჩავიდეს. ტაქსი უკვე წავიდა?

დიახსერ. სუფთა იყო.

ვიცი. ამას დაეხმარეთ.

მერე მოსს შეხედა.

საიდან ხარ?

სან-საბა, ტეხასი.

ცოლმა იცის სად ხარ?

დიახსერ. აქ სანამ მოვიდოდი დავურეკე და ვესაუბრე.

ვერ გაუგეთ?

ვერ გავუგეთ?

შენ და შენმა ცოლმა.

ჰმ. დიახ ასეც შეიძლება ითქვას. დიახსერ.

ბოდიში უნდა მოუხადო.

სერ?

გითხარი ბოდიში უნდა მოუხადო-თქო.

დიახსერ. ასე ვიზამ.

იმ შემთხვევაშიც კი თუ ფიქრობ რომ დამნაშავე ისაა.

დიახსერ.

ახლა წადი და თვალით აღარ დამენახო.

დიახსერ.

ზოგჯერ რაღაც პატარა გაუგებრობაა და ყურადღებასაც არ აქცევ. მერე მოიხედავ და ეს სრულებით აღარ არის პატარა გაუგებრობა. ხომ გესმის რის თქმა მინდა?

დიახსერ. მესმის.

ახლა წადი.

დიახსერ.

თითქმის გათენებული იყო. ტაქსი დიდი ხანია წავიდა. ქუჩას გაუყვა. ჭრილობიდან სისხლის შრატი მოჟონავდა და ფეხს მიუყ-ვებოდა. გამვლელები ყურადღებას არ აქცევდნენ. ადამს--

სტრიტზე შეუხვია და მზა ტანსაცმლის მაღაზიის წინ შეჩერდა. ვიტრინაში შეიხედა. მაღაზიის უკანა ნაწილში სინათლე ენთო. კარზე დააკაკუნა. ცოტა ხანს დაიცადა და მერე ისევ დააკაკუნა. თეთრ პერანგსა და შავ ჰალსტუხში გამოწყობილმა ტანდაბალმა მამაკაცმა გამოიხედა.

ვიცი რომ ჯერ დაკეტილია მაღაზია, უთხრა მოსმა, მაგრამ ძალიან მჭირდება ერთი-ორი ხელი ტანსაცმელი. კაცმა თავი დაუქნია და კარი ფართოდ გააღო.

მობრძანდით, თქვა მან.

გვერდიგვერდ ჩაუარეს ფეხსაცმლის განყოფილებას. ტონი ლამა. ჯასტინი. ნოკონა. იქვე იდგა დაბალი სავარძლები. მოსი ერთ-ერთში შვებით ჩაეშვა და სახელურებს ჩააფრინდა.

ჩექმა და სამოსი მჭირდება. ჯანმრთელობის პრობლემა მაქვს და ამიტომ არ მინდა იქით-აქეთ ვიარო თუ აუცილებელი არ არის.

დიახსერ, თავი დაუქნია კაცმა. გასაგებია.

ლერი მაჰანის ჩექმები თუ გაქვთ?

არა სერ. არ გვაქვს.

არა უშავს. ერთი წყვილი რენგლერის ჯინსი მინდა ოცდათორმეტი გარშემოწერილობა და სიგრძე ოცდათოთხმეტი. დიდი ზომის პერანგი. რამდენიმე წყვილი წინდა. კიდევ ნოკონას ჩექმა მაჩვენეთ ათ-ნახევარი ზომის. ქამარიც დამჭირდება.

დიახსერ. ქუდზე რას იტყვით?

მოსმა მაღაზიაში მიმოიხედა. მე მგონი ქუდიც რომ ვიყიდო კარგი იქნება. სტოკმენის ფირმისა თუ გაქვთ პატარაფარფლიანი? შვიდი და სამი მერვედი?

დიახ გვაქვს. რეზისტოლის კარგი და სტეტსონის შესანიშნავი შლაპები. მე მგონი ის არის რაც გჭირდებათ.

სტეტსონი მაჩვენეთ. აი ის ღია ფერის.

გასაგებია სერ. თეთრი წინდები ივარგებს?

მხოლოდ თეთრ წინდებს ვიცვამ.

საცვალი?

ალბათ ერთი წყვილი ჟოკეის ტრუსი. ოცდათორმეტი ზომა. ან საშუალო.

დაიხსერ. მოხერხებულად დაბრძანდით. კარგად ხართ?

კარგად ვარ.

კაცმა თავი დაუქნია და გატრიალდა.

შეიძლება რაღაც გკითხოთ? თქვა მოსმა.

დიახსერ.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ხშირად შემოდიან თქვენთან?

არა სერ. ვერ ვიტყვი რომ ეს ხშირად ხდება.

მოსი ახალი სამოსის გროვითურთ ტანსაცმლის მოსაზომებელ ოთახში შევიდა. პალტო გაიხადა და კარის უკან საკიდარზე ჩამოკიდა. ჩავარდნილი მუცელი მიწისფერი გახდომოდა. მთელ სიგრძეზე შედედებული სისხლის მკრთალი ზოლი ეტყობოდა. მოსმა წებოვანი სალბუნის ბოლოებს თითი დააჭირა მაგრამ ისინი კანზე აღარ ემაგრებოდა. ხის სკამზე ჩამოჯდა და წინდები ჩაიცვა. პაკეტი გახსნა და ტრუსი ამოიღო. ფრთხილად ჩაიცვა სახვევის ზემოდან. ისევ ჩამოჯდა და ახლა პერანგიდან ამოიღო მუყაოს საყელო და უთვალავი ქინძისთავი.

როდესაც ტანსაცმლის გასასინჯი ოთახიდან გამოსული დახლს მიუახლოვდა პალტო მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული. ჭრაჭუნა ხის იატაკზე გაიარ-გამოიარა. გამყიდველი იდგა და ჩექმებზე დასცქეროდა.

ქვეწარმავლის ტყავი დიდხანს ძლებს, თქვა მან.

ჰო. მაგრამ ზაფხულში ცხელი იქნება. მაინც ავიღებ. ახლა ამ შლაპასაც მოვიზომავ. ასე პიჟონურად მას შემდეგ არ მცმია რაც არმიიდან დავეთხოვე.

შერიფმა ყავა მოსვა და ჭიქა ზუსტად იმ სველ წრეში დადგა რომელიც მაგიდის მინის ზედაპირზე დარჩენილიყო.

ფიქრობენ სასტუმრო საერთოდ დახურონ.

ბელმა თავი დაუქნია:

ძალიან კარგად მესმის მათი.

ვინც მუშაობდა ყველა მიდის. იმ ბიჭს მხოლოდ ორი ცვლა ჰქონდა ნამუშევარი. ჩემი ბრალია. აზრადაც კი არ მომსვლია რომ ის ნაგავი დაბრუნდებოდა. ვერც კი წარმოვიდგენდი.

იქნებ არც კი წასულა.

ეს მეც ვიფიქრე.

არავინ იცის როგორ გამოიყურება იმიტომ რომ ვისაც ამის თქმა შეეძლო უკვე მკვდარია.

ვიღაც შეშლილი მკვლელი მანიაკია, ედ ტომ.

ჰო. თუმცა ჩემი აზრით შეშლილი არ არის.

აბა რას დაარქმევდი?

არ ვიცი. როდის დაიკეტებიან?

სასტუმროზე თუ მეკითხები უკვე დაიკეტა.

გასაღები შენ გაქვს?

ჰო. გასაღები ჩემთანაა. ეს ხომ დანაშაულის ადგილია.

იქნებ წავსულიყავით და კიდევ ერთხელ დაგვევლო იქაურობა.

კარგი. რატომაც არა.

პირველი რაც დაინახეს ფანჯრის რაფაზე დატოვებული სიგნალის მიმღები იყო. ბელმა აიღო და ხელში შეატრიალ-- შემოატრიალა. სკალასა და ღილაკებს უყურებდა.

ჯანდაბა. ეს ბომბია შერიფო?

არა.

ესღა გვაკლდა.

სათვალთვალო მოწყობილობაა.

ესე იგი იპოვეს რასაც ეძებდნენ.

როგორც ჩანს. თქვენი აზრით დიდი ხანია აქ დევს?

არ ვიცი. თუმცა იმის ვარაუდი კი შეიძლება რას ეძებდნენ.

მეეჭვება, თქვა ბელმა. ამ საქმეში რაღაც ისე არ არის.

რაღაც ისე არ უნდა იყოს.

აქ გადამდგარი პოლკოვნიკის უთავო გვამი ვიპოვეთ. მარტო თითის ანაბეჭდებით მოგვიწია ვინაობის დადგენა. ანუ იმ თითების რომლებშიც ტყვია არ ჰქონდა მოხვედრილი. კადრის ოფიცერი იყო. სამხედრო კარიერის თოთხმეტი წელი. ქაღალდის ნაგლეჯიც კი არ აღმოაჩნდა.

გაქურდეს?

ჰო.

კიდევ რა იცით შერიფო, რასაც არ მეუბნებით?

მეც ის ფაქტები ვიცი რაც თქვენ.

ფაქტები არ მაქვს მხედველობაში. როგორ მოხდა რომ ეს ყველაფერი სამხრეთისკენ გადმოვიდა?

არ ვიცი, თავი გააქნია ბელმა.

ვინმე თქვენიანი ხომ არ არის ჩარეული?

ჩარეული არა. უბრალოდ ერთი წყვილი ჩემი ოლქიდან თითქოს იმაშია ჩარეული რაც მათ არ ეხებათ.

თითქოს?

ჰო.

თქვენი ნათესავები არიან?

არა. მხოლოდ და მხოლოდ ჩემდამი რწმუნებული ოლქის მცხოვრებლები. ადამიანები რომლებიც უნდა მოვძებნო.

ბელმა სიგნალის მიმღები შერიფს გაუწოდა.

ამას რა ვუყო?

ეს მავერიკის ოლქის საკუთრებაა. ნივთმტკიცება.

შერიფმა თავი გააქნია.

ნარკოტიკები, თქვა მან.

ნარკოტიკები.

სკოლის მოსწავლეებს მიჰყიდიან.
უარესი სხვა რამ არის.
რა?
ის რომ სკოლის მოსწავლეები ყიდულობენ.

VII

ომზე არასოდეს ვლაპარაკობ. გმირად ვითვლები და სინამდვილეში მთელი შემადგენლობა ბრძოლის ველზე დავკარგე. ამისთვის დამაჯილდოეს. ისინი დაიღუპნენ და მე კი მედალი მივიღე. თქვენი აზრი ამ საკითხზე არ მაინტერესებს. დღე არ გავა, ამაზე რომ არ ვიფიქრო. ომიდან დაბრუნებული ბიჭებიდან ზოგმა სწავლა ოსტინში დაიწყო რომ ვეტერანებისთვის განკუთვნილი შეღავათები იურიდიული გზით მოეპოვებინათ. გარდა ამისა ისინი საკუთარ მშობლებზე აგდებულად ლაპარაკობდნენ. ყველა არა, მხოლოდ ზოგიერთი. გაუნათლებლები და ტლუები არიანო და ასე შემდეგ. არ მომწონს ასეთი საქციელი. ამ ქვეყანაში ორი თაობის არსებობა უკვე დიდ დროს ნიშნავს. პირველ მოსახლეებზე ლაპარაკობთ. მე კი ყოველთვის ვამბობდი რომ როდესაც ადამიანს ცოლ-შვილს უკლავენ, სკალპს ხდიან და თევზივით გამოშიგნავენ ის ულმობელი ხდება. მაგრამ ამას რომ ვამბობ ვერ მიგებენ. ჩემი აზრით სამოციანი წლების მოვლენებმა ზოგი გამოაფხიზლა. იმედი მაქვს, ასეა. რომელიღაც გაზეთში წავიკითხე ოცდაათიან წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლების მასწავლებლებისთვის დაგზავნილი კითხვარის შესახებ. მასწავლებლებს უნდა დაეწერათ იმ პრობლემების შესახებ რომლებსაც გაკვეთილებზე აწყდებოდნენ. მათაც ყველაზე დიდ პრობლემებს შორის დაასახელეს გაკვეთილებზე მოსწავლეების ერთმანეთში საუბარი და დასვენებებზე მათი დერეფნებში სირბილი. საღეჭი რეზინის ღეჭვა. დავალებების ერთმანეთისგან გადაწერა. და სხვა ამგვარი. იგივე კითხვარები თავიდან დაბეჭდეს და იმავე სკოლებში გაგზავნეს შესავსებად. ორმოცი წლის შემდეგ. და მიიღეს პასუხები. გაუპატიურება, ცეცხლის წაკიდება, მკვლელობა. ნარკოტიკები. თვითმკვლელობა. ასე რომ დავ-

ფიქრდი. უკვე დიდი ხანია ადამიანებს ვეუბნები სამყარო ჯოჯოხეთისკენ მიექანება-მეთქი. ისინი კი პასუხად იღიმებიან და მეუბნებიან ბერდებიო. თითქოს ეს სიბერის ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. მაგრამ ჩემი აზრით ჩემზე მეტი პრობლემები იმასა აქვს ვისაც არ შეუძლია ერთმანეთისგან განასხვაოს გაუპატიურება--მკვლელობა და რეზინის ღეჭვა. ორმოცი წელი არ არის დიდი დრო. იქნებ მომდევნო ორმოცი წლის განმავლობაში ზოგი გამოფხიზლდეს. თუ უკვე ძალიან გვიანი არ იქნა.

ერთი-ორი წლის წინ ლორეტასთან ერთად ქრისტეს კორპუსის კონფერენციაზე ვიყავი. ჩვენ გვერდით ქალბატონი იჯდა, ვიღაც დიდი კაცის ცოლი. ენას არ აჩერებდა და კონსერვატორებს ლანძღავდა. არც კი ვიცი ზუსტად რას გულისხმობდა. ადამიანების უმეტესობა რომელსაც მე ვიცნობ უბრალო მოქალაქეები და ადამიანები არიან. როგორც ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე. ეს რომ ვუთხარი გაჩერდა და რაღაც უცნაურად შემომხედა. ეგონა მათზე რამე ცუდი ვთქვი. თუმცა რასაკვირველია ჩემს მხარეში ადამიანს უბრალოს რომ დაუძახებ ეს დიდი კომპლიმენტია. გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ბოლოს მითხრა: არ მომწონს ის გზა საითაც ქვეყანა მიექანება. მინდა ჩემს შვილიშვილს აბორტის გაკეთების უფლება ჰქონდეს. მე კი ვუპასუხე, შეგიძლიათ იმაზე არ იღელვოთ მემ, თუ საით მიდის ქვეყანა; ის რომ თქვენს შვილიშვილს აბორტის გაკეთება შეეძლება დიდად საეჭვო არ არის. მეტიც, შეეძლება თქვენც მიგაძინოთ-მეთქი. გაჩუმდა და ხმა აღარ ამოუღია.

ჩიგურმა კოჭლობით აიარა ბეტონის ცივ ჭაში გაჭრილი კიბის ჩვიდმეტი ბაქანი და ჩვეულებისამებრ ლითონის კარის საკეტი შეამტვრია. დერეფანში შევიდა და კარი მიხურა. ორივე ხელით იარაღის კონდახი ჩაებღუჯა. გაუნძრევლად იდგა და აყურადებდა. სუნთქვა ისეთივე მშვიდი ჰქონდა როგორიც სკამიდან წამომდგარ ადამიანს. იატაკიდან კარის საკეტის გამოვარდნილი

ცილინდრი აიღო და ჯიბეში ჩაიდო. მერე ლიფტს მიუახლოვდა და ისევ გაირინდა. იქვე ჩექმა გაიხადა და ნელა გაუყვა დერეფანს. ცდილობდა დაჭრილი ფეხი რაც შეიძლება მსუბუქად დაებიჯებინა.

ოფისის კარი ღია იყო. შეჩერდა. გაიფიქრა იქნებ კაბინეტის პატრონი დერეფნის კედელზე ბუნდოვან, თუმცა აშკარა ჩრდილს ვერ ამჩნევსო. ეს მისი დასანანი შეცდომა გახლდათ. თუმცა ჩიგურმა ისიც გაიფიქრა რომ მტრის გადაჭარბებული შიში ხშირად აბრმავებს ადამიანებს და ვერ ხედავენ სხვა ხიფათებს, მათ შორის იმ ფორმას არ აქცევენ ყურადღებას რომელიც მათ ამ სამყაროში უკავიათ. ჩიგურმა თასმა ფრთხილად მოიხსნა მხრიდან და შეკუმშული ჟანგბადით სავსე ბალონი იატაკზე დადო. თვალით გაზომა მანძილი მამაკაცის სხეულის ჩრდილსა და მის ზურგს უკან ფანჯრის ნათელ კვამლისფერ სწორკუთხედამდე. შეამოწმა იყო თუ არა ვაზნები მჭიდში. მერე მცველის საკეტელა გახსნა.

კაცს პატარა პისტოლეტი ქამართან ეჭირა. ჩიგურმა ოთახში შეაბიჯა და ათკალიბრიანი საფანტით მაგიდასთან მჯდომ კაცს ყელში ესროლა. ამ ზომის საფანტს ორნიტოლოგები ჩიტების უვნებელსაყოფად იყენებენ. კაცი სკამიანად იატაკზე დაეცა. ფართხალებდა და ხრიალებდა. ჩიგურმა ხალიჩიდან ჯერ კიდევ კვამლიანი მასრა აიღო და ჯიბეში ჩაიდო. კაბინეტში შევიდა. ლუდის ქილისგან დამზადებული მაყუჩიდან ჯერ კიდევ მკრთალი კვამლი გამოდიოდა. მაგიდას შემოუარა და ძირს დაცემულს შეხედა. კაცი ზურგზე იწვა და ყელზე ხელი ჰქონდა აფარებული. თითებიდან შადრევანივით მოჩქეფდა სისხლი და ხალიჩაზე მიედინებოდა. მთელი სახე წვრილი ნახვრეტებით ჰქონდა დაფარული მაგრამ მარჯვენა თვალი მთელი შერჩენოდა და ჩიგურს უყურებდა. ბუშტუკებად მდინარი სისხლის მიუხედავად

რაღაცის თქმას ცდილობდა. ჩიგური ცალ მუხლზე დაეშვა. თოფს დაეყრდნო და მომაკვდავს შეხედა.

რა? რის თქმას ცდილობ?

კაცი თავს აქნევდა. მისი ყელიდან სისხლის ბუყბუყი ისმოდა.

გესმის ჩემი? ჰკითხა ჩიგურმა.

კაცს არ უპასუხია.

მე ის ვარ ვისი მოკვლაც კარსონ უელსს უბრძანე. ამის გაგება გინდოდა?

კაცი უყურებდა. ნეილონის ცისფერი სპორტული კოსტიუმი და ტყავის თეთრი ფეხსაცმელი ეცვა. მისი თავის გარშემო უკვე სისხლის გუბე იდგა. მთელი სხეულით კანკალებდა.

წვრილი საფანტით იმიტომ გესროლე რომ არ მინდოდა ფანჯარა ჩამემსხვრია შენ უკან. იმიტომ რომ მერე მინის ნამსხვრევები ქვემოთ ადამიანებს დაეყრებოდა.

ჩიგურმა თავით ანიშნა ფანჯარაზე რომლის ნაცრისფერი წრის შუაგულში კაბინეტის პატრონის სილუეტი მოჩანდა. მერე მომაკვდავს შეხედა. ყელზე დადებული ხელი მოშვებულიყო. ჭრილობიდან სისხლი აღარ მოჩქეფდა, ნელა მოედინებოდა.

გვერდით დაგდებულ პისტოლეტს დახედა. წამოდგა და იარაღის მცველის საკეტელა ჩაკეტა. ფანჯარასთან მწოლიარეს გვერდი აუარა და მინას დააკვირდა. მთელი ფანჯარა საფანტს წვრილი ნახვრეტებით დაეფარა. როდესაც შემობრუნდა და იატაკზე მწოლიარეს დახედა კაცი უკვე მკვდარი იყო. დერეფანში გავიდა. ჟანგბადის ბალონი აიღო შლანგის ბოლოში დამაგრებული პნევმატიკური პისტოლეტითურთ. ჩექმა ჩაიცვა. მერე ლითონის კარით გავიდა. ბეტონის კიბეს ჩაუყვა და გარაჟში აღმოჩნდა სადაც მანქანა ჰყავდა დატოვებული.

როდესაც ავტოსადგურზე მივიდნენ ის-ის იყო თენდებოდა. რუხი და ცივი განთიადი დგებოდა. წვიმა ცრიდა. სავარძლიდან გადაიხარა და მძღოლს ფული გადაუხადა. ორი დოლარიც და-

მატებით გასამრჯელოდ დაამატა. მძღოლი მანქანიდან გადავიდა და საბარგულიდან ბარგი ამოალაგა. ჩემოდნები პორტიკის წინ დაალაგა. ინვალიდის საყრდენი ჭოჭინა მანქანის იმ კართან მიიტანა საიდანაც მოხუცი უნდა გადმოსულიყო. ქალმა კარი გააღო და გაჭირვებით დაიწყო მანქანიდან გარეთ წვიმაში გადმოსვლა.

დედა შეგიძლია ცოტა ხანს დაიცადო? მანქანას შემოვუვლი და მოგეხმარები.

ვიცოდი ამით დასრულდებოდა, ბუზღუნებდა ქალი. სამი წლის წინ გაფრთხილებდი.

ამდენი ხანი ჯერ არ გასულა რაც დაქორწინებულები ვართ.

დაუფარავად გითხარი ყველაფერი.

დამაცადე და ახლავე მოგეხმარები.

წვიმაში, თქვა დედამისმა. მერე ტაქსის მძღოლს შეხედა.

კიბო მაქვს, თქვა მოხუცებულმა. და აჰა ესეც. სახლიც კი აღარ გვაქვს. არც სადმე წასასვლელი.

დიახ მემ.

ელ პასოში მივდივართ, ტეხასში. და როგორ გგონიათ იქ რამდენი ნათესავი მყავს?

არ ვიცი მემ.

მოხუცებული სულის მოსათქმელად მანქანის კარს მოეჭიდა. მერე ცერი და საჩვენებელი თითები ერთმანეთს მიადო და მძღოლს ნული აჩვენა.

აი ამდენი.

დიახ მემ.

კაფეში ისხდნენ. გარშემო მათი ჩემოდნები და ფუთები ეწყო. ისხდნენ და წვიმას, ასევე გარეთ მდგარ ავტობუსებს უყურებდნენ. მოღრუბლული ადრიანი დილა იყო.

ყავა კიდევ გინდა? ჰკითხა დედას.

მოხუცებულს ხმა არ გაუცია.

არ მელაპარაკები?

რაღაა სალაპარაკო.

მართალი ხარ.

უკან ვეღარაფერს დააბრუნებ. მხოლოდ ის არ მესმის რატომ უნდა ვემალებოდე სამართალდამცველებს.

მათ არ გავურბივართ, დედა.

არ შეიძლება დახმარება ვთხოვოთ?

ვის?

პოლიციას.

არა. არ შეგვიძლია.

ასეც ვიცოდი.

მოხუცებულმა ქვედა ყბის პროთეზი ცერა თითით უკეთ მოირგო და ფანჯარაში გაიხედა. ცოტა ხნის შემდეგ ავტობუსი ჩამოდგა. მძღოლმა მისი საყრდენი ჭოჭინა დაკეცა და საბარგო განყოფილებაში შეინახა. მერე კარლა ჯინს ქალის კიბეზე აყვანასა და სავარძელში ჩასმაში დაეხმარა.

კიბო მაქვს, უთხრა მოხუცებულმა მძღოლს.

კარლა ჯინმა ჩანთები ზედა თაროზე დაალაგა. დედამისი ზედაც არ უყურებდა, იჯდა და ბუზღუნებდა.

სამი წლის წინ, თქვა მოხუცებულმა. დიდი წარმოსახვა ამას არ სჭირდებოდა. არც ხილვა და გამოცხადება. არ ვენდობი. ჩემს ადგილზე ნებისმიერი ამას გეტყოდა.

კარგია რომ მათ არაფერი ვკითხე.

არ ვენდობი.

მოხუცებულმა თავი გადააქნია. კაფეს იმ ფანჯარას უყურებდა რომლის მიღმაც ცოტა ხნის წინ მაგიდასთან ისხდნენ. მერე თქვა:

არ ვენდობი. ჩემგან ნდობას ვერ ეღირსება.

ჩიგური ქუჩის მეორე მხარეს მიაჩერდა და მანქანის ძრავა გამორთო. ფარებიც ჩააქრო. საჭესთან იჯდა და ჩაბნელებულ

სახლს მისჩერებოდა. ხელსაწყოების პანელზე მწვანედ მოციმ-ციმე ციფრები 1:17-ს უჩვენებდა. 1:22-მდე დაიცადა. მერე მანქა-ნის სალონის უჯრიდან ფარანი აიღო. პიკაპიდან გადავიდა და ქუჩა გადაჭრა.

გარე ბადიანი კარი გამოაღო და შიდა კარის საკეტის ცილინ-დრი გახვრიტა. სახლში შევიდა და კარი მიკეტა. დადგა და მიაყურადა. სამზარეულოს მხარეს შუქი ენთო. ცალ ხელში ფარ-ნითა და მეორეში იარაღით დერეფანს გაუყვა. სამზარეულოს კართან შეჩერდა და ისევ მიუგდო ყური. უკანა შემოსასვლელის თავზე ნათურა ენთო. სამზარეულოში შევიდა.

ოთახის ცენტრში ქრომირებული სარტყლით გარსშემოვლე-ბული პლასტმასისზედაპირიანი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ცა-რიელი საპურე იდო. ლინოლეუმით დაფარულ იატაკზე ფანჯრის რაფა ირეკლებოდა. მაცივარი გამოაღო. იარაღი მოხრილი ხე-ლით დაიჭირა და ფორთოხლის გაზიანი სასმლის ქილას დას-წვდა. გახსნა და მერე გაირინდა. აინტერესებდა სახლის სიმყუდ-როვე ლითონის სახურავის ტკაცანმა ხომ არ დაარღვია. იდგა და სვამდა. სანახევროდ ცარიელი ქილა მაგიდაზე დადგა. სამზა-რეულოდან გავიდა და მისაღებ ოთახს მიაშურა. იქ კუთხეში მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

იჯდა და ფანჯრიდან ქუჩას უყურებდა. მერე წამოდგა და მეორე სართულზე ავიდა. კიბის თავზე ისევ შეჩერდა და ყური მიუგდო სახლს. ჯერ მოხუცებული ქალის ოთახში შევიდა. ავად-მყოფობის მომწარო-მოტკბო სუნი ეცა და ერთ წამს ისიც კი გაიფიქრა ქალი ახლაც საწოლში წევსო. ფარანი აანთო და სააბაზანოში გავიდა. იდგა და წამლების ფლაკონებზე ეტიკე-ტებს კითხულობდა. ფანჯრიდან ისევ ქუჩას გახედა. ლამპიონე-ბის მკრთალ ზამთრისეულ სინათლეს. ღამის ორი საათი იყო. უნალექო ამინდი იდგა. ციოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ქვემოთ ჩავიდა და მეორე საძინებელს მიაშურა სახლის უკანა მხარეს.

კომოდის უჯრების შიგთავსი საწოლზე გადმოყარა. იჯდა და ქალის ნივთებს ათვალიერებდა. ზოგჯერ რაღაცას ხელს მოჰკიდებდა და უკანა შესასვლელის სინათლეზე შეათვალიერებდა. თმის პლასტმასის ჯაგრისი. ბაზრობაზე შეძენილი იაფფასიანი სამაჯური. ხელით წონიდა ამ ნივთებს მედიუმივით თითქოს მათი მეშვეობით რაიმეს გაგება შეეძლო მფლობელზე. ფოტოალბომი გადაფურცლა. კლასელები. ოჯახი. ძაღლი. სხვა სახლი. მამაკაცი რომელიც ალბათ მამამისი იყო. ორი სურათი შეარჩია და პერანგის ჯიბეში ჩაიდო.

ჭერში ვენტილატორი ეკიდა. წამოდგა და სადენი მოქაჩა. მერე საწოლზე დაწვა. გვერდით იარაღი დაიდო. ფანჯრიდან შემოსული სინათლის შუქზე ვენტილატორის ფრთების ტრიალს უყურებდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოდგა და კარი სკამით ჩახერგა. საწოლზე დაწვა. ჩექმა გაიხადა და დაიძინა.

დილით კიდევ ერთხელ შემოუარა სახლს და დერეფნის ბოლოს სააბაზანოში შხაპი მიიღო. ფარდა არ ჩამოუფარებია და იატაკი მოიწუწა. დერეფანში გამავალი კარი ღია დატოვა. იარაღი მისგან ერთი ფუტის დაშორებით იდო.

ფეხზე სახვევი თმის საშრობით გააშრო. გაიპარსა. ჩაიცვა და ქვემოთ ჩავიდა. სამზარეულოში თასი მიუსლით გაავსო და რძე დაასხა. ჭამდა და თან ოთახებს უვლიდა. მისაღებში შეჩერდა რადგან თითბრის კარის ქვედა ღრიჭოში ფოსტა დაინახა. ნელა ღეჭავდა და კონვერტებს უყურებდა. მერე თასი ყავის მაგიდაზე დადგა და კარის ჭრილიდან გამოღებული ფოსტის გადათვალიერებას შეუდგა. სავარძლის გვერდით დაეშვა და სატელეფონო ანგარიშის ქვითრიანი კონვერტი გახსნა.

ზარების სიას თვალი გადაავლო. სადღაც შუაში ტერელის ოლქის შერიფის ოფისის ნომერს წააწყდა. ფურცელი დაკეცა და კონვერტში ჩადო. კონვერტი პერანგის ჯიბეში შეინახა. კიდევ ერთხელ გადახედა ფოსტას. წამოდგა და სამზარეულოსკენ

გაეშურა იარაღის წამოსაღებად. შუა გზაზე შედგა და ჩაფიქრდა. მერე წითელი ხის იაფფასიან მაგიდასთან მივიდა და ზედა უჯრა გამოსწია. უჯრა კონვერტებით იყო სავსე. მთელი გროვა მაგიდაზე გადმოყარა. იარაღი გვერდზე გადადო. დაჯდა და კონვერტების დათვალიერებას შეუდგა.

მოსმა მთელი დღე ქალაქის განაპირას მდებარე მოტელში გაატარა. შიშველს ეძინა ხოლო ახალი სამოსი კარადაში მავთულის საკიდრებზე ეკიდა. მაშინ გაეღვიძა როდესაც ჩრდილები მოტელის ეზოში შესამჩნევად დაგრძელდა. გაჭირვებით წამოდგა და საწოლის კიდეზე დაჯდა. ზეწარზე ხელისგულისხელა სისხლის მკრთალი ლაქა დარჩენილიყო. ტუმბაზე ქალაქის აფთიაქში ნაყიდი წამლების ქაღალდის პაკეტი იდო. პაკეტი აიღო და სააბაზანოში გავიდა. შხაპი მიიღო და გაიპარსა. ხუთი დღის განმავლობაში პირველად გაიხეხა კბილები. მერე აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა და სახვევი გამოიცვალა. ჩაიცვა და ტაქსი გამოიძახა.

მანქანას მოტელის შესასვლელ კართან ელოდებოდა. უკანა სავარძელზე დაჯდა. სული მოითქვა და კარი მერე დაკეტა. მძღოლი სარკეში შეათვალიერა.

გინდა ფული გააკეთო? ჰკითხა მძღოლს.

ჰო. ცოტა ფული არ მაწყენს.

მოსმა ჯიბიდან ხუთი ასდოლარიანი ამოიღო და ორ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი მძღოლს გადააწოდა. მძღოლმა ფული გადათვალა და ჯიბეში ჩაიდო. მერე სარკეში მომლოდინედ მიაჩერდა.

რა გქვია?

პოლი, უპასუხა მძღოლმა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღე, პოლ. უკანონო საქმეში არ ვაპირებ შენს ჩარევას. მხოლოდ არ მინდა იქ ჩამომსვა სადაც ჩემი გამოჩენა არცთუ სასურველია.

გასაგებია.

ფარანი გაქვს?

ჰო. ფარანი მაქვს.

მომეცი.

მძღოლმა ფარანი უკან გადააწოდა.

ნამდვილი კაცი ხარ, უთხრა მოსმა.

სად წავიდეთ?

ხიდთან გადი.

და გზად არავინ ამყავს.

არა, გზად არავის აიყვან.

მძღოლმა მოსს სარკეში შეხედა. მერე თქვა:

არავითარი drogas.

არავითარი drogas.

მძღოლი გაგრძელებას ელოდებოდა.

კეისი უნდა ავიღო. ჩემი კეისია. თუ მოგინდება შეგიძლია შიგ ჩაიხედო. უკანონო არაფერია.

შემიძლია შიგ ჩავიხედო? ჰო, შეგიძლია.

იმედია არ მეხუმრები.

არა. არ გეხუმრები.

ფული მიყვარს მაგრამ ციხეში ჩაჯდომა არ მინდა.

არც მე, უპასუხა მოსმა.

ხიდს ნელა უახლოვდებოდნენ. მოსი წინ გადაიხარა და უთ-ხრა:

ხიდის ქვეშ შეაჩერე.

კარგი.

პლაფონიდან ნათურას მოვხსნი.

ამ გზაზე ოცდაოთხსაათიანი მეთვალყურეობაა დაწესებული, უთხრა მძღოლმა.

ვიცი.

მძღოლმა მანქანა გადააყენა და ძრავა გამორთო. ფარები ჩააქრო და მოსს სარკეში შეხედა. მოსმა მოხსნილი ნათურა

პლასტმასის პლაფონში ჩადო და მძღოლს გადააწოდა. მანქანის კარი გააღო და უთხრა:

მალე დავბრუნდები. სულ რამდენიმე წუთი მჭირდება.

ლელქაში მტვრიანი და ხშირი იყო. ფრთხილად მიიკვლევდა გზას. ფარანი მუხლთან ეჭირა და სინათლის სხივს ზემოდან ხელისგულს აფარებდა.

კეისი ხშირ ბუჩქნარში ხელუხლებლად ისე იდო თითქოს ვიღაცამ სპეციალურად დატოვა. მოსმა ფარანი გამორთო და კეისს ხელი დასტაცა. უკან დაბრუნებისას გზას ხიდის თაღის მიხედვით მიიკვლევდა. ტაქსთან დაბრუნებულმა კეისი უკანა საავარძელზე დადო და თავადაც გაჭირვებით მოთავსდა. მანქანის კარი დახურა და თქვა:

წავედით.

კეისში რა არის? იკითხა მძღოლმა.

ფული.

ფული?

ფული.

მძღოლი გზატკეცილზე გავიდა.

ფარები აანთე, უთხრა მოსმა.

მძღოლმა ფარები აანთო.

ბევრი ფულია? ჰკითხა დაინტერესებულმა.

თავზესაყრელი. სან-ანტონიოში ჩაყვანაზე რას იტყვი?

მძღოლი დაფიქრდა.

საფასური იმ ხუთასის ზემოთ?

ჰო.

ალბათ ათასი.

ყველაფრიანად.

ჰო.

კარგი, იყოს ათასი.

მძღოლმა თავი დაუქნია.

უკვე გამომუშავებული ხუთასის მეორე ნახევრის საქმე როგორაა? იკითხა მძღოლმა.

მოსმა თანხა ჯიბიდან ამოიღო და მძღოლს უკანა სავარძლიდან გადააწოდა.

მიგრაციის სამსახურმა შეიძლება გაგვაჩეროს.

არ გაგვაჩერებენ, თქვა მოსმა.

საიდან იცი?

ჯერ კიდევ იმდენი ნაგავია წინ აქ საქმე არ დამთავრდება.

იმედი მაქვს ასე იქნება.

მენდე, თქვა მოსმა.

ეს სიტყვა იმდენჯერ მომისმენია, თქვა მძღოლმა. არასოდეს მომწონდა ეს გამოთქმა.

თავად თუ გითქვამს ოდესმე?

ჰო. ვიცი როდის და რატომაც ამბობენ ამ სიტყვას. ამიტომაც არ მომწონს.

ღამე როდვეი-ინში გაატარა, ქალაქის განაპირას 90-ე გზატკეცილზე მდებარე მოტელში. დილით გაზეთის საყიდლად ჩავიდა და გაჭირვებით აბრუნდა ნომერში. საბუთების არქონის გამო იარაღის კანონიერად შეძენის უფლება არ ჰქონდა. მაგრამ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადებით კი შეიძლებოდა. ასე იყიდა Tec-9 ორი დამატებითი მჭიდითა და ვაზნების ნახევარი ყუთით. ვიღაც კაცმა შენაძენი ნომერში მიუტანა და მას თანხა ხელზე გადაუხადა. მოსმა იარაღი ხელში დაიჭირა და შეათვალიერა. მომწვანო პარკერიზებული ზედაპირი ჰქონდა. ნახევრად ავტომატური იარაღი.

ბოლოს როდის ისროლე? ჰკითხა იარაღის მომტანს.

საერთოდ არ მისვრია.

ისვრის კი?

რატომ არ უნდა ისროდეს?

არ ვიცი.

არც მე ვიცი.

როდესაც ის წავიდა მოსმა იღლიაში ბალიში ამოიჩარა და მოტელის უკან ველზე გავიდა. ბალიში ლულას მიაბჯინა და სამჯერ გაისროლა. მერე იდგა მზის გულზე რომელიც არ ათბობდა და ხშირი ჯაგნარის თავზე მოფარფატე ბუმბულებს შესცქეროდა. თან თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა. იმაზე რაც იყო და რაც მომავალში ელოდა. ამომწვარი ბალიში იქვე დატოვა და მოტელში დაბრუნდა.

ნომერში ასვლამდე ვესტიბიულში ჩამოჯდა დასასვენებლად. მერე აბაზანა მიიღო და იქიდან ამოსული სააბაზანოს სარკეში გამომავალ ჭრილობას უყურებდა. საზარელი სანახავი იყო. ორივე ჭრილობიდან სისხლის შრატი მოწვეთავდა და მისი მოწმენდა ბოლომდე ვერ შეძლო. ხელზე სალბუნი მოიხსნა და ტყვიით დატოვებული კვალი დაათვალიერა. მერე ხელახლა შეიხვია. ჩაიცვა. ჯინსის უკანა ჯიბეში დამატებითი თანხა ჩაიდო. კეისში პისტოლეტი და მჭიდები ჩაალაგა. ტაქსი გამოიძახა.

ნორთ ბროდვეიზე 1978 წლის ფორდ-პიკაპი იყიდა სრული ამძრავი სისტემით. ნაღდი ფული გადაიხადა და ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც შემდეგ მანქანის სალონის უჯრაში შეინახა. მოტელში მანქანით დაბრუნდა და ანგარიში გაასწორა. ნომერში თავისი ნივთები შეაგროვა და მანქანაში ჩაჯდა. იარაღი მძღოლის სავარძლის ქვეშ ედო. კეისი და ტანსაცმლიანი ჩანთა გვერდითა სავარძლის ძირში, იატაკზე.

ბერნის შესასვლელთან გზის განაპირას მდგარი გოგონა დაინახა. მანქანის გაჩერებას ცდილობდა. გზიდან გადავიდა და დაუსიგნალა. მერე უკანა ხედვის სარკეში უყურებდა როგორ გამორბოდა გოგონა მანქანისკენ. ნეილონის ცისფერი ზურგჩანთა სირბილისას ზურგზე ეხლებოდა. გოგონა მანქანაში აძვრა და შეხედა.

შორს მიდიხართ? შეეკითხა გოგონა.

მანქანის ტარება შეგიძლია?

დიახ, შემიძლია. გადაცემა ავტომატურია?

ჰო, ავტომატურია. მეორე მხრიდან მოუარე.

გოგონამ ზურგჩანთა სავარძელზე დატოვა და მანქანას შემოურბინა. მოსმა ზურგჩანთა იატაკზე დადო და მგზავრის სავარძელზე გადაჯდა. გოგონამ გაზის სატერფულს ფეხი დააჭირა და გზატკეცილზე გავიდნენ.

რამდენი წლის ხარ?

თვრამეტის.

რა სისულელეა. აქ რას აკეთებ? არ იცი როგორი სახიფათოა ავტოსტოპით მგზავრობა?

ვიცი.

მოსმა ქუდი მოიხადა და სავარძელზე გვერდით დაიდო. თვალები დახუჭა. და თქვა:

სიჩქარეს არ გადააჭარბო. პოლიციამ თუ გაგვაჩერა კარგი დღე არც ერთს არ დაგვადგება.

კარგი.

არ ვხუმრობ. სიჩქარეს გადააჭარბებ და ისევ გზის პირას აღმოჩნდები.

გავიგე.

დაძინება ამაოდ სცადა. ძლიერი ტკივილი მოსვენებას არ აძლევდა. გაიმართა და ქუდი ისევ დაიხურა. სპიდომეტრს დახედა.

შეიძლება რაღაც გკითხო?

შეიძლება, უპასუხა მოსმა.

პოლიცია მოგდევს?

მოსმა სცადა ისე დამჯდარიყო ტკივილს ნაკლებად რომ შეეწუხებინა. გოგონას თვალი შეავლო და მერე ფანჯარაში გაიხედა.

ეს რამ გაფიქრებინა?

თავად თქვი პოლიცია თუ გაგვაჩერებს კარგი დღე არ დაგვადგებაო.

მერე რა?

ვფიქრობ უმჯობესია ახლავე ჩავიდე მანქანიდან.

სულაც არ ფიქრობ ასე. უბრალოდ გინდა მოისაზრო როგორ მოიქცე.

გოგონამ თვალი შეავლო. მოსი ფანჯრიდან პეიზაჟს ათვალიერებდა.

სამ დღეს ჩემთან ერთად გაატარებ და ბენზინგასამართი სადგურების გაქურდვას ისწავლი. არ ვხუმრობ.

გოგონამ უცნაურად გაიღიმა და თქვა:

ეგ არის შენი საქმიანობა? ბენზინგასამართ სადგურებს ძარცვავ?

არა. ასეთი რამ არაფერში მჭირდება. გშია?

რიგზე ვარ.

ბოლოს როდის ჭამე?

არ მომწონს ადამიანები ასეთ რაღაცეებს რომ მეკითხებიან.

გასაგებია. მაშ ბოლოს როდის ჭამე?

მანქანაში ჩაჯდომისთანავე მივხვდი საზრიანი ტიპი რომ იქნებოდი.

ასეა. მომდევნო შესახვევში შედი. იქამდე ოთხი მილია დარჩენილი. და სავარძლის ქვეშიდან ავტომატი გამოიღე.

ბელი ნელა შევიდა საქონლის შესაკავებელ ჭიშკარში. მანქანიდან გადმოსულმა ჭიშკარი დაკეტა. მერე ისევ პიკაპში ჩაჯდა და საძოვრის გავლით ჭამდე მიაღწია. ჭის რეზერვუარიდან მუჭით წყალი ამოიღო და უკან ჩააბრუნა. ქუდი მოიხადა და სველი ხელი თმაზე გადაისვა. ჯერ ქარის წისქვილს შეხედა. მერე ქარის წყალობით მიწაზე გაწოლილ ბალახზე წისქვილის ბორბლების ელიფსურ ჩრდილს. ხის ბორბალს ფეხქვეშ. იდგა და ხელში ნელა ატრიალებდა შლაპას. ღრმად ჩაფიქრებული იდგა.

ეშმაკმა დალახვროს არაფერი მესმის, ჩაილაპარაკა ბოლოს.

შინ მისულს ვახშამი გამზადებული დახვდა. მანქანის გასაღები სამზარეულოს მაგიდის უჯრაში ჩააგდო და ხელის დასაბანად პირსაბანთან მივიდა. ცოლმა სამზარეულოს დახლზე ფურცლის ნაგლეჯი დადო. ბელმა ცოლს შეხედა.

საიდან რეკავს თუ თქვა? დასავლეთტეხასური ნომერია.

მარტო ის თქვა რომ კარლა ჯინია და ეს ნომერი დატოვა.

ბელი ბუფეტთან მივიდა და დარეკა.

ქალი ბებიამისთან ერთად ელ-პასოს სიახლოვეს მდებარე რომელიღაც მოტელში იყო.

შერიფო მინდა რაღაცას დამპირდეთ.

გპირდებით.

თქვენს სიტყვას დაეჯერება?

სავსებით.

მეც შეიძლება დავუჯერო?

განსაკუთრებით თქვენ.

ყურმილში ქალის სუნთქვა ესმოდა. და შორეული მანქანების ხმა.

შერიფო?

დიახ მემ.

თუ გეტყვით საიდან დამირეკა სიტყვას მაძლევთ რომ არაფერი დაემართება?

იმის პირობას გაძლევთ რომ პირადად მე ხელს არ ვახლებ. ამის დაპირება შემიძლია.

ქალი მცირე ხანს დუმდა. მერე თქვა:

კარგი.

კაცი დასაკეც კედელზე მიდგმულ ხის მაგიდასთან იჯდა და ბლოკნოტში რაღაცას წერდა. როდესაც წერა დაამთავრა ყურსასმენები მოიხსნა და მაგიდაზე დადო. თმაზე ხელი გადაისვა.

ტრეილერის ბოლოში საწოლზე წამოწოლილ პარტნიორს გახედა.

გესმის? დაუძახა მექსიკური აქცენტით.

ის წამოჯდა და ფეხები იატაკზე დადგა. ერთი წუთის შემდეგ წამოდგა და მაგიდას მიუახლოვდა.

არის რამე?

არის.

ყურსასმენიანმა კაცმა ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია და გაუწოდა. მისმა პარტნიორმა თვალი სწრაფად გადაავლო და ფურცელი პერანგის ჯიბეში შეინახა. ტრეილერში მდგარი სამზარულოს კარადა გახსნა და გამოიღო კამუფლაჟური ნახატებით დაფარული ავტომატი ორი მჭიდითურთ. ტრეილერიდან გავიდა და ავტოსადგომზე შავ პლიმუტ-ბარაკუდას მიუახლოვდა. იარაღი მგზავრის სავარძელზე დააგდო. თავად საჭეს მიუჯდა და მანქანა დაქოქა. უასფალტო გზიდან ასფალტიანზე გავიდა. ფარები ჩართო. მანქანა დიდ უკანა ბორბლებზე ირყეოდა. ისეთი სისწრაფით გაიჭრა რომ ბორბლებმა დაიღრჭიალა და კვამლით დაიფარა.

VIII

ბოლო წლებში ბევრი მეგობარი დავკარგე. ყველა არ ყოფილა ჩემზე უფროსი. როდესაც ასაკი გემატება ერთ რამეს ხვდები: შენთან ერთად ყველა ვერ დაბერდება. ცდილობ იმათ დაეხმარო ვისი გადასახადებიდანაც ხელფასს იღებ მაგრამ შეუძლებელია იმაზეც არ ფიქრობდე რა სახელს დატოვებ. ორმოცდაერთი წლის განმავლობაში ამ ოლქში მომხდარი არც ერთი მკვლელობა გაუხსნელი არ დარჩენილა. ახლა კი მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში ცხრა გვამი გვაქვს. მოხერხდება თუ არა ამ საქმის გახსნა? არ ვიცი. ყოველი დაკარგული დღე შენ წინააღმდეგაა. არც დრო გიწყობს ხელს. ვერ გეტყვით სასახელოა თუ არა ისეთი ადამიანის სახელი გერქვას რომელმაც ეშმაკობით ნარკოტიკებით მოვაჭრეების ბანდას აჯობა. ასე მგონია მათ დიდად არც კი უცდიათ პოლიციისთვის თავგზის აბნევა. პოლიციას პატივს არ სცემენ? არა მგონია. მათ პოლიცია არც კი ანაღვლებთ. ამას წინათ სან-ანტონიოში ფედერალური სასამართლოს მოსამართლე სიცოცხლეს გამოასალმეს. ის ალბათ მათთვის საშიში იყო. ამას დაამატეთ მესაზღვრეები რომლებიც ნარკოტიკების გატარებით მდიდრდებიან. მწარეა ამის ცოდნა. ან შეიძლება მხოლოდ ჩემთვისაა ეს მწარე. სულ რაღაც ათი წლის წინ ასეთი რამ არ ხდებოდა. გაყიდულ წესრიგის დამცველზე ამაზრზენი არაფერია. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია. ის დამნაშავეზე ათჯერ უარესია. და ამის აღმოფხვრა შეუძლებელია. ეს ერთადერთია რაც ვიცი. ვერ ამოძირკვავ. სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?

შეიძლება რაღაცას ვერ ვიგებ მაგრამ ჩემთვის უსიამოვნოა იმის შეგნება რომ ცოცხალი იმიტომ ვარ პატივს არ მცემენ. ეს ძალიან უსიამოვნოა. ძალიან. რამდენიმე წლის წინ ამაზე გა-

ფიქრებაც კი ჩემთვის აუტანელი გახლდათ. ერთხელ პლესიდიოს ოლქში სამგზავრო DC-4 იპოვეს. ისინი ღამით უდაბნოში მივიდნენ და რაღაც ასაფრენი ზოლის მსგავსი მოაწყვეს გზის ორსავე მხარეს ცეცხლწაკიდებული გუდრონის კასრების დახმარებით. საფრენი აპარატი კი დაჯდა მაგრამ მერე ვეღარ აფრინდა. მთლიანად დააცარიელეს. მხოლოდ პილოტის სავარძელი გადარჩა ხელუხლებელი. ძაღლებიც კი არ იყო საჭირო ისე ყარდა იქაურობა მარიხუანათი. იქაურმა შერიფმა — მის სახელს არ ვიტყვი — გადაწყვიტა ჩასაფრებოდა და ჭკუა ესწავლებინა როდესაც თვითმფრინავთან დაბრუნდებოდნენ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს უთხრეს რომ იქ მისვლას არავინ აღარ აპირებდა. როდესაც როგორც იქნა გაიგო რას ეუბნებოდნენ, მშვიდად ჩაჯდა მანქანაში და უკან გაბრუნდა.

როდესაც საზღვრის გასწვრივ ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან შეტაკებები იწყებოდა მაღაზიების დახლებიდან ნახევარკვარტიანი ქილები ქრებოდა. ერთ ცალსაც ვერ იშოვიდი მწნილის ჩასადებად რომ გეყიდა. ერთი ხელის მოსმით ქრებოდა. საქმე ის არის რომ ასეთ ქილებში ხელყუმბარებს დებდნენ. ვინმეს სახლის ან ბანკის თავზე თუ მიფრინავს ასეთ ქილაში ჩადებული ხელყუმბარა მიწაზე დაცემისთანავე ფეთქდება. ამიტომ საკეტს ამოაძრობდნენ და ხელყუმბარას ქილაში დებდნენ და მერე ქილას სახურავს ახრახნიდნენ. ქილა მიწაზე დანარცხებისას ტყდებოდა და ხელყუმბარაც ფეთქდებოდა. ასეთი თვითნაკეთი ბომბები ყუთობით მზადდებოდა. ხომ ძნელი წარმოსადგენია რომ ღამით ვიღაც პატარა თვითმფრინავით დაფრინავდა და ბორტზე ამგვარი ტვირთი ჰქონდა. მაგრამ ასე ხდებოდა.

ასე მგონია სატანის ადგილზე რომ ყოფილიყავით და კაცობრიობის დაჩოქება დაგესახათ მიზნად იარაღად ნარკოტიკს აირჩევდით. ეს მისი შემოქმედებაა. ერთხელ ვიღაცას ამის შესახებ საუზმობისას ვუთხარი და მაშინ მკითხეს, მჯერა თუ არა სატანის

არსებობის. ვპასუხობ: მთავარი ეს არ არის. მე კი მეუბნებიან, რომ ესმით მაგრამ მე თუ მესმის? ჰოდა ამ საკითხზე ჩავფიქრდი. პატარაობისას ალბათ მჯეროდა. რაც გავიზარდე მე მგონი აღარ მჯეროდა. ახლა ისევ ძველებურად მჯერა. სატანის არსებობა ბევრ ისეთ რამეს ხსნის რაც სხვა შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის.

მოსმა კეისი სკამთან დადო და მერე თავადაც ძლივს დაჯდა. მენიუ ლითონის სადგამიდან აიღო სადაც ის მდოგვსა და კეტჩუპთან ერთად იდო. გოგონა მის პირდაპირ სკამზე მოთავსდა. მოსს თავი არ აუწევია.

რას შეუკვეთავ? იკითხა მან.

არ ვიცი. მენიუ ჯერ არ მინახავს.

მოსმა მენიუ გადააწოდა და დარბაზისკენ შებრუნდა. ოფიციანტს ეძებდა.

რას იტყვი?

რას შევუკვეთავ?

არა. შენს თავზე რას იტყვი. ძლიერი პიროვნება ხარ?

მოსმა გოგონას დაკვირვებით შეხედა. მერე ჰკითხა:

ჩემი ნაცნობებიდან ძლიერ პიროვნებებს მხოლოდ თავადაც ძლიერი პიროვნებები იცნობენ.

მე შეიძლებოდა მხოლოდ თანამგზავრი ვყოფილიყავი.

თანამგზავრი?

ჰო.

ხარ კიდევაც.

დაჭრილი ხარ?

რატომ გგონია?

სიარული გიჭირს.

იქნება ეს ომის ძველი ჭრილობაა.

არა მგონია. რა დაგემართა?

უკანასკნელ ხანს გულისხმობ?

ჰო. უკანასკნელ ხანს.

შენთვის უკეთესია არ იცოდე.

რატომ?

არ მინდა ჩემ გამო ინერვიულო.

და რატომ გგონია ვინერვიულებ?

ცუდ გოგონებს ყოველთვის მოსწონთ ცუდი ბიჭები. რას აიღებ?

არ ვიცი. რას საქმიანობ?

სამი კვირის წინ კანონმორჩილი მოქალაქე ვიყავი. ცხრიდან ხუთამდე ვმუშაობდი. ანუ რვიდან ოთხამდე. მაგრამ მოხდა ის რაც მოხდა. ჩემგან დამოუკიდებლად. ყველაფერი ისე შეიცვალა ნებართვაც არავის უთხო-ვია.

ეს ხომ ის ჭეშმარიტებაა რომელიც მუდამ გესმის, თქვა გოგონამ.

ჩემთან დარჩები და სხვა ჭეშმარიტებებსაც გაიგებ.

შენი აზრით ცუდი გოგო ვარ?

ასე ჩანს.

კეისში რა არის.

საცვლები.

რა არის?

გეტყოდი მაგრამ მერე შენი მოკვლა მომიწევს.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იარაღის ტარება აკრძალულია. ეს თუ იცი?

ნება მომეცი რაღაც გკითხო.

მკითხე.

სროლის დაწყებისას რა გირჩევნია იარაღი გქონდეს თუ კანონს ემორჩილებოდე?

სროლა საერთოდ არ მინდა.

გინდა. სახეზე გაწერია. მაგრამ არ გინდა გესროლონ. რას უკვეთავ?

ჩიზბურგერი და რძიანი შოკოლადი.

ოფიციანტი მათ მაგიდას მიუახლოვდა და შეკვეთა მისცეს. გოგონამ შეუკვეთა ხორცის ცხელი სენდვიჩი და კარტოფილის პიურე შემწვარი ხორცის წვენისგან დამზადებული საწებლით.

არც კი გიკითხავს სად მივდივარ.

ვიცი სადაც მიდიხარ.

თქვი სადაც მივდივარ.

უბრალოდ გზას მიუყვები.

ეს პასუხი არ არის.

პასუხზე მეტია.

არაფერი იცი.

ვიცი.

ვინმე მოგიკლავს.

კი. შენ?

გოგონა შეცბა.

ძალიან კარგად იცი რომ არავინ მომიკლავს.

სრულებით არ ვიცი.

მაშინ გეუბნები რომ არ მომიკლავს.

ესე იგი არ მოგიკლავს.

ეს არც შენ გაგიკეთებია. ხომ მართალია?

რა არ გამიკეთებია?

რაც გაიგონე.

მომიკლავს თუ არა ვინმე?

გოგონამ მიმოიხედა ვინმე ხომ არ უგდებდა ყურს მათ საუბარს.

ჰო.

რთული სათქმელია.

ოფიციანტმა შეკვეთა მოიტანა. მოსმა მაიონეზის პაკეტი კბილებით გახსნა და შიგთავსი ჩიზბურგერს მოასხა. მერე კეტჩუპს მისწვდა.

საიდან ხარ? შეეკითხა გოგონას.

გოგონამ ყინულიანი ჩაი მოსვა და ტუჩები ხელსახოცით მოიწმინდა.

პორტ-არტურიდან, თქვა მან.

მოსმა თავი დაუქნია. ჩიზბურგერი ორივე ხელით აიღო და ჩაკბიჩა. მერე საზურგეს მიეყუდა.

პორტ-არტურში არასოდეს ვყოფილვარ.

არ შემხვედრიხარ.

როგორ შეგხვდებოდი როცა იქ არ ვყოფილვარ?

ვერ შემხვდებოდი და მეც მაგას ვადასტურებ. არ მინახიხარ.

მოსმა თავი დაუქნია.

ჭამდნენ. მოსი გოგონას უყურებდა.

ვიცი რომ კალიფორნიაში მიდიხარ.

საიდან იცი?

იმ მიმართულებით მიდიხარ.

ჰო ასეა. იქ მივდივარ.

რამე ფული გაქვს?

რა შენი საქმეა?

არ არის ჩემი საქმე. მაშ გაქვს თუ არა?

ცოტა მაქვს.

ჩიზბურგერის ჭამა დაასრულა და ხელები ხელსახოცით გაიწმინდა. რძე დალია. მერე ჯიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო. ათასი დოლარი გადათვალა და გოგონას წინ დაუდო. დანარჩენი თანხა ისევ ჯიბეში შეინახა.

ეს ფული რისთვის?

კალიფორნიაში ჩასასვლელად.

ამის საფასურად რა უნდა გავაკეთო?

არაფერიც არ უნდა გააკეთო. ბრმა ნეზვსაც კი შეუძლია თუ მოინდომებს რკოს მიაგნოს. ფული შეინახე და წავედით.

ფული გადაიხადეს და პიკაპისკენ წავიდნენ.

ღორი მე დამიძახე?

მოსს პასუხი არ გაუცია.

გასაღები დამიბრუნე, თქვა მან.

გოგონამ მანქანის გასაღები ჯიბიდან ამოიღო და გაუწოდა.

მეგონა დაგავიწყდა მე რომ ავიღე.

არაფერი მავიწყდება.

შემეძლო შენთვის მეთქვა ტუალეტში გავდივარ-მეთქი და მანქანა მომეპარა.

ვერაფერსაც ვერ მოიპარავდი.

ვითომ რატომ?

მანქანაში ჩაჯექი.

ორივე კაბინაში მოთავსდა. მოსმა კეისი შუაში დადო. ქამრიდან თეც-9 ამოიღო და სავარძლის ქვეშ შეაცურა.

ვითომ რატომ? გაიმეორა გოგონამ.

მთელი ცხოვრება ასეთი მიამიტი ხომ არ იქნები. პირველ რიგში ისეთ ადგილზე ვიჯექი კაფეში ყველას და ყველაფერს ვხედავდი შემოსასვლელისა და ავტოსადგომზე დატოვებული მანქანის ჩათვლით. მეორეც, თუნდაც ისეთი იდიოტი ვყოფილიყავი კარისკენ ზურგით დავმჯდარიყავი მაშინვე ტაქსს დავიჭერდი და გამოგეკიდებოდი, მანქანიდან გადმოგათრევდი და ისე გცემდი მთელი ცხოვრება გეხსომებოდა. მერე გზატკეცილზე დაგტოვებდი.

გოგონა ჩუმად იჯდა. მოსმა მანქანა დაქოქა და უკანა სვლით ავტოსადგომიდან გაიყვანა.

ამას მართლა გააკეთებდი?

აბა რა გგონია?

შვიდ საათზე ვან ჰორნში შევიდნენ. გზის უმეტესი ნაწილი გოგონას ზურგჩანთაზე თავმიდებულს ეძინა. მოსმა მანქანა ტრეილერებისთვის განკუთვნილ ავტოსადგომზე გააჩერა. გო-

გონამ მაშინვე გაახილა თვალები. ირმისას მიუგავდა. წამოჯდა და ავტოსადგომს გადახედა.

სად ვართ?

ვან ჰორნში. მოგშივდა?

რამეს შევჭამდი.

დიზელზე მომუშავე ღუმელში შემწვარი ქათამი გინდა?

რა?

მოსმა თითით ანიშნა სასაუზმის აბრა.

ასეთი რამ არასოდეს მიჭამია.

გოგონამ კარგა ხანი გაატარა ქალების ტუალეტში. როცა მაგიდასთან მივიდა შეკვეთის შესახებ ჰკითხა.

როგორ არა. მთელი ულუფა დიზელზე მომუშავე ღუმელში შემწვარი ქათამი შევუკვეთე შენთვის.

მაგას არ იზამდი.

ორივემ სტეიკი შეუკვეთა.

სულ ასე ცხოვრობ? ჰკითხა გოგონამ.

რა თქმა უნდა. თავზეხელაღებულს რა შეაჩერებს.

ძეწკვზე რა გიკიდია?

ეს?

ჰო.

ტახის ეშვი.

რად გინდა?

ჩემი არ არის. ერთი ადამიანის სახსოვრად ვატარებ.

ადამიანის ანუ ქალის?

არა, ადამიანის ანუ დაღუპულის.

სტეიკი მოიტანეს. მოსი იჯდა და უყურებდა როგორ ჭამდა.

ვინმემ იცის სად მიდიხარ?

რა?

გკითხე ვინმემ იცის სად მიდიხარ-მეთქი.

მაგალითად ვინ?

ვინმემ.

შენ იცი.

არ ვიცი სად მიდიხარ იმიტომ რომ არ ვიცი ვინ ხარ.

არც მე.

არ იცი ვინ ხარ?

არა სულელო. არც მე ვიცი შენ ვინ ხარ.

კარგი. ასე იყოს და ვერავინ დაგვაცდენინებს ერთმანეთზე რამეს. კარგი?

კარგი. რატომ მკითხე?

მოსმა ფუნთუშის ნახევარი საწებელში ჩადო.

ვიფიქრე რომ ასე ალბათ უფრო სამართლიანია. შენთვის ეს ფუფუნებაა. ჩემთვის კი აუცილებლობა.

რატომ? იმიტომ რომ გეძებენ?

შეიძლება.

ეს მომწონს, თქვა გოგონამ. შენს როლს შესანიშნავად თამაშობ.

დიდი დრო არ დასჭირდა როლში შესვლას, არა?

ჰო, თქვა გოგონამ. ასეა.

მაგრამ ყველაფერი არც ისე მარტივადაა როგორც ერთი შეხედვით ჩანს. აი ნახავ.

რატომ არ არის მარტივად?

ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც ვინც იცის საით მიდიხარ. რატომ და რისთვის. ძირითადად ასეა.

ღმერთზე ამბობ?

არა. შენ მყავხარ მხედველობაში.

გოგონას ხმა არ ამოუღია. თავი თეფშისკენ დახარა. მერე თქვა:

ალბათ შეგაწუხებდა რომ არ იცოდე საით მიდიხარ.

არ ვიცი. შენ შეგაწუხებდა?

არც მე ვიცი.

წარმოიდგინე რომ მანამდე უცნობ ადგილზე აღმოჩნდი. და მართლაც არ იცი სად მდებარეობს რომელიღაც სხვა ადგილი. ან რამდენად შორია იქამდე გზა. ეს მაინც არაფერს შეცვლიდა და შენც ძველებურად გააგრძელებდი გზას.

გოგონა ცოტა ხანს დუმდა და მერე უპასუხა:

ვცდილობ ასეთ რამეებზე თავი არ ვიმტვრიო.

გგონია კალიფორნიაში ჩახვალ და ცხოვრებას ხელახლა დაიწყებ.

მინდა დავიწყო.

იქნებ სწორედ ესაა საქმე. კალიფორნიისკენ მიმავალი გზა იმავდროულად კალიფორნიიდან მომავალი გზაცაა. ყველაზე უკეთესი იქნება იქ შემთხვევით მოხვდე.

იქ მოვხვდე?

ჰო.

ისე მოხვდე რომ არ იცოდე სად მიდიოდი?

ჰო. არ იცოდე სად მიდიოდი და უეცრად იქ აღმოჩნდე.

არ ვიცი ეს როგორ უნდა მოვახერხო.

არც მე ვიცი. საქმეც ეს არის.

გოგონამ ჭამა დაასრულა. მიმოიხედა და იკითხა:

შეიძლება ყავა შევუკვეთო?

შეგიძლია ის შეუკვეთო რაც მოგესურვება. ფული გაქვს.

გოგონამ შეხედა და მერე თქვა:

აზრი ბოლომდე მაინც ვერ გავიგე.

აზრი ის არის რომ არავითარი აზრი არ არსებობს.

არა. მხედველობაში მქონდა შენი ნათქვამი. როცა იცი სად მიდიხარ.

მოსმა შეხედა და მცირე ხანს დუმდა.

ის არ მითქვამს რომ იცი სად მიდიხარ. არამედ ის ვიგულისხმე რომ არასწორია როდესაც გგონია თითქოს შეიძლება სადმე წახვიდე და თან არაფერი წაიღო. შენს ფანტაზიაზე ვამბობდი

ახალი ცხოვრების დაწყების შესახებ. ან ნებისმიერი სხვა ადამიანის ამგვარ ფანტაზიაზე. შეუძლებელია ნულიდან დაწყება. აი, ამას ვამბობდი. შენი ყოველი ნაბიჯი სამუდამოა. მისი შეცვლა შეუძლებელია. ვერც ერთს ვერ შეცვლი. გესმის რასაც ვამბობ?

თითქოს კი.

ვხვდები რომ ვერ გაიგე. კიდევ ერთხელ შევეცდები აგიხსნა. დილით როდესაც იღვიძებ ასე გგონია გუშინდელი დღე აღარ ითვლება. მაგრამ სინამდვილეში სწორედ ის ითვლება. რა გაგაჩნია გუშინდელი დღის გარდა? შენი ცხოვრება დღეებისგან შედგება. მეტი არაფრისგან. გგონია სახელის ან არ ვიცი კიდევ რამის შეცვლა შეიძლება. ყველაფრის თავიდან დაწყება. მერე ერთხელაც დილით გაიღვიძებ და ჭერს მიაჩერდები იმაზე თავის მტვრევით საწოლში მწოლიარე შენ ხარ თუ ვინმე სხვა.

გოგონამ თავი დაუქნია.

ახლა გესმის რას ვამბობდი?

მესმის. ასეთი რამ შემემთხვა.

ჰო, ვიცი.

ესე იგი ნანობ დამნაშავე რომ გახდი?

უფრო ადრე რომ არ გავხდი დამნაშავე იმას ვნანობ. მზად ხარ?

მოტელის ოფისიდან გამოსულმა გოგონას გასაღები გაუწოდა.

ეს რა არის?

შენი ნომრის გასაღებია.

გოგონამ გასაღები ხელისგულზე შეათამაშა და მოსს შეხედა. მერე თქვა:

შენი გადასაწყვეტია.

ჰო.

ალბათ იმის გეშინია რომ კეისში ჩავიხედავ.

არ არის ასე.

მოსი პიკაპში ჩაჯდა და მოტელის ავტოსადგომზე გადაიყვანა.

შენ რა, ცისფერი ხარ? ჰკითხა გოგონამ.

მე? ჰო, ცისფერზე ცისფერი ვარ.

არ გეტყობა.

ნუთუ? ბევრი ცისფერი გინახავს?

ცისფერივით არ იქცევი.

აბა როგორ, ძვირფასო?

არ ვიცი.

გაიმეორე.

რა?

გაიმეორე — არ ვიცი.

არ ვიცი.

მშვენიერია. ხშირად იმეორე. კარგად გამოგდის.

მოგვიანებით მოსი თავისი ნომრიდან გავიდა და ღამით მომუშავე მაღაზიას მიაშურა. მოტელში დაბრუნებული ჯერ ავტოსადგომზე მდგარ მანქანებს ათვალიერებდა და მხოლოდ შემდეგ გავიდა გარეთ.

გოგონას ნომერზე დააკაკუნა. დაიცადა. მერე ისევ დააკაკუნა. ფანჯარაზე ფარდა გაიწია და მერე ზღურბლზეც გამოჩნდა. ისევ ჯინსი და მაისური ეცვა. ნამძინარევი ჩანდა.

ვიცი რომ ჯერ ახალგაზრდა ხარ სმისთვის მაგრამ მაინც ვიფიქრე ლუდი ხომ არ გინდა.

ჰო, ლუდს დავლევდი, თქვა გოგონამ.

მოსმა ქაღალდის ყავისფერი პაკეტიდან ერთი ყინულივით ცივი ბოთლი ამოიღო და გაუწოდა.

აიღე.

წასვლას აპირებდა.

გოგონამ კარი დახურა და დერეფანში გავიდა.

შეგეძლო ასე არ გეჩქარა წასვლა.

მოსი ქვედა საფეხურზე შეჩერდა.

პაკეტში კიდევ გაქვს ლუდი?

ჰო. კიდევ ორი. და ორივეს დალევას ვაპირებ.

მინდოდა მეთქვა იქნებ ერთად დავმსხდარიყავით და დაგველია.

მოსმა ალმაცერად შეხედა.

შეგიმჩნევია ქალები როგორ ვერ იგებენ არას როცა პასუხობ? მე მგონი ეს სამი წლის ასაკიდან იწყება.

მამაკაცებზე რას იტყვი?

ისინი მიჩვეულები არიან. უნდა იყვნენ.

ხმას არ ამოვიღებ. წყნარად ვიჯდები.

არც ერთ სიტყვას არ იტყვი?

არა.

უკვე იტყუები.

თითქმის არც ერთს. არ გატყუებ.

მოსი კიბეზე ჩამოჯდა და პაკეტიდან ბოთლი ამოიღო. სახურავი მოხსნა და თავგადაგდებულმა მოიყუდა.

გოგონა ერთი საფეხურით ზემოთ დაჯდა და მას მიჰბაძა.

ბევრი გძინავს? ჰკითხა მოსმა.

როცა ამის საშუალებაა მძინავს. ჰო. შენ?

უკვე ორი თვეა ღამღამობით არ მძინავს. დამავიწყდა კიდეც ეს რას ნიშნავს. მე მგონი ამიტომ თანდათან იდიოტი ვხდები.

სრულებით ვერ გატყობ რომ იდიოტი ხარ.

ეს შენ გგონია ასე.

რის თქმა გინდა ამით?

არაფრის. უბრალოდ გაბრაზებ. მეტი არაფერი.

კეისში შემთხვევით ნარკოტიკი ხომ არ გაქვს?

არა. რატომ? ნარკოტიკს იღებ?

ბალახი რომ გქონდეს მოვწევდი.

არ მაქვს.

კარგი.

მოსმა თავი გააქნია. ლუდი მოსვა.

იმის თქმა მინდა რომ კარგია ასე ჯდომა და ლუდის სმა.

მოხარული ვარ რომ მოგწონს.

მაინც არ თქვი სად მიდიხარ.

არც კი ვიცი.

კალიფორნიაში არა, ხომ ასეა?

არა. არ მივდივარ.

ასეც ვიცოდი.

ელ პასოში მივდივარ.

სად მივდივარ არ ვიციო ამბობდი.

იქნებ სწორედ ახლა გადავწყვიტე.

მეეჭვება.

მოსს პასუხი არ გაუცია.

კარგია ასე ჯდომა, თქვა გოგონამ.

ჩემი აზრით გააჩნია სად ზიხარ.

ციხიდან ახალი გამოსული ხარ ან რაღაც ამგვარი?

სიკვდილმისჯილთა საკნიდან ახალი გამოსული ვარ. თავი უკვე გადამპარსეს ელექტროსკამისთვის მზად რომ ვიყო. შეგიძლია ნახო თმა სად იწყებს ამოსვლას.

ისევ ხუმრობ.

ეს რომ მართალი იყოს ხომ იქნებოდა სასაცილო, ჰა?

პოლიცია დაგდევს?

ყველა დამდევს.

რა ჩაიდინე?

ავტოსტოპით მოსიარულე პატარა გოგონებს ვიყვანდი და მერე უდაბნოში ვმარხავდი.

არ არის ეს სასაცილო.

მართალი ხარ. უბრალოდ გაღადავებდი.

ხომ შემპირდი შევწყვეტო.

კარგი.
ოდესმე ამბობ სიმართლეს?
როგორ არა. ვამბობ.
ცოლიანი ხარ?
ჰო.
შენს ცოლს რა ჰქვია?
კარლა ჯინი.
ელ პასოშია?
ჰო.
იცის ფულს რით შოულობ?
ჰო. იცის. შემდუღებელი ვარ.
გოგონამ შეხედა. ელოდებოდა რომ კიდევ რამეს იტყოდა. მოსი დუმდა.
არავითარი შემდუღებელი შენ არ ხარ.
რატომაც არა?
შემდუღებელს იარაღი რაში სჭირდება?
იმიტომ მჭირდება რომ ცუდი ხალხი კვალში მიდგას.
რა დაუშავე?
რაღაც მივისაკუთრე და ახლა უკან დაბრუნება სურთ.
ჩემი აზრით ამ ყველაფერს შედუღებასთან კავშირი არა აქვს.
ნუთუ? ამაზე არ მიფიქრია.
და იმ ცუდი ხალხის საკუთრება კეისშია. ასეა?
როგორ გითხრა.
სეიფების გამტეხი ხარ?
სეიფების გამტეხი?
ჰო.
რატომ გგონია?
არ ვიცი. ასეა?
არა.
რაღაც ამგვარი ხარ. ასეა?

ყველაზე შეიძლება ასე თქვა.

კალიფორნიაში ყოფილხარ?

ვყოფილვარ. იქ ჩემი ძმა ცხოვრობს.

მოსწონს იქაურობა?

არ ვიცი. უბრალოდ ცხოვრობს.

შენ იქ არ იცხოვრებდი. ასეა?

ასეა.

შენი აზრით იქ წასვლა ღირს?

მოსმა გოგონას შეხედა და მერე შებრუნდა. ფეხები გაშალა და ჩექმები ბეტონზე გადააჯვარედინა. ავტოსადგომსა და გზატკეცილზე ჩავლილი მანქანების სინათლეებს უყურებდა. მერე თქვა:

ძვირფასო, აბა მე საიდან უნდა ვიცოდე ღირს თუ არა კალიფორნიაში შენი ჩასვლა?

გასაგებია. ფულისთვის დიდი მადლობა.

არაფერს.

შეგეძლო ასე არ მოქცეულიყავი.

ჩუმად ყოფნას აპირებდი.

კარგი. მაინც ეს ძალიან ბევრი ფულია.

იმის ნახევარიც კი არ არის რასაც შენ ფიქრობ. თავადაც ნახავ.

არ გავანიავებ. ფული ახალ ადგილზე ფეხის მოსაკიდებლად მჭირდება.

შენი საქმეები კარგად წავა.

იმედი მაქვს.

კალიფორნიაში ცხოვრება იმისთვის არის კარგი ვინც იქაური არ არის. მე მგონი ყველაზე უკეთესია თუ მარსიდან ხარ.

ვიმედოვნებ ასე არ არის. მე ხომ მარსელი არ ვარ.

შენი საქმეები კარგად წავა.

შეიძლება რაღაც გკითხო?

ჰო. მიდი მკითხე.

რამდენი წლის ხარ?

ოცდათექვსმეტის.

ძალიან ბებერი ხარ. არ მეგონა ამდენის თუ იყავი.

ვიცი. მეც მიკვირს.

ისეთი გრძნობა მაქვს რომ შენი უნდა მეშინოდეს მაგრამ არ მეშინია.

მრჩევლად ვერ გამოვდგები. ადამიანების უმეტესობა მზადაა დედას თავქუდმოგლეჯილი გაექცეს და მკვლელს კისერზე ჩამოეკიდოს. მოუთმენლად ელოდებიან მასთან შეხვედრას.

ალბათ გგონია ასეთი ვარ.

სრულებით არ მაინტერესებს შენ როგორი ხარ.

ახლა სად ვიქნებოდი ამ დილით შენ რომ არ შეგხვედროდი.

არ ვიცი.

ყოველთვის მიმართლებდა. იმ ადამიანებთან რომლებსაც შევხვედრივარ.

დასკვნის გამოტანას შენს ადგილზე არ ვიჩქარებდი.

რატომ? სადმე უდაბნოში მიპირებ ჩამარხვას?

არა. მაგრამ შეიძლება იღბალმა გიღალატოს. გზებზე ბევრს იწანწალებ და მიხვდები რომ იღბალმა ზურგის შექცევა იცის.

უკვე მივხვდი. ახლა იმის დროა საწინააღმდეგო გამოვცადო.

მიხვდი? მე კი მგონია ჯერ არა.

ასე რატომ ამბობ?

მოსმა გოგონას შეხედა.

დაიკო, ნება მომეცი რაღაც გითხრა. ამ პლანეტაზე ყველაზე ნაკლებად ჰგავხარ იმ ადამიანს რომელსაც იღბალმა გაუღიმა.

ამის თქმა შენი მხრიდან სისასტიკეა.

არა. მხოლოდ ის მინდა ფრთხილად იყო. ელ პასოში ჩავალთ. ავტოსადგურზე ჩამოგსვამ. მერე შენი გზით წადი. ფული გაქვს. მაგრამ ავტოსტოპით აღარ იარო.

კარგი.

შევთანხმდით.

მართლა გააკეთებდი იმას რაც ცოტა ხნის წინ თქვი? პიკაპი რომ მომეპარა იმ შემთხვევაში.

რაზე ამბობ?

შენ თვითონაც იცი. ისე მცემდი მთელი ცხოვრება მემახსოვრებოდა.

არა.

მეეჭვება.

ბოლო ბოთლიც დავლიოთ?

მიდი.

გაიქეცი და ჭიქა მოიტანე. ახლავე მოვბრუნდები.

კარგი. კიდევ არ გადაიფიქრე?

რა?

კარგად იცი რაც.

აზრს არ ვიცვლი ხოლმე. რასაც თავიდან ვამბობ ისევე ვიქცევი და ეს მომწონს.

მოსი წამოდგა და თავისი ნომრისკენ გაემართა. გოგონა კარის ზღურბლზე შეჩერდა. მერე თქვა:

რაღაც უნდა გითხრა ერთ-ერთი კინოფილმიდან მახსოვს.

მოსი შეჩერდა და გოგონასკენ შებრუნდა.

რა?

გარშემო უამრავი კარგი გამყიდველია და ჯერ კიდევ შეიძლება რაიმეს ყიდვა.

იცი ძვირფასო ცოტათი დაგაგვიანდა. იმიტომ რომ უკვე ვიყიდე. და იმით დავკმაყოფილდები რაც უკვე მაქვს.

გზა გააგრძელა. კიბეები აიარა და თავის ნომერში შევიდა.

შავი ბარაკუდა ბალმორეის განაპირას ტრეილერებისთვის განკუთვნილი ავტოსადგომიდან გავიდა და ავტოსამრეცხაოში შეუხვია. მძღოლმა კარი მიხურა და მანქანას დააკვირდა. საქა-

რე მინა და მანქანის კორპუსი სისხლითა და არა მხოლოდ სისხლით იყო მოსვრილი. დასახურდავებელი ავტომატიდან მონეტები აიღო. ხურდა ჭრილში ჩაუშვა. შლანგი სტელაჟიდან მოხსნა და მანქანა გარეცხა. მერე შლანგი უკან დადო, მანქანა გზატკეცილზე გაიყვანა და დასავლეთისკენ გაემართა.

დილის რვის ნახევარზე ბელი სახლიდან გავიდა და 285-ე გზატკეცილით ფორტ-სტოკტონისკენ გაემართა. ვან ჰორნამდე ორასიოდე მილი იყო დარჩენილი და იქ ჩასვლას სამ საათზე ნაკლებ დროში ვარაუდობდა. ფორტ-სტოკტონიდან დასავლეთით ათიოდე მილის დაშორებით I-10 გზატკეცილის განაპირას მანქანა იწვოდა. სავალი ნაწილის ერთი ზოლი პოლიციას საპატრულო მანქანებით გადაეკეტა. ბელმა ჩაუარა მაგრამ რატომღაც უსიამოვნო გრძნობა არ ტოვებდა. ბალმორეიში შეჩერდა და თერმოსი ყავით შეავსო. თერთმეტის ოცდახუთ წუთზე უკვე ვან ჰორნში იყო.

წარმოდგენა არ ჰქონდა რას ეძებდა მაგრამ კითხვა თავისთავად მოიხსნა. მოტელის ავტოსადგომზე კალბერსონის ოლქის ორი საპატრულო და შტატის პოლიციის ერთი მანქანა შენიშნა. სამივე ანთებული ფარებით. მოტელს ყვითელი ლენტი ჰქონდა შემოკრული. მანქანებს მიუახლოვდა და არც თავად გამოურთავს ფარები.

შერიფის თანაშემწე არა მაგრამ შერიფი ბელს იცნობდა. ორივენი საპატრულო მანქანის უკანა სავარძელზე თეთრპერანგიან მამაკაცს რაღაცას ეკითხებოდნენ.

აქ რას აკეთებ, შერიფო?

რა მოხდა, მარვინ?

მცირე შეტაკება იყო ცეცხლსასროლი იარაღით. ამაზე რამე ხომ არ გაგიგია?

არაფერი ვიცი. მსხვერპლი არის?

სასწრაფომ წაიყვანა ნახევარი საათის წინ. ორი კაცი და ერთი გოგონა. გოგონა მკვდარია და კაცებიდან ერთის გადარჩენა საეჭვოა. მეორის კიდევ შეიძლება.

ვინაობა დაადგინეთ?

არა. კაცებიდან ერთი მექსიკელია და მისი მანქანის შესახებ მონაცემების მიღებას ველოდებით. აი იქ დგას. დოკუმენტები არ ჰქონდა. არც მეორეს.

მოწმე რას ამბობს?

სროლა მექსიკელმა დაიწყო. ამბობს რომ გოგონა ნომრიდან გამოათრია და მაშინ გამოჩნდა კაცი ავტომატით. მაგრამ როცა დაინახა რომ მექსიკელმა ავტომატი გოგონას საფეთქელზე მიაბჯინა თავისი იარაღი იატაკზე დადო. როგორც კი ეს გააკეთა მექსიკელმა გოგონას ხელი ჰკრა და მაშინვე ესროლა ჯერ ქალს და მერე კაცს. ასმეჩვიდმეტე ნომრის წინ იდგა, იქ. ამ დაწყევლილი ავტომატიდან ესროლა. მოწმის თქმით არც ისე ახალგაზრდა კაცი წაიქცა და კიბეებზე დაგორდა. მაგრამ თავისი იარაღის აღება მოასწრო და მექსიკელს ესროლა. ვერ ვხვდები ეს როგორ მოახერხა რადგან თავად თავიდან ფეხებამდე დაცხრილული იყო. სისხლის კვალი აი იქ გზაზე მოჩანს. ძალიან სწრაფად მოვედით. მე მგონი დაახლოებით შვიდ წუთში. გოგონა მაშინვე მოკვდა.

პირადობის დასადგენი არაფერია?

არაფერი. არც ისე ახალგაზრდა კაცის პიკაპზე იმ დილერის ლოგოა მიკრული ვისთანაც მანქანა შეიძინა.

ბელმა თავი დაუქნია. მოწმეს შეხედა. მოწმემ სიგარეტი მოითხოვა. ისეთი უდარდელი სახით ეწეოდა თითქოს საპატრულო მანქანაში ჯდომა მისთვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ.

ის გოგონა, თქვა ბელმა. თეთრკანიანია?

ჰო. თეთრკანიანია. ქერათმიანი. შეიძლება ითქვას წითურიც კი.

ნარკოტიკი ხომ არ გიპოვიათ?

ჯერ არა. ვეძებთ.

ფული?

ვერც ფული ვიპოვეთ. გოგონა ასოცდამეერთე ნომერში ცხოვრობდა. მარტო ზურგჩანთა ჰქონდა ცოტაოდენი სამოსით.

ბელმა მოტელის ნომრების მწკრივს შეხედა. მოტელის კლიენტები მცირე ჯგუფებად შეკრებილიყვნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ. შავ ბარაკუდას მიუბრუნდა.

ეს მანქანა დადის?

ისე დადის შენი მოწონებული. მაგას კაპოტის ქვეშ ორმოცდამეერთე ძრავა აქვს საბერველით.

საბერველით?

ჰო.

ასეთი რამ არ მინახავს.

იგივეა რაც მართვადი რაკეტა. და ეს ყველაფერი კაპოტის ქვეშაა.

ბელი იდგა და მანქანას ათვალიერებდა. მერე შერიფს მიუბრუნდა.

შეგიძლია აქაურობა ცოტა ხნით დატოვო?

შემიძლია. რა ჩაიფიქრე?

ვიფიქრე ჩემთან ერთად კლინიკაში ხომ არ წამოხვიდოდი.

კარგი. მე წაგიყვან.

ძალიან კარგი. ერთი წუთით ჩემს პიკაპს გზიდან გადავაყენებ.

ჯანდაბა, იყოს, ედ ტომ.

მაინც ჯობია იქით დავაყენო. კაცმა არ იცის როდის დაბრუნდები იქიდან სადაც მიდიხარ.

კლინიკის რეგისტრატურაში შერიფმა მორიგე მედდას სახელით მიმართა. ქალმა ბელს შეხედა.

ვინაობის დადგენა შეუძლია.

ქალმა თავი დაუქნია და ფანქარი ჩადო იმ წიგნის გვერდებს შორის რომელსაც კითხულობდა. მერე წამოდგა და თქვა:

ორი უკვე გარდაცვლილი მოიყვანეს. მექსიკელი ოცი წუთის წინ ვერტმფრენით გადააფრინეს. ალბათ უკვე საქმის კურსში ხართ.

ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, ძვირფასო, უპასუხა შერიფმა.

მედდას დერეფანში გაჰყვნენ. იატაკს სისხლის კვალი აჩნდა.

მათი პოვნა ძნელი არ არის, ხომ ასეა? თქვა ბელმა.

დერეფნის ბოლოს წითლად ენთო წარწერა „გასასვლელი“. იქამდე არმისულმა მედდამ ლითონის კარის საკეტში გასაღები შეუყარა და გადაატრიალა. სინათლე აანთო. ბეტონის უფანჯრო ოთახში აღმოჩნდნენ. იქ მხოლოდ სამი გორგოლაჭიანი მაგიდა იდგა. ორზე პოლიეთილენით დაფარული გვამი იდო. მედდა კართან დარჩა და უყურებდა ორმა მამაკაცმა როგორ შემოუარა მაგიდებს.

შენი მეგობარია, ედ ტომ?

არა.

ორი ტყვია სახეში მოხვდა და კიდევ არა უშავს სანახავია. რასაკვირველია ამაზე უარესებიც გვინახავს. სწორს ამბობდი გზატკეცილი ფრონტის წინა ხაზს ჰგავსო.

პოლიეთილენი გადახადა. ბელმა მაგიდის ბოლოს შემოუარა. მოსს ნიკაპის ქვეშ საყრდენი არ ედო და თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული. ცალი თვალი სანახევროდ გახელილი დარჩენოდა. მორგში მწოლარე ბანდიტს წააგავდა. სახიდან სისხლი მოსწმინდეს მაგრამ ორი ნატყვიარი და ჩამსხვრეული კბილები მოჩანდა.

ის არის?

ჰო. ის არის.

გეტყობა არ გინდოდა ეს რომ ყოფილიყო.

მის ცოლს უნდა ვაცნობო.

მესმის შენი.

ბელმა თავი დაუქნია.

რას იზამ, უთხრა შერიფმა, შენ ვერაფერს გააწყობდი.

ჰო, უპასუხა ბელმა. მაგრამ ყოველთვის გგონია რომ რაღაც მაინც შეგეძლო.

შერიფმა მოსის სახე ისევ ცელოფნით დაფარა და ახლა მეორე გვამს ახადა პოლიეთილენი. ბელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

ორი ნომერი აიღეს. ან კაცმა აიღო ნომრები. ნაღდი ფულით გადაიხადა. სარეგისტრაციო ჟურნალში გვარის წაკითხვა შეუძლებელია. რაღაც ბატიფეხურია.

მისი გვარია მოსი.

კარგი. ოფისში შენს ინფორმაციას ჩავიწერთ. მსუბუქი ყოფაქცევისას ჰგავს.

ჰო. ჰგავს.

შერიფმა გოგონას გვამს პოლიეთილენი დააფარა და თქვა:

მეეჭვება მის ცოლს გაეხარდეს ამ დეტალის გაგება.

მეც ასე მგონია.

შერიფმა მედდას შეხედა რომელიც ისევ კარის ზღურბლზე იდგა.

რამდენჯერ ესროლეს?

არ ვიცი, შერიფო. შეგიძლიათ თავად ნახოთ. მე არ ვარ წინააღმდეგი და ეგ თავისთავად ვერ დაგიშლით.

კარგი. გაკვეთისას გაირკვევა. დარწმუნდი, ედ ტომ?

ჰო. ვიდრე ვნახავდი ვიცოდი ის იქნებოდა.

შერიფის კაბინეტში მარტო იჯდა და ტელეფონს მისჩერებოდა. ბოლოს კარი გააღო და გავიდა. შერიფის თანაშემწემ შეხედა.

უფროსი ალბათ შინ წავიდა?

დიახსერ, უპასუხა თანაშემწემ. რამით შემიძლია დაგეხმაროთ, შერიფო?

ელ პასომდე აქედან შორია?

დაახლოებით ასოცი მილია.

გადაეცით რომ დახმარებისთვის მადლობელი ვარ და ხვალ დავურეკავ.

დიახსერ.

ქალაქის განაპირას კაფეში წაიხემსა. მერე ყავას ნელა სვამდა და გზატკეცილზე მიმავალი მანქანების სინათლეებს უყურებდა. რაღაც ისე არ იყო. გუმანით გრძნობდა. საათს დახედა. 1:20. ფული გადაიხადა. გავიდა და მანქანაში ჩაჯდა. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იჯდა. მერე გზაჯვარედინამდე მივიდა და აღმოსავლეთით მოტელისკენ მიატრიალა მანქანა.

ჩიგურმა ნომერი აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზატკეცილის პირას მდებარე მოტელში აიღო. ღამის სიბნელეში მოშიშვლებული ავტოსადგომი გადაჭრა და ბინოკლით დაიწყო გზატკეცილის თვალიერება. ჩაცუცქდა და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო. ისევ ათვალიერებდა. მერე ადგა და ნომერში დაბრუნდა.

მაღვიძარა ღამის პირველ საათზე დააყენა და როდესაც მან დარეკა ადგა, შხაპი მიიღო და ჩაიცვა. მანქანისკენ წავიდა მომცრო ტყავის ჩანთით ხელში.

მოტელის სადგომზე გაჩერებული მცირე ხანს სავარძლის საზურგეზე მიყრდნობილი იჯდა და უკანა ხედვის სარკეში იყურებოდა. არავინ ჩანდა. პოლიციის მანქანები დიდი ხანია წავიდნენ. კარის წინ ყვითელ ლენტს ქარი აფრიალებდა. გზატკეცილზე ტრეილერები არიზონისა და კალიფორნიისკენ მიქროდნენ. მანქანიდან გადავიდა. ნომრის კარის საკეტი შეამტვრია. ოთახში შევიდა და კარი მიხურა. ფანჯრიდან შემომავალი სინათლე ნომერს ანათებდა. ფანერის კარში დატოვებული ნატყვიარების გავლითაც იღვრებოდა სინათლის სხივები. პატარა მაგიდა კე-

დელს მიადგა და შარვლის უკანა ჯიბიდან სახრახნისი ამოიღო. ლითონის სავენტილაციო ბადის ხრახნების მოხსნას შეუდგა. ბადე მაგიდაზე დადო. ხელი მილში შეყო და კეისს წააწყდა. იატაკზე კეისიანად ჩახტა და ფანჯარასთან მისულმა ავტოსადგომს გახედა. მერე ქამარში ჩადებული პისტოლეტი ამოიღო და ნომრიდან გასულმა თავის პიკაპს მიაშურა.

კეისი მანქანის იატაკზე დადო და ის იყო მანქანის დაქოქვას აპირებდა რომ ტერელის ოლქის საპატრულო მანქანა დაინახა. მანქანა მისგან ასიოდე ფუტის დაშორებით მოტელის წინ გაჩერდა. ჩიგური სავარძელზე გაწვა. საპატრულო მანქანა ავტოსადგომზე გადავიდა. ფარები ჩაქრა. შემდეგ ძრავას ხმა მიწყდა. ჩიგურს მუხლებზე პისტოლეტი ედო და ელოდა.

ბელი მანქანიდან გადავიდა. ავტოსადგომი მოათვალიერა. 117-ე ნომერთან მივიდა და კარის სახელური ჩამოსწია. კარი ღია დახვდა. ლენტის ქვეშ შეძვრა. კარი გააღო და ნომერში სინათლე აანთო.

პირველი რაც დაინახა მოხსნილი სავენტილაციო მილის ბადე და ხრახნები იყო. კარი მიხურა და იქვე იდგა. მერე ფანჯარასთან მივიდა და ფარდა ოდნავ გასწია. ავტოსადგომს კარგა ხანს უყურებდა. არავითარი მოძრაობა არ შეუნიშნავს. იატაკზე რაღაც ეგდო და ასაღებად დაიხარა. უკვე იცოდა რაც იქნებოდა. საწოლზე ჩამოჯდა და ხელისგულზე ლითონის პატარა ბურთულა შეათამაშა. მერე ბურთულა მაგიდაზე საფერფლეში ჩააგდო. ტელეფონის ყურმილს დასწვდა მაგრამ აპარატი არ მუშაობდა. ყურმილი უკან დადო. ბუდიდან იარაღი ამოიღო და ცილინდრში ვაზნები შეამოწმა.

დანამდვილებით არ იცი იქ არის თუ არა, თქვა თავისთვის.

არა, იცი. დანამდვილებით იცი და სწორედ ამიტომაც დაბრუნდი.

ახლა რას აპირებ?

წამოდგა და სინათლე ჩააქრო. ხუთი ნატყვიარი კარზე. მომარჯვებული იარაღით ხელში იდგა. ცერი სასხლეტზე ედო. მერე კარი გააღო და ქუჩაში გავიდა.

თავისი საპატრულო მანქანისკენ გაეშურა. ავტოსადგომზე ყველა მანქანას ყურადღებით ათვალიერებდა. განსაკუთრებით პიკაპებს. საინტერესოა ყოველთვის შეგიძლია თუ არა სროლის სინათლე პირველმა დაინახო. ალბათ. იმას გრძნობ ვიღაც რომ გითვალთვალებს? ბევრი ამბობს რომ გრძნობს. მანქანასთან მივიდა და კარი მარცხენა ხელით გააღო. სალონში სინათლე ჩართო. დაჯდა და იარაღი გვერდით სავარძელზე დადო. მანქანა უკან დახია. ფარები აანთო და გზატკეცილზე გავიდა.

როდესაც მოტელი თვალს მიეფარა ბელი რაციით შერიფის ოფისს დაუკავშირდა. მოტელისკენ მაშინვე გამოგზავნეს ორი საპატრულო მანქანა. ბელმა მანქანა მიაბრუნა და იქამდე იარა ვიდრე მოტელის აბრა არ დაინახა. საათს დახედა. 1:45. კიდევ შვიდი წუთი და 1:52 გახდება. ელოდებოდა. მოტელის სიახლოვეს მოძრაობა არ შეინიშნებოდა. 1:52-ზე გზატკეცილზე გამოძახებული მანქანები გამოჩნდა ჩართული სირენებითა და ციმციმებით. ერთიმეორის მიყოლებით ჩაუხვიეს მოტელისკენ. ბელი ავტოსადგომს თვალს არ აცილებდა და განზრახული ჰქონდა ყველა მანქანა შეეჩერებინა რომელიც კი გასვლას დააპირებდა.

როდესაც საპატრულო მანქანები მოტელთან შეჩერდნენ თავისი მანქანა ასოთხმოცი გრადუსით შეატრიალა და ავტოსადგომიდან მათ შესახვედრად გავიდა.

შერიფის თანაშემწეები ფარნებითა და იარაღით ხელში სათითაოდ ათვალიერებდნენ მანქანებს. ახლა უკან მიდიოდნენ. ბელი თავის მანქანას მიყრდნობილი ელოდა მათ. თავი დაუქნია და უთხრა:

ჯენტლმენებო, მე მგონი გაგვაცურეს.

მათ იარაღი შეინახეს. ბელმა მთავარი თანაშემწე ნომერში შეიყვანა და გახსნილი სავენტილაციო მილი და გატეხილი საკეტი აჩვენა.

ეს როგორ მოახერხა, შერიფო? იკითხა შერიფის თანაშემწემ რომელსაც ცილინდრი ხელისგულზე ედო.

გრძელი ამბავია, უპასუხა ბელმა. მაპატიეთ რომ ამაოდ შეგაწუხეთ.

არა უშავს, შერიფო.

უფროსს გადაეცით რომ ელ პასოდან დავურეკავ.

დიახსერ, აუცილებლად გადავცემ.

ორი საათის შემდეგ ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანში მდებარე როუდვეი-ინში ნომერი იქირავა. ჩაიკეტა და დასაძინებლად დაწვა. ჩვეულებისამებრ დილის ექვს საათზე გაეღვიძა. ადგა და ფარდები გადასწია. ისევ საწოლში ჩაწვა მაგრამ დაძინება ვეღარ შეძლო. ბოლოს ადგა და შხაპი მიიღო. მერე კაფეში ჩავიდა სასაუზმოდ და დილის გაზეთის წასაკითხად. მოსისა და გოგონას მკვლელობის შესახებ ჯერ ინფორმაცია არ იყო. ოფიციანტ ქალს რომელმაც კიდევ ერთი ფინჯანი ყავა შესთავაზა ჰკითხა, საღამოს გაზეთს როდის იღებთო.

არ ვიცი, უპასუხა ოფიციანტმა. დიდი ხანია გაზეთებს აღარ ვკითხულობ.

მესმის თქვენი. რომ შემეძლოს მეც ასე მოვიქცეოდი.

თავი დავანებე მათ წაკითხვას და ქმარიც ვაიძულე ასე მოქცეულიყო.

მართლა?

არ ვიცი რატომ ამბობენ თითქოს ახალი ამბების გაგება გაზეთიდან შეიძლება. რაც იქ წერია იმას ახალ ამბავს ვერ დაარქმევ.

ვერა.

მითხარით ბოლოს როდის წაიკითხეთ გაზეთში რაიმე იესო ქრისტეს შესახებ?

ბელმა თავი გააქნია და უპასუხა:

არ ვიცი. დიდი ხანია ასეთი არაფერი წამიკითხავს.

საქმეც ეგ არის, უთხრა ქალმა. ძალიან დიდი ხანია.

მსგავსი შეტყობინებით არაერთ კარზე დაუკაკუნებია და ეს არ გახლდათ პირველი შემთხვევა. დაინახა როგორ გადაიწია ცოტათი ფარდა და მერე კარი გაიღო. ზღურბლზე ქალი გამოჩნდა. ჯინსი ეცვა და ზედ გადმოშვებული პერანგი. იდგა და უყურებდა. სახის გამომეტყველება არაფერს მიანიშნებდა. უბრალოდ იდგა და ელოდა. ბელმა ქუდი მოიხადა. ის კი კარის წირთხლს ზურგით მიეყრდნო და სახე მიაბრუნა.

ძალიან ვწუხვარ, მემ, თქვა ბელმა.

ოჰ, ღმერთო, ამოიგმინა ქალმა. ბარბაცით შევიდა ოთახში და წაიქცა. იატაკზე იწვა და სახეს ხელებით იფარავდა. ბელი ქუდს ხელში ატრიალებდა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მოხუცებული არსად ჩანდა. ავტოსადგომზე ორი მექსიკელი დამლაგებელი იდგა. მათ უყურებდნენ და ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. ბელმა ოთახში შეაბიჯა და კარი მიხურა.

კარლა ჯინ, უთხრა მან.

ოჰ, ღმერთო! დაიკვნესა ქალმა.

მთელი სულითა და გულით ვწუხვარ იმის გამო რაც მოხდა.

ოჰ, ღმერთო!

ის კი იდგა და ქუდს აწვალებდა.

ძალიან ვწუხვარ.

ქალმა თავი ასწია. მისკენ სასოწარკვეთილი სახე მიაბრუნა.

ეშმაკმა დაგწყევლოთ. რას დგახართ აქ და ამბობთ რომ წუხხართ? ჩემი ქმარი მკვდარია. ეს თუ გესმით? კიდევ ამოიღებთ ხმას და ღმერთს გეფიცებით გესვრით.

IX

მეტი რა გზა მქონდა. დავუჯერე. მეტად აღარ მინახავს. მინდოდა მისთვის მეთქვა გაზეთებში ტყუილი რომ ეწერა. მისი ქმრისა და იმ გოგონას შესახებ. გოგონა სახლიდან გაქცეული აღმოჩნდა. თხუთმეტი წლის იყო. არ მჯერა მათ შორის რაიმე ყოფილიყო და არ მსიამოვნებს თუ ასეთი რამ გაიფიქრა. ის კი თავადაც მოგეხსენებათ ამას ფიქრობდა. ბევრჯერ დავურეკე, მაგრამ ჩემი ხმის გაგონებისთანავე ყურმილს კიდებდა. ვერ გავამტყუნებ. მოგვიანებით როდესაც ოდესიდან დამირეკეს და მომხდარის შესახებ მაცნობეს ძლივს დავიჯერე. ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ამაოდ წავედი იქ. ბებიამისი ახალი გარდაცვლილი იყო. მკვლელის თითის ანაბეჭდების გამოძიების ფედერალური ბიუროს კარტოთეკაში მოძიება ვცადე მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. მითხრეს მისი გვარი დაწერე, რა ჩაიდინა და ასე შემდეგო. სულელი შენვე გამოდიხარ. მოჩვენებაა. მაგრამ სადღაც რეალურად არსებობს. შეუძლებელია ასე უკვალოდ გამქრალიყო. სულ ველოდები რომ მის შესახებ რაღაცას გავიგებ. და შეიძლება სიცოცხლეში ამას ვეღირსო. თუმცა შეიძლება არა. თავის მოტყუება იოლია. საკუთარ თავს ეუბნები რის გაგონება გსურს. უკვე იმაშიც აღარ ვარ დარწმუნებული მის შესახებ რის გაგონება მსურს. თავს ირწმუნებ რომ საქმე დახურულია. მაგრამ თავადაც გესმის რომ ასე არაა. ოცნება კი ყველაფერზე შეიძლება.

მამაჩემი მეუბნებოდა უბრალოდ ყველაფერი საუკეთესოდ გააკეთეო და მართალიც იყო. მისი სიტყვებით არაფერი ისე არ ამშვიდებს როგორც დილით გასეირნება და იმის შეგნება, რომ შენ ღმერთი არ ხარ და ყველაფერი არ შეგიძლია. და თუ რამე შეგეშალა ადექი და გულწრფელად თქვი ამის შესახებ. რომ გუ-

ლი გწყდება შეცდომის დაშვების გამო. მერე მუშაობა გააგრძელე. სინდისის ქენჯნით თავს ნუ დაიტანჯავ. დღეს ასეთი რამ ალბათ ძალიან მარტივი ჩანს. მეც ასე მგონია. და მით უმეტეს საჭიროა ამ სიტყვებზე დაფიქრება. მამაჩემი სიტყვაუხვი არასოდეს ყოფილა. ამიტომ მის ნათქვამ ყველა სიტყვას ვიმახსოვრებდი. ახალგაზრდობაში არაერთხელ გამმრუდებია გეზი და მისი დარიგება არად ჩამიგდია. მერე და მერე უკვე წესად შემოვიღე ყური დამეგდო და მისი რჩევები გამეთვალისწინებინა. ჩემი აზრით ჭეშმარიტება მარტივია. მის გარეშე არსებობა შეუძლებელია. ის განსაკუთრებულად მარტივი უნდა იყოს რათა გაგება ბავშვმაც კი შეძლოს. სხვაგვარად შეიძლება დააგვიანო. როდესაც შენი ჭკუით მიხვდები რა არის ჭეშმარიტება შესაძლოა ძალიან გვიანი იყოს.

კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი ჩიგური მდივანი ქალის მაგიდასთან იდგა. კეისი იატაკზე ფეხებთან დადო და ოფისში მიმოიხედა.

თუ შეიძლება თქვენი გვარი გამიმეორეთ, სთხოვა ქალმა.

ჩიგურმა გაიმეორა.

შეხვედრა დანიშნული გაქვთ?

არა. მაგრამ ჩემი ნახვა გაუხარდება.

ერთ წუთს მოითმინეთ.

მდივანმა ტელეფონით აცნობა მოსულის შესახებ.

პასუხი მდუმარედ მოისმინა. ყურმილი დადო და უთხრა:

მიბრძანდით, გელოდებიან.

ჩიგურმა კარი გააღო და შევიდა. მაგიდასთან მჯდომი კაცი წამოდგა და შეხედა. მერე მაგიდას შემოუარა და ხელი ჩამოართვა.

თქვენი გვარი მეცნობა, თქვა მან.

კაბინეტის კუთხეში დივანზე ჩამოსხდნენ. ჩიგურმა კეისი ყავის მაგიდაზე დადო. თავით ანიშნა მასზე.

ეს თქვენია.

რა არის?

თქვენი კუთვნილი ფული.

კაცი იჯდა და კეისს მისჩერებოდა. მერე მაგიდასთან მივიდა და ღილაკს თითი დააჭირა. ყურმილში წარმოთქვა:

ვინც უნდა დარეკოს არ შემაერთოთ.

შებრუნდა. ხელები ზურგზე დაიწყო და ჩიგურს ყურადღებით მიაჩერდა.

როგორ მიპოვეთ?

ეს მნიშვნელოვანია?

ჩემთვის მნიშვნელოვანია.

ნუ ნერვიულობთ. სხვა ვერავინ მოგძებნით.

საიდან უნდა ვიცოდე?

იმიტომ რომ ჩემი გადასაწყვეტია ვინ მოვიდეს და ვინ არა. არ ვაპირებ თქვენს შეშინებაზე დავკარგო დრო. ეს დროის უსარგებლო ხარჯვაა. ასე რომ ფულზე ვისაუბროთ.

კარგი.

აქ მთლიანი თანხა არ არის. დაახლოებით ასი ათასი აკლია. ნაწილი მოიპარეს და ნაწილი ჩემი ხარჯების დაფარვას დასჭირდა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა თქვენი საკუთრების დასაბრუნებლად და არ მინდა ისეთ ადამიანად მიმიჩნიოთ ვინც ცუდი ამბის შესატყობინებლად მოვიდა. ამ კეისში ორი მილიონ სამასი ათასია. ვწუხვარ თანხა სრულად რომ ვერ დაგიბრუნეთ მაგრამ რა გაეწყობა, ის მიიღეთ რაც დარჩა.

კაცი არ განძრეულა. ცოტა ხანს დუმდა. მერე ჰკითხა:

ეშმაკმა დალახვროს, თქვენ ვინ ხართ?

ჩემი სახელი და გვარია ანტონ ჩიგური.

ეს ვიცი.

მაშ რატომ მეკითხებით?

რა გაქვთ განზრახული ის მაინტერესებს.

გასაგებია. შეიძლება ითქვას რომ ჩემი ვიზიტის მიზანი თქვენდამი კეთილგანწყობის დადასტურებაა. როგორც საჩოთირო საქმეების მოგვარების ექსპერტის. სრულიად სანდო და პატიოსანი ადამიანის. რაღაც ამგვარია.

იმის, ვისთანაც საქმის დაჭერა შეიძლება.

დიახ.

სერიოზულად ამბობთ?

სრულიად სერიოზულად.

ჩიგური თვალს არ აშორებდა. დაინახა როგორ გაუფართოვდა გუგები და გახშირებით აუთამაშდა ძარღვი კისერზე. სუნთქვა აუჩქარდა. თავიდან მაგიდაზე ხელებდაყრდნობილი უფრო მშვიდად გამოიყურებოდა. ახლაც იმავე პოზაში იდგა მაგრამ სიმშვიდე ხელის ერთი მოსმით გამქრალიყო.

მაგ დაწყევლილ კეისში შემთხვევით ბომბი ხომ არ არის?

არა. ბომბი არ არის.

ჩიგურმა ტყავის თასმები და ლითონის შესაკრავი გახსნა. კეისს სახურავი ახადა და მაგიდისკენ მიატრიალა.

ჰო, კარგი. თქვა კაცმა. დახურეთ.

ჩიგურმა კეისი დახურა. კაცი გაიმართა. ტუჩები ხელის ზურგით გაიწმინდა.

ჩემი აზრით, თქვენ უნდა გააანალიზოთ, უთხრა ჩიგურმა, რატომ დაკარგეთ ფული. ვის რჩევას ენდეთ და რატომ მოხდა ეს ყველაფერი.

დიახ. მაგრამ აქ ამ ყველაფრის შესახებ ვერ ვისაუბრებთ.

მესმის. ასეა თუ ისე არც ველოდი რომ პირველსავე შეხვედრაზე ყველაფერს გაარკვევდით. ორი დღის შემდეგ დაგირეკავთ.

კარგი.

ჩიგური დივანიდან ადგა. კაცმა თავით ანიშნა კეისზე.

ამ თანხით საკუთარი ბიზნესის წამოწყება შეგეძლოთ. თან არაერთის, თქვა მან.

ჩიგურმა გაიღიმა და თქვა:

ბევრი რამ გვაქვს სალაპარაკო. ამიერიდან ახალი პარტნიორები გვეყოლება. პრობლემები აღარ გაჩნდება.

ძველებს რა დაემართათ?

სხვა საქმეებს მოჰკიდეს ხელი. ამ ტიპის საქმიანობისთვის ყველა არ გამოდგება. უზარმაზარი შემოსავალი ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასების საშუალებას არ აძლევს. ისინი შეცდომების დაშვებას იწყებენ. საკუთარ თავს არწმუნებენ თითქოს ყველაფერი მათ ხელშია და სინამდვილეში ეს ასე სრულებითაც არ არის. საკმარისია ერთი არასწორი ნაბიჯი უცნობ მიწაზე და მტრების ყურადღებას მაშინვე მიიპყრობ. ან პირიქით, გულს აუცრუებ მათ.

თქვენ? თქვენს მტრებზე რას იტყვით?

მტრები არ მყავს. თავს უფლებას არ ვაძლევ მტრები მყავდეს.

ოთახში მიმოიხედა. მერე თქვა:

შესანიშნავი ოფისია. გემოვნებითაა მოწყობილი. მერე თავი კედელზე ჩამოკიდებული ნახატისკენ გაიქნია:

ორიგინალია?

კაცმაც ნახატს შეხედა.

არა, თქვა მან. ასლია. მაგრამ ორიგინალიც მაქვს. ბანკის სეიფში ინახება.

მშვენიერია, თქვა ჩიგურმა.

ბებია მარტის ცივ და წვიმიან დღეს დაკრძალეს. კარლა ჯინი ბებიამისის დის გვერდით იდგა. ბებიამისის დის ქმარი მის წინ ინვალიდის ეტლში იჯდა და ნიკაპი ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებზე ჩამოედო. გარდაცვლილს იმაზე მეტი მეგობარი აღმოაჩნდა ვიდრე კარლა ჯინს ეგონა. გაუკვირდა კიდეც. ისინი შავი ვუალებით მოვიდნენ, რომლებიც მათ სახეებს უფარავდა. ხელი

ბიძიას მხარზე დაადო, მან კი საპასუხოდ ხელი მოუთათუნა. ქალს კი ეგონა ჩაეძინაო. ქარი ქროდა. მღვდელი ლაპარაკობდა და ქალს იმის შეგრძნება არ ტოვებდა რომ უთვალთვალებენ. ორჯერ შებრუნდა კიდევაც.

შინ რომ დაბრუნდა უკვე ბნელოდა. სამზარეულოში შევიდა და ჩაიდანი ცეცხლზე დადგა. მერე სამზარეულოს მაგიდასთან ჩამოჯდა. მთელი დღის განმავლობაში ტირილი ვერ შეძლო. ახლა კი ატირდა. ხელები სახეზე აიფარა.

ოჰ, დედა, თქვა კარლა ჯინმა.

მერე კიბეზე ავიდა და საწოლ ოთახში სინათლე აანთო. ჩიგური საწერ მაგიდასთან იჯდა და ელოდებოდა.

ქალი კარის ზღურბლთან შეჩერდა და ხელი ნელა დაუშვა. კაცი არც განძრეულა. კარლა ჯინი იდგა, ხელში ქუდი ეჭირა. ბოლოს ამოღერღა:

ვიცოდი ეს რომ მოხდებოდა.

ჭკვიანი გოგონა ხარ.

არ მაქვს.

რა არ გაქვს?

უნდა დავჯდე.

ჩიგურმა თავით ანიშნა საწოლზე. ქალი დაჯდა და ქუდი გვერდზე დადო. მერე ისევ აიღო და მკერდზე მიიკრა.

გვიანაა, თქვა ჩიგურმა.

ვიცი.

მაშ რას ამბობდი რომ არ გაქვს?

იცი რასაც ვამბობდი.

საინტერესოა რამდენი გაქვს.

არაფერი. შვიდი ათასამდე მქონდა და დიდი ხანია აღარაფერი დარჩა. უთვალავი ქვითარი ჯერ კიდევ დასაფარია. დღეს დედა დავკრძალე. დაკრძალვის ხარჯებიც გასასტუმრებელია.

ამაზე ნუ იდარდებ.

ქალმა სასთუმლის მაგიდას შეხედა.

იქ აღარ დევს, თქვა ჩიგურმა.

კარლა ჯინი მოიკუნტა და ქუდს ხელები მაგრად ჩასჭიდა.

ხელს ნუ მახლებ, არაფერი დამიშავებია.

ვიცი. მაგრამ სიტყვა მაქვს მიცემული.

სიტყვა გაქვს მიცემული?

ჰო. ჩვენ გარდაცვლილთა წყალობის ანაბარა ვართ. ამ შემთხვევაში ეს შენი ქმარია.

ამას აზრი არ აქვს.

ვწუხვარ, მაგრამ აქვს.

ფული არ მაქვს. ეს კარგად იცი.

ვიცი.

ჩემს ქმარს სიტყვა მიეცი რომ მომკლავდი?

ჰო.

მაგრამ ის მკვდარია. ჩემი ქმარი ცოცხალი აღარ არის.

ჰო. მე კი ცოცხალი ვარ.

მკვდრების არაფერი გმართებს.

ჩიგურმა თავი ოდნავ ასწია.

არა?

როგორ შეიძლება გარდაცვლილის რაიმე გემართოს?

და რატომ არ შეიძლება?

ისინი ხომ მკვდრები არიან.

ჰო. მაგრამ ჩემი სიტყვა ცოცხალია. მას ვერაფერი შეცვლის.

შენ შეგიძლია შეცვალო.

არა მგონია. ურწმუნოც კი ხვდება რამდენად სასარგებლოა თავი ღმერთის სადარად წარმოიდგინო. მეტიც, ძალიან სასარგებლოც კია.

ღვთის მგმობი ხარ.

მკაცრი სიტყვებია. მაგრამ ჩადენილს ვეღარ გამოასწორებ. ვფიქრობ ეს გესმის. ალბათ ეს ძნელი მოსასმენია მაგრამ შენს

ქმარს საშუალება ჰქონდა ასეთი დასასრული შენთვის აეცილებინა და არაფერი გააკეთა ამისათვის. მას არჩევანი შესთავაზეს და მისი პასუხი იყო არა. სხვაგვარად დღეს აქ არ ვიქნებოდი.

უნდა მომკლა?

ვწუხვარ.

ქალმა ქუდი საწოლზე დადო და ფანჯრისკენ შებრუნდა. ლუმინესცენციური ნათურის სინათლეზე ახლად გაკვირტული ტოტები ირხეოდა.

არ მესმის ასეთი რა ჩავიდინე. უბრალოდ არ მესმის.

ჩიგურმა თავი დააქნია. მერე უთხრა:

სავარაუდოდ იცი. მიზეზი ყველაფერს აქვს.

კარლა ჯინმა თავი გააქნია.

თავადაც ბევრჯერ მითქვამს მსგავსი რამ. მეტად აღარ ვიზამ.

რწმენა დაკარგე.

რაც მქონდა ყველაფერი დავკარგე. ჩემს ქმარს ჩემი მოკვლა სურდა?

ჰო. სიკვდილის წინ რამეს იტყვი?

ვის ვეტყვი?

მე. ჩემ გარდა აქ სხვა არავინაა.

შენთვის არაფერი მაქვს სათქმელი.

ყველაფერი კარგად იქნება. ეცადე თავი ხელში აიყვანო.

რა?

შენს მზერას ვხედავ, თქვა ჩიგურმა. რომ იცოდე, მნიშვნელობა სრულებით არ აქვს მე როგორ ადამიანი ვარ. თუ ბოროტად ჩამთვლი ეს არ ნიშნავს რომ სიკვდილის ნაკლებად შეგეშინდება.

როგორც კი დაგინახე მივხვდი რომ შეშლილი ხარ. იმასაც მივხვდი რა მელოდა. თუმცა ამის თქმა ვერ შევძელი.

ჩიგურმა გაიღიმა.

ამის აღიარება ძნელია, თქვა მან. მინახავს ადამიანები რომლებიც ვერ ეგუებოდნენ ამას. მინახავს მათი მზერა. ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობენ.

რას ამბობენ?

ისინი ამბობენ: ნუ იზამ ამას.

ნუ იზამ ამას.

აზრი არ აქვს თხოვნას, ხომ ასეა?

ჰო.

მაშინ რატომღა ითხოვ?

აქამდე არაფერი მითხოვია.

თქვენ ყველანი ითხოვთ.

აქ მხოლოდ მე ვარ, თქვა ქალმა. სხვა არავინაა.

ჰო. რა თქმა უნდა.

ქალმა იარაღს შეხედა. მერე შებრუნდა. თავი მკერდზე დახარა. მხრები აუცახცახდა.

ოჰ, დედა, თქვა მან.

შენი ბრალი არაფერია.

ქალმა თავი დააქნია. ქვითინებდა.

არაფერი ჩაგიდენია. უბრალოდ ბედმა არ გაგიღიმა.

ქალმა ისევ დააქნია თავი.

ჩიგურს ნიკაპის ქვეშ მუჭი ამოედო და ისე უყურებდა. მერე თქვა:

ეს ყველაზე უკეთესი რამ არის რაც შემიძლია შენთვის გავაკეთო.

ფეხი გასწია და ჯიბიდან ხურდა ამოიღო. ერთი მონეტა ამოარჩია და ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის მოქცეული, ქალს დაანახა. თითქოს იმის დასამტკიცებლად რომ თვალთმაქცობას არ აპირებდა. მონეტა ააგდო. ჰაერში ტრიალის შემდეგ ის მაჯით დაიჭირა.

დაასახელე, თქვა მან.

ქალმა ჯერ სახეში შეხედა, მერე მის მაჯას შეავლო თვალი.

რა დავასახელო?

დაასახელე.

არ მინდა.

გინდა. დაასახელე.

ღმერთი არ მაძლევს ამის ნებას.

რასაკვირველია გაძლევს. საკუთარი ცხოვრების გადარჩენას უნდა შეეცადო. ეს შენი უკანასკნელი შესაძლებლობაა.

პირი, თქვა ქალმა.

ჩიგურმა ხელისგული ასწია. მონეტა ზურგით იდო.

ვწუხვარ.

ქალი დუმდა.

იქნებ ეს უკეთესიც არის.

კარლა ჯინმა გვერდზე გაიხედა. მერე თქვა:

ისე გამოდის ყველაფერი ამ მონეტის ბრალია. მაგრამ მიზეზი შენ ხარ.

შეიძლებოდა სხვაგვარად გამოსულიყო.

მონეტა არაფერს წყვეტს. გადაწყვეტილებას შენ იღებ.

შეიძლება. მაგრამ შენი თავი წარმოიდგინე ჩემს ადგილზე. აქ ისევე შემთხვევით გავჩნდი როგორც მონეტა.

ქალი ჩუმად ტიროდა.

რაც მოსახდენია უნდა მოხდეს. ძნელია ამის აღიარება. მაგრამ მეტი გზა არ არის.

ცხოვრებაში ყველაფერი იმისგან განსხვავებული იყო რაც წარმომედგინა, თქვა ქალმა. ვერასოდეს ვერაფერი გამოვიცანი. ამ სულელური მონეტის შემთხვევაშიც კი.

მესმის.

შენ მაინც არ დამტოვებდი ცოცხალს.

ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. ცხოვრების ყოველი მომენტი ბრუნი და არჩევანია. სადღაც წარსულში არჩევანი უკვე

გააკეთე. სხვა ყველაფერი ამ დაბოლოებამდე მიმავალი გზა იყო მხოლოდ. წინასწარ გაკვალული. განსაზღვრული მიმართულებით. ამ მარშრუტის არც ერთი მონაკვეთის წაშლა არ შეიძლება. არ მჯეროდა რომ მონეტის დაცემაზე რაიმე გავლენას მოახდენდი. ამას როგორ მოახერხებდი? ადამიანის ცხოვრების გეზი იშვითად იცვლება. კიდევ უფრო იშვიათია მისი მკვეთრი ცვლილება. შენი გეზი კი წინდაწინვე იყო განსაზღვრული.

ქალი ტიროდა და თავს აქნევდა.

იმის მიუხედავად რომ მაშინვე მეთქვა ეს ყველაფერი რითი დასრულდებოდა შენთვის უკანასკნელი იმედის მოცემა საჭიროდ ჩავთვალე რათა ოდნავ მაინც გამომეწვია შენს გულში აღფრთოვანება ვიდრე სამუდამოდ სიბნელეში დაინთქმები. გესმის?

ოჰ, ღმერთო! თქვა ქალმა. ოჰ, ღმერთო!

ვწუხვარ.

ქალმა უკანასკნელად შეხედა და ამოისლუკუნა:

ნუ იზამ ამას. ნუ იზამ. ნუ იზამ.

ჩიგურმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

მთხოვ სისუსტე გამოვიჩინო ამას კი არასოდეს დავუშვებ. მთელი ცხოვრება ერთ წესს მივდევ. მისთვის გამონაკლისები არ არსებობს. ერთადერთი რაც შემიძლია გავაკეთო მონეტის აგდებაა. შენს შემთხვევაში ამან ვერ გიშველა. როგორ უნდა დაძლიო ის რის არსებობისაც არ გჯერა? გესმის რას ვამბობ? როგორც კი შენს ცხოვრებაში გამოვჩნდი იმ წამს დასრულდა შენი ცხოვრება. მას ჰქონდა დასაწყისი, შუა ნაწილი და აქვს დასასრული. ახლა დასასრულის რიგია. ეგებ მითხრა რომ ყველაფერი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. სხვა გზით წასულიყო. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? სხვა გზა არც არსებობს. ის ერთი და უცვლელია. შენ მთხოვ ეს გზა შევცვალო. გესმის?

ჰო, ამოიქვითინა ქალმა. მესმის. გასაგებია.

კარგია, თქვა ჩიგურმა. ეს კარგია.

მერე ესროლა.

კარლა ჯინის სახლიდან სამი კვარტალის დაშორებით ჩიგურის მანქანას ძველი ბიუიკი შეასკდა რომელმაც გზაჯვარედინი წითელზე გადაჭრა. ასფალტზე მანქანის ბორბლების კვალი არ ჩანდა რაც იმას მოასწავებდა რომ დამუხრუჭება არც კი უცდია. როცა ქალაქში მართავდა მანქანას ჩიგური არასოდეს იკეთებდა ღვედს. მართალია დაინახა მისკენ მომავალი მანქანა და სავარძელზე გაწვა კიდევაც მაგრამ შეჭყლეტილი კარის გამო ხელი მოსტყდა და რამდენიმე ნეკნიც ჩაუტყდა. თავსა და ფეხში დაიჭრა. მანქანის სალონიდან ბარბაცით გადავიდა და გზის პირას ვიღაცის გაზონზე ჩაიკეცა. ხელზე დაიხედა. გადატეხილი ძვალი კანს ქვემოდან აწვებოდა. სახლიდან კივილით გამოვარდა ხალათიანი ქალი.

სისხლი თვალებში ეწვეთებოდა. ფიქრობდა რა მოემოქმედებინა. მკლავს ხელი მოჰკიდა და გადატრიალება სცადა რომ დაენახა ბევრი სისხლი დაკარგა თუ არა. იყო თუ არა დაზიანებული შუა არტერია. ჩათვალა რომ არა. თავში რაღაც ხმაურობდა. ტკივილს ვერ გრძნობდა. ჯერ ვერა.

მოშორებით ორი მოზარდი იდგა.

ყველაფერი რიგზეა, მისტერ?

ჰო, თქვა ჩიგურმა. არა მიშავს. მხოლოდ ერთ წუთს ვიჯდები.

მალე სასწრაფო მოვა. მეზობლად მცხოვრებმა კაცმა დაურეკა.

კარგი.

დარწმუნებული ხართ?

ჩიგურმა ბიჭებს შეხედა.

პერანგისთვის რამდენი გინდათ? თქვა მერე.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

რომელი პერანგისთვის?

ჯანდაბა, ჩვეულებრივი პერანგისთვის. რამდენს აიღებთ?

ფეხი გასწია და ჯიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო.

მკლავი უნდა გადავიხვიო რაიმეთი. თავსაც შეხვევა სჭირდებ-ბა.

ერთ-ერთმა ბიჭმა პერანგის გახდა დაიწყო.

თავიდანვე ეგრე გეთქვათ, მისტერ. მე მოგცემთ პერანგს.

ჩიგურმა პერანგი აიღო და ზურგზე კბილებით ორად გადახია. ერთი ნაჭერი თავზე ბენდენასავით შემოიხვია. მოკეცილ მეორე ნახევარში მოტეხილი მკლავი ფრთხილად შეაცურა.

კისერზე გამიკვანძეთ, თქვა მან.

ბიჭები ერთმანეთს მიაჩერდნენ.

აი აქ უბრალოდ შეკარით.

მაისურიანი ბიჭი მიუახლოვდა და კვანძი შეუკრა.

არც ისე კარგად გამოიყურებით, თქვა მან.

ჩიგურმა შეკვრიდან ერთი კუპიურა კბილებით დაიჭირა. შეკ-ვრა ისევ ჯიბეში ჩაიდო. მერე კუპიურა ბიჭს გაუწოდა.

ჯანდაბა, მისტერ. ვინმეს რომ დავეხმარო პრობლემა არ არის. აქ ძალიან ბევრი ფულია.

აიღე. აიღე და დაიმახსოვრე, არ გინახივარ. გასაგებია?

ბიჭმა ფული აიღო.

დიახსერ, თქვა მან.

ბიჭები იდგნენ და მიმავალს უყურებდნენ. ბარბაცით მიაბი-ჯებდა. ცალი ხელით თავზე ბენდენას იმაგრებდა.

ფულის ნახევარი ჩემია, თქვა ერთ-ერთმა ბიჭმა.

შენი მაისური ხომ არ მიგიცია.

ამისთვის არ გადაუხდია ფული.

შეიძლება. მაგრამ მე უპერანგოდ დავრჩი.

იმ ქუჩაზე გაიარეს სადაც მანქანები ერთმანეთს შეეჯახა. ქუ-ჩის ლამპიონები აინთო. ბორდიურთან ანტიფრიზის მწვანე ლა-

ქა მოჩანდა. როდესაც ჩიგურის მანქანას ჩაუარეს მაისურიანმა მეორეს მხარში ხელი ჩაავლო:

შენც იმას ხედავ რასაც მე?

ოჰო!

პიკაპის იატაკზე ჩიგურის პისტოლეტი ეგდო. უკვე ისმოდა პოლიციის მანქანების სირენების ხმა.

აიღე, თქვა პირველმა ყმაწვილმა. მიდი.

მე რატომ?

იმიტომ რომ მე ვერ დავმალავ. პერანგი არ მაცვია. მიდი. სწრაფად.

ხის სამი კიბე აიარა და კარზე მორიდებით დააკაკუნა. შლაპა მოიხადა და შუბლი სახელოთი მოიწმინდა. მერე ისევ ქუდი დაიხურა.

შემოდი, მოესმა ხმა შიგნიდან.

კარი გააღო და გრილ სიბნელეში შეაბიჯა.

ელის?

აქ ვარ. სამზარეულოში.

სამზარეულოში გავიდა. მოხუცებული მაგიდასთან თავის საქანელა სავარძელში იჯდა.

შემწვარი ბეკონის სუნსა და შეშის ღუმლის კვამლს გაუნიავებელი სახლის სუნი ერთვოდა. მაგრამ ამ ყველაფერს მაინც შარდის სუნი ფარავდა. თითქოს კატის შარდის. თუმცა არა მხოლოდ მისი. ბელი ოთახის ზღურბლზე შეჩერდა და შლაპა მოიხადა. მოხუცმა შეხედა. ცალ თვალში ამღვრეული თეთრი გუგა მოჩანდა. მრავალი წლის წინ ცხენმა გადმოაგდო და თვალი კაქტუსის ეკალმა დაუზიანა.

ეჰე, ედ ტომ, თქვა მან. არ ვიცოდი შენ თუ იყავი.

როგორ ბრძანდებით?

თავადაც ხედავ. მარტო ხარ?

დიახსერ.

დაჯექი. ყავას დალევ?

ბელმა მუშამბით დაფარულ სამზარეულოს მაგიდას შეხედა. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული. წამლების ფლაკონები. პურის ნამცეცები. გაზეთები დოღის შესახებ.

არა, გმადლობ, თქვა მან.

შენი ცოლისგან წერილი მივიღე.

შეგიძლიათ ლორეტა დაუძახოთ.

ვიცი რომ შემიძლია. იცოდი ხანდახან რომ მწერდა?

ჰო. ორჯერ თუ სამჯერ მოგწერათ.

ორ-სამზე მეტად. მუდმივად მწერს. თქვენი ოჯახის ახალ ამ-ბებზე მწერს.

არ ვიცოდი ოჯახში ახალი ამბები თუ გვქონდა.

გაგიკვირდება.

ასეთი განსაკუთრებული ბოლო წერილში რა მოგწერათ?

რომ სამსახურიდან წასვლას აპირებ. განცხადება დაწერე.

მოხუცს არ შეუხედავს მისთვის რათა დაენახა ეთანხმება თუ არ ეთანხმება ნათქვამს. თამბაქოს ტომსიკიდან ერთი მწიკვი ამოიღო და სიგარეტის შეხვევას შეუდგა. ბოლო ნერწყვით დაუმაგრა და ზიპოს სანთებელათი აანთო რომელსაც სიძვე-ლისგან კორპუსზე წარწერა აღარ შერჩენოდა. იჯდა და აბოლებ-და. სიგარეტი თითებში ფანქარივით ეჭირა.

როგორ ხართ? ჰკითხა ბელმა.

ყველაფერი რიგზეა.

სავარძელი ცოტათი უკან მიაჩოჩა და კვამლის ღრუბლიდან ბელს თვალი შეავლო.

ასაკოვანივით გამოიყურები, უთხრა მოხუცებულმა.

ვარ კიდევაც ასაკოვანი.

მოხუცებულმა თავი დაუქნია. ბელმა სკამი აიღო და ჩამოჯდა. ქუდი მაგიდაზე დადო. მერე თქვა:

რაღაც მინდა გკითხოთ.

მიდი.

ცხოვრებაში ყველაზე მეტად გული რაზე გწყდებათ?

მოხუცმა შეხედა. მცირე ხანს ფიქრობდა. მერე უთხრა:

არ ვიცი. ვერ ვიტყვი რომ ძალიან ბევრ რამეზე მწყდება გული. უფრო სწორად რომ ვთქვა რასაკვირველია უთვალავი რამის ჩამოთვლა შეიძლება რაც ადამიანს უფრო ბედნიერს ხდის. მაგალითად სიარულის უნარი. შენ შენი სია შეგიძლია შეადგინო. ალბათ უკვე გაქვს კიდევაც ასეთი სია. ჩემი აზრით ზრდასრული ასაკის მიღწევისთანავე იმდენად ხარ ბედნიერი რამდენადაც ეს თავად გსურდა. ცხოვრებაში კარგი მომენტებიც გექნება და ცუდიც მაგრამ სიცოცხლის დასასრულს ზუსტად ისეთივე ბედნიერი იქნები როგორიც მის დასაწყისში იყავი. ან ისეთივე უბედური. ისეთ ადამიანებსაც ვიცნობდი სიბერეშიც რომ ვერ დამშვიდდნენ.

მესმის რასაც ამბობთ.

რასაკვირველია გესმის.

მოხუცებულმა გააბოლა.

თუ ჩემი ყველაზე დიდი უბედურება გაინტერესებს პასუხი თავადაც იცი.

დიახსერ.

და საქმე მხოლოდ ამ სავარძელში არ არის. არც ბრმა თვალში.

დიახსერ. ვიცი.

დოღში მონაწილეობ და შეიძლება გეჩვენება რომ იცი საითაც მიაჭენებ. მაგრამ შეიძლება წარმოდგენაც არ გაქვს. ან მოგატყუებენ. სავარაუდოდ მერე არავინ დაგადანაშაულებს დისტანციიდან თუ გადახვალ. მაგრამ თუ ამას იმიტომ გააკეთებ რომ ტრასა ძნელი გასავლელია მაშინ უკვე სხვა საქმეა.

ბელმა თავი დაუქნია.

ჩემი აზრით არსებობს ისეთი რაღაცეები რასაც უმჯობესია ხელი არ მოჰკიდო.

მართალია.

შენი აზრით ლორეტას დისტანციიდან გადასვლას რა აიძულებდა?

არ ვიცი. ალბათ ძალიან ცუდი რამ რომ ჩამედინა. და არა ის რომ ცხოვრება გართულდა. ასეთი რამ არა ერთხელ და ორჯერ აუტანია.

ელისმა თავი დაუქნია. სიგარეტი ქილის თავსახურში ჩააფერფლა რომელიც საფერფლის მაგივრობას უწევდა. მერე უთხრა:

სიტყვაზე გენდობი.

ბელმა გაიღიმა. ოთახში მიმოიხედა.

ყავა ახალი გაქვთ?

მე მგონი კარგია. ყოველ კვირას ახალს ვადუღებ იმისდა მიუხედავად ძველისგან დარჩა თუ არა რამე.

ორივენი მაგიდასთან ისხდნენ და ყავას სვამდნენ ბზარების აბლაბუდით დაფარული ფაიფურის ფინჯნებიდან რომლებიც ამ სახლში ბელის დაბადებამდე გაჩნდა. ბელმა ჭიქას შეხედა და მერე სამზარეულოს დააკვირდა.

თქვენთან ბევრი არაფერი შეცვლილა.

რატომ უნდა შეცვლილიყო? თქვა მოხუცებულმა.

ჯანდაბა, რა ვიცი.

არც მე ვიცი.

რამდენი კატა გყავთ?

რას გაიგებ. გააჩნია ყოლაში რას გულისხმობ. ერთნი მიდიან და მეორენი მოდიან. შენი მანქანის ხმაზე სადღაც გავარდნენ.

ჩემი მანქანის ხმა გაიგონეთ?

რა?

ჩემი მანქანის ხმა გაიგონეთ-მეთქი? ალბათ მეხუმრებით.

საიდან მოგივიდა თავში ეს აზრი?

მაშ გაიგონეთ?

არა. გაქცეული კატები დავინახე.

ყავა კიდევ ხომ არ გინდათ?

არა. მეყოფა.

თქვენ რომ გესროლათ ის კაცი ციხეში მოკვდა.

ქალაქ ანგოლაში. ვიცი.

რას გააკეთებდით ციხიდან რომ გამოეშვათ?

არ ვიცი. არაფერს. ამ ყველაფერს აზრი არა აქვს. არავითარი.

სიმართლე გითხრათ თქვენგან ამის გაგონება მიკვირს.

ადამიანი იღლება, ედ ტომ. ვიდრე დროს იმის დაბრუნებაზე ხარჯავ რაც წაგართვეს უფრო მეტს კარგავ. ასე რომ დროთა განმავლობაში ჭრილობას უბრალოდ ღვედს უჭერ სისხლისღვრის შესაჩერებლად. ბაბუაშენს თანაშემწეობა არ უთხოვია. პოლიციაში ჩემი ნებით დავიწყე მუშაობა. სხვა საქმე არაფერი მქონდა. თითქმის იმდენივეს მიხდიდნენ რამდენსაც კოვბოის. ასეა თუ ისე არასოდეს იცი რაც დაგემართა იმაზე უარესი რა უნდა მომხდარიყო. პირველი ომისთვის ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მეორისთვის ძალიან მოხუცი. შეიძლება პატრიოტი იყო მაგრამ იმავდროულად ფიქრობდე რომ ზოგი რამისთვის ძალიან ძვირს იხდი. ჰკითხე ოქროს ვარსკვლავის გმირების დედებს რა გადაიხადეს და რა მიიღეს სანაცვლოდ. ყოველთვის უფრო მეტს იხდი. განსაკუთრებით დაპირებისთვის. იაფფასიანი დაპირება არ არსებობს. თავად დარწმუნდები. ან შეიძლება უკვე იცი რომ ასეა.

ბელი დუმდა.

ყოველთვის ვფიქრობდი რომ მოხუცებულს ღმერთი გამომეცხადებოდა. მაგრამ ამაოდ. არ ვადანაშაულებ. მის ადგილზე ჩემზე იმასვე ვიფიქრებდი რასაც თავად ვფიქრობ.

ის რას ფიქრობს თქვენ არ გეცოდინებათ.

როგორ არა, ვიცი.

მოხუცებულმა ბელს შეხედა და თქვა:

მახსოვს დენტონში გადასვლის შემდეგ ჩემთან მოხვედი. ჩემი ქოხი მოათვალიერე და მკითხე რას აპირებო.

მართალია.

ახლა აღარ მკითხავდი, ხომ ასეა?

ალბათ აღარ.

არ მკითხავდი.

ერთი ყლუპი მაგარი შავი ყავა მოსვა.

ჰაროლდს ხანდახან იხსენებთ? ჰკითხა ბელმა.

ჰაროლდს?

დიახ.

არც ისე ხშირად. ის ჩემზე უფროსი იყო. ოთხმოცდაცხრამეტში დაიბადა. ჰო, სწორედ ოთხმოცდაცხრამეტში. ჰაროლდი რამ გაგახსენა?

მისთვის მიწერილი დედათქვენის რამდენიმე წერილი წავიკითხე. მაინტერესებდა როგორი დაგამახსოვრდათ.

საპასუხო წერილები იყო?

არა.

შენს ოჯახზე ფიქრობ. ეცადე გაიგო რატომ მოხდა ეს ყველაფერი. ვნახე როგორ იმოქმედა დედაჩემზე. მას შემდეგ სამუდამოდ შეიცვალა. არც კი ვიცი აქვს თუ არა ამ ყველაფერს რაიმე აზრი. ის გოსპელი გახსოვს? ყველაფერს მერე და მერე გავიგებთ? ამისათვის საჭიროა სულითა და გულით გწამდეს. იფიქრე როგორ წავიდა სადღაც გადაკარგულში და სანგარში ამოხდა სული. ჩვიდმეტი წლის ბიჭი. შენ ამიხსენი. იმიტომ რომ მე არაფერი მესმის.

მესმის თქვენი. სხვაგან გადასვლაზე არ გიფიქრიათ?

არ მინდა ვინმე იქით-აქეთ დამათრევდეს. იქ ვარ სადაც საჭიროა. კარგად ვარ, ედ ტომ.

არავინ გეწინააღმდეგებათ.

ვიცი.

კარგი.

ბელმა შეხედა. მოხუცმა სიგარეტი ჩააქრო. ბელი შეეცადა წარმოედგინა როგორ ცხოვრობს მარტო. მერე სცადა ამაზე არ ეფიქრა.

ურწმუნო ხომ არ გახდით, ბიძია ელის?

არა. არა. მსგავსი არაფერია.

თქვენი აზრით ღმერთმა იცის რაც ხდება?

იმედი მაქვს იცის.

ამ ყველაფრის შეჩერება შეუძლია?

არა. არ ვიცი.

მაგიდასთან ისხდნენ და დუმდნენ. მერე მოხუცებულმა თქვა:

ლორეტამ მომწერა რომ ბევრი ძველი სურათი დარჩა და საოჯახო ნივთები. ეს ყველაფერი სად უნდა წავიღოთ. არ ვიცი. წარმოდგენა არ მაქვს. შენ?

არც მე ვიცი.

ვურჩიე ბიძია მაკის ძველი კოლტი და ვარსკვლავი რეინჯერებისთვის წაეღო. მუზეუმში გამოსაფენად. დანარჩენი ნივთები აქ. აი იმ კარადაში. თორემ საწერი მაგიდის უჯრები ქაღალდებითაა სავსე.

ყავის ჭიქა დახარა და ფსკერს ჩააცქერდა.

არასოდეს მიუღია მონაწილეობა ყავის ჯეკის რეიდებში. ბიძია მაკზე ვამბობ. ლეგენდებია ეს ყველაფერი. არ ვიცი ვისგან გავრცელდა. ჰადსპეტის ოლქში საკუთარი სახლის ზღურბლზე დაცხრილეს.

ყოველთვის ეს მესმოდა მის შესახებ.

სახლში მიადგა შვიდი თუ რვა კაცი. რაღაცას ითხოვდნენ მისგან. სახლში შებრუნდა და თოფით ხელში გავიდა გარეთ მაგრამ იმათ დაასწრეს და იქვე ზღურბლზე დაცხრილეს. ცოლმა სისხლდენის შეჩერება სცადა. დაეჭიდა და სახლში შეათრია. მერე ამბობდა სულ თოფისკენ იწევდაო. თავდამსხმელები კიდევ ცხენებზე შესხდნენ და გაქუსლეს. არ ვიცი რატომ. ალბათ რაღაცამ შეაშინა. ერთ-ერთმა ინდიელების ენაზე რაღაც დაიძახა. ყველამ მიაბრუნა ცხენები და გაიქცნენ. სახლში შესვლა ან სხვა რამ აღარც კი უცდიათ. ცოლმა ოთახში შეათრია. დიდი ტანის კაცი იყო და ლოგინზე მის ასაყვანად ძალა არ ეყო. გვერდით დაუდო ლეიბი. მაგრამ ვეღარაფერს უშველიდა. მერე ამბობდა უნდა დამეტოვებინა როგორც იყო თავად კი ცხენზე შევმჯდარიყავი და დახმარების სათხოვნელად წავსულიყავიო. თუმცა წარმოდგენა არ მაქვს ვინ დაეხმარებოდა. ქმარი არასოდეს უშვებდა მარტოს. სამზარეულოშიც კი. გრძნობდა აღსასრულის სიახლოვეს. ქალი კი ვერა. მარჯვენა ფილტვში ესროლეს. ჰოდა სული ღმერთს მიაბარა. ასე ამბობენ ხოლმე.

როდის გარდაიცვალა?

ათას რვაას სამოცდაცხრაში.

არა, ვიგულისხმე მაშინვე თუ იმ ღამეს ან მეორე დილით.

მე მგონი იმავე ღამეს. ან გამთენიისას. ცოლმა დაასაფლავა. იმ ქვიან ნიადაგში გაუთხარა საფლავი. მერე თავისი ბარგი-ბარხანა ოთხთვალაზე დააწყო და იქიდან სამუდამოდ წავიდა. ის სახლი ოციან წლებში დაიწვა. უფრო სწორად ის რაც მისგან იყო დარჩენილი. დღესაც შემიძლია გაჩვენო სად იდგა. ქვის საკვამური კიდევ დიდხანს შემორჩა. შეიძლება ახლაც არის. დიდი ნაკვეთი ჰქონდათ. როგორც მახსოვს ათას ექვსასი აკრი უნდა ყოფილიყო. მიწის გადასახადს ვერ იხდიდა იმის მიუხედავად რომ თანხა ძალიან მცირე იყო. ვერც გაყიდა. ბიძია მაკის ცოლი თუ გახსოვს?

არა. ფოტო მაქვს რომელზეც მასთან ერთად ვარ გამოსახული. ოთხი წლის ვიქნები. იმ სახლის ზღურბლზე სარწეველა საკარძელში ზის და მე კი მის გვერდით ვდგავარ. მინდა რომ მახსოვდეს მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის.

ხელმეორედ აღარ გათხოვილა. ბოლოს მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში. სან-ანჯელოში. ეს სახელმწიფო ადამიანებს უხეშად ექცევა. მაგრამ მათ არასოდეს მოუთხოვიათ ანგარიშის გასწორება. სიმართლე ითქვას ეს უცნაურიც კია. ანგარიშის გასწორებას რომ არ სთხოვენ. მარტო ამ ერთი ოჯახის ისტორიაც საკმარისია. არ ვიცი ამდენ ხანს კიდევ რატომ ვარ ცოცხალი. ყველა ახალგაზრდა დაიღუპა. ნახევარზე მეტის საფლავიც კი უცნობია. შეიძლება კითხვა დაგებადოს რისთვის მოხდა ეს ყველაფერი. ისევ იმას ვუბრუნდები, ადამიანები რატომ ვერ გრძნობენ რომ პასუხი სახელმწიფომ უნდა აგოს? მაგრამ ვერ გრძნობენ. შეიძლება მიპასუხო რომ სახელმწიფო სახელმწიფოა ანუ ცნება რომელიც ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგრამ ეს არ არის პასუხი. ერთხელ ვნახე ვიღაც კაცმა თავისი სატვირთო მანქანა როგორ დაცხრილა. ალბათ ჩათვალა რომ ამ მანქანის გამო მოხდა რაღაც ცუდი. ამ სახელმწიფოს შეუძლია ერთ წამში მოგკლას მაგრამ ადამიანებს მაინც უყვართ ის. გესმის რის თქმა მსურს?

მესმის. თქვენ გიყვართ?

დარწმუნებული ვარ შენც შეგიძლია თქვა რომ გიყვარს. მაგრამ აქვე დავამატებ რომ ისეთივე უმეცარი ვარ როგორიც ქვებით სავსე ყუთი და ჩემს არც ერთ სიტყვას არ დაიჯერებდი.

ბელმა გაიღიმა. ადგა და ნიჟარასთან მივიდა. მოხუცებულმა ეტლი ისე შეაბრუნა რომ უკეთ დაენახა.

რას აკეთებ?

ჭურჭელს გავრეცხავ.

ჯანდაბა, დაანებე თავი ედ ტომ. ხვალ დილით ლიუპე მოვა და ის მიხედავს.

სულ ერთი წუთის საქმეა.

ონკანიდან წყალი წვეთ-წვეთად მოდიოდა. ნიჟარა აავსო და ერთი კოვზი სარეცხის სითხე ჩაასხა. მერე კიდევ ერთი დაამატა.

როგორც მახსოვს ტელევიზორი გქონდათ.

ბევრი რამ მქონდა.

რატომ არ მითხარით? მოგიტანდით.

აღარ მჭირდება.

მოწყენილი აღარ იქნებოდით.

თავი მომაბეზრა და გადავაგდე.

ახალ ამბებს არ უყურებთ?

არა. შენ?

იშვიათად.

ბელმა ჭურჭელი გაავლო და გასაშრობად დააწყო. მერე ფანჯარასთან იდგა და სარეველამოდებულ ეზოს გასცქეროდა. ძველ ფარდულს რომელსაც წარსულში ხორცის შესაბოლად იყენებდნენ. ალუმინის ორბორბლიან ურიკას.

ქათმები გყავდათ ხოლმე, უთხრა ბიძას.

ჰო, უპასუხა მოხუცებულმა.

ბელმა ხელები გაიმშრალა და მაგიდას მიუჯდა. ბიძას შეხედა.

ისეთი რამ თუ ჩაგიდენიათ რასაც მერე მთელი ცხოვრება ნანობდით?

მოხუცი დაფიქრდა და მერე უპასუხა:

ალბათ კი. ყველას აქვს რაღაც ისეთი ჩადენილი რის გამხელაც არ სურს. გამოტყდი რა ამოქექე ჩემზე.

არ ვხუმრობ.

კარგი.

ცუდს ვგულისხმობ.

რამდენად ცუდს?

არ ვიცი. აი სულ რომ გაწვალებს და მოსვენებას არ გაძლევს.

ისეთ რამეს რის გამოც შეიძლება ციხეში მოხვდე?

ალბათ. თუმცა ციხეში მოხვედრა აუცილებელი არ არის.

უნდა დავფიქრდე.

მე მგონი არაფერი გაქვთ დასაფიქრებელი.

რა დაგემართა? სხვა დროს აღარ დაგპატიჟებ.

დღესაც დაუპატიჟებლად მოვედი.

ჰო. მართალია.

ბელი იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და ხელები ერთმანეთს ჩასჭიდა. ბიძამისი ყურადღებით ადევნებდა თვალს. მერე თქვა:

იმედი მაქვს რაღაც საზარელი აღსარების თქმას არ აპირებ. იქნებ არ მინდა მოვისმინო.

გინდათ თუ არა.

კარგი. მიდი.

აჰა.

სექსს ხომ არ უკავშირდება?

არა.

მაშინ მოყევი. მოყევი ყველაფერი რაც არის და როგორც არის.

ომის გმირებზეა.

გასაგებია. ესე იგი შენზე.

დიახ. ჩემზეა.

მიდი. მოყევი.

ვცდილობ. მოვყვები იმას რაც მოხდა სინამდვილეში. რის გამოც დამაჯილდოეს.

მოყევი. გისმენ.

რადიოსიგნალის დასაჭერად ფრონტის ხაზის იქით გადავედით და ვიღაც გლეხის სახლში დავიმალეთ. ოროთახიანი ქვის სახლი იყო. ორი დღე ვისხედით იმ სახლში. გადაუღებლად

წვიმდა. მეორე დღეს დაახლოებით შუადღისას რადისტმა ყურსასმენები მოიხსნა. გამოგვიშვირა და გვითხრა:

მოუსმინეთ.

ჩვენც ისე მოვიქეცით როგორც გვითხრა. როცა გეუბნებიან მოუსმინეო უსმენ. ვუსმენთ მაგრამ არაფერი ისმის.

ვეკითხები: რა მოხდა:

ის კი მპასუხობს: სიჩუმეა.

რა ჯანდაბის სიჩუმე? მითხარი რა გაიგონე, ვეუბნები მე.

საქმეც ამაშია რომ ჩამიჩუმი არ ისმის. სრული სიჩუმეა, მიპასუხა რადისტმა.

და მართალიც იყო. ჩქამიც არ ისმოდა. არც სროლის ხმა. სრულიად არაფერი. მხოლოდ წვიმის შრიალი. ეს იყო უკანასკნელი რაც დამამახსოვრდა. როდესაც გამოვფხიზლდი ვნახე რომ მიწაზე წვიმაში ვწევარ და გაურკვეველია რამდენი ხანია ასე ვარ. თავიდან ფეხებამდე სველი ვიყავი და ყურებში რაღაც ზრიალებდა. როდესაც წამოვჯექი და მივიხედ-მოვიხედე სახლი აღარსად იყო. მისგან მხოლოდ ერთი კედელი დარჩენილიყო. სახლს ჭურვი მოხვდა და ყველაფერი მიწასთან გაასწორა. არაფერი მესმოდა. არც წვიმის ხმა და არც არაფერი. რაღაცის თქმას რომ დავაპირებდი სიტყვები მხოლოდ ჩემს გონებაში ხმიანობდნენ. წამოვდექი და იმისკენ წავედი რაც სახლისგან დარჩა. სახურავი ქვებისა და ხის ძელების გროვაზე დაცემულიყო და მათ ქვეშ ერთი ჩემიანი მოჩანდა. მის ამოსათხრელად რაღაცის ძებნას შევუდექი. თავი თითქოს სრულიად დამიცარიელდა. ნანგრევების ქვეშ მოყოლილის გამოთრევას რომ ვცდილობდი გავიმართე და ვხედავ მინდორში გერმანელი ჯარისკაცები მოდიან. ჩვენგან ორასიოდე მეტრით დაშორებული ტევრიდან მოდიოდნენ სახლისკენ. კარგად ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულიყავი რა მოხდა. თავი სიზმარში მეგონა. მერე კედლის ნანგრევთან მივიყუჟე და მაშინ შევნიშნე ხის ძელებს შორის

ამოჩრილი ოცდაათკალიბრიანი უოლესის ხელის ტყვიამფრქვევი. ამ იარაღს ჰაერით გაგრილების სისტემა ჰქონდა და ვაზნების მჭიდი ლითონის ყუთიდან მიეწოდებოდა. თუ გერმანელებს ცოტათი ახლოს მოვუშვებდი ტყვიამფრქვევიდან თავისუფლად მოვახვედრებდი. ისინი არტილერიის ცეცხლის გამოძახებას მოერიდებოდნენ ორმხრივ ცეცხლს შორის რომ არ აღმოჩენილიყვნენ. მოვახერხე ტყვიამფრქვევის გამოთრევა და მისი დასამაგრებელი სამფეხაც მოვძებნე. კიდევ ერთი სავაზნე ყუთიც მოვიმარაგე. კედლის უკან დავწექი და იარაღს მიწა მოვაშორე. მერე ცეცხლი გავხსენი.

მიზანში ზუსტად სროლას სველ მიწაზე სამფეხას სრიალი აძნელებდა. მაგრამ ვიცოდი რომ საქმე კარგად გამომდიოდა. სავაზნე მჭიდის დაახლოებით ორი ფუტი დავხარჯე. ორ--სამწუთიანი შესვენების შემდეგ გერმანელებიდან ერთ-ერთი წამოხტა და ტყისკენ გაიქცა. მეც ეს მინდოდა. დანარჩენებს თავის აწევის საშუალება არ მივეცი. დაჭრილი თანამებრძოლების კვნესის ხმა არ წყდებოდა. წარმოდგენა არ მქონდა რას მოვიმოქმედებდი შემდეგ. ამისათვის დამაჯილდოეს ბრინჯაოს ვარსკვლავით. ჯილდოზე წარმადგინმა მაიორმა გვარად მაკალისტერმა. ჯორჯიიდან იყო. ვუთხარი ჯილდოს მიღება რომ არ მსურდა. მან მკაცრად შემომხედა და პირდაპირ მითხრა:

ახლავე მომახსენეთ რა მიზეზით ამბობთ უარს საბრძოლო ჯილდოზე.

როდესაც ეს ყველაფერი მოვუყევი თქვა:

სერჟანტო, ამ ჯილდოს მიიღებთ. და თუ ვინმე სხვას მოუყვებით იმას რაც ახლა მითხარით და ეს ამბავი ჩემს ყურამდე მოაღწევს საკუთარი ხელით ხერხემალს გადაგიმტვრევთ. გასაგებია?

დიახსერ, ვუთხარი მე.

ამაზე მეტად გასაგები რაღა უნდა ყოფილიყო. აი ასე იყო ეს საქმე.

ახლა ის უნდა მომიყვე შენ რა გააკეთე.

დიახსერ.

როდესაც დაბნელდა.

როდესაც დაბნელდა. დიახსერ.

რა გააკეთე?

ავდექი და გავიქეცი.

მოხუცი ჩაფიქრდა. მცირე ხნის შემდეგ თქვა:

მე მგონი იმ მომენტისთვის ეს კარგი გადაწყვეტილება იყო.

ჰო, თქვა ბელმა. არც ისე ცუდი.

რომ დარჩენილიყავი რა მოხდებოდა?

სიბნელეში გერმანელები სახლის კედელს მოუახლოვდებოდნენ და ხელყუმბარებს დამაყრიდნენ. ან ტყეში დაბრუნდებოდნენ და არტილერიას გამოიძახებდნენ.

მართალია.

ბელს მუშამბიან მაგიდაზე ხელები გადაეჯვარედინებინა. ბიძამისს შეხედა.

მოხუცმა თქვა:

არ ვარ დარწმუნებული რომ სწორად ვიცი ჩემგან რის გაგება გსურს.

თავადაც არ ვარ დარწმუნებული.

თანამებრძოლები მიატოვე?

ჰო.

არჩევანი არ გქონდა.

არჩევანი მქონდა. შემეძლო დავრჩენილიყავი.

ამით ვერაფერს უშველიდი.

ალბათ ვერა. იმაზე ვფიქრობდი ტყვიამფრქვევი მოშორებით გადამეტანა და უფრო ახლოს მომეშვა როდესაც ხელყუმბარების სროლას დაიწყებდნენ. კიდევ რამდენიმეს მოკვლას შევძლებდი. სიბნელეშიც კი. არ ვიცი. ვიჯექი და ვუყურებდი როგორ ბნელდებოდა. ლამაზი მზის ჩასვლა იყო. იმ დროისთვის ღრუბ-

ლები გადაიყარა. წვიმაც შეწყდა. მინდორზე პურეული იყო დათესილი და მხოლოდ ღეროებიღა დარჩენილიყო. გვიანი შემოდგომა იდგა. ნანგრევებში მოყოლილ თანამებრძოლთა კვნესის ხმა მიწყდა. ალბათ ყველა დაიხოცა. მაგრამ დანამდვილებით ეს არ ვიცოდი. როდესაც სულ დაბნელდა წამოვდექი და იქაურობას გავეცალე. უიარაღოდ. ტყვიამფრქვევს ხომ არ წავათრევდი თან. თავის ტკივილმა გადამიარა და ხმების გარჩევის უნარიც თანდათან დამიბრუნდა. არ წვიმდა მაგრამ სიცივისგან კბილს კბილზე მაცემინებდა. დიდი დათვის თანავარსკვლავედს ვუყურებდი და ისე მივდიოდი. მივდიოდი დასავლეთისკენ. ერთი-ორი მიტოვებული სახლი შემომხვდა. ადამიანები ომის დაწყებისთანავე იმ ადგილებიდან აიყარნენ. როცა გათენდა რაღაც ტევრი იყო და იქ მივწექი დასაძინებლად. იქაურობა ნახანძრალს ჰგავდა. ხეებს ტოტები აღარ შერჩენოდათ. მხოლოდ შეტრუსული ღეროები მხვდებოდა. მეორე ღამეს ამერიკელების გაკონტროლებულ ტერიტორიაზე აღმოვჩნდი. ეს არის და ეს. მეგონა ამდენი წლის შემდეგ დამავიწყდებოდა. მაგრამ ვცდებოდი. მერე დანაშაულის გამოსწორება ვცადე და ეჭვი მაქვს ამას ვაკეთებდი უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ორივე დუმდა. ბოლოს მოხუცმა თქვა: სიმართლე გითხრა რაღაც განსაკუთრებულ დანაშაულს შენს საქციელში ვერ ვხედავ. კარგი იქნება თავს ასე არ იტანჯავდე.

შეიძლება. მაგრამ ფიცს დებ რომ თანამებრძოლებისთვის თავს გაწირავ და არ ვიცი ასე რატომ არ მოვიქეცი. მინდოდა და ვერ შევძელი სიცოცხლის გაწირვა. ამგვარ ფიცს რომ დებ შედეგებისთვისაც მზად უნდა იყო. მაგრამ წინასწარ არ იცი როგორი შედეგი იქნება. ყველაფერი იმით მთავრდება რომ საკუთარი თავის დადანაშაულებას იწყებ ისეთ რამეებში ადრე აზრადაც რომ არ მოგივიდოდა და შენთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. თუ ჩემი ვალი იქ სიკვდილი იყო უნდა მოვმკვდარიყავი

კიდეც. შეიძლება მითხრათ რომ ვაპირებდი კიდეც მაგრამ საქმეც ესაა. ვაპირებდი და არ გავაკეთე. სადღაც სულის სიღრმეში სულ მქონდა წარსულში დაბრუნების სურვილი. მაგრამ ეს შეუძლებელია. არ ვიცოდი საკუთარი ცხოვრების მოპარვა თუ შეიძლებოდა. არც ის ვიცოდი რომ მას ნებისმიერი სხვა მოპარული ნივთივით სიამოვნების მონიჭება არ შეუძლია. ჩემი გაგებით ყველანაირად ვეცადე ეს ცხოვრება ღირსეულად გამევლო. მაგრამ ის მაინც არ არის ჩემი ცხოვრება. არასოდეს ყოფილა ჩემი.

მოხუცებული დიდხანს დუმდა. წინ გადაწეული იატაკს მისჩერებოდა. ბოლოს თქვა:

ჰო. ვფიქრობ მესმის რისკენაც მიგყავს საუბარი.

დიახსერ.

გაინტერესებს შენს ადგილზე ის როგორ მოიქცეოდა?

ვიცი როგორც მოიქცეოდა.

მეც ვიცი.

საუკუნოდ იქ იჯდებოდა. გაქვავებამდე.

და გგონია ამიტომ გჯობია?

დიახსერ. ასე მგონია.

შემიძლია მასზე ისეთი რამ მოგიყვე რაც აზრს შეგიცვლის. ძალიან კარგად ვიცნობდი.

არა მგონია აზრი შემეცვალოს. თქვენდამი პატივისცემის მიუხედავად მეეჭვება ასეთი რამ მოხდეს.

მე კი დარწმუნებული ვარ შევძლებდი. იმის თქმა შემიძლია რომ ის სხვა დროში ცხოვრობდა. ორმოცდაათი წლის შემდეგ რომ დაბადებულიყო ჯეკი ალბათ სხვა თვალით შეხედავდა ცხოვრებას.

შეიძლება. მაგრამ ამ ოთახში მყოფთაგანს ამ მოსაზრების არავის სჯერა.

მართალი ხარ.

მან ბელს შეხედა.

რატომ მომიყევი ეს ყველაფერი?

თითქოს გულიდან ლოდი მოვიშორე.

დიდი ხანია აპირებდი მაგრამ ვერ ბედავდი.

დიახსერ. ალბათ საკუთარი თავის მოსმენა თავადაც მინდოდა. ძველ დროში ჩარჩენილი ადამიანი ხარო მეუბნებიან. სინამდვილეში სრულებითაც არ ვარ. თუმცა მერჩივნა ასე ყოფილიყო. სამწუხაროდ ჩვენს დროს ვეკუთვნი.

ან იქნებ ეს მხოლოდ მოთელვა იყო.

შეიძლება.

უნდა მოუყვე?

დდიახ სერ. მინდა.

კარგი იქნება.

თქვენი აზრით ლორეტა როგორ შეხვდება ამ ამბავს?

ალბათ იმაზე უკეთესად ვიდრე შენ გგონია.

დიახსერ, თქვა ბელმა. ამის დიდი იმედი მაქვს.

X

მან მითხრა საკუთარი თავის მიმართ ზედმეტად მკაცრი ხარ. ეს სიბერის ნიშანია. საკუთარ თავთან შერიგების მცდელობააო. ალბათ მართალი იყო. მაგრამ სრული ჭეშმარიტება ეს არ გახლავთ. ვეთანხმები მის სიტყვებს რომ სიბერეში ცოტა რამ არის სასიხარულო. მერე დაამატა თითქოს რაღაც მაინც არისო. ვკითხე რა არის ეს რაღაც-მეთქი და მიპასუხა: ცოტა ხანს გრძელდებაო. მეგონა გაიღიმებდა მაგრამ შევცდი. ვუთხარი ეს უიმედობაა-მეთქი. მისი აზრით კი ფაქტებისთვის სახელის დარქმევა და რეალობის აღიარებაა და არა უიმედობა. აი ამაზე ვისაუბრეთ. წინასწარ ვიცოდი რასაც მეტყოდა, ღმერთია მოწამე. ადამიანებზე ზრუნავ და მათი ხვედრის შემსუბუქებას ცდილობ. არა მარტო იმიტომ რომ სამსახურებრივად გევალება. კიდევ ერთ რამეს ვფიქრობ მაგრამ ამის შესახებ სიტყვა არ დამიძრავს. როგორც გაატარებ ცხოვრებას სიბერეში სამაგიეროს მოიმკი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. თუ რასაკვირველია დიდხანს იცოცხლე. და ვერავითარ გამართლებას ვერ მოვუძებნი იმ გოგონას მკვლელ ნაძირალას. რა დაუშავა გოგონამ? სიმართლე ითქვას საერთოდ არ იყო საჭირო მასთან წასვლა. ახლა კი აქ ჰანტსვილში მექსიკელი აიყვანეს პოლიციელის მკვლელობისთვის. თითქოს ჯერ პოლიციელს ესროლა და მერე მის მანქანას ცეცხლი წაუკიდა და შიგ გამოწვა. არ მჯერა ეს ამ მექსიკელის ჩადენილი იყოს. მაგრამ სწორედ ამ დანაშაულისთვის სასიკვდილო განაჩენი ელოდება. როგორ უნდა მოვიქცე? ვფიქრობდი ყველაფერი თავისით გაირკვეოდა დროთა განმავლობაში მაგრამ არაფერიც არ გარკვეულა. მე მგონი ამას დასაწყისიდანვე ვხვდებოდი. ასეთი წინათგრძნობა მქონდა. თით-

ქოს იმ გზაზე წასასვლელად ვემზადებოდი საიდანაც უკან დაბრუნებას დიდი დრო დასჭირდებოდა.

როდესაც მკითხა სწორედ ახლა რატომ ამოტივტივდა ეს ამბავიო ვუპასუხე დაფარული არც არაფერი ყოფილა-მეთქი არასოდეს. უბრალოდ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდი. მაგრამ ის მართალი იყო. ამბავი მართლაც ამოტივტივდა. ალბათ ადამიანებს ცუდი პასუხი ურჩევნიათ უპასუხოდ დატოვებას. როდესაც ყველაფერი ვთქვი რასაც ვფიქრობდი ყველაფერი უეცრად თავ-თავის ადგილზე დადგა თუმცა ჩემთვის მოულოდნელ ადგილზე. მოგვიანებით მივხვდი მართალს რომ ამბობდა. ეს იმას ჰგავს რაც ერთმა ბეისბოლისტმა დიდი ხნის წინ მიამბო: როდესაც რაღაც სტკივა, კუნთი დაჭიმული აქვს ან აწუხებს როგორც წესი უკეთ თამაშობს. ეს აიძულებს ერთ მთავარ საქმეზე მოახდინოს მთელი ყურადღების კონცენტრაცია და არა ასობით წვრილმანზე. მისი კარგად მესმის. თუმცა არსებითად ეს არაფერს ცვლის. ასე მგონია ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შემეძლოს აღარასოდეს ჩავიდენდი ისეთ რამეს რისაც მერე შემრცხვებოდა. უკვე ვთქვი მაშინ ოცდაერთი წლის ვიყავი და ერთი შეცდომის დაშვების უფლება მქონდა. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ დაშვებული შეცდომა ჩემთვის ჭკუის სასწავლი გაკვეთილი გახდებოდა და ისეთი ადამიანი დავდგებოდი რომელიც ჩემს წარმოდგენას შეეფერება. ჰო, ვცდებოდი. ახლა სამსახურიდან წასვლას ვაპირებ. და ამის მიზეზი დიდწილად ის არის რომ არ მინდა უფროსობისგან იმ კაცის პოვნის ბრძანება მივიღო. ეჭვი მაქვს რომ ის მაინც ადამიანია. შეგიძლიათ თქვათ რომ სრულებით არ შევცვლილვარ და ვერც შეგეპასუხებით. არადა ოცდათექვსმეტ წელს ვიმსახურე. ძალიან მძიმეა ამაზე ფიქრი.

და კიდევ მოხუცის სიტყვებზე ვფიქრობ. ასაკით ოთხმოცზე მეტის ადამიანი ელოდებოდა რომ მის ცხოვრებაში ღმერთი რა-

ღაც ფორმით გამოჩნდებოდა. ჰო, ამის იმედი ჰქონდა. თუ ეს არ მოხდა მაინც უნდა გწამდეს იმის რომ ღმერთმა იცის რაც ხდება. სხვაგვარად ამის ახსნა არ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მიხვალ რომ ღმერთი მხოლოდ იმათ ესაუბრება ვი-საც შენზე მეტად უჭირს. ამასთან შეგუება არც ისე იოლია. გან-საკუთრებით ეს ლორეტასნაირ ადამიანებს უჭირთ. მაგრამ იქ-ნებ ჩვენ ყველას უმართებულო წარმოდგენა გვაქვს ღმერთზე. და ყოველთვის ასე იყო.

დეიდა კაროლინას წერილები ჰაროლდისადმი. ისინი ჰა-როლდთან იმიტომ აღმოჩნდა რომ ინახავდა. დეიდა კაროლი-ნამ გაზარდა და დედობა გაუწია. წერილები ტალახით დაფარუ-ლი დაჭმუჭნილი და მიხეულ-მოხეული გახლდათ. ასეთი იყო ეს წერილები. შეიძლება თქვათ სოფლელები იყვნენო. არა მგონია ჰაროლდი ოდესმე თავისი მშობლიური აირონის ოლქის გარეთ გასულიყო რომ აღარაფერი ვთქვათ ტეხასის შტატზე. მაგრამ წე-რილებიდან ჩანს მათი წარმოდგენა ომისშემდგომ მომავალზე როგორ არ შეესატყვისებოდა არსებულ რეალობას. ეს ახლა გა-მოჩნდა. სამოცი წლის შემდეგ. მაგრამ მაშინ ხომ ამას ვერ იფიქრებდნენ. შეიძლება რაღაც მოგეწონოს ან არ მოგეწონოს თუმცა ვერაფერს შეცვლი. ჩემს თანაშემწეებს ყოველთვის ვეუბ-ნებოდი: რაც შესაძლებელია ყველაფერი გააკეთეთ და მერე რაც მოსახდენია დაე მოხდეს. თუ რამეს წინ ვერ აღუდგები უმ-ჯობესია მოხდეს. ეს დაბრკოლებაა და არა პრობლემა. სიმარ-თლე ითქვას ჰაროლდზე უკეთესად მეც ვერ წარმოვიდგენ რა ხდება დღეს მსოფლიოს რომელიღაც ნაწილში.

მაგრამ რა თქმა უნდა ის არ დაბრუნებულა შინ უფრო სწო-რად საერთოდ ვერ დაბრუნდა ომიდან. იმ წერილებში მსგავსი შესაძლებლობის შესახებ მინიშნებაც კი არ იყო.

თუმცა დეიდა კაროლინა ამაზე ფიქრობდა. ფიქრობდა მაგ-რამ წერილებში არ წერდა.

ჩემს მედალს რასაკვირველია დღემდე ვინახავ. იმ სახით როგორც გადმომცეს ორნამენტებით მორთულ ალისფერ ყუთში ლენტითა და ყველა ატრიბუტით. დიდხანს მედო კომოდში. მერე სასადილო ოთახის მაგიდის უჯრაში გადავიტანე ყოველ წამს თვალში რომ არ მომხვედროდა. იმიტომ კი არა რომ სპეციალურად ვუყურებდი, უბრალოდ იქ იდო. ჰაროლდს ჯილდო არ მიუღია. ის შინ ხის კუბოთი დაბრუნდა. არა მგონია პირველი მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის ბრინჯაოს ვარსკვლავები გადაეცათ. ან მათი დედებისთვის. ასეც რომ ყოფილიყო დეიდა კაროლინა ვერც მიიღებდა ჯილდოს რადგან ის ჰაროლდის დეიდა გახლდათ. თუმცა იმსახურებდა. არც დაღუპული სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილ პენსიას იღებდა.

მაშ ასე. იმ ადგილზე ერთხელ დავბრუნდი. მივიარ-მოვიარე იქაურობა. მაშინდელიდან ცოტა რამ დარჩენილიყო. მიწიდან ერთი-ორი მტვრიანი მასრა ავიღე. აი ასე იყო საქმე. დიდხანს ვიდექი და ბევრ რამეზე ვფიქრობდი. ზამთრობით იშვიათად რომ გამოერევა ხოლმე ისეთი თბილი დღე იყო. მსუბუქი სიო ქროდა. მაინც ვფიქრობ რომ ამ ქვეყანაში მართლაც არის რაღაც. ის რაც ელისმაც თქვა. ვფიქრობდი ჩემს ოჯახზე და ინვალიდის ეტლში მჯდარ ბიძაჩემზე. მაშინ გამიელვა თავში აზრმა ჩემი ქვეყნის უცნაური და უაღრესად სისხლიანი ისტორიის შესახებ. და ეს ყველაფერში ჩანს. შეიძლება ასეთი რამ უკუვაგდო და მერე დავცინო კიდეც საკუთარ თავს მაგრამ ეს ჩემი აზრია. და არ მრცხვენია მისი. უკვე აღარ მრცხვენია. ჩემს ქალიშვილს ველაპარაკები. ახლა უკვე ოცდაათის იქნებოდა. ყველაფერი რიგზეა. არ მაღელვებს ამას როგორ აღიქვამენ. მიყვარს მასთან საუბარი. თუ გნებავთ ამას ცრუმორწმუნეობა ან რაც გნებავთ ის დაარქვით. მხოლოდ მე ვიცი რომ მრავალი წლის განმავლობაში მას ისეთი გული მივეცი როგორზეც თავადაც ვოცნებობდი. აი რატომ ვუგდებ ყურს მის რჩევას. ის აუცილებლად გონივრული

იქნება. ჩემი უმეცრება ან სიმდარე არაფერ შუაშია. ვიცი ეს სხვის თვალში როგორ გამოიყურება და ამაზე არც ვდარდობ. ჩემმა ცოლმაც კი არაფერი იცის. თუმცა ჩვენ ერთმანეთისგან დაფარული საიდუმლოებები არ გვქონია. შექანებულს არ დამიძახებდა მაგრამ ვინმე სხვამ შეიძლება ასე მომიხსენიოს. ედ ტომი? მართალია, დოკუმენტზე ხელია მოსაწერი რომ საგიჟეთში მოათავსონ. თითქოს მესმის როგორ შემოაცურეს დოკუმენტი კარის ქვეშ. რაც არის არის. ვუსმენ რას მეუბნება და უნდა გამოვტყდე ძალიან გონივრულ რჩევებს მაძლევს. მინდა რომ კიდევ და კიდევ მელაპარაკოს. ეს მშველის. კარგი, დავამთავროთ ამ საკითხზე.

შინ შესულმა ტელეფონის ხმა გაიგონა. ბუფეტთან მივიდა და ყურმილი აიღო.

შერიფი ბელი გისმენთ.

შერიფო, დეტექტივი კუკი ვარ ოდესის პოლიციიდან.

დიახსერ.

აქ მოხსენება გვაქვს თქვენი ხელმოწერით. ქალის თაობაზე სახელად კარლა ჯინ მოსი. მარტის თვეში რომ მოკლეს.

დიახსერ. დიდი მადლობა რომ დამირეკეთ.

მკვლელის იარაღი გამოძიების ფედერალური ბიუროს ბალისტიკურ ბაზაში აღმოჩნდა და შედეგად მიდლენდში აქაურ ყმაწვილზე გავიდნენ. ბიჭი ამბობს რომ ავარიის ადგილზე დამტვრეული მანქანიდან აიღო. უბრალოდ დაინახა და აიღო. და მისი მჯერა. ვესაუბრე. ყმაწვილმა იარაღი გაყიდა. ის დააფიქსირეს ლუიზიანას შტატის ქალაქ შრივპორტის სადღეღამისო მაღაზიის ძარცვისას. ავარიას რაც შეეხება ის მკვლელობის დღეს მოხდა. იარაღის მფლობელმა პიკაპი მიატოვა და გაქრა. მას შემდეგ მასზე არაფერი გვსმენია. ასე რომ თავადაც გესმით ამ საქმეს როგორი პერსპექტივა აქვს. აქ გაუხსნელი მკვლელობები არც ისე ბევრი გვაქვს და დამატებითი სრულებით არ გვჭირ-

დება. ეს შემთხვევა გაინტერესებთ? ამის კითხვა მინდოდა, შერიფო.

ბელმა უპასუხა. კუკი უსმენდა. მერე თავისი ტელეფონის ნომერი ჩააწერინა. ეს იმ გამომძიებლის ტელეფონი იყო რომელიც გამოძიებაზე მუშაობდა. როჯერ კეტრონის.

ჯერ გავაფრთხილებ. თავად დაგიკავშირდებათ.

არ არის საჭირო, უპასუხა ბელმა. თავად დავურეკავ. დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ.

ნომერი აკრიფა. ყურმილი კეტრონმა აიღო.

ედ ტომ! როგორ მიდის საქმეები?

სატრაბახო არაფერი მაქვს.

რით შემიძლია დაგეხმარო?

ბელმა ავარიის შესახებ უამბო.

დიახსერ, თქვა კეტრონმა. რასაკვირველია მახსოვს. ორი ბიჭი დაიღუპა მაგ ავარიაში. მეორე მანქანის მძღოლი ვერ ვიპოვეთ.

რა მოხდა?

ბიჭები ნარკოტიკით იყვნენ გაბრუებულები. გზაჯვარედინზე წითელზე გაიარეს და ახალთახალ დოჯ-პიკაპს შეასკდნენ. მანქანა მთლიანად დაიმტვრა. პიკაპის მძღოლი მანქანიდან გადაძვრა და უბრალოდ წავიდა. იქამდე სანამ მივიდოდით. პიკაპი მექსიკაში იყო ნაყიდი. არალეგალურად. არც გარემოს დაცვის სააგენტოს ტესტის შედეგია და არც ერთი სხვა დოკუმენტი. არსად არ არის რეგისტრირებული.

მეორე მანქანა?

მეორე მანქანაში სამნი იყვნენ. ცხრამეტი-ოცი წლისანი. სამივე მექსიკიდან. მარტო ის გადარჩა რომელიც უკანა სავარძელზე იჯდა. მარიხუანას მორიგეობით ეწეოდნენ. გზაჯვარედინზე საათში სამოცი მილის სიჩქარით შევარდნენ და დოჯის გვერდს შეასკდნენ. მძღოლის გვერდით ვინც იჯდა იმან თავით

გაამტვრია საქარე მინა მთელი ქუჩა გადაიფრინა და იმ ქალის სახლის ზღურბლზე დაეცა რომელიც წერილის საფოსტო ყუთში ჩასაგდებად შინიდან ხალათითა და ბიგუდებით ის წუთი იყო გამოვიდა. კინაღამ ქალს დაეცა. საბრალო ქალი ქუჩაში მირბოდა და მთელი ხმით ყვიროდა. ალბათ ჯერ კიდევ ვერ მოვიდა გონს.

იარაღი ვინც აიღო იმ ბიჭს რა უყავით?

გავუშვით.

შენი აზრით მასთან გასაუბრება შემიძლია?

ვფიქრობ შესაძლებელია. აქ ჩემთან კომპიუტერს უზის.

რა ჰქვია?

დეივიდ დემარკო.

მექსიკელია?

არა. მექსიკელები მანქანაში მსხდომები იყვნენ. ეს არა.

დამელაპარაკება?

ამის გასაგებად ერთადერთი გზა მასთან გასაუბრებაა.

ხვალ დილით ჩამოვალ.

გამიხარდება შენი ნახვა.

კეტრონმა ყმაწვილს დაუძახა და გაესაუბრა. მეორე დილით როდესაც ის კაფეში მივიდა ნერვიულობა დიდად არ ეტყობოდა. მათ მაგიდასთან დაჯდა. ფეხი ფეხზე უდარდელად გადაიდო. ენა გააწკლაპუნა და ბელს შეხედა.

ყავა გინდა?

დიახ. უარს არ ვიტყვი.

ბელმა თითი ასწია და მაგიდასთან მიახლოებულ ოფიციანტს შეკვეთა მისცა. ყმაწვილს უყურებდა.

იმ ადამიანზე მინდა დაგელაპარაკო რომელიც ავარიის შემდეგ მიიმალა. შეგიძლია მასზე რამე თქვა? რაიმე განსაკუთრებული თუ დაგამახსოვრდა?

ბიჭმა თავი გააქნია.

არა, თქვა მან. კაფე მოათვალიერა.

რამდენად მძიმედ იყო დაჭრილი?

არ ვიცი. ხელი რომ მოტეხილი ჰქონდა ეტყობოდა.

კიდევ.

თავზე ჭრილობა. არ ვიცი რამდენად სერიოზულად იყო დაშავებული. სიარული შეეძლო.

ბელმა ყმაწვილს ყურადღებით შეხედა.

შენი აზრით რამდენი წლის იყო?

ჯანდაბა, შერიფო. არ ვიცი. სისხლში იყო ამოსვრილი და საერთოდაც.

ჩვენება მიეცი რომ ოცდაათზე მეტის უნდა ყოფილიყო.

დიახ. ალბათ ასეა.

ვისთან ერთად იყავი?

რა?

შენთან ერთად კიდევ ვინ იყო?

არავინ.

ოქმში წერია რომ მეზობელმა ორნი დაგინახათ.

ეგ მეზობელი შექანებულია.

მართლა? დღეს დილით ვესაუბრე და სრულებით არ ჩანს შექანებული.

ოფიციანტმა ყავა მოიტანა. დემარკომ შაქრის ქილის მეოთხედი ჩაყარა და ყავას ურევდა.

რომ იცოდე იმ კაცმა იმ დღეს ორი კვარტლის დაშორებით ქალი მოკლა.

დიახ. უფრო სწორად მაშინ არ ვიცოდი.

ის თუ იცი მანამდე რამდენი ადამიანი ჰყავს მოკლული?

მასზე არაფერი ვიცი.

მაღალი იყო?

მაღალი არა. უფრო საშუალო სიმაღლის.

ჩექმა ეცვა?

ჰო. მე მგონი ჩექმით იყო.

როგორი ჩექმა ეცვა?

თუ არ ვცდები სირაქლემის ტყავის.

ძვირადღირებული ჩექმა.

დიახ.

სისხლი ბევრი მოსდიოდა?

არ ვიცი. სულ სისხლში იყო მოსვრილი. ჭრილობა თავზე ჰქონდა.

რა გითხრა?

არაფერი. მე ვკითხე თავს როგორ გრძნობ-მეთქი.

გაიფიქრე რომ შეიძლებოდა მომკვდარიყო?

არაფერი მიფიქრია.

ბელი საზურგეს მიაწვა. სამარილე ხელში შეათამაშა და მერე ისევ დადგა.

მითხარი ვისთან ერთად იყავი.

არავისთან ერთად არ ვყოფილვარ.

ბელი ყურადღებით დააკვირდა. ბიჭმა კიდევ ერთხელ გააწ-კლაპუნა ენა. ყავიანი ჭიქა აიღო და მოსვა. ყავა მაგიდაზე დად-გა.

ესე იგი არ გინდა დამეხმარო?

რაც ვიცოდი ყველაფერი ვთქვი. დაკითხვის ოქმი შეგიძლიათ ნახოთ. თქვენც იგივე გითხარით.

ბელი იჯდა და ბიჭს უყურებდა. მერე წამოდგა შლაპა აიღო და კაფედან გავიდა.

დილით სკოლაში მივიდა და დემარკოს მასწავლებელმა რამ-დენიმე გვარი დაუსახელა. პირველივე ყმაწვილი რომელსაც დაელაპარაკა დაინტერესდა როგორ მიაგნო. დიდი ტანის ბიჭი იყო და გულხელდაკრეფით მჯდომი თავის კედებს დასცქეროდა. დიდი კედები ეცვა ალბათ თოთხმეტი ზომის. მარცხენას იისფე-რი მელნით ეწერა მარცხენა და მარჯვენას მარჯვენა.

ორივენი რაღაცას მალავთ.

ბიჭმა თავი გააქნია.

დაგემუქრათ?

არა.

როგორ გამოიყურებოდა? მექსიკელი იყო?

არა მგონია. მხოლოდ მუქი კანი ჰქონდა.

გეშინია მისი?

სანამ თქვენ არ გამოჩნდით არ შემშინებია. ჯანდაბა, შერიფო, არ უნდა აგვეღო ის დაწყევლილი იარაღი. სისულელე ჩავიდინეთ. მაგრამ ყველაფერს დეივიდს არ დავაბრალებ თუმცა იდეა მისი იყო. უკვე დიდი ვარ და შემიძლია საკუთარ საქციელზე პასუხი ვაგო.

ჰო უკვე დიდი ხარ.

ყველაფერი ისეთი საშინელება იყო. ის მკვდარი ბიჭები მანქანაში. ბრალს წამიყენებენ?

კიდევ რა გითხრათ?

ბიჭმა თვალი მოავლო სკოლის სასადილოს სადაც ორივენი ისხდნენ. ატირებას ბევრი არაფერი უკლდა.

ასეთი რამ აღარ განმეორდება. პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

რა გითხრათ?

თქვა რომ ის თვალით არ გვინახავს. და დეივიდს ასიანი მისცა.

ასი დოლარი?

ჰო. დეივიდმა თავისი პერანგი მისცა. ხელის გადასახვევად.

ბელმა თავი დაუქნია.

გასაგებია. როგორ გამოიყურებოდა?

საშუალო სიმაღლის იყო. ჩვეულებრივი აღნაგობის. როგორც ჩანს კარგ ფორმაში. ოცდაათზე ცოტათი მეტის უნდა ყოფილიყო. მუქი თმა. წაბლისფერი ალბათ. არ ვიცი, შერიფო. ჩვეულებრივად გამოიყურებოდა.

ჩვეულებრივად გამოიყურებოდა.

ბიჭმა თავის ფეხსაცმელებს დახედა. მერე ბელს მიაჩერდა.

ჩვეულებრივად არ გამოიყურებოდა. უფრო სწორად გარეგნულად განსაკუთრებული არაფერი. მაგრამ გრძნობ რომ უმჯობესია მასთან საქმე არ დაიჭირო. რამე რომ გითხრას იძულებული ხარ მოუსმინო. მოტეხილი ძვალი კანიდან ამოსჩრია და ყურადღებასაც არ აქცევს — ვითომც არაფერი.

გასაგებია.

ბრალს წამიყენებენ?

არა.

მადლობელი ვარ.

არასოდეს იცი საქმე როგორ წავა, ხომ ასეა?

არა სერ, არასოდეს იცი. ჩემთვის ეს გაკვეთილი იყო. ეს შემიძლია გითხრათ.

ასეა. შენი აზრით დემარკომ თუ ისწავლა რამე?

ბიჭმა თავი გააქნია.

არ ვიცი. დეივიდის ნაცვლად მე ვერაფერს ვიტყვი.

XI

მოლის ვთხოვე მისი ნათესავები მოეძებნა და როგორც იქნა სან-საბაში მამამისს მივაგენით. პარასკევს საღამოს გავემგზავრე. ვფიქრობდი წასვლას აზრი არა აქვს-მეთქი მაგრამ მაინც წავედი. თავდაპირველად დავურეკე. ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ დიდი სიხარული არ გამოუხატავს ჩემთან შეხვედრის პერსპექტივით მაგრამ მითხრა რაკი ასეა ჩამობრძანდითო. ასე რომ წავედი. ღამე სან-საბას მოტელში გავათიე და დილით მასთან შინ მივედი.

რამდენიმე წლის წინ დაქვრივებულიყო. ზღურბლზე ვისხედით და ყინულიან ჩაის ვსვამდით. ალბათ ასე მდუმარედ კარგა ხანს ვისხდებოდით ლაპარაკი რომ არ დამეწყო. ჩემზე უფროსი იყო. დაახლოებით ათი წლით. ვუთხარი მისი შვილის შესახებ რაღაცის მოყოლა რომ მინდოდა და ამიტომაც ჩავედი. მინდოდა მომეყოლა ყველაფერი როგორც მოხდა. ის თავს მიქნევდა. სარწეველა სავარძელში წინ და უკან ნელა ირწეოდა. ხელში ყინულიანი ჩაის ჭიქა ეჭირა. აღარ ვიცოდი რა დამემატებინა და გავჩუმდი. დიდხანს ვისხედით ასე. მერე ჩემთვის არ შემოუხედავს ეზოს უყურებდა და თქვა:

ყველაზე საუკეთესო მსროლელი იყო ვინც კი მინახავს. მიზანს არ აცდენდა.

არ ვიცოდი რა მეპასუხა.

დიახსერ.

ალბათ იცით ვიეტნამში სნაიპერად იყო.

არ ვიცოდი.

ნარკოტიკებში არ ყოფილა გარეული.

არა სერ. არ ყოფილა.

თავი დამიქნია.

სხვანაირად იყო აღზრდილი, თქვა მან.

დიახსერ.

ომში მონაწილეობდით?

დიახ. ევროპაში.

მოსის მამამ ისევ თავი დამიქნია.

ლუელინი ომიდან დაბრუნების შემდეგ დაღუპული თანამებრძოლების ოჯახებში დადიოდა. მერე თავი ანება. არ იცოდა მათთვის რა ეთქვა. როგორც მითხრა ისინი უყურებდნენ და ამ ადამიანების თვალებში სინანული ჩანდა. იმის გამო რომ ის ცოცხალია. მათი შვილები კი დაღუპულები, ხომ გესმით?

დიახსერ. კარგად მესმის.

მეც. მაგრამ მნიშვნელოვანია ისიც რასაც ისინი ომის დროს აკეთებდნენ. მსგავსი რამ ჩვენ იმ ომში არ ჩაგვიდენია. ან ძალიან იშვიათად. ერთი-ორი ჰიპი გალახა. სახეში აფურთხებდნენ. ბავშვების მკვლელს ეძახდნენ. იქიდან დაბრუნებული ბიჭებიდან ბევრს დღემდე აქვს პრობლემები. თავდაპირველად ამის მიზეზი ის მეგონა რომ მათ გვერდით სახელმწიფო არ იდგა. მაგრამ ახლა უკვე ვფიქრობ საქმე ბევრად უფრო ცუდადაა. სახელმწიფო მაშინ გაიხლიჩა. ახლაც გახლეჩილია. და ეს ჰიპების ბრალი არ ყოფილა. არც ომში გაგზავნილი ბიჭების. ისინი ხომ თვრამეტი--ცხრამეტი წლისანი იყვნენ.

შემობრუნდა და შემომხედა. და მაშინ გავიფიქრე რომ სწორედ იმ რამდენიმე წუთში ძალიან დაბერდა. მოხუცის თვალები ჰქონდა. მერე დაამატა:

ადამიანები იტყვიან რომ ვიეტნამმა ქვეყანა დააჩოქა. მაგრამ ამის არასოდეს მჯეროდა. ის უკვე დაავადებული იყო. ვიეტნამი მხოლოდ უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. როდესაც მათ იქ ვაგზავნიდით გასაყოლებელი აღარაფერი გვქონდა. ალბათ უიარაღოები რომ გაგვეშვა ამაზე უარესი არაფერი მოხდებოდა. შეუძლებელია ომში ისე წახვიდე სულში ღმერთი არ გყავდეს. არ ვიცი ახალი ომის შემთხვევაში რა მოხდება. უბრალოდ არ ვიცი.

აი ასე სასიამოვნოდ ვისაუბრეთ. მადლობა ვუთხარი დრო რომ დამითმო. მომდევნო დღე ჩემი უკანასკნელი სამუშაო დღე იქნებოდა და ბევრი საფიქრალი მქონდა. სოფლის გზებით I-10 გზატკეცილზე დავბრუნდი. ჩეროკიმდე მივედი და 501-ზე გადავუხვიე. ვცადე საკუთარი წარსულისთვის თვალი გადამევლო და ყველაფერი პერსპექტივაში განმეხილა მაგრამ ზოგი რამ ჯერ კიდევ მეტისმეტად ახლოს იყო. საკუთარ თავს რომ გაუგო ამისათვის მთელი ცხოვრება გჭირდება და მაშინაც კი შეიძლება შეცდე. შეცდომის დაშვება კი არ მსურდა. იმაზე ვფიქრობდი რატომ მინდოდა პოლიციელობა. ერთი მხრივ ყოველთვის მქონდა სურვილი მეხელმძღვანელა. ეს სურვილი მოსვენებას არ მაძლევდა. მინდოდა ადამიანები ჩემს დაქვემდებარებაში ყოფილიყვნენ. მეორე მხრივ ყველა ბორტიდან გადავარდნილის ისევ ნავში დაბრუნების სურვილი არ მასვენებდა. რამის გაუმჯობესება რომ მეცადა ეს მოხდებოდა კიდეც. მე მგონი ჩვენ ყველანი ცუდად ვართ მომზადებულები იმისათვის რაც მომავალში გველოდება. რა ფორმას მიიღებს ის არ ვიცი. და რაც უნდა იყოს ის ძალებიც არ გვყოფნის მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. იმ მოხუცებს რომლებსაც ვესაუბრები ხოლმე რომ უთხრა ერთ დღესაც ტეხასის ქალაქების ქუჩებში გამოჩნდებიან მწვანეთმიანი და ცხვირში ძვალგაყრილი ადამიანები და ყოვლად გაუგებარ ენაზე ილაპარაკებენ-მეთქი ისინი არ დაიჯერებენ. საინტერესოა რას იტყვიან თუ გაიგებენ რომ ისინი მათი შვილიშვილები არიან? აი ასეთი ნიშნები და საოცრებები ხდება და გაურკვეველია ისინი საიდან გაჩნდა. გაურკვეველია ამ ყველაფერს როგორ უნდა ებრძოლო. ადრე ისეთი გრძნობა მქონდა რომ სულ მცირედით მაინც შემეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ახლა ასეთი გრძნობა აღარ მაქვს. იმავეს ვგრძნობ რასაც ის მოხუცები რომლებსაც ვესაუბრები. რომ მდგომარეობა აღარ გაუმჯობესდება. ის უნდა დავიცვა რისაც წინანდებურად აღარ

მჯერა. ესაა საქმე. ადრეც არ გამომდიოდა. ახლა კი სრულიად ცხადად დავინახე. ძალიან ბევრი შემხვდა ისეთი ვინც თავის რწმენაზე უარი თქვა. მაიძულეს დამენახა ეს მდგომარეობა და საკუთარი თავიც. არ ვიცი ეს კარგია თუ ცუდი. არც ის ვიცი კარგია თუ არა ვინმეს ვურჩიო პოლიციაში დაიწყოს მუშაობა თუმცა ადრე ეჭვიც არ მეპარებოდა რომ კარგია. თუ დღეს ცხოვრებაში კარგად ვერკვევი ამისათვის დიდი საფასური გადავიხადე. ძალიან დიდი. როდესაც მას ჩემი გადადგომის შესახებ ვუთხარი თავდაპირველად არ დაიჯერა მაგრამ კარგად ავუხსენი ყველაფერი. ვუთხარი რომ ამ ოლქის მცხოვრებლებს საკმარისი კეთილგონიერება უნდა გამოეჩინათ და ჩემთვის აღარ მოეცათ ხმა. რომ უფლება არ მაქვს მათი გადახდილი გადასახადებიდან ხელფასი მივიღო. მპასუხობს ეს ალბათ ხუმრობააო. მე კი ვეუბნები რომ სრულიად სერიოზულად ველაპარაკები. ჩემი სამსახურის გამო ექვსი ათასი დოლარი ვალი გვაქვს და როგორ გავისტუმრებთ გაუგებარია. ორივენი დავდუმდით. არ მეგონა ასე თუ ეწყინებოდა. ბოლოს ვეუბნები: ლორეტა, აღარ შემიძლია ამ თანამდებობაზე ყოფნა. მან გაიღიმა და მპასუხობს: იქამდე გინდა წახვიდე სანამ სათავეში ხარ? მე კი ვეუბნები არა მემ უბრალოდ მივდივარ-მეთქი. რა სათავე, არც არასოდეს ვყოფილვარ სათავეში.

კიდევ ერთ რამეს ვიტყვი და მერე გავჩუმდები. არაფერს ვიტყოდი მაგრამ გაზეთებში დაწერეს. ოზონში წავედი და ოლქის პროკურორს ვესაუბრე. მან მითხრა რომ სურვილის შემთხვევაში შემეძლო გავსაუბრებოდი იმ მექსიკელის ადვოკატს და საჭიროების შემთხვევაში ჩვენება მიმეცა სასამართლოში. მაგრამ ამის მეტი მათ არაფერი შეეძლოთ. ეს იმას ნიშნავდა რომ არაფერს გააკეთებდნენ. ვცადე რაც შემეძლო მაგრამ ადამიანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. მაშინ მასთან ჰანტსვილში წავედი სანახავად და აი რა გამოვიდა ამ ამბიდან. შევედი კამერა-

ში და დავჯექი. ის კიდევ მიყურებს. რა თქმა იცოდა ვინც ვიყავი იმიტომ რომ სასამართლოზე მნახა. მიყურებს და მეკითხება: რა მომიტანე? ვუპასუხე რომ არაფერი. ის კი მეუბნება რომ ეგონა რამე მივუტანე. კანფეტი ან სხვა რაიმე ამის მსგავსი. მიხვდა რომ მეცოდებოდა. დაცვის თანამშრომელს შევხედე. მას ხმა არ ამოუღია და ზურგი შეგვაქცია. მერე მექსიკელს შევხედე დაკვირვებით. ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის იქნებოდა. ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა. მისგან შეურაცხყოფის მოსასმენად რომ არ ვიყავი მისული ვუთხარი. ისიც დავამატე რომ მის უდანაშაულობაში დარწმუნებულმა ყველაფერი ვცადე მისი ხვედრის შესამსუბუქებლად. მან კი თავი გადასწია და გადაიხარხარა: ასეთი სად გიპოვეს? გუშინ დაიბადე? ტყვია თვალებს შორის დავაჭედე და მერე თმებით ვითრიე მისივე მანქანამდე რომელსაც ცეცხლი წავუკიდე და შევბრაწე.

ასეა. ეს ადამიანები თვალის ერთი შევლებით გატყობენ რას წარმოადგენ. სილა რომ გამეწნა მისთვის დაცვა ხმასაც არ ამოიღებდა. მას ეს კარგად ესმოდა. იცოდა.

გასვლისას ოლქის პროკურორს შევხვდი რომელსაც შორიდან ვიცნობდი და ცოტა ხნით სასაუბროდ შევჩერდით. მისთვის არ მითქვამს რა მოხდა თუმცა იცოდა ბრალდებულის დახმარებას რომ ვცდილობდი და ალბათ მიხვდა შეხვედრისას რაც მოხდებოდა. არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში მასზე არაფერი უკითხავს. არც ის რა ჯანდაბას ვაკეთებდი იქ. საერთოდ არაფერი უკითხავს. ორნაირი ადამიანები არსებობენ რომლებსაც ბევრი შეკითხვის დასმა არ უყვართ. ერთნი ძალიან გონებაშეზღუდულები არიან და მეორენაირ ადამიანებს ისედაც ესმით ყველაფერი. თქვენთვის მომინდვია იმის გარკვევა ეს პროკურორი რომელ ტიპს მიეკუთვნებოდა. მოთმინებით იდგა ჩემთან ერთად ვესტიბიულში. თითქოს დრო თავზე საყრელად ჰქონდა. მიყვებოდა სწავლის დამთავრების შემდეგ ცოტა ხანს ადვოკატად ვი-

მუშავე და ეს ძალიან რთული იყოო. თქვა არ მსურდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყოველდღე ურცხვი ტყუილები მესმინაო. გამახსენდა და ერთი ნაცნობი იურისტის ნათქვამი მოვუყევი, რომ უნივერსიტეტებში ასწავლიან არ იფიქრო სამართლიანობასა და უსამართლობაზე, მთავარია კანონი არ დაარღვიო. ჩემი მოსაზრებაც ვუთხარი სწავლების ამგვარი წესის შესახებ რომელიც უმართებულოდ მიმაჩნდა. ჩაფიქრდა, მერე თავი დამიქნია და მითხრა შენი ნაცნობი იურისტის სიტყვებს ვეთანხმები რომ თუ კანონს არ მისდიე მხოლოდ სამართლიანობა-უსამართლობის ცნებებით ხელმძღვანელობით ფონს ვერ გახვალ. გარკვეული ლოგიკა ამ მიდგომაში არის. მაგრამ მე მაინც საპირისპირო მოსაზრების მომხრედ ვრჩებიო. ბოლოს ვკითხე იცი თუ არა ვინ არის-მეთქი მამონა.

მან მკითხა:

მამონა?

დიახ. მამონა.

ღმერთსა და მამონას გულისხმობთ?

დიახსერ.

ვერ გეტყვით. ის ვიცი რომ ბიბლიაშია ნახსენები. ეშმაკს ნიშნავს?

არ ვიცი. უნდა წავიკითხო. ისეთი გრძნობა მაქვს რომ დროა მასზე მეტი შევიტყო.

პროკურორმა გულთბილად გაიღიმა და მერე მითხრა:

ისე ამბობთ თითქოს ერთ დღეს სტუმრად უნდა გეწვიოთ.

ესღა მაკლდა, ვუპასუხე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ვგრძნობ მისი ჩვევების შესახებ უფრო მეტი უნდა ვიცოდე.

მან თავი დამიქნია. მერე შეკითხვა დამისვა. აი რა თქვა:

ის იდუმალი კაცი რომელმაც თქვენი აზრით პოლიციელი მოკლა და მისი მანქანა დაწვა. მასზე რა იცით?

არაფერი. თუმცა მინდა ვიცოდე. ჰო, ნამდვილად მინდა.

გასაგებია.

მოჩვენებას ჰგავს.

ჰგავს თუ ნამდვილად მოჩვენებაა?

არა, ნამდვილად არსებობს. კარგი იქნებოდა არ არსებობდეს. მაგრამ არსებობს.

მან თავი დამიქნია.

მართლაც მოჩვენება რომ იყოს ამდენს არ ინერვიულებდით მის გამო.

დავეთანხმე მაგრამ მას შემდეგ ამ საკითხზე ვფიქრობ და ალბათ მის შეკითხვაზე ასე უნდა მეპასუხა: როდესაც ცხოვრებაში რაღაც მოვლენებს და მათი ნამდვილობის დამადასტურებელ ფაქტებს აწყდები ხვდები რომ მის პირისპირ დარჩენილი უძლური ხარ. ჩემი აზრით ეს სწორედ ასეთი შემთხვევა იყო. სრულიად არ ვიყავი დარწმუნებული საკუთარ სიტყვებში როდესაც ვთქვი რომ ის რეალურად არსებობს და არა მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში.

ლორეტამაც მითხრა თავისი აზრი. შენი ბრალი აქ არაფერიაო. მე კი ვუპასუხე დამნაშავე ვარ-მეთქი. ამაზეც ვიფიქრე. თუ ეზოში ავი ძაღლი გყავს ხალხი შენს ეზოს გვერდს აუქცევს. ისინი კი ასე არ მოქცეულან.

როდესაც სახლში დაბრუნდა ცოლი არსად ჩანდა მანქანა კი ადგილზე იყო. საჯინიბოსკენ წავიდა. არც ცოლის ცხენი ჩანდა. სახლში აპირებდა შესვლას მაგრამ გადაიფიქრა, შეეშინდა ქალს რამე ხომ არ დაემართაო. საჯინიბოში შევიდა. კედლიდან უნაგირი ჩამოხსნა და თავის ცხენს დაუსტვინა. მაშინვე მოაჯირს იქით ცხენის თავი გამოჩნდა დაცქვეტილი ყურებით.

ეზოდან გავიდნენ. ცალი ხელით ლაგამი ეჭირა და მეორით ცხენს გასამხნევებლად უტყაპუნებდა. მიდიოდა და ცხოველს ელაპარაკებოდა.

კარგია გასეირნება, ხომ ასეა? არ იცი სად წავიდნენ? არა უშავს. ნუ ნერვიულობ. ვიპოვით.

ორმოცი წუთის შემდეგ ქალი დაინახა და ცხენი შეაჩერა. უყურებდა როგორ მიდიოდა ცხენზე ამხედრებული წითელი გორაკის წვერზე. ხელები უნაგირზე დაებჯინა და მზის ჩასვლას უმზერდა. ცხენი ნელა მიაბიჯებდა ქვიშიან ნიადაგზე და მათ უკან უძრავ ჰაერში მტვრის წითელი ღრუბელი იდგა.

აი ისიც, უთხრა ბელმა თავის ცხენს. ჩემი სიყვარული. ჩემი მარადიული სიყვარული.

ერთად მივიდნენ უორნერისეულ ჭასთან და კანადური ვერხვების ძირში ჩამოსხდნენ ცხენები კი საბალახოდ მიუშვეს. წყლის რეზერვუარების თავზე გარეული მტრედები ირეოდნენ.

წელი იწურება. კიდევ დიდხანს ვერ ვნახავთ.

იწურება, თქვა ქალმა და გაიღიმა.

ნანობ?

აქედან რომ მივდივართ?

ჰო, რომ მივდივართ.

არა უშავს.

ჩემ გამო? ასეა?

ქალმა გაიღიმა.

იცი, გარკვეული ასაკის შემდეგ არ მგონია ადგილის შეცვლა კარგი იყოს.

ეჭვი მაქვს გაგვიჭირდება.

ყველაფერი კარგად იქნება. ვეცდები ისეთი სახლი გვქონდეს სადაც სავახშმოდ დაბრუნდები.

სახლში ყოფნა ნებისმიერ დროს მიყვარს.

მახსოვს როდესაც მამა პენსიაზე გავიდა დედამ უთხრა: დაქორწინებისას კი ვთქვი რომ ლხინშიც და ჭირშიც შენს გვერდით ვიქნებოდი მაგრამ საუზმეზე მაშინ არაფერი თქმულაო.

ბელმა გაიღიმა.

დარწმუნებული ვარ ახლა თავის სახლში ყოფნას ნატრობს და საუზმესაც სიამოვნებით მოუმზადებდა.

მეც სიამოვნებით მოვუმზადებდი.

არ უნდა მეთქვა ეს.

ცუდი არაფერი გითქვამს.

ყოველთვის ასე ამბობ.

ეს ჩემი მოვალეობაა.

ბელმა გაიღიმა.

არ გინდა მითხრა რომ უხეირო რამ ვთქვი?

არა.

მე თუ მინდა?

მაინც არა.

კაცი უდაბნოს პატარა ზოლებიან მტრედებს უყურებდა რომლებიც მკრთალ ვარდისფერ სინათლეზე ჭას თავს დასტრიალებდნენ.

ეს სიმართლეა?

ჰო. თითქმის სიმართლეა.

აქედან წასვლა კარგი აზრი იყო?

იცი, თქვა ქალმა. არ აქვს მნიშვნელობა აზრი კარგი იყო თუ ცუდი. მაინც ისე მოხდებოდა როგორც შენ გადაწყვიტე. თუნდაც განსხვავებული აზრი გვქონოდა ბოლოს მაინც დავთმობდი.

მე კი შეიძლებოდა არ დამეთმო.

ქალმა გაიღიმა და ხელზე ხელი დაადო. მერე უთხრა:

შევწყვიტოთ ეს საუბარი. ისეთი სასიამოვნოა აქ ყოფნა.

დიახ მემ. მართლაც ასეა.

XII

ლორეტას იმით გავაღვიძებ რომ თავად გავიღვიძე. ჯერ ისევ საწოლში ვიწვებით და ის ჩემს სახელს წარმოთქვამს. თითქოს უნდა დარწმუნდეს რომ აქ ვარ. შესაძლოა სამზარეულოში გავიდე მისთვის ჯანჯაფილის ელის მოსატანად და მერე სიბნელეში ვისხდებით. მინდა არაფერი აშფოთებდეს. იმან რაც ცხოვრებაში ვნახე მორწმუნე ვერ გამხადა. ისეთი როგორიც ის არის. ის ჩემზე ღელავს. ვხედავ ამას. მე მგონი ამის მიზეზი ისაა რომ ასაკით მასზე უფროსი ვარ და რა არის მამაკაცი სწორედ ჩემთან ცხოვრებით ისწავლა. მაგრამ კარგად ვიცი მას რას უნდა ვუმადლოდე.

ვფიქრობ ისიც ვიცი რა გველოდება. ჩვენივე ფულით გვიყიდეს. ეს მხოლოდ ნარკოტიკებს არ ეხება. არსებობს დაგროვილი სიმდიდრეები რომლებზეც არავის აქვს წარმოდენა. რაში იხარჯება უზარმაზარი თანხა? თანხა რომლითაც მთელი ქვეყნების ყიდვა შეიძლება. და ასეც იქცეოდნენ. შეიძლება ამ ქვეყნის ყიდვა? მეეჭვება. მაგრამ შესაძლოა საწოლში ისეთ ადამიანებთან აღმოჩნდეთ რომელთა გვერდითაც არ ღირს დაძინება. ეს სამართალდამცავი ორგანოების პრობლემაც კი არ არის. და საეჭვოა ოდესმე ყოფილიყო. ნარკოტიკები მუდამ არსებობდა. მაგრამ ადამიანები ნარკოტიკის მომხმარებლები უმიზეზოდ არ ხდებიან. მილიონობით ადამიანზეა საუბარი. და ეს მიზეზი რა არის არ ვიცი. განსაკუთრებით ისეთი პასუხი რომელიც გულიდან ამ სიმძიმეს მომხსნიდა. ამას წინათ ერთ ჟურნალისტს ვუთხარი — ახალგაზრდა გოგონაა, სიმპათიური. ჟურნალისტობას ახლა სწავლობს. მკითხა: შერიფო, როგორ დაუშვით რომ თქვენს ოლქში დამნაშავეობა კონტროლს აღარ ექვემდებარება? ვაღიარებ რომ სამართლიან შეკითხვას ჰგავს. შეიძლება

არის კიდევაც სამართლიანი. ასეა თუ ისე ვუპასუხე: ეს მაშინ იწ-ყება როდესაც თავაზიანად ქცევის წესებს ვივიწყებთ. თუ აღარ გესმით საუბარში სერ და მემ ჩათვალეთ რომ ცუდად არის საქმე და დასასრული ახლოვდება. კიდევ ვუთხარი: ამან ფეხი მოიკი-და საზოგადოების ყველა ფენაში. გესმით ეს? ყველა ფენაში. ბო-ლოს და ბოლოს საზოგადოება მერკანტილური ხდება და ადა-მიანებს უდაბნოში საკუთარ მანქანებში ჩახოცილებს პოულო-ბენ. მათთვის უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს.

ეს რომ ვუთხარი უცნაურად შემომხედა. ბოლოს კიდევ ერთი რამ ვუთხარი, ალბათ არ ღირდა ამის თქმა: ვუთხარი ის რომ ნარკოტიკები არ გაიყიდება თუ მათ მყიდველი არ ჰყავს. მყიდ-ველების უმრავლესობა კი კარგად არის ჩაცმული და კარგი სამ-სახური აქვს. იქნებ ასეთები თქვენს ნაცნობებშიც არიან-მეთქი.

კიდევ ერთი ამბავია მოხუცები. ჰო, ისევ მათ ვუბრუნდები. როდესაც ვესაუბრები მათ თვალებში ყოველთვის ჩანს შეკით-ხვა. ასეთი რამ წინა წლებიდან არ მახსოვს. ორმოცდაათიან წლებში შერიფად რომ ვმუშაობდი ასე არ იყო. უყურებ ამ მოხუ-ცებს და შეწუხებულებიც კი არ არიან. არამედ ჭკუიდან შეშლი-ლებს ჰგვანან. ეს გულს ძალიან მტკენს. თითქოს ახლახან გამო-იღვიძეს და ვერ გაუგიათ რომელ სამყაროში არიან. და გარ-კვეული თვალსაზრისით ასეც არის. მართლაც ვერ გაუგიათ სად არის მათი ადგილი.

დღეს ვახშმობისას მითხრა წმინდა იოანე წავიკითხეო. გა-მოცხადება. ყოველთვის როდესაც რაიმე ფაქტზე ვესაუბრები მაშინვე გაიხსენებს რომელიმე ადგილს ბიბლიიდან. ამიტომ ვკითხე არის თუ არა გამოცხადებაში რამე ნათქვამი ცვლილე-ბებზე და რა ფორმით მოხდება-მეთქი. მითხრა მოვძებნი და გეტყვიო. ვკითხე არის იქ მოხსენიებული მწვანე თმა და ცხვირ-ში გაყრილი ძვლები-მეთქი. მითხრა ზუსტად ეს გამონათქვამი ნახსენები არ არისო. ვერ გამიგია ეს კარგის ნიშანია თუ ცუდის.

მერე წამოდგა. ზურგს უკან დადგა. კისერზე მომეხვია და ყურზე მიკბინა. გარკვეული თვალსაზრისით ის ძალიან ახალგაზრდა ქალია. ის რომ არა არ ვიცი რა დამემართებოდა. თუმცა არა, ვიცი. და ამის შემოწმება საჭირო არ არის.

ცივი ქარიანი დღე იყო როდესაც უკანასკნელად გამოვიდა სასამართლოს შენობიდან. ზოგიერთ მამაკაცს მტირალ ცოლთან გადახვეულს უნდა დარდის გაქარვება. ასეთი რამ მისთვის უცხო იყო. კიბეს ჩაუყვა და უკანა გასასვლელით გავიდა. თავის პიკაპში ჩაჯდა და რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იჯდა. თავის გრძნობას სახელს ვერ არქმევდა. სევდის გარდა კიდევ იყო რაღაც. და სწორედ ეს რაღაც აიძულებდა გაუნძრევლად მჯდარიყო იმის ნაცვლად რომ მანქანა დაექოქა და შინ წასულიყო. ასეთი გრძნობა ადრეც გამოუცდია მაგრამ მალე ავიწყდებოდა. როდესაც ეს უთხრა საკუთარ თავს მიხვდა რაც იყო. ამას მარცხი ჰქვია. თითქოს სილა გააწნეს და სამაგიეროდ ხელიც არ გაუნძრევია. ეს სილა სიკვდილზე მწარე გახლდათ. ამას უნდა გაუმკლავდე, თქვა მან. მერე მანქანა დაქოქა.

XIII

იმ სახლის უკანა კარიდან როგორც კი გახვიდოდი თვალში მოგხვდებოდა ქვით ამოშენებული ჭა სარეველებით დაფარული სახლის კედელთან. ჭის სახურავიდან წყალსადინარის მილი მომწყდარიყო და ჭა წყლით იყო სავსე. მახსოვს ვიდექი და შევცქეროდი. არ ვიცი რამდენი წლის ჭა იყო. ალბათ ასის. ორასის. ქვას საჭრეთლის კვალი ეტყობოდა. კლდიდან მოგლეჯილი ლოდი გახლდათ. სიგრძით ექვსი ფუტი და სიგანით ალბათ ფუტნახევარი. იმდენივე სიმაღლით. კლდიდან საჭრეთლით მოეჭრათ. იმ ადამიანზე ვფიქრობდი რომელმაც ეს გააკეთა. იმ ქვეყანაში მშვიდობიანობა ძალიან ცოტა ხანს თუ ყოფილა. მოგვიანებით ცოტა რამ წავიკითხე მისი ისტორიის შესახებ და არა მგონია ქვეყანას მშვიდობიანი წლები ოდესმე ჰქონოდა. მაგრამ

იმ კაცმა ხელში საჭრეთელი და ჩაქუჩი აიღო და წყლის დასაგროვებლად ქვისგან ჭა ამოაშენა. ჭა რომელიც ათიათასობით წელს იარსებებს. რატომ? რისა სწამდა? ყოველ შემთხვევაში იმის არა რომ არაფერი შეიცვლება. შეიძლება შეცდე და ასეთი რამ დაასკვნა. მან შესანიშნავად იცოდა ეს არ უნდა დაეჯერებინა. ბევრი ვიფიქრე ამაზე. მას შემდეგაც რაც ჭურვმა სახლი ნანგრევებად აქცია და იქიდან წავედი. ქვის ის ჭა ისევ არსებობს. მისი მოშლა არც ისე იოლია. ჰოდა იმ კაცზე ვფიქრობ რომელიც ალბათ ვახშმის შემდეგ ერთ-ორ საათს ქვაზე მუშაობდა საჭრეთლითა და ჩაქუჩით. არ ვიცი. ერთადერთ დასკვნამდე მივედი. მის სულში იმედი ცოცხლობდა. არ ვაპირებ კლდის ლოდისგან ჭა ამოვაშენო. მაგრამ მინდა მსგავსი იმედი მეც შევიქმნა. ვფიქრობ ყველაზე მეტად ეს მინდა.

და კიდევ ერთი რამ. მამაჩემზე ყველაფერი არ გიამბეთ. მესმის რომ ის მეტ პატივისცემას იმსახურებს. ახლა მასზე თითქმის ოცი წლით უფროსი ვარ. ასე რომ ჩემზე ახალგაზრდა ადამიანზე ვსაუბრობ. ჯერ კიდევ ბიჭი იყო როდესაც ცხენებით ვაჭრობა დაიწყო. როგორც მიყვებოდა თავდაპირველად ერთი-ორჯერ მწარედ მოატყუეს და ეს მისთვის კარგი გაკვეთილი გამოდგა. მერე იმ ვაჭარს შეხვდა და მან მხარზე ხელი გადახვია და უთხრა: შვილო, ამიერიდან ისე ვივაჭრებთ ერთად თითქოს აქამდე ცხენი არასოდეს გყოლია. ამ ყველაფრის აზრი ის არის რომ ადამიანები ყოველთვის რაღაც რჩევას გაძლევენ და ყური უნდა მიუგდო. ეს სამუდამოდ დავიმახსოვრე. ცხენებს კარგად იცნობდა და მათი ესმოდა. მინახავს როგორ ხედნიდა მათ. იცოდა როგორ უნდა მოჰქცეოდა ცხოველს. ნამდვილი მხედარი გახლდათ. ცხენებს ბევრს ელაპარაკებოდა. არასოდეს დაუძალებია ჩემთვის რამის გაკეთება და მას იმაზე მეტს ვუმადლი ვიდრე აქამდე მეგონა. დღევანდელი შეხედულებით შეიძლება ითქვას მამაჩემზე წარმატებული ადამიანი ვარ. ცუდია ამის თქმა. მძიმეა ამ შეგნე-

ბით ცხოვრება. სხვა საქმეა მამამისი, ბაბუაჩემი. მამა შერიფი არასოდეს ყოფილა. მე მგონი ორიოდე წელი ისწავლა და უნივერსიტეტი აღარ დაამთავრა. მასზე იმაზე ნაკლებს ვფიქრობდი ვიდრე საჭირო იყო და ვიცი რომ ეს არასწორი საქციელია. გარდაცვალების შემდეგ ორჯერ მესიზმრა. პირველი სიზმარი წესიერად არც კი მახსოვს. მნიშვნელოვანი არაფერი იყო. რომელიღაც ქალაქში შევხვდით და ფული მომცა რომელიც მერე მგონი დავკარგე. მეორე სიზმარში თითქოს ძველ დროს დავუბრუნდით. ღამე იყო და ცხენით ვიყავი მთებში. უღელტეხილზე მივდიოდი. ციოდა. მიწა თოვლით იყო დაფარული. მან ცხენზე მჯდომმა გვერდით ჩამიარა და გზა გააგრძელა. არაფერი უთქვამს. უბრად ჩამიარა. საბანში გახვეულს თავი დაეხარა და მისი ჩავლისას დავინახე ხელში რქა ეჭირა და შიგ ცეცხლი ენთო. ისე როგორც ძველად იცოდნენ. ცეცხლი რქას შიგნიდან ანათებდა. ანათებდა მთვარის შუქივით. სიზმარში მივხვდი რომ წინ წასული სიბნელესა და სიცივეში ცეცხლს გააჩაღებდა და როდესაც ადგილზე მივიდოდი იქ დამხვდებოდა. და გამომეღვიძა.